ისტორია
დიტო ცინცაძე
დავით ბუხრიკიძე

ინტერვიუ
ნულოვანი მენტალობა / ნინო ჯაფიაშვილი

წერილი
ნოემბერში, მარტო და შორს / ანა კორძაია-სამადაშვილი

ფოტოპროექტი
სტოკჰოლმის ექვსი დღე / ლევან ხერხეულიძე

MESSINIA UNION
KALAMATA

olives & extra virgin olive oil

KALAMATA

"ო, ზეთისხილო, მე ყიეი შენი ჯადოსნობა - შენ სიხლტ მოიპოვენ მიწიდან საცხოვრისათვის."
ფედერიკო გარსია ლორკა

სწორედ ეს "დედამიწის სიხლი", ზოგჯერ ქარვისფერი და ზოგჯერ მომწვანო, დღესდღეობით სწორედ ეს ზეთი ფასობს ყველაზე ძვირად მთელს მსოფლიოში.

არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ ზეთისხილის ხეების მოშენება დაიწყეს ხმელთაშუა ზღვისპირეთში ექვსი ათასი წლის წინ, ხოლო ჩვენს წელთაღრიცხვამდე არცთუ ისე ადრე, ორიათასხუთასი წლის წინ ხმელთაშუა ზღვისპირეთის მცხოვრებლებმა ისწავლეს ზეთისხილის ნაყოფიდან ღვთაებრივი ნექტარის – ზეითუნის ზეთის მოპოვება.

მესენიის დედაქალაქი - უძველესი ქალაქი კალამატაა, რომლის ნაყოფიერი მიწა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დიდად განთქმული იყო და ძვირად ფასობდა. სწორედ აქ მზადდება მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ზეთისხილი და ზეითუნის ზეთი "კალამატა", რომელიც მთელი რიგი ქიმიური ანალიზების ჩატარების შემდეგ კლასიფიცირდება როგორც პირველი (ცივი) წნეხვის ზეითუნის ზეთი.

ჩვენ სიამაყით წარმოგიდგენთ ზეითუნის ზეთს, რომლის უნიკალურობას ვერ აღწერ სიტყვებით, მისი აღქმა შესაძლებელია მხოლოდ გემოს შეგრძნებით. მას აქვს დამახასიათებელი გემო, რომელიც ბოლოს ტოვებს დახვეწილ სიცხარეს, რომლითაც ასე ცნობილია ეს მხარე. აღნიშნულ პროდუქტს მინიჭებული აქვს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის სერთიფიკატი. მისი გემოს უნიკალურობა განპირობებულია ზეთისხილის პლანტაციების იდეალური გეოგრაფიული მდებარეობით, რომელიც მსოფლიოში ფაქტიურად ერთადერთია და დახვეწილი მიკროკლიმატით, რაც ხელსაყრელია საუკეთესო ხარისხის ზეითუნის ზეთის შექმნისათვის.

ეს არის «Black Label»-ის დონის პროდუქტი ზეითუნის ზეთის წარმოების სფეროში. მისი წარმოების უსაფრთხო ნიშანი PDO (Protected Designation of Origin) ადასტურებს, რომ ზეთი დამზადებულია გარკვეულ ტერიტორიაზე მოყვანილი ზეთისხილისაგან, წარმოების მისთვის დამახასიათებელი ტექნოლოგიით. ჩვენს შემთხვევაში კი უშუალოდ ქალაქ კალამატას რაიონში.

იკითხეთ
"GPC"-ის, "City Pharma"-ს და
"Goodwill"-ის ქსელებში

ზეითუნის ზეთი – სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წყარო

ზეთისხილის სასარგებლო თვისებები აღმოჩენილი იყო ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500 წლის წინ, მაგრამ მხოლოდ მე-20 საუკუნეში, მეცნიერების ბოლო მიღწევების წყალობით გახდა შესაძლებელი იმის დადგენა თუ რამდენად სასარგებლოა ზეითუნის ზეთი. ძველად ამ პროდუქტს "თხევად ოქროს" უწოდებდნენ, და არც თუ უსამართლოდ. ზეითუნის ზეთი შეიცავს ანტიოქსიდანტებს, ვიტამინებს და უჯერ მჟავებს, რომლებიც აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლას, აძლიერებენ სისხლძარღვებს, აუმჯობესებენ მხედველობას და ამცირებენ კიბოს განვითარების რისკს.

მეცნიერებმა თავის დროზე აღმოაჩინეს ამ ზეთის საიდუმლოება: აღმოჩნდა, რომ იგი შეიცავს ოლეინის მჟავას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მადის კონტროლი, რაც გვეხმარება, თავიდან ავიცილოთ ჭარბი კვება, რომელიც ასევე, ადამიანს ოპტიმისტურად განაწყობს და სიცოცხლის ხალისს მატებს.

ზეითუნის ზეთი განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისათვის, რადგან სტიმულაციას უწევს ძვლის ქსოვილის ზრდას. ბრიტანულმა მეცნიერებმა დაადგინეს რომ ზეითუნის ზეთის "Extra Virgin"-ის ცხიმმჟავები თავისი შემადგენლობით უახლოვდებიან დედის რძეში შემავალ ცხიმებს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მრავალრიცხოვანი კვლევების შემდეგად დადგენილია, რომ "ხმელთაშუა ზღვის" კვება სასარგებლოა ადამიანისათვის და ხელს უწყობს მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას. ამ ორგანიზაციამ პირველმა წარმოაჩინა ხმელთაშუა ზღვის საკვების პირამიდა, როგორც ჯანსაღი კვების პროტოტიპი, რომელიც დაფუძნებულია ზეითუნის ზეთის და ზეთისხილის გამოყენებაზე.

ბერძნული სალათა

ნუ შეეცდებით ნამდვილი ბერძნული სალათის რეცეპტის ძებნას ინტერნეტში, თქვენ იხილავთ მილიონობით ვარიანტს, მაგრამ მისი დამზადების ნამდვილ ხერხს ისწავლით იმ შემთხვევაში, თუკი წახვალთ საბერძნეთში და ყველაფერს თქვენი თვალით ნახავთ. თუმცა, თუ ასეთი მოგზაურობა ამჟამად თქვენთვის არ არის ხელმისაწვდომი, ჩვენ გაგიზიარებთ ამ საიდუმლოს:

- პომიდორი უნდა იყოს დიდი, მწიფე - იჭრება დიდ ნაჭრებად (ნამდვილ ბერძნულ სალათაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოთ პომიდორი "ჩერი").
- მსხვილი, ქორფა კიტრი, რომელიც აუცილებლად უნდა გაითალოს და უნდა დაიჭრას აგრეთვე მსხვილ ნაჭრებად, რათა ზეითუნის ზეთი არ გათხელდეს და არ დაეკარგოს არომატი.
- ასევე მსხვილ რგოლებად იჭრება ვარდისფერი ტკბილი ხახვი.
- ნახევარრგოლებად იჭრება ტკბილი, მწვანე წიწაკა.
- ბერძნული ზეთისხილი, მეწამული ან მუქი ვარდისფერი.
- ყველი "ფეტა", იდება ერთ დიდ ბრტყელ ნაჭრად, ყველაზე ბოლოს, ზემოდან, სალათის ამორევის შემდეგ!
- ზეითუნის ზეთი - მხოლოდ "Extra Virgin", სასურველია მწვანე ფერის, მოასხით დიდი რაოდენობით, ისე რომ სალათის ნახევარი დაიფაროს ზეთში.
- ხმელი ორეგანო - სამხრეთული სიცხარის შარმი.
- და მარილი.

თქვენ რა თქმა უნდა, სალათაში შეგიძლიათ სხვა ინგრედიენტებიც დაამატოთ, მაგრამ ეს უკვე არ იქნება ბერძნული სალათა.

მიირთვით გემრიელად!

καλή όρεξη! [კალი ორექსი!]

Chronograph

watches & jewellery

Chopard, Breguet, Bovet, Jaquet Droz, IWC, Breitling, Zenith, Girard Perregaux - თბილისში მულტიბრენდული, პრემიალური კლასის მაღაზია გაიხსნა. მაღაზია „ქრონოგრაფში“ საათების, სამაჯურების და სხვა აქსესუარების უახლესი კოლექციებია წარმოდგენილი. „ქრონოგრაფის“ წარმომადგენლები თანამშრომლობენ მსოფლიოს ისეთ გიგანტურ ჯგუფებთან, როგორიც არის Richemont, LVMH და Swatch Group.

მაღაზიაში არსებული წამყვანი ბრენდების ექსკლუზიური მოდელები მრავალფეროვანია. პროდუქცია გათვლილია ყველა ტიპის მომხმარებელზე, წარმოდგენილია როგორც კლასიკური, ისე სპორტული ხაზის ქალისა და მამაკაცის მოდური და ელეგანტური საათები.

„ქრონოგრაფში“ ყველა ნივთი ხელნაკეთია და თითქმის ყველა მოდელი ლიმიტირებულია. თქვენ აქ შეგიძლიათ შეიძინოთ Red Carpet-ის უნიკალური სამკაულები, რომელიც Chopard-მა სპეციალურად კანის ფესტივალის წითელი ხალიჩისთვის შექმნა, ასევე Jaquet Droz-ის ტურბიონიანი საათი ტემეორიტისგან დამზადებული ციფერბლატით, რომელიც მსოფლიოში სულ 8 ცალია და აქედან ერთ-ერთი უკვე საქართველოში იყიდება.

შვეიცარიელი ინვესტორის, სტეფან სლამანიკის თქმით, ბოლო თხუთმეტი წელია, ის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბაზარს იკვლევს და მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა საქართველოში ინვესტიციის ჩადება, რაც დაადგინა, რომ ქართველი მოსახლეობა მსყიდველობითუნარიანია.

„ქრონოგრაფის“ გენერალური მენეჯერის, ნათია ჩოლოყაშვილის თქმით, მაღაზია ქართველ მომხმარებელს მუდმივად გაანებივრებს იმ ახალი კოლექციებით, რომელთაც მსოფლიოს პრემიალური ბრენდები თავიანთ მომხმარებლებს, მსოფლიოს წამყვან ქალაქებში სთავაზობს.

რაც შეეხება საფასო პოლიტიკას, ქართველი მყიდველი ნებისმიერი ნივთის შეძენას ზუსტად იმ ფასად შეძლებს, რა ფასადაც ევროპის ქვეყნებში, ხოლო მეზობელ ქვეყნებთან (რუსეთი, უკრაინა, თურქეთი, აზერბაიჯანი) შედარებით, ფასები 10-40 %-ით დაბალი იქნება. ამასთან, უცხოელ მომხმარებელს დაუბრუნდებათ დღგ - ისარგებლებენ Tax Free ვაჭრობით.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი 2

BREITLING

ცხელი შოკოლადი 98.5 FM

2 985 985
radio@shokoladi.ge
radio.shokoladi.ge

	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
07:50	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები		
08:00							
09:00							
10:00							
11:00						უიკენდი	ღვინის გზამკვლევი
12:00					უიკენდი	ტეჩშოუ	წიგნები
13:00	ღვინის გზამკვლევი	ტეჩშოუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ჰაუსი	წიგნები	არტ ჰაუსი	ცოცხალი ზონა
14:00						ცხოვრების საუნდტრეკი	უიკენდი
15:00							
16:00							
17:00							
18:00	ტეჩშოუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ჰაუსი	წიგნები	ღვინის გზამკვლევი		
19:00	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
20:00				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრეკი	ცხელი შოკოლადის ისტორიები	
21:00						სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები
22:00							
23:00							
00:00							
01:00							
02:00	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
02:30	ტეჩშოუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ჰაუსი	წიგნები	ღვინის გზამკვლევი		
03:15				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრეკი		

კვირის პროგრამა

LIVE / ჩანაწერი · განმეორება · მუსიკა და ახალი ამბები

ლევან ბერძენიშვილის "წიგნები" წიგნების იდეური, შინაარსობრივი, ისტორიული და სხვა ასპექტების ანალიზია.

მალხაზ ხარბედიას "ღვინის გზამკვლევი" მსმენელს ღვინის სამყაროს შესახებ ექსკლუზიურ ინფორმაციას აწვდის.

დავით ბუხრიკიძის "არტ ჰაუსი" მიმდინარე კულტურული მოვლენებისა და სიახლეების შეჯამებაა.

ნინო ჯაფიაშვილის "ცხელი შოკოლადის ისტორიები" შესაძლებლობას გაძლევთ, გაიხსენოთ ჟურნალის საუკეთესო ისტორიები და ხელახლა შეხვდეთ მთავარ გმირებს.



გადაცემა "ლიბერალი", ჟურნალ "ლიბერალის" რედაქტორების მიერ მომზადებული, მიმდინარე აქტუალური მოვლენების ფაქტებზე დაყრდნობილი ანალიზია.

ნინო ნატროშვილის "ტეჩშოუ" ამ სფეროთი დაინტერესებულებს ტექნოლოგიურ სიახლეებს სთავაზობს.

დავით ჟორჟოლაძის "ცოცხალი ზონა" მიზნად თანამედროვე ქართული მუსიკის პოპულარიზაციას ისახავს.

ნასტია სართანიას "ცხოვრების საუნდტრეკი" ცნობილი მელომანების მუსიკალურ გემოვნებას წარმოადგენს.

სანდრო ასათიანის "სანდროს ზღაპრები" პატარებს თანამედროვე საბავშვო ლიტერატურას გააცნობს.

თამარ ალავიძის "უიკენდი" მათთვისაა, ვისაც მოდა, თავის მოვლა და ჯანსაღი ცხოვრების წესი აინტერესებს.

ცხელი შოკოლადი

N85, დეკემბერი 2012

ფოტო ყდაზე:
დავით მესხი

	10	რედაქტორის სვეტი
	12	ავტორთა სვეტები
წარდგენა	14	თამარ მაღლაფერიძე, მხატვარი
	16	1937 წლის „სამოთხის“ გემო ***დავით ბუხრიკიძე***
ანონსი	18	10 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ ***დავით ბუხრიკიძე***
	24	ფესტივალი N13, ანუ კინოგურმანების კვირეული ***დავით ბუხრიკიძე***
რესტორნის კრიტიკა	28	ინდური გემო საბურთალოზე ***რესტორნის კრიტიკა***
საავტორო სვეტი	30	ცხენი ***გაგა ნახუცრიშვილი***
	32	სიცილის ოთახი ***მაია სარიშვილი***
	34	რა სურთ სტუდენტებს ***ხათუნა ხაბულიანი***
	36	„შენც მითვალთვალე!“ ***გიორგი ხასაია***
	38	კულტურა და მატარებლები ***პაატა ქურდაძე***
წერილი პასაიადან	40	ნოემბერში, მარტო და შორს ***ანა კორძაია-სამადაშვილი***
ისტორია	48	მშვიდობიანი „შემოჭრა“ შემოდგომისას ***დავით ბუხრიკიძე***
ინტერვიუ	56	ნულოვანი მენტალობა ***ნინო ჯაფიაშვილი***
ფოტოპროექტი	64	სტოკჰოლმის ექვსი დღე ***ლევან ხერხეულიძე***
დიალოგი	74	ინტელექტუალები და საზოგადოება ***გიორგი მაისურაძე, გიგა ზედანია***
ლიტერატურა	84	**საავტორო** მამისეული სასროლი ***აკა მორჩილაძე***
საუბრები აბაჟურის ქვეშ	94	ანა კ.ს. ***მაშო სამადაშვილი***
	96	**მოთხრობა** გლადიატორი ***ზურაბ ლეჟავა***
	104	**პოეზია** თორნიკე ჭელიძე, პოეტი
რეცენზია	118	ეს ფილმი წაგიკითხავს? ***ხათუნა ცხადაძე***
	108	რეპრესიებში ჩაკარგული ისტორია ***ანიტა თვაური***
წიგნები	110	მიმოხილვა
რეცენზია	114	„სინეტიკის“ სინთეზური ვნებები ***დავით ბუხრიკიძე***
სტილი	118	იუბილე რიცხვების გარეშე ***თამარ ალავიძე***
	120	რეკონსტრუქცია – კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვე მოდა ***ნინო ჩიმაკაძე***
	128	ფოტოპროექტი ბრჭყვიალა ხოჭოს ეფექტი ***სოფო ჭაავა, მარიამ სიჭინავა***
	136	10 წუთი „ავთანდილთან“ ***მაშო სამადაშვილი***
	140	საშობაო ნამცხვარი ***ნინო მეგრელიძე***
	142	თავისუფლების ჩირაღდანი ***ნინო ნატროშვილი***

ლისი
ვერანდა

ბუნება შენი ახალი სავარჯიშო დარბაზია

თბილისის ცენტრიდან მხოლოდ ათ წუთში თქვენ აღმოჩნდებით ლისის ტბის განსხვავებულ გარემოში. სუფთა ჰაერი, ბუნებასთან შერწყმული, თანამედროვე, კეთილმონყობილი სახლები... ყველა შესაძლო კომფორტი თქვენს ხელთაა. წარმოიდგინეთ ეს ყველაფერი? ამიტომ, დროა მოემზადოთ და შეეგებოთ ახალ გარემოს. გადმოდი და დაიწყე ახალი ცხოვრება.

2 48 47 44 | 595 134 134 | tbi@lisi.ge | www.lisi.ge

მთავარი რედაქტორი
თამარ ბაბუაძე
„ლიტერატურა“
ბექა ქურხული
„სტილი“
თამარ ალავიძე
რედაქტორების ასისტენტი
მარიამ სამადაშვილი
რედაქტორ-სტილისტი
რატი ქართველიშვილი
არტრედაქტორი
არჩილ თაბუკაშვილი
დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
კორექტორი
თამარ ღონღაძე
ნომერზე მუშაობდნენ:
დავით ბუხრიკიძე, ნინო ჯაფიაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, პაატა ქურდაძე, მაია სარიშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, ხათუნა ცხადაძე, ხათუნა ხაბულიანი, გიორგი ხასაია, სალომე აფხაზიშვილი, ანიტა თვაური, თამარ კვინიკაძე, სოფო ჭაავა, ნინო ჩიმაკაძე, ნინო ნატროშვილი, ნინო მეგრელიძე, მაშო სამადაშვილი.
ფოტო:
ლევან ხერხეულიძე, ბესო უზნაძე, გია გოგატიშვილი, მაკა გოგალაძე,
გამომცემელი
შორენა შავერდაშვილი
ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ფურცელაძე
პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერები:
ქეთევან ქავთარაძე, მარიამ მიქელაშვილი, სოფო პაპუნაშვილი, ნინო გონიაშვილი
დისტრიბუცია
მიხეილ მამუჩაშვილი

DEKOM MEDIA HOUSE
გამომცემლობა:
შპს „მედია ჰაუსი დეკომი“
მისამართი: თბილისი 0183, საქართველო ჟღენტის ქ. 35, ტელ.: +995 32 247 10 05
სხვა გამოცემები:
„ლიბერალი“, „დიალოგი“, „ქართული ღვინის გზამკვლევი“
სტამბა:
„სეზანი“, თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 235 70 02
ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან
© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.
„ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი არ ერევა შინაარსის შექმნაში.

სიტყვებზე მეორედ და გულწრფელად

გაცილებით ახალგაზრდა ვიყავი, ერთი ძველი „ცხელი შოკოლადის“ ავტორის სვეტში დავწერე, სიტყვებს ვეღარ ვცნობ, გაუცხოვდნენ, სიტყვები გრძნობას და მნიშვნელობას კარგავენ-მეთქი (ჰოი, პათეტიკავ!). ეს შეიძლება ხანდაზმულ, დაღდასმულ ადამიანს მართლა ეთქვა და სენტიმენტალურობასაც აპატიებდით, მაგრამ მე, ბრიყვულად, იქვე გავყიდე ჩემი სულელი თავი – დავწერე: მინდა, სულ კარგი და კარგზე უფრო კარგი სიტყვები ვიპოვო, რომ ძალიან მაგრად მოგიყვეთ ისტორიები-მეთქი. აჰა. სინამდვილეში, სიტყვებს მაშინ გრძნობა და მნიშვნელობა კი არ ჰქონდა დაკარგული, მე ეს გრძნობებიანი და მნიშვნელობებიანი სიტყვები არ მქონდა ნაპოვნი; სინამდვილეში, წარმოდგენაც არ მქონდა, როგორ გადამება სიტყვები ერთმანეთზე ისე, რომ ძლიერი, ახალი, დაუვიწყარი კავშირები მიმეღო; გულწრფელად გეუბნებით, იმ სვეტში თავმდაბლობის მიღმა, აღიარებაზე ოცნება იმალებოდა; ოცნება – ისეთი სიმაღლეების დაპყრობაზე, რასაც არა მარტო ასაკი და განათლება, ნიჭიც თავისებური ჭირდება... და ახლა კიდევ ერთი აღმოჩენა: ყველა ის ადამიანი, ვინც სიტყვებს დაეძებს, ამ უცნაურ აღიარებაზე ოცნებას არასდროს წყვეტს – არცერთ ასაკში, არც მილიონი უნიკალური სიტყვის პოვნის შემდეგ. უცნაური კი ეს აღიარება კი იმითაა, რომ არაფერი გინდა – არც ტაში და არც ჯილდოები; უბრალოდ, გინდა, ისეთი ახალი და ძლიერი ბმები შექმნა სიტყვებისგან, რომ იმავე ძალით განაცდევინო მას შენი სათქმელი, როგორც ამას შენ გრძნობდი წერისას...

ამ ადრიან კვირა დილას ეს ყველაფერი ერთი მწერლის მიერ მოწერილმა იმეილმა გამახსენა. იმდენად ვუფრთხილდები ამ ურთიერთობებს, რა თქმა უნდა, არც სახელს გეტყვით ამ მწერლისას, არც შინაარსს გაგანდობთ. დაგარწმუნებთ მხოლოდ იმაში, რომ დამწყებია, თუ სახელგანთქმული, ჟურნალის მიმომხილველია, თუ ცნობილი პროზაიკოსი, რიგითი ბელეტრისტია, თუ თვით გენია – ყველა სიტყვების ამ დაუსრულებელ ძიებაშია და ვერავინ ივიწყებს მარცხს, როცა მისი სიტყვების ძლიერებას და უნიკალურობას ვერ ხვდებიან.

ეს მწერალიც ასე იყო. და დარწმუნებული ვარ, ასე ვართ ყველანი, ვინც ამ ჟურნალში ვწერთ – ვაფასებთ მეტყველ სიტყვებს და მარადიულად ვეძებთ მათ. ამიტომ მთელი არსებით გთხოვთ, წაიკითხოთ ჩვენ-ჩვენ სიტყვებში ჩადებული შინაარსი გულდასმით, რათა ისევე განიცადოთ ჩვენი ამბები, როგორც ეს ჩვენ ჩავიფიქრეთ.

განსაკუთრებით გირჩევთ სიტყვების მოფიქრების დიდოსტატის, დათო ბუხრიკიძის ინტერვიუს დიტო ცინცაძესთან; ნინო ჯაფიაშვილის ძალიან აქტუალურ ინტერვიუს ჯანა ჯავახიშვილთან და გიორგი მაისურაძის და გიგა ზედანიას ურთიერთინტერვიუს თემაზე – პოლიტიკური ელიტა საქართველოში.

თამარ ბაბუაძე, მთავარი რედაქტორი

Arabica Exclusif
CARTE NOIRE
instinct
ARÔME ABSOLU
CAFÉ LYOPHILISÉ
CARTE NOIRE
Un café nommé désir



დავით ბუხრიკიძე

„შემოჭრის“ თავისებურებანი

„...არ შემიძლია ფილმი რაღაც კონკრეტულ სოციალურ თუ პოლიტიკურ ჩარჩოებში მოვაქციო. ამას არასოდეს გავაკეთებ, რადგან მე არ ვარ პოლიტიკოსი და არ მომეთხოვება ვიყო პოლიტკორექტული! მე რეჟისორი ვარ და არ მეხერხება პოლიტიკურად „აწონილ-დაწონილი“ ტერმინებით აზროვნება“ – ეს ევროპის პოლიტკორექტულობით ოდნავ გაბეზრებულ-გაბრაზებული დიტო ცინცაძის ფრაზაა, რომელთანაც ვრცელ ინტერვიუს „ცხელი შოკოლადის“ ამ ნომერში გაეცნობით.

ბერლინში მცხოვრები ქართველი რეჟისორის ახალ ფილმს, სახელწოდებით „შემოჭრა“, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვაზე უჩვენებენ. მაყურებელს თავად შეეძლება რეჟისორივით აღელდეს, ან იქნებ პირიქით, მშვიდად შეხედოს „ბებერი კონტინენტის“ არისტოკრატიის აღსასრულს.

ისინი ჩვენც გამოვიტირეთ – ძველმანებსა და ბრწყინვალებში გამოკეტილი უკარება, ამაყი მოხუცები. იმიტომ, რომ ძველსა და ფასეულს ყველგან მისტირიან, ახალი და ენერგიული კი ყველგან თავხედურად იჭრება. მას ყველა ვერ ცნობს და ვერ უძლებს...

ეს ფილმიც მრავალჯერ გადამღერებული ძველი იგავის ახალი, საინტერესო ვერსიაა – ბარნეტის, რენუარის, ვისკონტის, ანეკეს შემდეგ. მოკლედ, დიტო ცინცაძე კარგ კომპანიაში მოხვდა. წარმატებულ პრემიერას ვუსურვებთ!

მშვიდობიანი „შემოჭრა“ შემოდგომისას

გვ. 48

ნინო ნატროშვილი

სიგარეტი

ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი და ჩემს დასთან ერთად ზაფხულის არდადეგებს ზღვაზე ვატარებდი. სახლში, სადაც ვცხოვრობდით, რვა ქალი ისვენებდა – მეგობრები იყვნენ, ასე 40 წლამდე და ზემოთ. სიგარეტს ყველა აბოლებდა, თან გამუდმებით. ერთხელ, ერთ-ერთს აივანზე შევეჩეხე, ეწეოდა. შემომხედა და მითხრა: იცი, რა, სიგარეტი არასდროს მოწიო, ეგ მოდაში აღარ არის. კარგად ვერ მივხვდი, იმიტომ, რომ მაშინ მე ჯერ კიდევ პირიქით მეგონა, თუმცა ნათქვამი დამამახსოვრდა და როცა ამ სტატიას რედაქტორებთან ერთად ვგეგმავდი, გამახსენდა.

ეს არ არის სტატია სიგარეტის მავნებლობაზე, ან პირიქით. ეს არის სტატია ქალებზე, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის მძაფრი რეაქციის მიუხედავად, მაინც ეწეოდნენ; ამბავზე, თუ როგორ დაიწყო ყველაფერი, თუ როგორ შეიძლება იქცეს ერთ დროს თავისუფლების ჩირაღდანი და მოდურობის სიმბოლო — მეინსტრიმად.

ჩართეთ გასული საუკუნის მუსიკა და განეწყვეთ თქვენი ისტორიის წასაკითხად. სტატიის გმირების ნაამბობში საკუთარ თავს ბევრი აღმოაჩენთ.

თავისუფლების ჩირაღდანი

გვ. 142



ნინო ჯაფიაშვილი

ტრავმული თამაშები

ვფიქრობ, რომ ფსიქოლოგ ჯანა ჯავახიშვილთან ჩაწერილმა საუბარმა ბევრი რამის გამო შეიძლება დაგაინტერესოთ. ერთი მხრივ, ეს ძალიან პერსონალური ნარატივია, მეორე მხრივ კი, მცდელობაა ახსნა საზოგადოების საერთო შიშების, ეჭვებისა თუ სისუსტეების მიზეზები. ეს ინტერვიუ საშუალებას მოგცემთ საზოგადოების ფსიქოლოგიას ისე ახლოდან დააკვირდეთ, რომ აღმოაჩინოთ სხვადასხვა ცნობიერი თუ ქვეცნობიერი კავშირები, რომელიც ინდივიდებს რაღაც იდეით გაერთიანებულ ჯგუფებად აქცევს, სხვადასხვა ჯგუფებს კი – ერთმანეთის მტრებად.

საბჭოთა წარსულის მძიმე და ჯერ კიდევ ცოცხალი მემკვიდრეობა, მსხვერპლი-მოძალადე-გადარმრჩენლის სამკუთხედში ჩაკეტილი საზოგადოება, ტრავმული ქცევა და შესაბამისი რეაქციები, პასუხისმგებლობის აღების შიში და სტალინის ეპოქიდან შემორჩენილი „მტრის ხატის“ აჩრდილი – აი, ეს არის ის ძირითადი საკითხები, რაზეც ჯანა ჯავახიშვილი ამ ინტერვიუში საუბრობს.

თუმცა, ყველაზე საინტერესო მაინც, ალბათ, იმის გააზრებაა, სადამდე შეიძლება მიიყვანოს საზოგადოება მცდარმა დაშვებებმა და რა ხდება მაშინ, როდესაც კოგნიტური შეცდომების შედეგად, საშუალება მიზნად იქცევა, სამართლიანობის აღდგენა კი – შურისძიებად.

მერამდენედ დავფიქრდი იმაზე, რომ რაც არ უნდა იყოს, საბოლოო ჯამში, არჩევანის თავისუფლებას არა სხვები, არამედ ჩვენ თვითონ ვართმევთ საკუთარ თავს.

ნულოვანი მენტალობა

გვ. 56

სიახლე
თმის პირველი სალებავი, ფერების
დამოუკიდებლად შერევის შესაძლებლობით.
მბზინვარე, ეთმანეთში
გაჩღამავალი ტონებით.
syoss
MIXING COLORS
NEU
syoss
PROFESSIONAL
PERFORMANCE
Von Friseuren & Coloristen
mitentwickelt und getestet
MIXING COLORS
PROFESSIONELLER MIX MIT 2 HARMONISIERTEN FARBEN
3-12
AMARETTO-
DUNKELBRAUN-TWIST
2 harmonisierte Farbtuben, fertig zum Mischen
• schimmernde Farben voll lebendiger Facetten
• professionelle Grauabdeckung
Mit sattem Basis-Ton und
farbintensivem Fashion-Ton
ძირითადი ფერი და ინტენსიური
მოდური ელფერი – თქვენ მარტივად
შეგიძლიათ მათი შერევა
შესანიშნავი, მდიდრული შედეგი,
როგორც სალონის სტუმრობის შემდეგ
პროფესიონალური ღებვა
ეხვე ხელმისაწვდომია

გვ. 86

გვ. 88

გვ. 98

გვ. 100

თამარ მაღლაფერიძე

მხატვარი

თამარ მაღლაფერიძე სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის მაგისტრია. მანამდე, მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო კოლეჯში, გობელენს სწავლობდა. დღეს ის ვიდეოარტში შესრულებული ხუთი ნამუშევრის და ფერწერული ტილოების რამდენიმე სერიის ავტორია. მის სტილსა და ინდივიდუალურ ხასიათს ყველაზე უკეთ „მელანინის“, ანუ წითური ადამიანების სერია გადმოსცემს. მელანინი მოყავისფრო პიგმენტია, რომელიც ადამიანის კანის ფერს განსაზღვრავს. წითურებისთვის დამახასიათებელი კანის, თმისა და თვალის ფერადი გარსის განსხვავებული შეფერილობა თაკოს განსაკუთრებით აინტერესებს. ის მათ სხვადასხვა რაკურსით და სხვადასხვა მდგომარეობაში ხატავს – ზოგს ზედხედით, ზოგს – მძინარეს, ზოგსაც – თვალებდახუჭულ პოზაში. სერია ოთხ ფერწერულ ტილოს აერთიანებს.

თაკო ნამუშევრებს სხვადასხვა თემებისა და შეგრძნებების მიხედვით ქმნის. ინსპირაციებსა და გავლენებზე საუბარს ერიდება: „ბავშვობიდან ვცდილობ, ვიყო ისეთი, როგორიც რეალურად ვარ. იმდენად ძლიერად გამომიმუშავდა ეს უნარი, რომ ვინმეს მიბაძვის სურვილი რომც მქონდეს, აღარ გამომდის“.

ამბობს, რომ საკუთარი თავის ძიებისას გემებით დაინტერესდა და შემდეგ ისინი თავისი ჩანაფიქრის გადმოსაცემად გამოიყენა. „მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ნამუშევრებში გემები წყლის ზედაპირზეა გამოსახული, ვიზუალურად ყოველთვის ძველი, ჩაძირული გემის განწყობას ქმნის, რასაც ჩემი შინაგანი დამოკიდებულება განაპირობებს. ვფიქრობ, რომ სავსებით შეიძლება ფსკერზე უფრო მეტი სიცოცხლე იყოს, ვიდრე წყლის ზევით. ადამიანის შემთხვევაშიც ასეა, ყოველთვის უსასრულობისკენ, ცხოვრებისეული სიღრმისკენ ისწრაფვის, მიუხედავად იმისა, რომ მან არ იცის, რომ შეიძლება სიღრმეში ჩაიძიროს, თუმცა, არ მოკვდეს. ამავე დროს მან არ იცის, რომ შეიძლება ჩაძირვა უფრო საინტერესო იყოს. წყალს ზევით შეიძლება უფრო მკვდარი იყო, ვიდრე – ფსკერზე“.

„გემების სერიას“ მართალია, ერთი კონცეფცია კრავს, მაგრამ ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით, ძალიან მრავალფეროვანია. სხვადასხვა დეტალის გამოყენებით, თაკო გემებს თავისი ხელით აგებს, შემდეგ ფოტოს უღებს და მხატვრულ იდეას ფოტოშოპის საშუალებით ხვეწს. გემებს ზეთის საღებავებითაც ხატავს. ამბობს, რომ ნამუშევრების ეს სერია მისი ავტოპორტრეტივითაა.

პერსონალურ და ჯგუფურ გამოფენებში 2007 წლიდან მონაწილეობს. პირველი პერსონალური გამოფენა 2010 წელს „აკადემია+“-ში გამართა. რამდენიმე თვის წინ თაკოს ნამუშევრები ეროვნული ბანკის არატრადიციულ საგამოფენო სივრცეში, „დიადი მიზნების სახელოსნოს“ წევრ სხვა მაგისტრანტ მხატვრებთან ერთად გამოიფინა. მისი ნამუშევრები ყაზახეთის ერთ-ერთ გალერეაშიც მოხვდა გამოფენით, რომლის სახელწოდებაც იყო „ქართული სინდრომი“. დღემდე თანამშრომლობს მოსკოვურ გალერეა „L&S“-თან, ასევე „ტიფლის ავენიუსთან“.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხის მიღების შემდეგ, კვალიფიციური კურსის ამაღლებას თაკო გერმანიაში, შტუტგარტის სამხატვრო აკადემიაში გეგმავს. 2013-1014 წლის სასწავლო წელს უკვე გერმანიაში დაიწყებს.

თამარ მაღლაფერიძის ავტორობით შესრულებული ნამუშევრების ნახვას მის „ფეისბუქის“ გვერდზე (facebook/ Tako maRlaferiZe-dadeSqeliani), ასევე „ტიფლის ავენიუს“ ვებგვერდზე (www.tiflisavenue.com) შეძლებთ.

ᲮᲘᲜᲘᲡᲘ GPC
10 დეკემბრიდან 15 იანვრამდე!
VICHY * PHYTO * LA ROCHE POSAY * AVENE * KLORANE
50% მდე ფასდაკლება კოსმეტიკურ საშუალებებზე!

„ცხელი შოკოლადის“ ქართული ფილმების კრებული

1937 წლის „სამოთხის“ გემო

დავით რონდელის „დაკარგული სამოთხე“ – „შეშინებული თაობის“ კომედია

ავტორი დავით ბუხრიკიძე

ნებისმიერ ფილმს, ადამიანის მსგავსად, თავისი ბედისწერა აქვს. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ამ მხრივ, რეჟისორ დავით რონდელის „დაკარგული სამოთხეა“, რომელიც ისტორიისთვის საბედისწერო 1937 წელსაა გადაღებული. „ცხელი შოკოლადის“ პროექტი „ქართული ფილმების კრებული“, სწორედ კლასიკურ კინოკომედიას – „დაკარგულ სამოთხეს“ წარმოგიდგენთ. დავით რონდელის დახვეწილი რეჟისურის, გიორგი მდივანის სატირული სცენარისა და დავით კაკაბაძის შესანიშნავი მხატვრობის წყალობით ფილმმა დროის გამოცდას ნამდვილად გაუძლო.

დავით რონდელის (ნამდვილი გვარია ცაგარეიშვილი) „დაკარგულ სამოთხეს“, საბჭოთა იდეოლოგიით დაღდასმულ ფილმებს შორის, მართლაც გამორჩეული ადგილი უჭირავს. 1930-იან წლებში, ცენზურის გამკაცრების მიუხედავად, რეჟისორმა მაინც მოახერხა გადაეღო კომედია, რომელიც ქართული კინოს ოქროს ფონდში შევიდა.

სხვათა შორის, „დაკარგული სამოთხე“, გასულ წელს 30 ქართველი კინოკრიტიკოსის მიერ დასახელებულ 12 საუკეთესო ქართულ ფილმს შორისაც მოხვდა.

რეჟისორ დავით რონდელის შვილი, სოციოლოგი ალექსანდრე რონდელი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ „ქართული საბჭოთა კინოს შეფასებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა პირობებში უხდებოდათ მუშაობა კინემატოგრაფისტებს. ფილმი არც სურათია და არც ლექსი, რომელიც შეიძლება რეალობისგან გამიჯნულად დაიხატოს, ან დაიწეროს. მით უმეტეს, საბჭოთა ეპოქაში და, მით უმეტეს, გასული საუკუნის 30-იან წლებში, როცა კრემლი არა მარტო ცენზორის როლს ასრულებდა, არამედ უშუალოდ მონაწილეობდა სცენარის შექმნაში, მსახიობების დამტკიცებაში და, წარმოიდგინეთ, ზოგჯერ, ტექნიკური მუშაკების შერჩევაშიც“.

გიორგი მდივანის სცენარი დავით კლდიაშვილის რომელიმე კონკრეტულ მოთხრობას კი არა, ზოგადად, მწერლის შემოქმედების ატმოსფეროსა და თემებს უფრო ეყრდნობა. გარდა ამისა, კარგად არის შენარჩუნებული კლდიაშვილის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი სატირულ-ირონიული პათოსი.

გაღატაკებული აზნაურების, ძმები მიქელა (არკადი ხინთიბიძე) და ასლან (შალვა ბეჟუაშვილი) კალმახიძეების თავგადასავალი, მდიდარი საპატარძლოების „მოსანადირებლად“ – მხიარულია, სატირულიც და დრამატულიც. უფროსი ძმა, მიქელა თავს მოიმკვდარუნებს, რათა შემდგომ „მკვდრეთით აღდგომა“ გაითამაშოს. ამაში მას მღვდელი ზოსიმე „წაეხმარება“.

მოკლედ, ფილმის იდეოლოგია, ერთი მხრივ, სასულიერო პირების გაშავება-გაშარჟებას გულისხმობს და მეორე მხრივ, თავადაზნაურობის კლასის დაცემას, მაშინ, როცა მათი მოსამსახურე ლაზარია (ამ როლს ბათუ კრავეიშვილი თამაშობს) და მისი შეყვარებული პეპელა (დუდუხანა წეროძე) გაცილებით სიმპათიურად არიან წარმოდგენილნი. მიუხედავად იმისა, რომ მიქელა „საიქიოზე“ საუბრებით მაინც ახერხებს გააბრუოს თანასოფლელები, ვალებში ჩაფლული ძმების მამულს ეს მაინც ვერ შველის და საჯაროდ იყიდება. ხოლო უსახლკაროდ დარჩენილი, მაგრამ მუდამ ოპტიმისტი ლაზარია, პეპელასთან ერთად ქალაქს მიაშურებს.

1937 წელს, როდესაც „ხალხისთვის თავგანწირული ბელადის“ მტრები ან უსიტყვოდ ქრებოდნენ, ან მათ ციმბირში დიდი ხნით ისტუმრებდნენ, რონდელისთვის ძნელი იქნებოდა იმის დამტკიცება, რომ სატირული კომედია გადაიღო. თითქმის დაუნდობელი და ცინიზმამდე მისული პოლიტიკური სტანდარტები ხელოვანისგან ან უსიტყვო მორჩილებას ითხოვდა, ან წარმოუდგენელ ფოკუსს – პოლიტიკური საშინელებისგან კომედია გამოეძერწა. და წარმოიდგინეთ, რეჟისორს ეს გამოუვიდა კიდეც. უბრალოდ, „შეშინებული თაობის“ კომედიანტები ამის შესახებ ხმამაღლა არასდროს ლაპარაკობდნენ.

ჩვენ გვერიელები

დაბადებული საქართველოში

ფოტო: ვანსან ლეპრესლი

ქორეოგრაფი ბენჟამენ მილპიე, „სილფიდები“, 2011

10 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

გამოფენა

საშობაო გამოფენა

სად: გალერეა „ვანდა-ჰობი“
როდის: 7.12 – 30.12
გახსნა: 19:00
მისამართი: ჭონქაძის ქ. №14

წინასაშობაო განწყობას გალერეა „ვანდაში“ მხატვრები გოჩა კაკაბაძე და მამუკა შენგელია ახალი საგამოფენო სერიით შექმნიან. საშობაო მინიატურები სხვადასხვა ტექნიკით არის შესრულებული და შობასთან დაკავშირებულ სცენებს ასახავს. მხატვრული ეფექტის შესაქმნელად ისინი იყენებენ ტემპერას და ხატავენ, როგორც ტილოზე, ისე ქაღალდზე. აღსანიშნავია, რომ ნამუშევრები მხატვრებმა სპეციალურად ამ გამოფენისთვის შექმნეს. გასულ წლებში მათ ერთობლივად იმუშავეს „საღმრთო ისტორიის“ ილუსტრაციებისთვის.

„ჯეიმს ბონდის სამყარო“

სად: საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი
როდის: 17.11. – 17.1.2013
მისამართი: კარგარეთელის ქ. №6

ლეგენდარული კინოგმირის ჯეიმს ბონდის ქართული კინოპრემიერა საგამოფენო სივრცეშიც გაგრძელდა. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა იმ ფოტომასალას უმასპინძლა, რომელიც ცნობილი სერიალის ყველა მონაწილე გმირის მოღვაწეობას და ეტაპს ასახავს. აქვეა კადრს მიღმა არსებული სცენების ამსახველი ფოტოები. უნიკალური ფოტოექსპოზიცია ინგლისის სამეფო ოჯახის წევრებს პრინც ჩარლზსა და პრინცესა დაიანასაც ასახავს. მუზეუმის ექვსი დარბაზი ოსკარის აკადემიის მარგარეტ ჰერეკის ბიბლიოთეკიდან ჩამოსულ ფოტოებს აერთიანებს, რომლებიც ჯეიმს ბონდის ეკრანზე გამოსვლის 50 წლის იუბილეს მიეძღვნა. ფოტოების გარდა, დამთვალიერებელი აფიშების ასლებს, ასევე ფილმის სერიებში გამოყენებულ ჯეიმს ბონდის ლეგენდარულ იარაღს, სათვალეებსა და სასმელებს იხილავს. ნივთები მუზეუმს ახალმა სათვალეების კომპანია „გლანსმა“, კომპანია „კულამ“ და ჯეიმს ბონდის საყვარელმა ბერნდმა „მარტინიმ“ მიაწოდა.

ჯეიმს ბონდის სამყაროში მოსახვედრად, მაყურებელი ბონდისადმი მიძღვნილ ვიდეოინსტალაციებსაც გაივლის, რომელშიც სპეცეფექტების საშუალებით, აქცენტი ბონდის გამოგონებებზე კეთდება.

S1
03:20
S1
S1
28
ლარი
უფასო
ულიმიტო
საუბარი სილქნეტის
ქსელში
2 100 100 www.silknet.com

13/13

სად: ი. გრიშაშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)
როდის: 30.11 – 10.12
გახსნა: 19:00
მისამართი: სიონის ქ. №8

13/13 – კონცეპტუალური გამოფენაა, რომელიც არტ ცენტრ „ტიფლის ავენიუს“ და „ლაღიძე გალერეის“ ერთობლივი ორგანიზებით ხორციელდება. ნამუშევრების ავტორები ნინო კალანდია და პაპუნა პაპასკირი არიან.

ოთარ ჩხარტიშვილის ნამუშევრების გამოფენა

სად: ლიტერატურის მუზეუმი
როდის: 23.11 – 07. 12
მისამართი: გ. ჭანტურიას ქ. №8

ლიტერატურის მუზეუმი, ავანგარდისტი მხატვრის ოთარ ჩხარტიშვილის (1938-2006) ნამუშევრების პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს. საგამოფენო სივრცე ნონკონფორმისტი ქართველი მხატვრის ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებთან ერთად, მის მიერვე შესრულებულ კოლაჟებსა და სკულპტურებსაც დაეთმობა.

ოთარ ჩხარტიშვილი ნონკონფორმისტული ბუნების გამო, სამხატვრო აკადემიიდან სამჯერ გარიცხეს, პირველად – სამხატვრო აკადემიაში გამეფებული დოგმების გაპროტესტებისთვის, მეორედ – მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის უარყოფისთვის, მესამედ კი, იმის გამო, რომ მან სამხედრო სამსახურის გავლაზე უარი თქვა. ლიტერატურის მუზეუმი, სხვა ნამუშევრებთან ერთად, ამ პერიოდის ნამუშევრებსაც წარმოგიდგენთ.

თეატრი

„ზაფხულის ღამის სიზმარი“

სად: ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი
როდის: 7.12, 8.12, 9.12, 15.12, 16.12, 20.12, 21.12, 22.12, 23.12
დასაწყისი: 19:00
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. №182

უილიამ შექსპირის ყველაზე რომანტიკული და პოეტური კომედია – „ზფხულის ღამის სიზმარი“, ქართული თეატრის ისტორიაში მესამედ (პირველად დადგა მიხეილ თუმანიშვილმა, მეორედ – რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრში), დავით დოიაშვილის რეჟისორობით დაიდგმება. სპექტაკლი მუსკომედიისა და Moving Theatre -ის (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) ერთობლივი პროექტია, რომელსაც რეჟისორი სრულიად ახალი ხედვითა და გააზრებით წარმოადგენს. რეალურ და ირეალურ სამყაროთა შორის დაკარგული გმირები თეატრის სცენიდან კაცობრიობის მარადიულ პრობლემებზე, ადამიანის სურვილებზე, ოცნებებზე და მისწრაფებებზე მოგვითხრობენ.

შექსპირის ეს კომედია 1594-1595 წლებით თარიღდება. ეს არის ზღაპარი ადამიანურ ბედნიერებაზე. პიესა უჩვეულოდ ხიბლავს ყველას, რეალობისა და ფანტასტიკის, სერიოზულისა და სასაცილოს, ლირიკისა და იუმორის განუმეორებელი შერწყმით. პიესაში მოვლენების უჩვეულო წარმოდგენით, შექსპირმა მაყურებელს ისეთი შეგრძნებები და შთაბეჭდილებები დაუტოვა, თითქოს ეს სიზმარში ხდება.

აღსანიშნავია, რომ დავით დოიაშვილი ამ სპექტაკლის სცენოგრაფიცაა, დამდგმელი რეჟისორი კი კოტე ფურცელაძე გახლავთ. შექსპირის გმირებს თეატრის დასის წევრები – არჩილ სოლოლაშვილი (ეგეოსი, პაკი), ბუბა გოგორიშვილი (იპოლიტა, ტიტანია), კახა კინწურაშვილი (თეზევსი, ობერონი), ანა ალექსიშვილი (ელენე), გიგი ქარსელაძე (დემეტრიოსი), ანა წერეთელი (ჰერმია), ლევან კახელი (ლისანდრი), ბადრი ბეგალიშვილი (კოჭა) და სხვები განასახიერებენ.

თბილისური პრემიერის შემდეგ, 2013 წელს, სპექტაკლის პრემიერა ლონდონშიც შედგება.

კინო

„ქართული ფილმების კრებული“

ფილმის ჩვენება და DVD პრეზენტაცია
სად: კინოთეატრი „ამირანი“
როდის: 28.11
დასაწყისი: 20:00
მისამართი: კოსტავას ქ. №36

ჟურნალი „ცხელი შოკოლადისა“ და „ქართული ფილმის“ ერთობლივი პროექტი „ქართული ფილმების კრებული“ ჟურნალის მკითხველებს მორიგ ფილმს სთავაზობს. ამჯერად, ჟურნალის მკითხველი, დავით რონდელის რეჟისორობით 1937 წელს გადაღებულ ფილმს – „დაკარგული სამოთხე“ იხილავს. ფილმი XIX საუკუნის 80-იან წლებში იმერეთის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები, გაღატაკებული და ფუქსავატი აზნაურების – მიქელა და ასლან კალმახიძეების შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც გამოსავალს მდიდარი ცოლის ძებნაში ხედავენ. მეზობლად მცხოვრები, შეძლებული გლეხი კი მათ ვალის გადახდას სთხოვს, რის სანაცვლოდაც, კალმახიძეები, მოსამსახურე ლაზარიას სთავაზობენ. ერთ-ერთი კალმახიძის ხრიკი მღვდელთან ერთად – „მკვდრეთით აღდგომა“ გაითამაშოს და ფული იშოვოს – მარცხით მთავრდება. აღსანიშნავია, რომ ფილმში არ შევიდა მიქელას ე.წ. სამოთხეში მოგზაურობის ვრცელი ეპიზოდი, რომელიც რეჟისორმა სიურრეალისტური მანერით გადაიღო, რის გამოც ფილმის სცენა სამხატვრო საბჭომ აკრძალა.

დავით რონდელის ფილმის გმირებს ბათუ კრავეიშვილი (ლაზარია), დუდუხანა წეროძე (პეპელა), არკადი ხინთიბიძე (მიქელა), შალვა ბეჟუაშვილი (ასლანი), შალვა ჯაფარიძე (ამბაკო), ვლადიმერ ტყეშელაშვილი (სოლომონი),

TISSOT
SWISS WATCHES SINCE 1853
INNOVATORS BY TRADITION

TISSOT COUTURIER AUTOMATIC CHRONOGRAPH

TISSOT COUTURIER AUTOMATIC LADY DIAMONDS

SWISS WATCHES TO DREAM OF SINCE 1853

Get in touch at www.tissot.ch

ARTTIME
შენი შვეიცარიული საათი
www.arttime.ge

ალექსანდრე ჟორჟოლიანი (არისტო) და ილია მამფორია (მღვდელი) განასახიერებენ. სცენარი გიორგი მდივანს ეკუთვნის, მხატვრები კი დავით კაკაბაძე და ქრისტესია ლებანიძე არიან. ფილმისთვის შექმნილი კომპოზიციების ავტორი ანდრია ბალანჩივაძე გახლავთ.

„დაკარგული სამოთხე“ პროექტის („ქართული ფილმების კრებული“) რიგით მეშვიდე ფილმია, რომელიც სპონსორების – „ბანკი კონსტანტას“, „ავერსის“, „გურიელი ექსპორტისა“ და „კაპაროლ ჯორჯიას“ დახმარებით ხორციელდება.

ფილმები ფრანგულ კინოკლუბში

„ყველაზე მოკლე დღე“ – მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი

სად: შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

როდის: 21.12

დასაწყისი: 19:00 – 21:30

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. №40

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის კინოკლუბი, კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალს „ყველაზე მოკლე დღეს“ დაუთმობს. ორსაათნახევრიანი ფესტივალი, პარიზის შესახებ უცხოელი რეჟისორობის მიერ შექმნილ ფილმებთან ერთად, ქართველი რეჟისორების მიერ, 2012 წელს გადაღებულ მოკლემეტრაჟიან ფილმებსაც წარმოადგენს. ფესტივალზე დასწრება უფასოა.

პროგრამა:

„პარიზი დღეს“:

1. „ადრე... მაგრამ ახლა“, ტონი მარშალი, 1994
2. „ალერსი სამზარეულოში“, სებასტიენ ლონდენბახი, 2004
3. „ლუქსემბურგის აფრიანი ნავები“, ნიკოლა ენჟელი, 2005
4. „კვირა დღეა“, სამირ გესმი, 2008
5. „უცნაური გაკვეთილი“, რაფაელ შევენმანი, 2007

ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმები:

1. „დედა“, ნანა ექვთიმიშვილი, 2012
2. „ბუდე“, თორნიკე ბზიავა, 2012
3. „შავი თუთა“, გაბრიელ რაზმაძე, 2012

Trouble Every Day

სად: შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

როდის: 12.12

დასაწყისი: 19:00

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. №40

ფრანგული კინოკლუბისა და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით, ყოველი თვის პირველ და მესამე ოთხშაბათს, ფრანგული ფილმების (ინგლისური სუბტიტრებით) ჩვენება იმართება. დეკემბრის თვეში ჩვენებების სერიას, კლერ დენის რეჟისორობით შექმნილი (2001 წელი) თრილერი – „Trouble Every Day“ გააგრძელებს. ფილმში მთავარ როლებს – ვენსან გალო, ტრისია ვესე და ბეატრის დალი ასრულებენ.

აღსანიშნავია, რომ ფილმის ჩვენებებზე დასწრება უფასოა.

სხვადასხვა

„XXI საუკუნის სილფიდები“ ევროპის სახლში

სად: ევროპის სახლი

როდის: 20.12

დასაწყისი: 18:00

მისამართი: შალვა დადიანის ქ. №2, მეორე სართული

ევროპის სახლი პროექტის „ერთი და მრავალსახოვანი ევროპა XX და XXI საუკუნეების ბალეტის ფონზე“ ფარგლებში სეზონის დასკვნით ლექციას უმასპინძლებს. ამჯერად, ფილოსოფოსი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი და თანამედროვე ცეკვის მკვლევარი – ხათუნა მზარელუა ახალგაზრდა ფრანგი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის ბენჟამენ მილპისეულ „სილფიდებს“ წარმოადგენს, რომელიც ქორეოგრაფმა 2011 წლის ოქტომბერში ჟენევის დიდ თეატრში წარმოადგინა. მიხეილ ფოკინის ქორეოგრაფიით დადგმული ბალეტის – „შოპენიანას“ პრემიერა 1909 წლის 2 ივნისს, პარიზში, შატლეს თეატრში შედგა. სერგეი დიაგილევმა ამ ბალეტს თავისი საბალეტო დასის რეპერტუარის მარგალიტი უწოდა.

„სილფიდების“ თანამედროვე დადგმის ავტორი, მსახიობის, ნატალი პორტმანის მეუღლეა, რომელიც ამავე დროს, გასული წლის ოსკაროსანი ფილმის „შავი გედის“ ქორეოგრაფიცაა. მილპიე მუშაობის პერიოდს ერთ-ერთ ინტერვიუში იხსნებს: „მე ვოცნებობ რომანტიკულ და თანამედროვე სულისკვეთებით გამსჭვალულ წარმოდგენაზე იმ ახალგაზრდა ქალბატონებისა და ბატონების მონაწილეობით, რომლებიც ჩვენს დროზე მოგვიყვებიან“.

არტ-პრეზენტაცია „ხელოვნების ამბავი“

სად: ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზი

როდის: 14.12

დასაწყისი: 19:00

მისამართი: ლ. გუდიაშვილის ქ. №7, ბიბლიოთეკის II კორპუსი

ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო სივრცე, ხელოვნების ისტორიის თემაზე დაწერილი ერთი-ერთი საუკეთესო წიგნის – „ხელოვნების ამბავი“ პრეზენტაციას უმასპინძლებს. სერ ერნსტ გომბრიხის ავტორობით შექმნილი წიგნი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იყიდება და მას ყველა ასაკის მკითხველი ჰყავს. წიგნის ქართული თარგმანი, გამომცემლობა „ლოგოს პრესმა“ სექტემბერში გამოსცა, თუმცა ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები მას სწორედ 14 დეკემბერს, არტ-პრეზენტაციაზე გაეცნობიან. წიგნის წარდგენის ორიგინალური ფორმით ჩატარების იდეა, გამომცემლობის დირექტორს, ლაშა ბერიას ეკუთვნის, რომლის მიხედვითაც, სტუმრები ორ საპრეზენტაციო მაგიდაზე მოწყობილ „მცირე სამკითხველოებში“ მოთავსდებიან და წიგნის ეგზემპლარებს გაეცნობიან. ასევე, ინტერაქტიული არტ-ინსტალაციის ფარგლებში, სტუმრები ენდი უორჰოლის „კემპბელის სუპს“ „დააგემოვნებენ“. საპრეზენტაციო „მენიუ“ ასევე მოიცავს: XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ხელოვანებისა და მწერლების ერთ-ერთ რჩეულ სასმელს – აბსენტს, ნამცხვარს სიურპრიზით და არტ-სუვენირებს.

CAPAROL

ხის ღაქები და ემაღები მერმანიიღან

www.caparol.ge

office@caparol.ge

მიხაელ ჰანეკე, „სიყვარული“

ფესტივალი N13, ანუ კინოგურმანების კვირეული

ავტორი დავით ბუხრიკიძე

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი „პრომეთე“ წელს უკვე მეცამეტედ (3-9 დეკემბერს) გაიმართება. „თარსი“ თარიღი, იმედია, კინომანებს ხელს არ შეუშლით დიდი რეჟისორების ფილმების აღქმაში, ხოლო ჟიურის წევრებს – ახალი ფილმების შეფასებაში. საკონკურსო პროგრამაში 10 ფილმია წარმოდგენილი, რომელთაგან გამარჯვებულებს საერთაშორისო ჟიური ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიაზე, 8 დეკემბერს გამოავლენს. ოქროსა და ვერცხლის „პრომეთე“, შესაბამისად, „საუკეთესო ფილმისა“ და „საუკეთესო რეჟისურის“ ნომინაციაში გაიცემა.

2012 წელს კინოფესტივალის საერთაშორისო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეა ცნობილი ირანელი რეჟისორი და ადამიანის უფლებათა დამცველი, მოჰსენ მაჰმალბაფი. ჟიურის შემადგენლობაში ასევე შედიან: კრისტოფერ ჰემპტონი („ოსკაროსანი“ სცენარისტი და დრამატურგი, დიდი ბრიტანეთი), ნიკოლა ვადიმოვი (ტელე და კინორეჟისორი, შვეიცარია), დინარა დრუკაროვა (კინომსახიობი, რუსეთი/საფრანგეთი), ნიკა თავაძე (თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველო).

„პრომეთეს“, სხვა არამეინსტრიმული, დაბალბიუჯეტიანი თუ საავტორო ფილმების ფესტივალებისგან, ახალი თაობის რეჟისორების, მსახიობებისა და სცენარისტების აღმოჩენა-წარმოჩენა გამოარჩევს. უკვე ტრადიციული გახდა არასაკონკურსო სექციებში გასული წლების მნიშვნელოვანი, ექსპერიმენტული და საეტაპო ფილმების ჩვენება. 2013 წელს „ელისეს ხელშეკრულების“ დოკუმენტის 50 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად (რომელმაც გერმანიასა და საფრანგეთს შორის საუკუნოვან მეტოქეობას წერტილი დაუსვა) კინოფესტივალის პარტნიორები, თბილისის გოეთეს ინსტიტუტი და ფრანგული ინსტიტუტი, ერთობლივ პროგრამას წარმოადგენენ. ფრანგულ-გერმანული მხატვრული ფილმების გარდა, წარმოდგენილი იქნება ფრანგულ-გერმანული სატელევიზიო არხის, „არტეს“ დოკუმენტური ფილმები.

პროგრამაშია გეორგ ვილჰელმ პაბსტის მიერ 1939 წელს გადაღებული შედევრი „დასავლეთის ფრონტი 1918“, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს საფრანგეთში გერმანელი ჯარისკაცების გადარჩენისთვის ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს. გერმანულ-ფრანგული ლეგენდა, მაქს ოფულსი პროგრამაში შესანიშნავი ორი ფილმით იქნება წარმოდგენილი: „მადამ დე... “ (შესანიშნავი მსახიობი დანიელ დარიე მთავარ როლში) და „სიამოვნება“ (ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსის, გი დე მოპასანის მოთხრობის მიხედვით).

კინოს მოყვარულებს ვურჩევ არ გამოტოვონ ცოცხალი კლასიკოსის, ცნობილი უნგრელი კინორეჟისორის, მრავალი საერთაშორისო პრიზის მფლობელის (მათ შორის, „ოსკარი“ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმისთვის „მეფისტო“), იშტვან საბოს ფილმების რეტროსპექტივა. იგი თბილისის მეცამეტე საერთაშორისო კინოფესტივალის საპატიო სტუმარია და 3 დეკემბერს თბილისის ფესტივალი სწორედ მისი უახლესი ნამუშევრით გაიხსნება. ფილმში, რომლის სახელწოდებაა „კარი", მთავარ როლს ბრწყინვალე ჰელენ მირენი ასრულებს.

კინოფესტივალის მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება კანისა და ბერლინის წლევანდელი კინოფესტივალების ტრიუმფატორების, ცნობილი ავსტრიელი რეჟისორის, მიხაელ ჰანეკეს ფილმი „სიყვარული“ (ამ ნამუშევრისთვის ჰანეკემ მეორედ მოიპოვა კანის კინოფესტივალის „ოქროს პალმის რტო“) და ვიტორიო და პოლო ტავიანების „კეისარი უნდა მოკვდეს“. აღსანიშნავია, რომ ჰანეკეს ფილმში 85 წლის ემანუელ რივა და 81 წლის ჟან-ლუი ტრენტინიანი მონაწილეობენ. მათი ქალიშვილის როლს კი, ჰანეკეს საყვარელი მსახიობი, იზაბელ იუპერი განასახიერებს. კინომანები დიდი ინტერესით ელიან ახალი ევროპული კინოს ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი და უკვე აღიარებული რუმინელი რეჟისორის, კრისტიან მუნჯიუს უახლეს ნამუშევარს, ფილმს სახელწოდებით „ბორცვებს მიღმა“, რომელიც კანის წლევანდელი კინოფესტივალის მოვლენად იქცა.

THE 13th TBILISI INTERNATIONAL FILM FESTIVAL

13th თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი

03 - 09. 12. 2012

www.tbilisifilmfestival.ge

PLAYING FOR KEEPS

რეჟისორი გაბრიელე მუჩინო
როლებში ჟერარდ ბატლერი, უმა თურმანი, ქეთრინ ზეტა – ჯონსი
ჟანრი მელოდრამა, კომედია

RISE OF THE GUARDIANS / სიზმრების მცველები 3D

რეჟისორი პიტერ რემსი
ჟანრი ანიმაცია, სათავგადასავლო, ფანტასტიკა

THE HOBBIT: AN UNEXPECTED JOURNEY / ჰობიტი

რეჟისორი პიტერ ჯექსონი
როლებში მარტინ ფრიმანი, ბენედიქტ კამბერბენჩი
ჟანრი სათავგადასავლო, ფანტასტიკა

ცელქი ბავშვები: ოპერაცია ახალი წელი

რეჟისორი ზურა მენთეშაშვილი
როლებში ნანიკო ხაზარაძე, დუტა სხირტლაძე, რუსკა მაყაშვილი, ნიტა ლობიძე, ზუკა დარჯანია, ნიკა გრიგოლია, გიორგი ყიფშიძე.
ჟანრი საახალწლო, საოჯახო კომედია

ყველა
ბავშვები
ოპერაცია
ახალი წელი
25 დეკემბერი
საოჯახო, საახალწლო კომედია
რეჟისორი ზურა მენთეშაშვილი პროდიუსერები ოთარ გუგაშვილი
ალექსანდრეული პროდიუსერები ავთანდილ გასვიანი, გუგა ფუტკარაძე, ოპერატორი გოგლიკა ხაინდრავა სცენარის ავტორი ხატია ხოსროშვილი
ნიკა ლომიძე, ზვიადი დარჯანია, ლეო ანთაძე, გიორგი ყიფშიძე, რუსუდან მეფაშვილი,
დუბა სხირტლაძე, ნიკა გრიგოლია, ნანიკო ხუციანაძე, ეკო ბიჭიკაშვილი

ინდური გემო საბურთალოზე

ავტორი თამარ კვინიკაძე

Taste of India, ინდური რესტორანი
კანდელაკის ქ. №23; მუშაობს 10:00-დან 24:00-მდე; შესაძლებელია უნაღდო ანგარიშსწორებაც; აქვს wi-fi

ამ ინდურმა რესტორანმა ბრიტანელი მწერლის, ზედი სმიტის „თეთრი კბილები“ გამახსენა, უფრო სწორად, ერთ-ერთი გმირის, სამიდის სამუშაო ადგილი – ლონდონის ტურისტულ რაიონში გახსნილი „კარი ჰაუზი“.

კარი ჰაუზს ინდურ სწრაფი კვების, დაბალი კლასის რესტორნებს ეძახიან და ლონდონში ათასობითაა ასეთი. ზედი სმიტი მათ ასე ახასიათებს: „ინდური რესტორანი – პატარა ოთახი, ვარდისფერი გადასაფარებელი, ხმამაღალი მუსიკა, მომაკვდინებელი შპალერი, კერძები, რომლებიც არც კი გაუგიათ ინდოეთში, საწებლების კარუსელი“.

...ნეონის ასოებით აბრჭყვიალებული აბრა შესასვლელში; ვიწრო დერეფანი; ხელმარჯვნივ – ოთხ პატარა კუპედ გადატიხრული ოთახი, ტიხრებად – ოქროსფერი ძაფებით მორთული ხავერდის ფარდები; კედლებზე – ოქროსფერ, მოჩუქურთმებულ ჩარჩოებში ჩასმული ბუდისტური ხატები; ხის მაგიდებზე – პლასტმასის ჭრელი ყვავილებით გაწყობილი კალათები; მუსიკაც – ისეთი, საკონტროლო გასროლის ეფექტი რომ აქვს ცნობიერებაზე, რომელიც უკვე დაბინდულია კარის შეღებისთანავე წამოსული ცხელი და ცხარე, ყნოსვისთვის უცხო ოხშივარით... ასე მგონია, ვიღაცის სახლში შევედი; ვიღაც შეშლილი მეცნიერის, რომელიც ოცნებობს, გამოიყვანოს ყველაზე მრავალკომპონენტიანი და ყველაზე სწრაფად გარდამავალი გემო და ამ მიზნით, დღედაღამ, დაუსრულებლად ხარშავს და წვავს ქათმისა და ცხვრის ხორცს სპეციალურ ინდურ ქვაბში; ერთმანეთში ურევს ზაფრანას, დარიჩინს, მუსკატს თუ ჯანჯაფილს და მერე მათგან აკეთებს მოტკბო-მომწაროს, ცხარე-მომჟავოს, ან ყველა გემოს ნაზავს ერთად – ეს უკვე ზადი სმიტზე გაცილებით ცუდად და გაწელილად, მე ვცდილობ, აღვწერო კანდელაკის ქუჩაზე მდებარე ინდური რესტორანი, რომელიც არც ახალია და არც ერთადერთი ინდურია ქალაქში, მაგრამ მე ექსპერიმენტების არ მეშინია, განსაკუთრებით, კულინარიაში!

...თუმცა, ეს გაბედული განწყობა Taste of India-ში რამდენჯერმე მეცვლება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოფიციანტი მონდომებით მაბნევს და ისე არეულ-დარეულად გვაკეთებინებს არჩევანს, რომ მერე, დამფრთხალი სახეებით ველით შეკვეთის მოტანას. ვეკითხები: რა არის გამორჩეული, რის გაუსინჯავად არ უნდა წახვიდე თქვენი ინდური რესტორნიდან? მიკიბვ-მოკიბვას იწყებს, არც პორციების ზომაზე გვაფრთხილებს და მისი ინდიფერენტულობის გამოა, რომ ერთი იაღლიშიც მემართება – ტკბილი ფლავი შემიკვეთავს, ზაფრანით, მაშინ, როცა რესტორნის საფირმო კერძი მეგონა მთავარი მენიუდან...

ალალბედზე გაკეთებული არჩევანი მაინც ამართლებს. ვიწრო მაგიდა ნელ-ნელა ივსება ორნაირი ბრინჯის გარნირით – ძირას მარცვლებით და მათ გარეშე. პატარა, თეთრ თეფშზე განაწილებული, ფქვილში ამოვლებული შემწვარი ქათმის ნაჭრებით, რომელსაც თან ორნაირი სოუსი ახლავს – მწვანე, პიტნით, და ქლიავისფერი – სავარაუდოდ, ტყემლითა და ქლიავით. თითქმის იმ წუთსვე მოაქვს გოგონას ინდური პურის თხელი მართკუთხედები – ნივრით, მწვანილებითა და კარაქით. ყველაფერი საუცხოოა ამ სიტყვის გაფართოებული მნიშვნელობით, მაგრამ საუცხოოზე საუცხოოა ჩვენი სუფრის მშვენება, ვერცხლისფერი, მძიმე ჯამით მოტანილი, ქათმის „ტიკა მასალა“. აი, იმ წარმოსახულ შეშლილ მეცნიერს ზუსტად ამ კერძში ჩაუქსოვია მთელი თავისი ფანტაზია – სოუსის ფაფუკი ფაქტურა, თან თხილოვან-კრემოვანი, თან სანელებლებისგან ჩამუქებული ფერი და გემო, რომელიც თითქოს მოძრაობსო, იმდენად სწრაფად იცვლის ხასიათს...

ზედი სმიტი დასცინის ლონდონურ ინდურ რესტორნებს, როგორც კიჩს. და Taste of India-ც სინამდვილეში იაფფასიან, თეატრალიზებულ დადგმას ჰგავს ინდური ფერადოვნების შესახებ. მართალია, მე ვერ გეტყვით, რომელია ავთენტურად ინდური კერძი მათ მენიუში და რომელი – ბლეფი, მაგრამ იქ წასვლა ერთ თავგადასავლად მაინც ღირს.

p. s. მენიუ მხოლოდ ინგლისურად აქვთ, ამიტომ თუ ოფიციანტის იმედი (ჩემ გამო) უკვე აღარ გაქვთ და არც ინგლისურს ფლობთ, Taste of India-ში აუცილებლად ამ ენის მცოდნე გაიყოლეთ, უკეთესი იქნება, თუ მას ზუსტად ეცოდინება ინდური სამზარეულოს ნამდვილი აქცენტებიც.



საუბალწლო ჯოლექცია

coincasa

შენი იტალიური სახლი

ყაზბეგის გამზ. 24 - Axis Shopping

ცხენი

გაგა ნახუცრიშვილი

ჩემი ბავშვობის მეგობრის, გიო იოსელიანის – ვისაც „არა მეგობარო“ მივუძღვენი – გამოძერწილი ცხენი დამესიზმრა. დიდ, მწვანე ველზე იდგა გატრუნული. მერე ნამდვილ ცხენად გადაიქცა. ოღონდ ზომა, ფორმა და ფერი არ შესცვლია. მოუსვენრად ჭიხვინებდა და აქეთ-იქით დარბოდა. უეცრად გაჩერდა. გაჩუმდა. ამომხედა და გულდასმით შემათვალიერა.

– როგორ ხარ, ბიჭო?! ისევ წერ შავ-ბნელ ლექსებს?! – უცებ, ენა ამოიდგა ბუცეფალივით.

რატომღაც არ გამკვირვებია. გამეცინა.

– აბა, რა გინდა, რომ ვაკეთო, მეტი არაფერი შემიძლია და რას მემართლები!

– მერე, ისწავლე! – ირონიულად წაიჭიხვინა, – მარკეტინგი! ფინანსები!...

– ეეხ, შენ ხო იცი, ამ საქმიდან არაფერი გამოვა!...

– შეიძლება არც გამოვიდეს, მართალი ხარ, მაგრამ ადვოკატი რომ გახდე?...

– დამცინი, არა?

– რატო დაგცინი? ენა შენ გიჭრის და ჭკუაც არ გაკლია – მითხრა ირონიულად.

– რა კლასის დამრიგებელივით მელაპარაკები.

– დამრიგებელივით არა, ისა... უბრალოდ, კეთილ რჩევას გაძლევ!

– რომელ რჩევას? ხო არ გაგიჟდი?!

– მოიფიქრე, – ჩაიჭიხვინა და ისევ ჩაიცინა, – მე წავალ და... მალე დავბრუნდები!...

გიო შუქნიშნის ქვეშ იდგა, წვიმაში, და ჩემი ბავშვობის ლექსებს კითხულობდა... ღამით, როცა წვრილად წვიმს, როცა ქუჩა ცარიელია და ბნელი, როცა მთელ ქალაქს მხოლოდ შუქნიშნების ფერები ანათებს, ყოველთვის მგონია, რომ სადღაც გიო მელოდება... **იმ თხელი, მწვანე რვეულით.**

– მოიცა! სად... – სიტყვის დამთავრება ვერ მოვასწარი, ისე გაქრა. დიდი მწვანე ველიც ნელ-ნელა დაპატარავდა, მერე ხელისგულზე დამეტია და ბოლოს, გაუჩინარდა.

***

ერთი საღამო მახსენდება. მგონი, აპრილი იყო, ცრიდა. გიომ თავისი დაყენებული ღვინო ამოიტანა. ჩემთან დავსხედით. სამზარეულოში პატარა სუფრა გავაწყვე. ნელ-ნელა ვსვამდით, წვრილ წვიმას როგორც შეეფერება. უეცრად, გიომ თხელ, მწვანე ფერის რვეულს მოჰკრა თვალი.

– რა რვეულია? – მკითხა.

ავიღე და გადავფურცლე.

– ჩემი ბავშვობის ლექსებია, დედაჩემის აღმოჩენა იქნება...

– ხო მათხოვებ?

– მოიცა, რა, სისულელეა!

– რას ახურებ, მათხოვე, რა?!

– არ დაგევასება...

– ეგ მე ვიცი, – თავისთვის ჩაიღიმა.

***

ბოლოს, წყნარად და ჯიუტად თავისი გაიტანა. ასე იცოდა... იმავე ღამეს ჩვენი მეგობრის მამას, გია მარსაგიშვილს შეხვედრია. თურმე, გიო შუქნიშნის ქვეშ იდგა, წვიმაში, და ჩემი ბავშვობის ლექსებს კითხულობდა.

***

ღამით, როცა წვრილად წვიმს, როცა ქუჩა ცარიელია და ბნელი, როცა მთელ ქალაქს მხოლოდ შუქნიშნების ფერები ანათებს, ყოველთვის მგონია, რომ სადღაც გიო მელოდება... იმ თხელი, მწვანე რვეულით.

HP Z Workstations

წარმოგიდგენთ **HP**-ის ინოვაციურ სამუშაო სადგურებს, რომლებიც მუშაობენ **multi-core Intel® Xeon®**-ის პროცესორზე. მაქსიმალურად კრეატიული პლატფორმა, ვიზუალიზაციის სწრაფი სიჩქარე, მეტი მოცულობა ინფორმაციის სანდო და უსაფრთხო შენახვისთვის, ასევე მრავალი სხვა ფუნქცია თქვენი პროფესიული საჭიროებისთვის! რადგან სილამაზე და შესრულების ხარისხი მნიშვნელოვანია!

http://hp.com/zworkstations

კომპანია MBC
"Multimedia & Business Computers"
საქართველო, თბილისი, შევჩენკოს ქ. 5
+995 32 277 33 73
+995 32 299 86 96

http://www.mbc.ge

Preferred Partner 2013

სიცილის ოთახი

მაია სარიშვილი

ის ჯადოების მკეთებელი ქალი იყო და გოგოლის ქუჩაზე, ბებიაჩემის მეზობლად ცხოვრობდა. ათასგვარი უცნაური ამბებით მიდიოდნენ მასთან, რომელთაც საღამოობით, ბებიას უყვებოდა და მე მეშინოდა ამ მოხუცი ქვრივის, რომელსაც მხოლოდ ორი შავი კაბა ჰქონდა: ერთი უღილებო და მეორე – საყელოსთან სამი მოზრდილი ღილით. ღილებს ყვავილების ფორმა ჰქონდა და მუდამ, ამ ყვავილების გამო ვიმშვიდებდი თავს: ბოროტი რომ იყოს, ყვავილისფორმიან ღილებს ხომ არ გაიჩერებდა კაბაზე-მეთქი... საუბედუროდ, როცა გადაწყვიტა მეზობლის ბავშვები მუშთაიდის პარკში წავეყვანეთ, მეორე, უღილებო კაბა ეცვა და შემეშინდა, მაგრამ ბებიამ ძალით გამაყოლა სხვა, ჩემზე პატარა ბავშვებთან ერთად და მთელი გზა, რომელიც ფეხით გავიარეთ, ქუჩები ჩემი გულის ძგერით ზანზარებდნენ... დაგვსვა რაღაც კარუსელზე, რომელიც მეჩვენებოდა, რომ არ ტრიალებდა; ნავებზე, რომლებიც წყალში უძრავად იდგნენ; გვიყიდა მზესუმზირა, რომელსაც ვფცქვნიდი, მაგრამ ცარიელი იყო ყველა... ქალი ამბობდა სიტყვებს, რომლებზეც ბავშვები სიცილით კვდებოდნენ, მე კი მეჩვენებოდა, რომ მისი პირიც ისევე იხსნებოდა, როგორც მზესუმზირის მარცვლები, რომლებსაც მე ვხსნიდი და შიგ არაფერი იდო... მერე ბილეთები იყიდა და სიცილის ოთახში შეგვიყვანა. პირველად ვიყავი და გავოგნდი, ამდენნაირი საკუთარი თავი რომ დავინახე, თან ხარხარის ფონზე. მეგონა, ეს ხარხარი ბრეცდა სარკეებს, მეგონა, ხარხარი რომ შეეწყვიტათ, სარკეებიც ჩვეულებრივნი გახდებოდნენ. მერე მომეჩვენა, რომ ბავშვებთან ერთად სარკეებიც ხარხარებდნენ რაღაც საშიშად, არაჯანსაღად, ისე, როგორც შეშლილები იცინიან ხოლმე. რა შემზარავია, როცა ზღვარგადასული სასოწარკვეთა ვეღარაფერში ეტევა და იცინი, რადგან ტკივილს რა ადგილიც აქვს გამოყოფილი, იქიდანაა შენი სათქმელი ამოვარდნილი. ჰოდა, ვიდექი ამ სიცილის საუფლოში, თავბრუდახვეული პატარა მე და ვიცინოდი. უცებ, ჩემი ყოფილი მუსიკის მასწავლებელი დავინახე, – გამხდარი, ცისფერთვალა ნათელა მარკოზია, ქალი, რომელიც არასოდეს მიყვიროდა. გავექანე და სასოწარკვეთილი ჩავეხუტე. ის არ იცინოდა, ზღურბლთან იდგა, ვიღაცას ელოდებოდა ალბათ. ჩავეხუტე და... ვტირი, ვტირი გულსაკლავად ბედნიერი, რომ ამ ჯოჯოხეთშიც ვიღაც ვიპოვე, მაგრამ მომიშორა უცებ და გაოცებულ თვალებში რომ ჩავხედე, მივხვდი, სხვა იყო... სხვა. და მას მერე, რაც ამ სამყაროს გაუგებარი ხარხარიდან თავის დაღწევას ვცდილობ და მშველელს ვეძებ, სულ ასეა: ვისკენაც სასოწარკვეთილი გავქცეულვარ და ჩავხუტებივარ, როცა ამიხედავს – არ ყოფილა არც დედა, არც ნათელა მარკოზია, არც ღმერთი...

მომეჩვენა, რომ სარკეებიც ხარხარებდნენ საშიშად, არაჯანსაღად, ისე, როგორც შეშლილები იცინიან ხოლმე. რა შემზარავია, როცა ზღვარგადასული სასოწარკვეთა ვეღარაფერში ეტევა და იცინი, რადგან ტკივილს რა ადგილიც აქვს გამოყოფილი, **იქიდანაა შენი სათქმელი ამოვარდნილი.**

აძლიერებს თქვენს ბუნებრივ სილამაზეს
მე ვარ
განსაკუთრებული
MERZ
SPEZIAL
DRAGEES
Skin | Hair | Nails
MERZ
www.merz-spezial.com
www.abc-pharm.com

რა სურთ სტუდენტებს

ხათუნა ხაბულიანი

ობიექტური და სუბიექტური მიზეზების მთელი კრებული არსებობს იმის ასახსნელად, რატომ არის თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება რთულად მისაღები, გასაგები და აღსაქმელი ადგილობრივი კულტურული საზოგადოებისთვის. თანამედროვეში იგულისხმება „contemporary art", რომლის ქართული თარგმანი ზუსტად ვერ გადმოსცემს მის არსს. ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ და ნაკლები პრეტენზია გამოვამჟღავნოთ ამომწურავ განმარტებაზე, თანამედროვე ხელოვნება – მისი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა ინტერპრეტატორის, არტურ დანტოს განმარტებით – არის „ხელოვნება ხელოვნების დასასრულის შემდეგ". თვითონ დანტოსავე განმარტებით, ეს არ ნიშნავს „ხელოვნების სიკვდილს", არამედ ეს არის მისი ხანგრძლივი და დიდი ნარატივის დასასრული ერთგვარი Happy end-ის აზრით, რომლის შედეგადაც ხელოვნება აღწევს უსაზღვრო თავისუფლებას, ფორმების, სტილების, მედიუმების და ა.შ. სრულ ლიბერალიზაციას, სადაც აღარ აქვს ადგილი მორიგ ნარატივს, ანუ სრულდება ნარატივების ეპოქა. ეს არის ის, რასაც პოსტმოდერნისტული ხელოვნება ჰქვია, სადაც თქვენ არ გაქვთ იერარქია, სადაც ბანალური შეიძლება ხელოვნებად გარდასახოთ, როგორც ეს პოპ-არტში ხდებოდა და ხელოვნება უკვე თვითონ ქმნის ახალ რეალობებს, ახალ სამყაროებს, ის აღარ არის მიმეტური, აღარ არის სამყაროს მიბაძვა და რეალობის ილუზიის შექმნა. ის არის რეალისტური, ზოგჯერ ჰიპერრეალისტური და რაც მთავარია, კრიტიკული.

თანამედროვე ხელოვნების შესახებ განსხვავებულ კურსებს ვკითხულობ ილიას უნივერსიტეტში და სამხატვრო აკადემიაში გამომდინარე სასწავლებლების სპეციფიკიდან. სტუდენტთა უმეტესობისთვის ეს სრულიად ახალია, მაგრამ ძალიან იშვიათი გამონაკლისების გარდა, სერიოზულ დაინტერესებასაც იწვევს. სამხატვრო აკადემიის შემთხვევაში პრობლემას ქმნის ის, რომ სტუდენტებს თეორიულად ვესაუბრები იმ ხელოვნებაზე, რომლითაც აკადემია არ ცხოვრობს და რომ ეს ხელოვნება იმ სივრცეში კეთდება, რასაც საერთაშორისო არტ სცენა ჰქვია, სადაც საქართველოში შექმნილი ხელოვნება ნაკლებად მონაწილეობს. რა თქმა უნდა, ცალკეულად არსებობენ წარმატებული ქართველი მხატვრებიც, აქტუალური ხელოვნების მცოდნე პროფესორებიც, მაგრამ როგორც ინსტიტუციას სამხატვრო აკადემიასაც და ასევე კულტურის სამინისტროსაც საბჭოთა რეჟიმის დასრულების შემდეგ არ გაუკეთებია კონცეპტუალური შეფასება, ხელახალი დეფინიცია შესაბამისი ახალი ისტორიული მოცემულობისათვის, არ მომხდარა თუნდაც „ტრადიციის" ხელახალი გადააზრება, რომელიც საბჭოთა ისტორიის მანძილზე სრულად გამორჩეული და სპეციფიკური „თავდაცვითი" მექანიზმი იყო იდენტობის შესანარჩუნებლად და გადასარჩენად. რა თქმა უნდა, იყო მოდერნიზაციის გარეგნული ნიშნები ისევე, როგორც ყველა სხვა სფეროში, თუმცა მიდგომა ისევ ძველებური რჩებოდა. ზემოთ აღვნიშნე, რომ თანამედროვე ხელოვნება ნარატივის დასასრულს გულისხმობს და იმ პირობებში, როცა სამხატვრო აკადემიას არ აქვს ახალი კონცეფცია, თუ როგორ ხედავს ის დღეს მხატვრობას და მის ამოცანებს და ეს არ გამოიხატება ამ კონცეფციაზე დაფუძნებულ ერთმანეთთან შეჯერებულ პროგრამებში, მაშინ ჩემ მიერ წაკითხული კურსები თანამედროვე ხელოვნებაში მექანიკურად გამოდის ისევ იმ ისტორიული ნარატივის გაგრძელება, რაც თავისი არსით ეწინააღმდეგება ამ კურსების არსს.

ბოლო პერიოდის მოვლენებმა ზედაპირზე გამოიტანა ის პრობლემა, რისი გადაჭრაც სერიოზული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად თუ შეიძლება მოხდეს. ეს არის ერთგვარი პროვინციული „ტუსოვკურობა", რომელიც ოფიციალურ სახელმწიფო სასწავლებელს გარე სამყაროსათვის ჩაკეტილი ადამიანების გაერთიანებად აქცევს. ეს ადამიანები ერთმანეთს კომპლიმენტებით ამხნევებენ და ბრმად ერთიანდებიან ნებისმიერი გარედან განხორციელებული აქტივობის მიმართ, რადგან ამაში აუცილებლად პოტენციურ მტერსა და საფრთხეს ხედავენ.

სტუდენტებს სურთ, სწავლობდნენ თანამედროვე სასწავლებელში, რომელიც საერთაშორისო არტ სივრცის წევრ ხელოვანებს ამზადებს. მათ იმის გამო მოსწონდათ რექტორი ირინა პოპიაშვილი, რომ ის ამ სივრცის სრულუფლებიანი წევრია და როგორც ერთ-ერთმა სტუდენტმა თქვა, იცის მუშაობა „აქ და ახლა"-ს განზომილებაში. თუ აკადემიას სურს, თავის სტუდენტებზე იყოს ორიენტირებული, მან უნდა გადალახოს ფსიქოლოგიური ინცესტის მდგომარეობა და კარი გაუღოს ყოველ სასარგებლო შესაძლებლობას განვითარებისთვის. უნდა გაიაზროს, რომ თანამედროვე ხელოვნების შექმნა არ ნიშნავს მხოლოდ ახალ ტექნოლოგიებსა და ფორმატებს, საინტერესო არტისტული პოზიციები და აქტუალური ხელოვნება, პირველ რიგში, თავისუფალი ადამიანების ცნობიერების ველში ჩნდება.

VITEK

მეიძინეთ მტვერსასრუტი

VT 1833

იკითხეთ მაღაზიებში

5 საფეხურიანი ფილტრაციის სისტემა HEPA-ფილტრით

მტვრის გაყოფილების მოსახერხებელი და კომფორტული ნგრევა

ტურბო-ჯაგრისი

X-cross ფილტრი

www.vitek.ru

„შენც მითვალთვალე!“

გიორგი ხასაია

მეჩვენება, რომ უკვე ყოფილი ხელისუფლების რამდენიმე სპეციფიკური ქმედებიდან, რომლებიც მან წესად დარგო, ვუაიერისტის გაფართოებული თვალები გვიმზერენ. სათვალთვალო კამერების სიმრავლე და სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენა შეიძლება მიგვანიშნებდეს, რომ ვუაიერისტი ხან თვალთვალით იღგზნებოდა, ხან ხმაზე ფანტაზირებდა.

კრიმინალთან ბრძოლის და უცხო ქვეყნის ჯაშუშების მხილების ეგიდით დაწყებულმა თვალთვალმა, კრიმინალის შემცირების პირდაპირ-პროპორციულად ჯერ ეროტიკული ელფერი შეიძინა, შემდეგ კი თანდათან პორნოგრაფიად იქცა. ფარული მოსმენა ვუაიერიზმის კიდევ უფრო დახვეწილი ფორმაა, ვიდრე თვალთვალი, რადგან აქ აღქმა დისტანცირებულია და ფანტაზია წინა პლანზე გამოდის. ეს კარგი ილუსტრაციაა იმის, როგორ მყარდება ცალმხრივი კომუნიკაცია ძალაუფლების მფლობელებსა და უბრალო მოქალაქეებს შორის. კომუნიკაციის ასეთი მოდელის პირობებში უბრალო მოქალაქე იქცევა ობიექტად, რომლის საშუალებითაც სიამოვნება მიიღწევა, თავად მოქალაქე კი პასიურ მდგომარეობას ინარჩუნებს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მოხდა საინტერესო რამ – ძალაუფლებამ თითქოს სცადა, თავადაც გამხდარიყო დაკვირვების ობიექტი და ამიტომ ძალოვანი სტრუქტურების ზოგიერთი ოფისის გამჭვირვალობა შემოგვთავაზა – „შენც მითვალთვალე!“ თუმცა ეს „შენც მითვალთვალე“, როგორც გამოჩნდა, ფარისევლური ხასიათის შემოთავაზება გახლდათ, ამიტომ ის თავისი ხასიათით გაუპატიურებას ჰგავდა და არა სიამოვნების გაცვლის მცდელობას. ამ განცდას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის, რომ მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი ეჭვობდა, რომ მას უსმენდნენ. ხელისუფლება ამას არასდროს უარყოფდა, რითაც ამ ეჭვების გამყარებას უწყობდა ხელს.

ალბერ კამიუმ თავის „დაცემაში“ როგორღაც დაწერა: „როცა ყველანი დამნაშავეები ვიქნებით, დემოკრატიაც მაშინ დადგება“. მოხდა ისე, რომ დემოკრატიისკენ სვლამ ყოველ ჩვენგანში პოტენციური დამნაშავის ამოცნობის პარანოიკულ სურვილზე გაიარა. ყოველი ჩვენგანი პოტენციურად დამნაშავედ ჩაითვალა და, შესაბამისად, გარდაუვალი გახდა ადამიანების პირადი სივრცის ძალადობრივი გადალახვა, მასში უტიფარი და უხამსი შეღწევა. ის, რაც წესით მოქალაქეთა უსაფრთხოებას უნდა მოხმარებოდა, თანდათან იქცა აზარტულ და სასტიკ თამაშად ცალმხრივი კომუნიკაციის ფარგლებში და დაცული მოქალაქის ადგილიც დაკვირვების ობიექტმა დაიკავა, ხოლო დამკვირვებელმა ისწავლა სიამოვნების მიღება დაკვირვების ობიექტის შიშითა და უმწეობით.

პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაცია, როგორც წესი, ფარული მოსმენების გამომზეურებით ხდებოდა. ხშირი იყო უბრალო მოქალაქეების დაშანტაჟება ინტიმური ცხოვრების ამსახველი კადრების ინტერნეტში გამოკიდებით. ეს პრაქტიკა კულმინაციას არჩევნების მოახლოებასთან ერთად აღწევდა ხოლმე. ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე კი მოულოდნელი რამ მოხდა – ვუაიერისტმა ეკრანზე საკუთარი თავი დაინახა თვალთვალის პროცესში. ის უთვალთვალებდა ძალადობას (მათ შორის, სექსუალურსაც) და აღმოაჩინა, რომ თავადაც დაკვირვების ობიექტი გამხდარა. ამის შემდეგ, ყოფილმა ხელისუფლებამ მოგვასმენინა, რას ფიქრობენ ერთმანეთზე მისი ოპონენტები. აღმოჩნდა, რომ კარგს არაფერს და ზოგან ბიოლოგიური ზიზღის მომსწრენიც გავხდით. მაშინ ეს დიდი შოკი არ ყოფილა, უფრო საღლიცინო მასალად იქცა, თუმცა დროთა განმავლობაში ჩვენ ალბათ მოგვიწევს იმ ჩანაწერების ხელახლა მოსმენა და მთელი რიგი პოლიტიკური გადაწყვეტილებების იმ ჩანაწერების შუქზე დანახვა.

რა მომავალი შეიძლება ჰქონდეს სახელისუფლო ვუაიერიზმს? მე არ მჯერა, რომ ახალი ხელისუფლება გაუძლებს ცდუნებას და არ მოგვისმენს ფარულად. მას ძალიან გაუჭირდება, ქეჩოში ხელი ჩაივლოს და ჩვენი პირადი სივრციდან გააძევოს საკუთარი თავი. სხვა თუ არაფერი, პოლიტიკურ ოპონენტებს ასე ადვილად არ დაეხსნება და სხვა თუ არაფერი, უკვე მის განკარგულებაში არსებულ ტექნიკურ აღჭურვილობას მტვერს ხომ არ შეაჭმევინებს.

PAPILLON
პაპილონი

საახალწლო
ფასდაკლება
25-70%

ევროპული ავეჯი განახლებულ პაპილონში

თბილისი აკ. ბაქრაძის 6 (მტკვრის მარჯვენა სანაპირო, დიღმის ხიდთან); ტელ: +99532 2540990
ქუთაისი წერეთლის 163, ტელ: 0431 235025; ბათუმი ბაგრატიონის 109; ტელ: 0422 220348
WWW.PAPILLON.GE

კულტურა და მატარებლები

პაატა ქურდაძე

როდესაც 2003 წელს მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოსახლეობას მომავლისკენ მიმავალ თავის მატარებელზე შეხტომა ურჩია, ბევრმა ეს ირონიული ღიმილით მიიღო, თუმცა ყველა მალე დარწმუნდა, გულწრფელი სინანულით, რომ შესაძლოა, თავიანთი ცხოვრების ყველაზე დიდი შანსი გაუშვეს ხელიდან — მატარებელში შემთხვევით მოხვედრილი ბაქანზე უსაქმოდ მოყიალე ავანტიურისტები, უბილეთო მგზავრები, ვაგზლის ორივე სქესის ბოგანოებიც კი, სულ რაღაც ორ წელიწადში პირველი კლასის ვაგონის წავის ქურქებში გახვეულ რესპექტაბელურ ბურჟუებად გადაიქცნენ, რომლებიც მთელი მომდევნო წლების განმავლობაში, მიშას მხიარულ ვარდისფერ ვაგონ-რესტორანში „ხიზილალითა და შამპანურით“ საუზმობდნენ. მატარებელს უამრავი მგზავრი გზაშიც შეახტა, ბოლოს ისე დაიხუნძლა, რომ დაგვიანებულებს არათუ ვაგონ-რესტორანში, საერთო ვაგონის ხმელი საწოლიც აღარ ერგოთ.

აი, სწორედ ასეთებმა, 1 ოქტომბერს საღამოს, არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე, თავგანწირული ზედახორა გამართეს ივანიშვილის ლიანდაგებზე გადაყვანილ მატარებელში ასაძრომად. ვის აღარ ნახავთ აქ: ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებს პეტიციებით ხელში, მათ „საკმაოდ განათლებულ“ შვილებსა და შვილიშვილებს, კულტურული გაცვლა-გამოცვლების სპეციალისტ „სვინგერ“ ორგანიზატორებს, გამამაცებულ ჟურნალისტებს... მოკლედ, დიდი ამბებია!

შესაძლოა, საქართველოს ისტორიის მანძილზე სიტყვა კულტურა არასდროს ისეთი აქტუალური არ ყოფილა, როგორც ბოლო ერთი თვის მანძილზე. თითქოს, ნახევრად მძინარე „კულტურის სფეროში მოღვაწე ქართველმა მუშაკებმა“ მხოლოდ ახლა აღმოაჩინეს ამ სიტყვის მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში, ბოლო რვა წლის მანძილზე, ისე მოხერხებულად უვლიდნენ გვერდს ამ თემას, თითქოს, უკანასკნელი კულტურის მინისტრი, ნიკა რურუა მართლაც ხისტარიანი „მაუზერით“ იდგა არტისტების გვამების გროვაზე და ნებისმიერს, ვინც ბოლო რვა წლის განმავლობაში საქართველოს აბსოლუტურად უნიფორმირებული კულტურის პოლიტიკის კრიტიკას გაბედავდა, საკუთარი ხელით უხვრეტდა შუბლს... თან ოპერის ეშმაკივით ხარხარებდა... საერთოდ, ადამიანებს ახასიათებთ საკუთარი სიმხდალის გასამართლებლად, მისი მასშტაბურ დრამად ტრანსფორმირება, თუმცა, ამ შემთხვევაში, მხდალი ენთუზიასტების აგრესიული აქტიურობა კოლექტიურ ადმინისტრაციულ-კულტურულ ფსიქოზში გადაიზარდა, განსაკუთრებით ახალი კულტურის მინისტრის მოადგილეების ზნეობრივი ნორმების დადგენა-გამოაშკარავებისას: ცხადია, იური მეჩითოვისა და ირინა პოპიაშვილის გილიოტინირების მოთხოვნა ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე სულ რაღაც ერთი თვის წინ იგივე „მაუზერიანი“ და „საშიში“ ნიკა რურუასი...

კულტურა არც მინისტრის ხელშია, არც მისი მოადგილეების, არც ყოფილების და არც მათი, ვინც მომავალში დაინიშნება. კულტურა, პირველ რიგში, ინტელექტუალური სიმამაცეა, რომლის გარეშე უკეთეს შემთხვევაში ზუსტად განსაზღვრულ საზღვრებს ვერ გასცდები და უნიფორმირებული ჯარისკაცივით, მკაცრად გაწერილი და ნოტარიუსით დამტკიცებული კულტურული მემკვიდრეობის დარაჯად დარჩები სამუდამოდ. ვერასდროს გადააბიჯებ ლიმიტს, რომლის იქითაც კულტურული რეფორმა, თუ გნებავთ, პროგრესია, რომლის გარეშე საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფასი კაპიკია; რადგან სახელმწიფოებრივი ღირსება, შეუძლებელია მისი მოქალაქეების პიროვნული ღირსების გარეშე, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ კულტურულ კონტექსტში ყალიბდება, კონტექსტში, რომელიც საქართველოში კატასტროფულ მდგომარეობაშია... და ამის ყველაზე საუკეთესო დასტური მატარებელზე კვლავ ჩამორჩენის პანიკური შიშით გამოწვეული ბაზრის ალიაქოთი, კულტურის სფეროს თითქმის ყველა რგოლში ადმინისტრაციული კრიზისი და მისი მართვის სამარცხვინო უუნარობაა, რომლის მოწმენიც უკვე ერთი თვეა თითქმის ყოველდღიურად ვხდებით. სამინისტროში, თეატრალურ უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიაში... ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოს სერიოზული რეფორმები სჭირდება კულტურის სფეროში, რომ საჭიროა ვისაუბროთ ამ რეფორმების კონცეფციებზე, და არა პერსონების პირადი ცხოვრების დეტალებზე.

ხოლო თუ ჩვენ იგივე უნაყოფო „ბაღის კულტივირება“ უნდა გავაგრძელოთ, რომელსაც ასე უსარგებლოდ ვთოხნით უკვე ამდენი წელია, მაშინ ერთადერთი „ლოზუნგი“, რომელიც შეიძლება ამ ბაღის შესასვლელთან გავაკრათ, იქნება კვლავ ძველი, საბჭოთა წლებში გულიდან ამოხეთქილი, წრფელი და უშიშარი: „დიდება კონტრკულტურას!“

creative home

დეკორატიული აქსესუარები თქვენი ინტერიერისათვის

საახალწლო ფასდაკლება

თბილისი, ჭავჭავაძის 34 , სავაჭრო ცენტრი პიქსელი
ტელ: +995 32 2183507
ქავთარაძის 1, ჰიპერმარკეტი გუდვილი
ტელ:+995 32 2145014

ბათუმი, მემედ აბაშიძის 44
ტელ: 422 2359004

http://www.facebook.com/pages/Creative-Home/

AZAROAN, URRUTI ETA BAKARRIK
ანუ
ნოემბერში, მარტო და შორს

ავტორი ანა კორძაია-სამადაშვილი
ფოტო: ბესო უზნაძე

casa camara

ვიქტორ ჰიუგო აქ ჩამოსვლას არ აპირებდა. საერთოდ, არც იცოდა, რომ ეს ადგილი არსებობს. პირინეებში მოგზაურობდა, და აქეთ გოგოებმა წამოიყვანეს. უფრო სწორად, გადმოიყვანეს.

ტანმაღალი, გარუჯული გოგოები იყვნენ, ფეხშიშველები, შავი, მბზინავი ნაწნავებით. ჩალის ქუდები ეხურათ, ზედ დახვეული წითელი და ლურჯი ლენტები მხრებამდე სწვდებოდათ. წითელი, მორთული კურტაკები მკერდზე სამი ღილით ჰქონდათ შეკრული. ეს გოგოები, – ჰიუგოს თქმით, „მამაცი ქალები“, – მენავეები იყვნენ, ხალხი ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაჰყავდათ. მათ ბატელერები ერქვათ.

აი, ბატელერებმა ჰიუგო ნავში ჩაისვეს, და მეორე ნაპირზე გადაიყვანეს, და ჰიუგომ დაინახა...

„...მაღალი, მწვანე მთების ფარდა, მათი მწვერვალები კაშკაშა ცაზე მკვეთრად მოჩანს. მთის ძირას სახლების მწკრივია, მჭიდროდ ჩალაგებული. ყველა სახლი თეთრად, ზაფრანისფრად და მწვანედაა შეღებილი, ორ ან სამ რიგად დიდი აივნები მიუყვება, რომელთაც წითელი, კრამიტის სახურავების ჩრდილი ადგას. ყველა აივანზე ათასობით რაღაც ფრიალებს – თეთრეული, სარეცხი, ბადეები, წითელი, ყვითელი და ლურჯი ქსოვილი. სახლების ქვეშ ზღვაა, ჩემ ხელმარჯვნივ – თეთრი ეკლესია, მარცხნივ, მეორე მთის ძირას – სხვა აივნიანი სახლები, რომელთა მწკრივიც ძველი კოშკის ნანგრევებთან მთავრდება. ყველა სახის და ზომის ნავი სახლების წინ ირწევა, კოშკის ქვეშაა მიბმული, და ყურეში მისრიალებს ხომალდები, კოშკები, სახლები, ეკლესიები, მთები და ზეცა, სიცოცხლე, სითბო, ლაჟვარდი, წარმოუდგენელი მხიარულება, და ამას ჩემი თვალით ვხედავ.

ეს ადგილი, შესანიშნავი და მომხიბვლელი, მხიარული და დიდებული, ადგილი, სადაც დრო გაჩერებულია, ეს ადგილი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი რამაა, რაც კი ოდესმე მინახავს. მიწის და წყლის ეს მოკრძალებული კუთხე უცნობია, (...) რადგან ბასკეთშია. ამ პატარა, მბრწყინავ ედემს, რომელშიც შემთხვევით მოვხვდი, ისე, რომ არც ვიცოდი, საით გამიწევია, არ ვიცოდი, სად ვარ, ესპანურად Pasajes ჰქვია, ფრანგულად – Le Passage.“

ქართულად – პასაია.

ბასკეთში ეშმაკი არ ცხოვრობს. ოდესღაც ჩამოსულა, ენა ვერ უსწავლია, ვერაფერი გაუგია, გაბრაზებულა და მას აქეთია, აქეთ პირიც არ უქნია.

ჩემს სახლში კი მთლად ანგელოზი ცხოვრობდა.

ანგელოზი მამრი იყო. ზუსტად ვიცი. წასვლის წინ იატაკი არ მოუგვია, და ასეთი თმა ქალებს სხეულზე არ ეზრდებათ, მით უმეტეს, არ სცვივათ.

ის იყო ჰეტეროსექსუალი. არცერთი საკუთარი თავის პატივისმცემელი გეი ასეთ შამპუნს არ ხმარობს.

ჩაის და ყავის ჭიქები არ დამხვდა. ანგელოზი წყალს ტოლჩით ადუღებდა. გარდა ამისა, სახლში ერთადერთი ლოგინი და ერთადერთი საბანია, და სარეცხ მანქანაში სამი ხელი თეთრეული აღმოვაჩინე.

სარეცხი მანქანა ცალკე ამბავია. მას ჰქონდა მიკრული ბარათი: ARROPA ZIKINA DU.

მე ბასკური ძალიან ცუდად ვიცი.

დავიძაბე და დავფიქრდი.

ვერსია პირველი: „მანქანა გაფუჭებულია, არ მიეკარო.“

ვერსია მეორე: „ეს – შენ, იგორავე და გაიხარე!“

ვერსია მესამე: „ლალე, ლალე, დივლი დალალალე.“

გამჭრიახობას მოვუხმე, google translate გავხსენი. თურმე, პატიოსანი კაცი მაფრთხილებდა, რომ თეთრეული გაურეცხავია.

დელიკატური ადამიანი. „ბინძურია“, „ფუ“, „ჩემი ნაკოტრიალებია“ – არა, არა. უბრალოდ, გაურეცხავია.

ანგელოზმა დატოვა ყავა (ხსნადი – უკოფეინო ნაგავი, და ერთი კოლოფი ადამიანურიც), ერთი შეკვრა სპაგეტი, ტომატი, წიწაკის პასტა, – ცეცხლივით ცხარე, პირზე დამბლა დამეცა; ასევე: ზეთი, ძმარი, სარეცხი საშუალებები, ოთხი შეკვრა გალეტები, რომლებიც მძულს, თევზის კონსერვი, რომელიც მეზობლის ფისოებს ვაჭამე, ვაშლის ჯემი და – ანგელოზი! – ერთი ბოთლი შოტლანდიური ვისკი.

სარეცხი მანქანა ბურდღუნებს, აივნის ზღურბლზე ვზივარ, ვისკის ვწრუპავ – შენი ბედნიერებისა იყოს, ანგელოზო! – და ვცდილობ, მივხვდე, ჩემს თავს რა მოხდა. ეს რა ხდება, როგორც ერთი ჩემი მეგობარი იტყოდა ხოლმე, დიდი გაოცების ან აღტაცების ჟამს. ახლა გაოცებულიც ვარ და აღტაცებულიც.

პატარა როცა ვიყავი, იმდენად პატარა, რომ კინოში მამას ვყავდი წაყვანილი, ფილმი ვნახე, სახელწოდება არ მახსოვს. იქ ერთი წყვილი იყო, გოგო, მგონი, იაპონელი, კაცს ვერ ვიხსენებ. შუქურაში ცხოვრობდნენ. ძალიან კარგი იყო. კიდევ, წიგნია, „მეფე მათიუშ პირველი“, იქაც ცხოვრობენ ვიღაცები შუქურაში, ისინიც ძალიან კარგად, და მეც სულ მინდოდა. მითხრეს, რა სისულელეა, ჰიუგო მაინც არ წაგიკითხავს, შუქურასთან, მით უმეტეს, შუქურაში გაგიჟდებიო. მაგრამ მე სულ მინდოდა.

ახლა ვზივარ და შუქურას შევცქერი და ვფიქრობ: ეს რა ხდება?

ჩემ სახლში მისასვლელად 108 ნომერთან – მისტიკაა, მე მოვკვდე! – ვიწროზე ვიწრო კიბეს უნდა აუყვე, მერე მარცხნივ გადიხარ და ხავსმოდებულ გალავანს მოუყვები. უამრავი ყვავილის ქოთანი დგას. აქ ვცხოვრობ. ერთი თვე აქ ვიცხოვრებ. პასაია, ჰუგოენეა.

ძალიან შორია. სად არ ვყოფილვარ, და არასოდეს მიფიქრია, რომ ძალიან შორს ვარ. საინტერესო შეგრძნებაა. შორს, ძალიან შორს.

თბილისი – სტამბული – ბილბაო, ეს ფრენა. მერე, ავტობუსით, დონოსტიამდე, მერე, ტაქსით, სან პედრომდე, და ბოლოს – ნავი. პასაია. ვიქტორ ჰიუგოს სახლი.

აქ ვცხოვრობ. ეს რა ხდება.

ელენამ დამლოცა:

– ჩვენი კარგი ჰიუგოს ჩრდილი დაგადგეს.

ამინ, ჩემო ელენა.

. . .

რომ ჩამოვედი, წვიმდა. მენავეს ფული გადავუხადე და გამეცინა – წამოსვლის წინ მითხრეს, ხურდა არ დაგრჩეს, ქარონის ამბავშიო. მენავეს დარტყმული ვეგონე და მოიწყინა.

პაწაწინა დასახლებაა. არც ქალაქი ეთქმის, არც სოფელი. წინ – ზღვა, უკან – ტყით დაფარული მთები. ძველი ნაწილის მოვლას ნახევარი საათი მოვუნდი, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა კიბეზე ავცოცდი და ყველა ეზოში შევიხედე. ჩვეულებრივად თუ სეირნობ, თხუთმეტი წუთიც კმარა. აქ არის რამდენიმე დუქანი, ერთი საპატიო რესტორანი, თევზის მაღაზია, წინ დასკუპებულ-მოსუნსულე ათასი კატით, ჰიუგოს მუზეუმი, სილამაზის სა-



დაღამდა. წვიმს. ზღვაზე პორტის შუქი აციმციმდა. შუქურას ვუყურებ. ამაღამ ძალიან კარგ სიზმრებს ვნახავ. კარგი სიზმრები ადრეც მესიზმრებოდა ხოლმე, უბრალოდ, მაშინ არ ვიცოდი, რომ პასაიაა.

ლონი „ინგრიდი“, რუბენის ოქროს ხელით გაკეთებული სამკაულით და უცნაური ტანსაცმლით სავსე ბუტიკი, სუვენირების მაღაზია – და მორჩა. პასაიას დიდი და ძალიან ლამაზი ტაძარიც აქვს, ოღონდ დაკეტილია.

. . .

დაღამდა. წვიმს. ზღვაზე პორტის შუქი აციმციმდა. შუქურას ვუყურებ. ჩემ ქვემოთ, მოედანზე, მაგიდები აალაგეს და დუქნებიდან ყრუდ მესმის ლაპარაკი და სიცილი. სახურავზე წვიმის წვეთები ეცემა. ამაღამ ძალიან კარგ სიზმრებს ვნახავ. ზღვას და ყურეს და პასაიას. კარგი სიზმრები ადრეც მესიზმრებოდა ხოლმე, უბრალოდ, მაშინ არ ვიცოდი, რომ პასაიაა.

. . .

მზიანი დარია, ცხელა. ბილიკს გავუყევი, მთის კალთას. ეს გზა ღია ზღვისკენ მიდის. იქ კიდევ ორი შუქურა დგას, ზოლიანები. მეორე ნაპირზე გემია ჩამომდგარი. წყაროც შემხვდა, ნამდვილი, მიწიდან მოსჩქეფს, და მტირალა კლდეც. ერთგან ბილიკი ვიღაცის სახლის გალავანს მიუყვება. გალავანი მაღალია, ამიტომ ბაღში ვერ გადავიხედე, აცოცება



პატარა გოგოს დიდი ბურთი წყალში ჩაუვარდა. დედა ლუდის კათხიანად გავიდა საბივჯზე, მაგრამ ბურთს ვერ მიუსწრო – ტალღამ დაარტყა და ზღვაში გაიტანა. მერე პატარა გემმა ჩამოიარა, თუხთუხით, რალაცის ნახევარია.

კი მომერიდა, მაინც დიდი გოგო ვარ, რა საქციელია.

ცხელა, მაისური მაცვია, და რომ ჩამოვჯექი, ადგომა აღარ მომინდა. არაფერს ვფიქრობ.

კაცს გერმანული ნაგაზი ახლავს, მხიარული და ახალგაზრდა. „ოლა!“ მეუბნება კაცი. მეც ვუღიმი და თავს ვუქნევ.

ძველ ქალაქში დაბრუნებულმა – თუ ოცნებაა, ოცნება იყოს! – რამდენიმე სახლი შევათვალიერე. ვითომ მყიდველი ვიყო... იყიდება. ორ ფანჯარაზე ქაღალდია მიკრული, და ამდენი ბასკური მეც კი ვიცი. მფლობელებს გაუმართლათ, რომ მათ ენაზე ვერ ვლაპარაკობ, თორემ დავურეკავდი და გამოვკითხავდი, იქნებ სულაც გამომეყვანა და სახლებიც დამეთვალიერებინა. ისე, საოცნებო მასალის შესაგროვებლად. რატომაც არა?

ვფიქრობ, პასაიაში რომ მეცხოვრა, არც დავბერდებოდი და არც მოვკვდებოდი. რას უნდა მოვეკალი? მე კლდიდან ზღვაში გადახტომას არ ვაპირებ, და სხვა რა ვიცი.

. . .

დაღამდა. ჩემს არაჩვეულებრივ, მწვანე აივანზე დავჯექი. ქვემოთ ბავშვები ასფალტზე თევზს ხატავენ. უზარმაზარი თევზია, ქერცლის მაგივრად გულები აქვს. ბავშვები მუცელზე წვანან, დახოხავენ, მაგრამ არავინ უკივით და არც ისინი კივიან.

პატარა გოგოს დიდი ბურთი წყალში ჩაუვარდა. დედა ლუდის კათხიანად გავიდა საბივჯზე, მაგრამ ბურთს ვერ მიუსწრო – ტალღამ დაარტყა და ზღვაში გაიტანა. გოგო და დედა დგანან და ბურთს ხელს უქნევენ. დედა თან ლუდს სვამს.

ბურთს თვალი გავაყოლე, ცოტა ხანს. მერე პატარა გემმა ჩამოიარა, თუხთუხით, და ბურთი სულ გადამავიწყდა.

- ტუუუ! – ბრძანა პატარა გემმა.

– ბომ! – მიუგო ეკლესიის ზარმა.

რაღაცის ნახევარია.

. . .

პატარა გემი ხელწამოსაკრავი სულაც არ ყოფილა. ამ პატარა გემს გაჰყავს დიდი გემები ღია ზღვაში. ჩვენი ყურე ხომ ძალიან ვიწროა, ამიტომ დიდმა გემმა ზედ ფანჯარასთან ჩამიარა. სატვირთო ხომალდი იყო, მაგრამ ზედ ვიღაცები მაინც იდგნენ. აივანზე გავვარდი და ხელი დავუქნიე. იმათაც დამიქნიეს, ერთმა ქუდიც მოიხადა და ქნევა დაიწყო. ბასკური ქუდი, ჩვენებურად – ბერეტი.

ზღაპრული ამინდია, ცხელა. კატები მზეს ეფიცხებიან. ნავსადგომთან, ძელსკამებზე, განაბული ტურისტები სხედან, არც ჰიუგო უნდათ და არც არაფერი – მზე...

ეკლესიასთან მისულს სიმღერა მომესმა, კარგა დიდი გუნდის. კუთხეს რომ გავცდი, დავინახე კიდეც: რამდენიმე ათეული ქალი და მამაკაცი ოთხ აკორდეონისტს გარს შემოჰხვეოდა, ხელში ფურცლები ეჭირათ – ალბათ, ტექსტი. ჯერ ვიფიქრე, ხსნის არმია ან რამე მსგავსია-მეთქი, მაგრამ არა, ჩვეულებრივი ხალხი იყო, და სიმღერასაც საგალობლისა არაფერი ეტყობოდა. ძალიან მინდოდა, მივსულიყავი და მეთქვა, მეც მომეცით-მეთქი ერთი ფურცელი, მაგრამ მომერიდა, რატომ – კაცმა არ იცის.

რამდენიმე საათში ჩვენთანაც ჩამოიარეს, სიმღერ-სიმღერით. წინ აკორდეონისტები მოუძღოდნენ და რაღაც მხიარულ მარშს უკრავდნენ. მერე მოედანზე გაჩერდნენ, წრე შეკრეს და ამღერდნენ, და მეც ავყევი ჩემი აივნიდან, გულით და ხმამაღლა, იმიტომ, რომ სიმღერა ვიცანი:

My Bonnie lies over the ocean,
My Bonnie lies over the sea,
My Bonnie lies over the ocean,
Oh, bring back my Bonnie to me…

ისინი ბასკურად მღეროდნენ, მე – ინგლისურად, მაგრამ მერე რა. მაინც ძალიან კარგი იყო.

მერე, მზე რომ ჩავიდა, ქვემოთ ჩავედი, დუქანში. ლუდი და კალმარები შევუკვეთე, სასაცილო თანხა გადავიხადე, გარეთ ჩამოვჯექი და ვიფიქრე, რომ პასაია მართლა ედემია. თან, პატარა. ზუსტად საჩემო.

. . .

ესეც სახლ-მუზეუმი.

მხოლოდ ერთი ხის აბრა აქვს, მაგრამ ისედაც ყველამ იცის, რა ხდება, და რომც არ იცოდე, ვერ აცდები. ყრუ კედელში უზარმაზარი კარია, ზედ რკინის ხელით. სიესტას დროს, როცა დაკეტილი იყო, ვერ მოვითმინე და დავაკაკუნე. გუგუნებს.

მოპირდაპირე მხარეს, კედელში, პატარა ნიშაა, ნიშაში – ჯვარცმა, და ლამპარი მუდამ ანთია. საღამოობით ქუჩასაც ანათებს.

ჰიუგო წერდა: „სახლი, რომელშიც ვცხოვრობ, ბნელ ქუჩას გადაჰყურებს, მეორე მხარეს კი – კაშკაშა ყურეს (...) ისეთი პირი უჩანს, ერთ მშვენიერ დღესაც იქნება და ყველაფერი დაიქცევა. კედლებში ბზარებია და პეიზაჟი მოჩანს. ზედა აივნის აგურებს შორის ქვედა აივნის დანახვა შეიძლება, ოთახებში იატაკი ფეხქვეშ იღუნება (...) სამასი წლის სახლი ასაკისგან კანკალებს, მაგრამ რაღაცით მაინც ძალიან საიმედო და გოროზია. (...) უზარმაზარი ობობები მიდი-მოდიან, ოთხი დუიმის სისქის მუხის კარი მასიური, მაგრამ დაჟანგული რკინითაა შეჭედილი. რას ფიქრობთ? რომ

პირქუში, საშინელი ადგილია? არა, მომხიბვლელია!“

მართლა მომხიბვლელია. ეს იდუმალი სახლი მზითაა გაჩახჩახებული, ოთახებში ზღვის და მარილის სუნი დგას, თოლიების ჭყივილი ისმის. კედლებზე ჰიუგოს ნახატები ჰკიდია – რა კარგი მხატვარია, მე კი არ ვიცოდი, სირცხვილი... საძინებელი აღდგენილი ყოფილა: ავეჯი და სხვა ნივთები ხალხს შემოუწირავს, ხოლო უცნაური და ძალიან ლამაზი, მოხატული საწოლი, საგანგებოდ ამ სახლისთვის, აუქციონზე შეუძენიათ. მისაღებში ფორტეპიანო დგას, მის წინ – ორადგილიანი სკამი. ალბათ, ოთხ ხელში უკრავდნენ ვიღაცები, აქ, მებადურების სოფელში.

ერთგან კალმები დევს, ვიღაც პატიოსან კაცს თავის კერძო კოლექციიდან გაუმეტებია. ბატის ფრთებია, ძალიან გაქუცული. ამ კალმებით წერდა თურმე ჰიუგო „განკიცხულებს“.

ნეტა, მართლა დამადგეს კარგი ჰიუგოს ჩრდილი.

. . .

როცა თბილისში დავბრუნდები, კანარის ჩიტებს ვიყიდი. აღარ მახსოვდა, რომ ასე გალობენ. აქ ბევრ აივანზე გალიები ჰკიდია, და კანარის ჩიტები გალობენ და გალობენ.

ვიყიდი კანარის ჩიტებს და გალიას ფანჯრის რაფაზე დავდგამ, და თუ გამონაბოლქვმა არ დამიხოცა და ხმაურისგან არ დაყრუვდნენ, იგალობებენ და იგალობებენ, და თბილისშიც ცოტა პასაია მექნება.

. . .

ყოველდღე შუქურასკენ მივდივარ. სირცხვილია, ჰიუგოს სტუმარი რომ ვარ და სხვა მწერალზე ვფიქრობ, მაგრამ მაინც ვიფიქრე, რომ ყოველდღე შუქურასკენ მივდივარ, როგორც ბილი ბოუნზი. ისიც ხომ ასე იყო: ადგებოდა დილით, ისაუზმებდა და ზღვასთან მიდიოდა. უწინ მეგონა, რომ გემებს უთვალთვალებდა, სილვერის ეშინოდა, ზღვაში გასვლა ენატრებოდა – რას აღარ ვფიქრობდი. ახლა ვიცი, რომ ვცდებოდი. ახლა ზუსტად ვიცი: ბილი ბოუნზი ყოველდღე მიდიოდა, რომ ზღვასთან დამდგარიყო.

მეც ასე მივდივარ და ზღვასთან ვდგები. წვიმაშიც მივდივარ – რა უშავს, დავბრუნდები და გავშრები. იქ რომ ვდგავარ, შუქურას თავზე, არაფერს არ ვფიქრობ. უბრალოდ, მივდივარ და ვდგავარ.

საკუთარ თავს ვუთხარი: აი, ყურეში გემი რომ შემოვა, მეც მოვბრუნდები და სახლში წავალ. გემები შემოდის, მე კი არ ვბრუნდები. ათას სისულელეს ვიგონებ: ეს გემი არაა, დიდი ნავია, ეს გემი პატარაა, არ ითვლება... წამოსვლა არ მინდა, და ვდგავარ ასე.

ზემოთ, რამდენიმე კილომეტრში, პლატო ყოფილა, საიდანაც ორი კუნძულიც მოჩანს. იქაც აუცილებლად ავალ, მაგრამ ჯერ არა. ჯერ დრო მაქვს. ჯერ აქ ვიდგები.

ახლა, უკვე შინ რომ ვარ, ვფიქრობ: სულ რაღაცას ვფიქრობ ხოლმე და ნეტა, რას? როგორც ჩანს, ფიქრი კარგად ყოფნისა არაა. ან ყოველდღიური გასაჭირი გიბრახუნებს თავში, ან რაღაცას გეგმავ, ან ოცნებობ, იმიტომ, რომ სინამდვილეში რაც გჭირს, სულ არ მოგწონს.

იქ, კლდეზე, არაფერს ვფიქრობ. როგორც ბილი ბოუნზი. იმ კაცს არც წარსულის გახსენება სიამოვნებდა, არც მომავლის პერსპექტივები. ამიტომაც იდგა ხოლმე ზღვასთან, რომ არ ეფიქრა და, უბრალოდ, ბედნიერი ყოფილიყო.

ახლა მე ბილი ბოუნზი ვარ. ყოველდღე შუქურასთან მივდივარ და ზღვას ვუყურებ. თოლიები ჩხუბობენ, ერთმანეთს ჰაერში კორტნიან, ღია ზღვაში ტალღები ბობოქრობენ, – ჩვენთან, ყურეში, ღელვა სულ არ იგრძნობა. პატარა მხეცუკამ ქვებიდან თავი გამოჰყო და უცებ შეიმალა. ვინა ხარ შენა? თავი ისევ გამოჰყო, ვარდისფერი ყურები და მოცახცახე ცხვირი. ცოტა ხანში იფიქრა, არ მჭამენო, და მთლიანად დამენახა. დიდი და მსუქანი თაგვივითაა, ქვიშისფერი, პატარა, მრგვალი კუდით, თვალები მძივებს მიუგავს. ცხვირი ისევ უცახცახებს. სალამი! გაიქცა.

ზღვა შავდება. მალე იწვიმებს. უკან მოვდივარ, პასაიაში, და ვფიქრობ, რომ ზუსტად ვიცი, სადაა ჩემი სამოთხე.

პასაიაში.

ახლა აქ ვარ.

ნატვრაც ახდენია ბილი ბოუნზს.

დიდი მადლობა ელენა მარტინეზ რუბლოს, რომელმაც ყველაზე დიდი საჩუქარი გამიკეთა. ის რომ არა, ვერასოდეს ვნახავდი პასაიას.

CHÂTEAU MUKHRANI

— EST° 1878 —

THE AROMA IS RICH AND HAS AN ARRAY OF ABUNDANT JAMMY PLUMS AND BLACK CHERRY. MATURED IN OAK, WITH MIXED BERRY FRUIT TASTE, IT IS WELL STRUCTURED AND BALANCED SHOWING RIPE TANNINS AND A LONG INVITING AFTERTASTE.

FIRST GEORGIAN EXPORTED WINE

CHÂTEAU MUKHRANI, MUKHRANI, MTSKHETA, 3309, GEORGIA

TEL : + 995 32 220 18 78 - SALES@MUKHRANI.COM - WWW.CHATEAUMUKHRANI.COM

მშვიდობიანი „შემოჭრა“ შემოდგომისას

დიტო ცინცაძის ახალ ფილმს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე უჩვენებენ

ავტორი დავით ბუხრიკიძე



„...მივხვდი, რომ რაღაც სხვა კინოც არსებობს, ეს არის ელდარ შენგელაია. ასევე, ოთარ იოსელიანი, რომელიც მონტაჟს გვასწავლიდა. მიყვარს ელდარის იგავური თხრობა, მისი სამყარო და მისი ადამიანურობა. დღესაც მახსოვს, „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ჩვენებისას, კინაღამ დაინგრა დარბაზი როტერდამში. ასეთი რამ არსად მინახავს. ისე, მეც ვინატრებდი ასეთ ჩვენებას...

ელეგანტურია ოთარის „სუფთა კინემატოგრაფის“ სტრუქტურა, სადაც ენა არ არის საჭირო. თავის დროზე, ეს აღმოჩენა იყო ჩემთვის. დღესაც, ჩემს ფილმებს ოთარ იოსელიანს ვაჩვენებ ხოლმე... საოცრად ვნერვიულობ, ის ხომ არასდროს იმეორებს კადრებს, მე კი, ხშირად ვიმეორებ. და როცა ამ გამეორებებს ხედავს, დაახლოებით ვიცი, იმ მომენტში რას ფიქრობს...

მიყვარს რეზო ესაძე, რომელიც ასევე გვასწავლიდა მონტაჟის ხელოვნებას. ის ძალიან კარგი მსახიობია. ისე იცოდა ფილმის მოყოლა, რომ გაგიჟდებოდი, გაიქცეოდი სანახავად... არადა, რეზოს მონაყოლთან შედარებით, ფილმი უინტერესო იყო...“

ეს არის ფრაგმენტები რეჟისორ დიტო ცინცაძის ადრეული აღსარება-ინტერვიუდან, რომელიც მან „ცხელ შოკოლადს“ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გაანდო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ კარგი კინოსადმი დამოკიდებულება უცვლელი დარჩა, ისევე როგორც ოთარ იოსელიანის ფილმებისადმი განსაკუთრებული მგრძნობელობა. ეს მისთვის განსაკუთრებული ხარისხის საზომივითაა.

მოკლედ, ბაბუის მიერ ბავშვობაში ნაჩუქარმა 8 მილიმეტრიანმა კინოკამერამ თავისი „შავი“ და არტისტული საქმე მაინც გააკეთა – ცნობილი კარდიოლოგის, გაიოზ ცინცაძის შვილს, რეჟისორ დიტო ცინცაძეს, დღეს, ევროპული არტ-ჰაუზის წევრად თვლიან.

თუ საფესტივალო პრიზები წარმატების და ხარისხის მაუწყებელია, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი სადიპლომო ფილმიდან, „კვაზიმოდოდან“ (ლევან ერისთავთან ერთად), დაიწყო, რომელშიც მთავარ როლს მამუკა კიკალეიშვილი თამაშობდა და რომელმაც 1980-იანი წლების დასაწყისში საკავშირო სტუდენტურ კინოფესტივალზე კიევში რეჟისორს პირველი წარმატება მოუტანა. შემდეგ იყო აღიარება ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე („ვერცხლის ლეოპარდი“, 1993 წელი) და პირველი მცდელობა, რომ ქართულ კინოში 1990-იანი წლების სამოქალაქო ომისა და ორად გახლეჩილი საზოგადოების თემა ასახულიყო.

რამდენიმე წლის შემდეგ, დიტო ცინცაძე გერმანიაში მიემგზავრება, სადაც თავის დამკვიდრება საკმაოდ რთული იყო. გარკვეული როლი ამაში ოთარ იოსელიანმა ითამაშა, რომელმაც ცნობილ პროდიუსერებს მისი ახალი ფილმის – „დაკარგული მკვლელების“ შესახებ აცნობა. ასევე ძალიან დაეხმარა დღეს უკვე მეგობარი, მაშინ კი, უბრალოდ, ჯგუფის წევრი, ფილმის ოპერატორი ბენედიქტ ნოიენფელსი, რომელთან თანამშრომლობითაც დიტო ცინცაძემ გადაიღო „დაკარგული მკვლელები“ და „კაცი საელჩოდან“.

სალონიკის კინოფესტივალზე აღებული პრიზი „ვერცხლის ალექსანდრე“, უკვე აღიარების გარანტია აღმოჩნდა. მოგვიანებით, ფილმი კანის საერთაშორისო კინოფესტივალის სპეციალურ პროგრამაში უჩვენეს, თუმცა ყველაზე დიდი წარმატება რეჟისორს მოუტანა „გასროლის შიშმა“, რომელიც გერმანელი მწერლის, დირკ კურბივაიტის რომანის ეკრანიზაციაა.

2003 წელს დიტო ცინცაძეს ფილმისთვის „გასროლის შიში“ სან-სებასტიანის კინოფესტივალზე მთავარი პრიზი – „ოქროს ნიჟარა“ მიენიჭა. რეჟისორმა მომდევნო ფილმები: „კაცი საელჩოდან“ და „მედიატორი“ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით გადაიღო, რაც ახალგაზრდა ქართველი რეჟისორებისთვის გარკვეული სტიმული და მაგალითი აღმოჩნდა.

ახლახან, სექტემბერში, დიტო ცინცაძის ახლი ფილმი „შემოჭრა“ ორი საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზიორი გახდა. ფილმმა მონრეალის კინოფესტივალზე გრან-პრი დაიმსახურა. დიტო ცინცაძემ პრიზი ესპანელ რეჟისორთან, იმანოლ ურიბესთან ერთად გაინაწილა. აღსანიშნავია ისიც, რომ შვიდკაციანი ჟიურის შემადგენლობას ცნობილი მსახიობი, გრეტა სკაკი ხელმძღვანელობდა.

პრიზები ფილმმა ასევე სექტემბერში (21-29) გამართულ სანკტ-პეტერბურგის პირველ საერთაშორისო კინოფესტივალზეც დაიმსახურა. ჟიურიმ, რომლის თავმჯდომარე სერბი რეჟისორი ემირ კუსტურიცა იყო, საუკეთესო მსახიობი-მამაკაცის ნომინაციაში პრიზი მერაბ ნინიძეს გადასცა. ჟიურის „სპეციალური აღნიშვნა“ დაიმსახურა ასევე გერმანელმა მსახიობმა, ბურგჰარდტ კლაუსნერმაც, რომელიც ფილმში მთავარ როლს ასრულებს.

„შემოჭრა“ გერმანულ-ავსტრიული კოპროდუქციაა და ის ხანშიშესული, ქვრივი მამაკაცის, ჯოზეფის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. მეუღლის დასაფლავებაზე ჯოზეფი რამდენიმე უცნობ ადამიანს ხვდება. ისინი, როგორც თავად აცხადებენ, მისი ცოლის ნათესავები არიან. ჯოზეფი, მათ, დროებით სახლში ცხოვრებას სთავაზობს, რაზეც სტუმრები თანხმდებიან. ისინი, მალე მის ცხოვრებასა და ყოველდღიურ ყოფაში თანდათან შეიჭრებიან და მთლიანად იპყრობენ სახლს. თუმცა ბოლომდე გაურკვეველი რჩება, რა არის ეს, ჯოზეფის პარანოია, თუ რეალური დაპყრობა ან შემოჭრა?

დიტო ცინცაძის ფსიქოლოგიურ დრამასა თუ ფსიქოლოგიურ ტრილერს მაყურებელი დეკემბერში იხილავს. ფილმის პრემიერა თბილისის მეცამეტე საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიის შემდეგ გაიმართება.

ვფიქრობთ, ფილმის რეჟისორთან, დიტო ცინცაძესთან საუბარი თბილისის კინოფესტივალის დაწყებამდე ორიოდე კვირით ადრე, საინტერესო იქნება კინოს მოყვარულთათვის და არა მხოლოდ მათთვის.

პირველ რიგში, ფილმის სახელწოდების შესახებ მინდა გკითხოთ, რადგან ჰოლივუდური ფილმი სახელწოდებით „შემოჭრა“ რამდენიმე წლის წინ უკვე გადიოდა ჩვენთან ეკრანებზე (ნიკოლ კიდმანისა და დანიელ კრეიგის მონაწილეობით). ხომ არ არის ეს ცოტა დამაბნეველი მაყურებლისთვის? რატომ, სწორედ ეს სათაური, რატომ – „შემოჭრა“?

ალბათ, გამიჭირდება იმის ახსნა, რატომ „შემოჭრა“ – არა. ფილმის ორიგინალური სახელწოდებაა invasion, რომელიც შეიძლება ითარგმნოს რამდენიმენაირად: „დაკავება“, „დაპყრობა“ ან „შემოჭრა“. რომ ვთარგმნოთ როგორც „დაპყრობა“, ეს კიდევ უფრო სხვა ასოციაციებს გამოიწვევს. ამიტომ მგონია, უფრო ზუსტი სახელწოდებაა „შემოჭრა“. არის ფილმები, რომელთაც ერთნაირი სახელწოდება აქვთ, თუმცა ამით მაყურებლის დამოკიდებულება მათ მიმართ არ იცვლება. ერთნაირი სათაური უფრო ენციკლოპედიის და ვიკიპედიის პრობლემაა.

როგორც პრესა წერს, შეფასება მონრეალის კინოფესტივალზე მძაფრი, საინტერესო და მრავალმხრივი იყო. ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია ფილმმა სანკტ-პეტერბურგის კინოფესტივალზე. სხვათა შორის, არც გამიგია, ამ ქალაქში საერთაშორისო კინოფესტივალი თუ ტარდებოდა...

მონრეალის კინოფესტივალი ცხადია, უფრო ცნობილია, რადგან ის ამერიკის კონტინენტზე გამონაკლისს, „ა“ კლასის კატეგორიას ეკუთვნის და შესაბამისად, აღიარებაც და გამარჯვებაც ძალიან პრესტიჟულია. ჩემი ფილმის გარდა, გრან-პრი ჟიურიმ გადასცა ესპანელი რეჟისორის, იმანოლ ურიბეს ფილმს „ფორთოხლის თაფლი“. საინტერესო და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავია პრესის შეფასება, რაც ბუნებრივია. პრესისა და პუბლიკის დამოკიდებულება ხშირად რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან კრიტიკოსები მაინც წინასწარ განწყობას, ცოდნას თუ გამოცდილებას ეყრდნობიან, თავისებური შეფასების შკალა აქვთ, რაც ჩვეულებრივ მაყურებელს არ გააჩნია. მისთვის უფრო გასაგებია ფილმის მყისიერი, ემოციური ზემოქმედება.

რაც შეეხება სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო კინოფესტივალს, ის პირველად გაიმართა და ჟიურის თავმჯდომარედ ორგანიზატორებმა ცნობილი რეჟისორი, ემირ კუსტურიცა მიიწვიეს. საუკეთესო მსახიობი-მამაკაცის პრიზი („ოქროს ანგელოზი“) მერაბ ნინიძეს გადაეცა, ხოლო სპეციალური პრიზი ბურგჰარდტ კლაუს-

თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტები, 1979

თუ საფესტივალო პრიზები წარმატების და ხარისხის მაუწყებელია, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი სადიპლომო ფილმიდან, „კვაზიმოდოდან“, დაიწყო, რომელმაც 1980-იანი წლების დასაწყისში საკავშირო სტუდენტურ კინოფესტივალზე კიევში დიტო ცინცაძეს პირველი წარმატება მოუტანა.

ნერს. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ სანკტ-პეტერბურგში ხაზგასმით მიანიშნეს ქართული კინოს ტრადიციებსა და რეჟისორებზე, თუმცა გასაგებია, რომ ფილმი ავსტრია-გერმანიის კოპროდუქციაა.

კრიტიკა, ბუნებრივია, განსხვავებული იყო თქვენი ფილმის მიმართ, მაგრამ თავად როგორ შეაფასებდით, რა ჟანრში ჩაატევდით? რა არის „შემოჭრა“?

სხვათა შორის, ასეთი კითხვა არავის დაუსვამს. ძნელია გარედან საკუთარი თავის შემფასებელი იყო, ეს შესატყვისი პროფესიის ხალხმა უნდა გააკეთოს, ვიტყოდი, ეს უფრო თქვენი და სხვა კრიტიკოსების საქმეა... მაგრამ, რადგან მკითხეთ, ფილმის ჟანრს განვსაზღვრავდი, როგორც სიურრეალისტურ დრამას, ან ფსიქოლოგიურ ტრილერს. თუმცა მესმის, რომ ეს განმარტებაც ხელოვნური გამოვა.

ამავე დროს, კრიტიკოსები თქვენს ფილმს მიხაელ ჰანეკეს ფილმებს ადარებენ, უფრო კი – „მხიარულ თამაშებს“...

დიახ, რამდენიმეჯერ გამოითქვა ეს მოსაზრება, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც „შემოჭრის“ თემას ვისკონტის ფილმსაც უკავშირებდნენ.

კონკრეტულად რომელ ფილმზე იყო მინიშნება?

თუ გახსოვთ, ვისკონტის ერთ-ერთი ბოლო სურათია, „ოჯახური პორტრეტი ინტერიერში“...

დიახ, დიახ, ბენ ლანკასტერის მონაწილეობით, რომელიც მოხუც ხელოვნებათმცოდნეს, პროფესორს თამაშობს. ის უცხო, ხმაურიან ოჯახს შეიკედლებს. ფილმში სილვანო მანგანო და ჰელმუტ ბერგერიც მონაწილეობენ.

...სწორედ ამ ფილმზე მაქვს საუბარი. არანაირი შინაგანი თუ თემატური კავშირი ამ ორ ფილმს შორის – „ფანი გეიმს“ („სასაცილო თამაშები“) და „ოჯახური პორტრეტი ინტერიერში“ – არ არსებობს! არც თემაა საერთო და ესთეტიკა ხომ როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება ერთმანეთისგან. „შემოჭრა“ სულ სხვა ფსიქოლოგიურ განწყობას ასახავს, რომელიც უფრო მტკივნეულ და მაპროვოცირებელ თემებს ეხება.

სამწუხაროდ, ვერ ჩავერთვები კონკრეტულ დისკუსიაში... მხოლოდ მას შემდეგ, როცა ფილმს თბილისის კინოფესტივალზე ვნახავ.

მესმის. სამწუხაროდ, პროდიუსერების მკაცრი მოთხოვნაა, რომ ფილმი უჩვენონ მხოლოდ ფესტივალის ფარგლებში. თუ ამ თემას განვაგრძობთ, მაგალითად, ჩემი ადრეული ფილმი „გასროლის შიში“ ერთმა კრიტიკოსმა სკორსეზეს „ტაქსის მძღოლს“ შეადარა, რაც ძალიან ზედაპირული, სიუჟეტური მინიშნებიდან გამომდინარეობს. სხვათა შორის, მოგვიანებით იმ კრიტიკოსს ვესაუბრე და ავუხსენი, რომ ეს სწორი არ არის. თუ განვაგრძობთ „შემოჭრის“ თემას, ეს იმდენად ცნობილი და ლამის გაცვეთილია, რომ მარტო სიუჟეტების მსგავსებით ძალიან ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები, თუ ფილმი შეიძლება გავიხსენოთ.

„შემოჭრა“

„შემოჭრა“

„დაკარგული მკვლელები“

„მედიატორი“

ვისკონტის, ან ჰანეკეს ფილმებთან ძალიან სასიამოვნოა შედარება (და გიჟი უნდა იყოს რეჟისორი, თუნდაც გულის სიღრმეში ეს არ მოეწონოს), მაგრამ შეცდომა მგონია ამ ფილმებთან გავლებული პარალელები. გაიხსენეთ „შემოჭრის“, ან „განდევნა-დაკავების“ თემები ცნობილ მწერლებთან – დიურენმატი, კორტასარი, კაფკა... „პროცესი“ სწორედ სხვა პიროვნების სივრცეში შეჭრას და იმ საშინელებას არ ასახავს? კორტასარის „გამოცდაც“ ხომ ამის შესახებაა. კიდევ ვიმეორებ, მარტო სიუჟეტის მიმსგავსებით, ან უბრალო პარაბოლით, ცოტა ბანალური და ზედაპირული მგონია მსჯელობა. იმედია, კრიტიკოსებს არ ეწყინებათ ეს შენიშვნა.

მაშინ იქნებ, მოკლედ აგვიხსნათ, რას შეეძლო გამოეწვია ფილმისადმი დიდი ინტერესი? რა არის ამ დაღეჭილი და „კლასიკური სიუჟეტის“ მიღმა (როგორც თქვენ ამბობთ) ფეთქებადსაშიში და სოციალურად მაპროვოცირებელი?

ნამდვილად მესმის ინტერესი, მაგრამ არ მინდა ბოლომდე მოგიყვე ფილმის შინაარსი, თავად ნახავ და მერე უფრო საინტერესო იქნება შეფასება. გეტყვი, რომ მარტოხელა, მდიდარ ქვრივს ბურგჰარდტ კლაუსნერი თამაშობს, ხოლო მის ანტიპოდს, ანუ ე.წ. დამანგრეველ, მოქმედ და საშიშ გმირს – მერაბ ნინიძე. ძალიან მომწონს ისეთი დრამა, სადაც სიკეთისა და ბოროტების „როლები“ წინასწარ დანაწილებული არ არის და რაც თავად რეჟისორისა და მსახიობისთვის შესანიშნავ სააზროვნო სივრცეს ტოვებს. განსხვავებული ინტერპრეტაცია ყოველთვის უფრო სარისკო და საინტერესოა.

ანუ, ეს არ არის ფილმი მხოლოდ კლასიკური ბურჟუზიული ოჯახის მეტაფორასა და მის ნგრევაზე.

შესაძლოა ასეც ავხსნათ, მაგრამ ჩემთვის ეს უფრო ევროპის ნგრევის მეტაფორაა, და ეს ბევრმა გაიგო კიდეც. თუმცა სრულიად განსხვავებული იყო რეაქცია კანადაში, გერმანიასა და რუსეთში. მაგალითად, სანკტ-პეტერბურგში უფრო ღიმილით და სარკაზმით აღიქვეს, კანადაში „შავი კომედია“ უწოდეს, მაგრამ მაინც კომედია, გერმანიაში კი ზედმეტად სერიოზულად და ცოტა მძაფრად მიიღეს და მაშინვე ხაზი გაუსვეს, რომ „ფილმის ავტორი გერმანელი არ არის“... და რომ ფილმი არაპოლიტკორექტულია. ასე რომ, მეტაფორა, რაზეც ვსაუბრობდი, „წაუკითხავი“ არ დარჩენიათ. თუ ამ კუთხით მივუდგებით, გამოდის, რომ ნებისმიერი ფილმი რაღაც კონკრეტულ სოციალურ თუ პოლიტიკურ ჩარჩოებში უნდა მოვაქციო, მაგრამ მე ამას არასოდეს გავაკეთებ, რადგან არ ვარ პოლიტიკოსი და არ მომეთხოვება, ვიყო პოლიტკორექტული! მე ვარ რეჟისორი და არ მეხერხება ასეთი პოლიტიკურად „აწონილ-დაწონილი“ ტერმინებით აზროვნება.

გასაგებია, რომ რეჟისორი ფილმების თემებს გამოზომილ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში, ტექსტსა თუ მეტაფორაში ვერ ჩაატევს, ეს ბანალურია. მაგრამ ამგვარი

ფოტო: დავით მესხი

დიტო სინცაძე

თემებისადმი თავისუფალი მიდგომა პრობლემებს არ შეგიქმნით?

საინტერესოა, რომ ფრაზა რომელიც ზემოთ უკვე ვახსენე, ძალიან გავლენიანმა გაზეთმა „ზუდდოიჩე ცაიტუნგმა“ დაწერა. „ავტორი არ არის გერმანელი“ – ეს ნიშნავს, რომ თითქოს კარგავ რაღაც ლეგიტიმაციას საკუთარ ფილმზე. ამიტომ, ვთქვათ, ლაშა ბაქრაძის პერსონაჟი ჩემი ახალი ფილმიდან, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკში გადაღებას ესწრება, ვერ იხუმრებს ამ თემაზე; ის თითქმის შეზღუდულია. როგორც კი პროდიუსერებმა გაიგეს, რომ სცენარში საკონცენტრაციო ბანაკის სცენებიც შევიდა, რატომღაც შეშფოთდნენ...

არადა, თავად იღებენ ფილმებს მეორე მსოფლიო ომის თემებზე – მთავარ პერსონაზე, ჰიტლერზე, უბრალო ადამიანზე, რომელსაც ომის ყველა საშინელება შეეხო; ყალბი ფულის მჭრელებზე საკონცენტრაციო ბანაკში და ა.შ...

რასაკვირველია, აკრძალული არაფერია, არც ტაბუირებული, მაგრამ როგორც კი ხუმრობით, ან გარკვეულწილად პაროდიულად ეხები საკონცენტრაციო ბანაკის თემას, მაშინვე ამუშავდება, ასე ვთქვათ, „გარედან შეფასება“ და შემაშფოთებელად სერიოზული დამოკიდებულება. მგონია, რომ გერმანიაში ჯერ კიდევ რთულია „ომის კომპლექსის“ დაძლევა მასალისადმი ირონიული დამოკიდებულებით. სწორედ ამას ცდილობს ჩემს ახალ ფილმში ერთი უბრალო და სასაცილო გმირი, რომლის როლსაც ლაშა ბაქრაძე შეასრულებს.

ხომ არ არის ეს ეჭვნარევი დამოკიდებულება დაკავშირებული ევროპის ეგზისტენციალურ კრიზისთან და უფრო მეტად, ემიგრაციის პრობლემებთან?

რატომღაც მიაჩნიათ, რომ ამ თემებზე არაკორექტულია ხმამაღლა მსჯელობა; მათზე ყველა ფიქრობს, მაგრამ არავინ ლაპარაკობს. ეს გაქცევაა, ეს ტყუილია!.. მე ხომ არ ვამბობ, რომ ემიგრაცია ცუდია, როგორც მოვლენა, მაგრამ პრობლემები არსებობს და სჯობს გახსნილად და პირდაპირ ვილაპარაკოთ, რომ სწორედ ემიგრაციის პრობლემებს უკავშირდება დანაშაულის გაზრდა, ან კრიმინალების გადმონაცვლება დასავლეთში პოსტსაბჭოთა სივრციდან და აღმოსავლეთ ევროპიდან. ეს კი, თავის მხრივ, უკავშირდება ქსენოფობიის გაღვივებას დასავლეთში, რაც ბრეივიკის საქმემაც დაადასტურა. ისიც უნდა ითქვას, რომ რეალურად დაკნინდა სულიერი ფასეულობები და ნამდვილი რელიგია არის ფული და უკანასკნელ ათწლეულში ყველაფერი ძალიან შეიცვალა.

...თუმცა, სწორედ გერმანია რჩება დღევანდელი ევროპის არა მარტო კულტურულ, არამედ ძირითად ეკონომიკურ ლოკომოტივად.

ცხადია, გერმანია და საფრანგეთი რომ ჩამოაცილო, ევროკავშირი ერთ დღესაც არ იარსებებს. თუმცა, დამანგრეველი მოტივები სწორედ პიროვნებიდან იწყება და საზოგადოებამდე და პოლიტიკურ სისტემამდე მაღლდება. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ადამიანის თავისუფლებასა და ავტონომიაზე, მის ცხოვრებაში სულ უფრო თავხედურად იჭრება მატერიალური სამყარო – თანაც მრავალჯერ და დამანგრევლად. განა ასე არ არის დათო ჯანელიძის 80-იან წლებში გადაღებულ

ფილმში „მდგმურები“, ან დომინიკ მოლის ფილმში „ჰარი, რომელიც ყველას უყვარს“, ან ჯოზეფ ლოუზის ცნობილ ფილმში „მსახური“? სწორედ ასე იქცევა მერაბ ნინიძის გმირიც ჩემს ფილმში, რომელიც, ასე ვთქვათ, „დრაივის“ მატარებელია და ამავე დროს, სხვისი ცხოვრებისა და ბედის დამანგრეველიც. ამგვარი პერსონაჟების უკან კი აღარაფერი რჩება, მხოლოდ სიცარიელე, რომელსაც ვერანაირი მოდური „სოციალური დრაივი“ ან მატერიალიზმი ვერ შეავსებს.

იქნებ, ეს პრობლემა, იმიტომაა უფრო მგრძნობიარე, რომ როგორც ემიგრანტს, ხშირად შენ გეხება? თუმცა, თურქული წარმოშობის ცნობილი რეჟისორი ფატი აკინიც საკმაოდ მტკივნეულად აღწერს ამ თემებს თავის ფილმებში.

არ დაგავიწყდეს, რომ ფატი აკინი არის გერმანელი რეჟისორი, ის არის გერმანიის მოქალაქე, ჰამბურგში დაბადებული გერმანელი თურქი, ხოლო მე არ ვარ გერმანელი ქართველი. მხოლოდ გერმანიაში სამუშაოდ ჩასული ქართველი ვარ და ეს სულ სხვა სიტუაციაა. მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიაში დაბადებული რეჟისორები – ანდრეას დრეზენი, ულრიხ კიოლერი, ან კრისტიან პეცოლდი ბევრად უფრო კორექტულად ეხებიან ემიგრაციის თემას (არ ვგულისხმობ ხარისხს, ვგულისხმობ მხოლოდ პოლიტკორექტულობას), ვიდრე დასავლეთ გერმანელები ან თუნდაც დასახელებული ფატი აკინი. გავიმეორებ, არ მინდა პოლიტკორექტული ფილმების გადაღება, აუცილებლად მიმაჩნია საზოგადოების გამოფხიზლება, ხოლო თუ ვისთვის დარეკავს ეს ზარი, ან ვინ გაიგებს, ეს მისი პრობლემაა. უნდა ითქვას, რომ ახალი თაობის გერმანელი რეჟისორები ამ მხრივ, გაცილებით უფრო დაკომპლექსებულნი და შებოჭილები არიან, ვიდრე 60-70-იანი წლების დიდი თაობა – ფასბინდერი, შლიონდორფი, ჰერცოგი ან ვენდერსი. ისინი უფრო თამამად ეხებოდნენ სარისკო თემებს, ვიდრე დღევანდელი თაობის რეჟისორები, რომლებიც პირდაპირ არიან დამოკიდებული ყვითელ პრესაზე, პოლიტკორექტულობასა და სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობაზე.

დეკემბერში „შემოჭრას“ უჩვენებენ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვაზე. სხვა საფესტივალო მარშრუტები როგორია?

ახლახან ფილმი მონაწილეობდა სან-პაულოს საერთაშორისო ფესტივალზე, უკვე არის შემოთავაზება აზიიდან და მანამდე, გერმანიაში, რამდენიმე ლოკალურ თუ საერთაშორისო მასშტაბის ფესტივალზე აჩვენებენ.

უკვე რამდენჯერმე ახსენე ახალი ფილმი. რას გვეტყვი უფრო კონკრეტულად სცენარისა და მომავალი გადაღებების შესახებ?

ახალ ფილმს ჩემი სცენარის მიხედვით გადავიღებ, რომლის სახელწოდებაა „კონკურსი“ (გერმანულად – Wetbewerb). მთავარ როლს ამ ფილმში ლაშა ბაქრაძე შეასრულებს; ოპერატორია რალფ მენდლე, რომელთანაც უკვე მაქვს მუშაობის გამოცდილება.

საერთოდ, როგორ მუშაობთ ოპერატორებთან? როგორია თქვენი არჩევანი – სახვითი მხარის კონტროლი თუ უფრო მეტი თავისუფლება?

ვცდილობ, წინასწარ გავეცნო ოპერატორების ნამუშევარს, ვსწავლობ გამოსახულებას. თუმცა, არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა გამოცდილია, თუ პირველად დგას კამერასთან. მაგალითად, ბენედიქტ ნოიეფიელსი, ვისთანაც „დაკარგული მკვლელები“ გადავიღე, ყოველთვის რაღაც საინტერესო გადაწყვეტას მთავაზობს. მიყვარს ხელის კამერის გამოყენება, მიყვარს გრძელი ხედები, კონტრასტული გამოსახულება... ბევრ რამეს განაპირობებს თავად ფილმის სცენარი და განწყობაც, რის მიხედვითაც ოპერატორს ვირჩევ. ცხადია, მეც მყავს ფავორიტები და გამოსახულებას ყოველთვის თავად ვირჩევ, – ტექნიკურ მხარეს არ ვგულისხმობ. როგორი უნდა იყოს განათება, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ გამოსახულება რომ კარგი უნდა იყოს, ამის გაკონტროლება აუცილებელია. სიტყვამ მოიტანა და გოგა დევდარიანს აუცილებლად გამოვარჩევ. არაჩვეულებრივი ოპერატორია, რომელმაც გადაიღო „მედიატორი“.

ქართველი ოპერატორის გახსენებამ ქართული კინო გამახსენა. წლების განმავლობაში რატომღაც ისევ მოთქვამენ კრიზისის

შესახებ და ნაკლებად იმაზე, რა შეიძლება ყოფილიყო ან არის ამის რეალური მიზეზები დღეს.

არა მგონია, რომ კრიზისი ისეთი კონკრეტული და ამავე დროს, მასშტაბური იყოს, რომ მხოლოდ ქართული კინო დააზარალოს. ის თითქმის ყველას შეეხო. იცვლება სამყარო, ადამიანი, ჩვენი ქვეყანაც იცვლება... იმედი ვიქონიოთ, რომ კარგისკენ. ცხადია, ისეთი დიდი ეპოქა, როგორც 60-70-იანი წლები იყო, ქართულ კინოში აღარ განმეორდება, თუმცა კარგი ფილმების გადაღება მცირე ბიუჯეტით და დიდი გრძნობებითაც არის შესაძლებელი და ამის მაგალითია, თუნდაც ახა-

ლი რუმინული კინო. სამწუხაროდ, მწირი ინფორმაცია მაქვს დღევანდელ ქართულ კინოზე. ვიცი, რომ რამდენიმე ახალგაზრდა რეჟისორმა თავი კარგად წარმოაჩინა, თუმცა მათი ახალი ნამუშევრები არ მინახავს. მაგალითად, რუსუდან ჭყონიასა და ლევან კოღუაშვილის ფილმებს დავასახელებ... მნიშვნელოვნად მეჩვენება საზღვარგარეთ მცხოვრები და აქტიურად მომუშავე რეჟისორების გამოცდილების გაზიარებაც.

რას ურჩევდით მათ კონკრეტულად?

ახალგაზრდა რეჟისორებს გაცილებით მეტი სითამამის გამოჩენა შეუძლიათ. თუნდაც მცირე ბიუჯეტით უნდა გადაიღონ ფილმები მტკივნეულ სოციალურ, რელიგიურ თუ სექსუალურ პრობლემებზე. უფრო მეტად გარისკონ, უსამართლობაზე თვალი არ დახუჭონ, თუნდაც საზოგადოების პროვოცირება მოახდინონ, მეამბოხე სულისკვეთება დაამკვიდრონ... გარდა ამისა, სასურველია ახალგაზრდა რეჟისორები კრიტიკულნი იყვნენ ფსევდოფასეულობებისა და სამღვდელოების ფარისევლობის მიმართაც, რაც დღემდე ტაბუდადებული თემებია.

გჯერათ, რომ ბოლოდროინდელი ცვლილებები საზოგადოებასა და შესაბამისად, პოლიტიკურ სისტემაში, ხალხისთვის სასიკეთო ცვლილებას მოიტანს?

არ ვიცი, პოლიტიკოსები რას იზამენ. ეს მათი რთულად შესასრულებელი სამუშაოა, მაგრამ მე მჯერა კინემატოგრაფისტების და შესაბამისად, მომავალში კარგი ფილმების არსებობის. თუ ამას საზოგადოების დიდი ნაწილის რწმენაც დაემატება, რომ სხვაგვარად უნდა ვიცხოვროთ, ეს ცვლილებები შედეგს აუცილებლად მოიტანს. ძალიან ცოტაა ისეთი ქვეყნები, რომლებსაც კინემატოგრაფის დიდი ტრადიცია აქვთ. და ეს ფაქტი, განსაკუთრებით, მომავლისთვის არის გასათვალისწინებელი.

ნულოვანი მენტალობა

ავტორი ნინო ჯაფიაშვილი
ფოტო ლევან ხერხეულიძე

ფსიქოლოგი ჯანა ჯავახიშვილი იკვლევს ტრავმას და მის შედეგებს, მუშაობდა შეიარაღებული კონფლიქტის დროს ტრავმირებულ ადამიანებთან. არის „ფსიქოტრავმის ქართული საზოგადოების“ დამფუძნებელი საბჭოს წევრი და ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული 18 წიგნის თანაავტორი.

ჯანა, როგორ უყურებთ და როგორ აფასებთ, როგორც ფსიქოლოგი, ქართულ საზოგადოებას?

მე, ჩვენს საზოგადოებას ვხედავ სოციალური ტრავმის ჭრილში, ვიკვლევ, როგორ ხდება ტრავმის გადაცემა თაობებს შორის და რატომ არის საბჭოთა რეპრესიების ტრავმა ისევ ცოცხალი ჩვენს საზოგადოებაში. საბჭოთა გამოცდილებამ ჩვენს საზოგადოებას ბევრი დაღი დაასვა და პირველ რიგში, ეს შიშის დაღია, რომელიც ძალიან იოლად იღვიძებს ხოლმე სხვადასხვა კრიტიკულ მომენტში.

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც ბავშვობაში, გარეთ გასვლისას, მშობლები ერთ უცვლელ შეგონებას აძლევდნენ. მე და ჩემს დას ბებია გვზრდიდა, ჩემი მშობლები მუშაობდნენ, ჰოდა, სახლიდან ყოველი გასვლისას, ბებია ასეთ „родительский наказ“-ს გვაძლევდა: „არსად არაფერი არ თქვათ!“ ეს იმდენად აბსტრაქტული მითითება იყო, რომ ვერ ვხვდებოდი, რატომ მეუბნებოდა ამას. მერე, როდესაც რეპრესიების ამბებს ჩავუღრმავდი, გასაგები გახდა, რომ შეშინებული საზოგადოების გამოძახილი იყო ბებიაჩემის ეს „მშობლის მითითება“.

ჰოდა, მოდი, დავიწყოთ აქედან – იმისათვის, რომ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები გაიგო, ძალიან ხშირად სასარგებლოა, შენს ოჯახში მიმდინარე პროცესები დაინახო. დედაჩემი 10 წლის იყო, როდესაც მამა დაუპატიმრეს, წითელა ჰქონდა, ღამე წაიყვანეს და დღესაც (უკვე 85 წლის არის), როდესაც მანქანა სახლის წინ ამუხრუჭებს, პანიკური რეაქცია აქვს.

როდესაც ახლა წარმოვიდგენ, ეს რას ნიშნავს, როდესაც შენ ათი წლის ხარ, სკოლაში მიდიხარ და შენზე ამბობენ, რომ ხალხის მტრის შვილი ხარ... ვაცნობიერებ, როგორი ტრაგიკულია ეს ამბავი.

ფაქტობრივად, იმისათვის, რომ ამ ასაკში გადარჩენილიყავი, შენ, შენი მშობლის მარეპრესირებელი სისტემის ნაწილი უნდა გამხდარიყავი – ყოფლიყავი ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი, პარტიის წევრი, თავიდან ბოლომდე უნდა გაგევლო საბჭოთა მანქანის ფაბრიკა.

ჩვენ ცოტას ვფიქრობთ იმაზე, თუ რა მემკვიდრეობა გვაქვს, არადა, ჩვენ მემკვიდრეები ვართ იმ ფრაგმენტირებული საზოგადოების, სადაც ერთი მტერი იყო, მეორე კი – ჯალათი.

თაობებს შორის ტრავმის გადაცემის კიდევ ერთი მაგალითი მახსენდება ჩემივე ოჯახის ისტორიიდან: როდესაც ბაბუაჩემი ციმბირში გადაასახლეს, დედაჩემი სკოლაში დადიოდა – ისტორია აინტერესებდა და უნდოდა ისტორიკოსი გამხდარიყო – ამ დროს კი, ბაბუაჩემი ციმბირიდან იწერებოდა – „ექიმი, აქაც ექიმია!“

ახლა, როდესაც საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა ბევრი ნარატივი ქვეყნდება, აღმოვაჩინე, რომ ამ ისტორიებში პირდაპირ არის ეს კლიშე – „სადაც არ უნდა იყო, ციმბირშიც კი, ექიმის პროფესია გადაგარჩენს“. ბაბუაჩემი, სინამდვილეში ვეტერინარი იყო, მაგრამ ადამიანებს მკურნალობდა, ამით გადაირჩინა თავი და დაბრუნდა.

ჰოდა, დედაჩემმაც ისტორიკოსობას ექიმობა არჩია, იმიტომ, რომ გადარჩენილიყო. თუ გახსოვთ, არანორმალურად მაღალი იყო ექიმობის მსურველთა რაოდენობა ქართულ საზოგადოებაში, ახლა, ამ გადასახედიდან, მე ვფიქრობ, რომ ეს საზოგადოებისთვის ფიზიკური გადარჩენის გაუცნობიერებელი სტრატეგია იყო.

ჩვენი საზოგადოებისთვის ძალიან დამახასიათებელია გადარჩენის მოდუსი, ჩვენი ცხოვრების გადარჩენის ტერმინებში გააზრება და სხვათა შორის, როდესაც საზოგადოება გადარჩენაზე ძალიანაა ორიენტირებული, მაშინ განვითარებაზე ცოტა ენერგიას ხარჯავს.

სამხრეთ აფრიკული ანდაზაა ასეთი – „არასოდეს დაგეკარგება გზა, თუ იცი, საიდან წამოხვედი“. რასაკვირველია, დღეს ის ხალხი, რომელიც 80 წლისაა, აღარ აყალიბებს საზოგადოების განწყობებს, მაგრამ უეჭველია, რომ მათი მემკვიდრეობა ჩვენში ცოცხალია.

თქვენ გინდათ თქვათ, რომ დღესაც ცოცხალია იგივე შიშები? საზოგადოების ქცევასა და რეაქციებზე დაკვირვებისას რაში და სად ჩანს საბჭოთა მემკვიდრეობა?

„ხალხის მტერი“ – ეს ცენტრალური თემაა პოსტსაბჭოთა საზოგადოებებშიც და მათ შორის, საქართველოშიც, – მოვლენების შავ-თეთრ ტონებში აღქმა, საზოგადოების მიერ შუა ტონების მიუღებლობა.

ეს არ არის ერთადერთი, მაგრამ ეს ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს, მაგალითად, ასეთი ტიპის რადიკალიზმს – „ვინც ჩემთან არ არის, ჩემს წინააღმდეგაა“. ეს რადიკალიზმი საბჭოთა მემკვიდრეობაც არის – მაშინ იყო ეს ლოზუნგი, აი, ეს სტალინის პერიოდის მენტალობა, ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენში.

გახსოვთ ალბათ, ახლა, წინასაარჩევნოდ, როგორ გაჩნდა ცნება „შუაშისტი“? ფაქტობრივად, „შუაშისტი“ ძალიან სწრაფად იქცა ძლიერ სტიგმად, იარლიყად, რომელსაც დაპირისპირებული ძალები აკერებდნენ იმ ხალხს, ვინც ცდილობდა კრიტიკული ყოფილიყო ორივე მხარის მიმართ.

საუბრის დასაწყისში თქვენ თქვით, რომ ქართული საზოგადოება ტრავმირებული საზოგადოებაა. ეს განსაზღვრავს იმას, თუ როგორ იქცევა, რეაგირებს, გადაწყვეტლებას როგორ იღებს კრიტიკულ სიტუაციებში?

ჩვენ ბერმუდის სამკუთხედში ვართ ჩაკეტილები. რა არის ბერმუდის სამკუთხედი? ეს მეტაფორაა, რომელიც მსხვერპლი-აგრესორი-გადამრჩენელი ტიპის მანკიერი ინტერაქციის აღსაწერად გამოიყენება ფსიქოლოგიასა და

ფსიქოთერაპიაში. თუ შენ შენს თავს მსხვერპლად განიხილავ, ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ აუცილებლად უნდა გყავდეს მდევნელი, ანუ აგრესორი, გნებავთ – მტერი. „მტრის ხატი“, ფაქტობრივად, ბერმუდის სამკუთხედში შესასვლელი კარია. შენ ბუნებრივად ეძებ გადარჩენას ამ სიტუაციიდან, თუმცა საკუთარი თავის იმედი კი არ გაქვს, არამედ ეძებ ვიღაცას – „გადამრჩენელს“, ვისაც გადააბარებ პასუხისმგებლობას შენს მდგომარეობაზე.

თუ დაკვირვებიხართ, საქართველოში, წინასაარჩევნო კამპანიებში, ეს გადარჩენისა და გადამრჩენლის, მესიის თემა ქრონიკულად ფიგურირებს.

ეს მეტაფორა ფსიქიატრ ერიკ ბერნს ეკუთვნის. რატომ დაარქვა მან ამ მდგომარეობას ბერმუდის სამკუთხედი? იმიტომ, რომ თუკი ადამიანმა შეაბიჯა ამ სამი როლიდან (მსხვერპლი, აგრესორი, გადამრჩენელი) ერთ-ერთში, იგი ძალიან ადვილად ინაცვლებს მეტაფორული სამკუთხედის მომდევნო წვეროში. როგორც კი შენ შენს თავს მსხვერპლად განიხილავ, ეძებ გადამრჩენელს, შემდგომში კი შეიძლება ადვილად გახდე მდევნელი.

აი, ახლა ავხსნი ამას ერთ მაგალითზე. ეს ამბავი, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის ყოფილმა მინისტრმა გელა ლეჟავამ მომიყვა, საბჭოთა დროს მოხდა. მაშინ ციხეში ასეთი რამე ხდებოდა: შეიქმნა ორი ჯგუფი – ერთი იყო მჩაგვრელების ჯგუფი, რომელიც სასტიკ მდგომარეობაში ამყოფებდა მეორე, ჩაგრულების ჯგუფს. მოკლედ, ამ სიტუაციის გამოსასწორებლად გადაწყდა, რომ ჩაგრულებს სხვა კორპუსში გადაიყვანდნენ და მართლაც გააკეთეს ეს, და როგორ ფიქრობ, რა მოხდა ამის შემდეგ?

„ჩაგრულებმა“ სხვების ჩაგვრა დაიწყეს?

ჰო! იმიტომ, რომ ურთიერთობის სხვა გამოცდილება ამ ჯგუფს არ ჰქონდა. ამას ჰქვია მსხვერპლი-აგრესორის სტერეოტიპში ინტერაქცია. და როდესაც ამ სტერეოტიპში უყურებ სამყაროს, ძალიან ადვილია, მსხვერპლი აგრესორად იქცეს. ეს იცი, და სხვა გამოცდილება არ გაქვს.

ჩვენ მუდამ ვეძებთ გადამრჩენელს, ეს ხან ამერიკაა, ხან რუსეთი... და მე მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილმა ასეთი დიდი ნდობა იმიტომაც მიიღო არჩევნებში, რომ მასაც, როგორც „გადამრჩენელს“ ისე უყურებენ. საიმედო ადამიანია – ხალხმა იცის, რომ ბევრი ფული აქვს, ეხმარებოდა ყველას მატერიალურად და ამიტომაც მოხდა მასზე მესიის იდეის პროეცირება.

და თუ მართლაც აღმოჩნდება, რომ მოსახლეობა მას როგორც „გადამრჩენელს“, როგორც მესიას, ისე უყურებს, უნდა გავიაზროთ, რომ ეს ისევ ბერმუდის სამკუთხედში დარჩენას ნიშნავს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ისევ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას საკუთარი მდგომარეობის გამო. პასუხისმგებლობის აღების გარეშე კი არ არსებობს თავისუფლება.

ჯანა, თუკი ქართული საზოგადოება ამ ჩარჩოშია გეჭედილი, როგორ იაზრებს ის სინამდვილეს?

თუ შეტოპე ბერმუდის სამკუთხედში, მაშინ გამუდმებით ეძებ მტერს. მტრის ხატი კი, როგორც წესი, საზოგადოების შიგნით პროეცირდება. რასაკვირველია, ყველა საზოგადოებაში არის განსხვავებული ინტერესთა ჯგუფები, მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში, სწორედ მტრის ხატის გამო, რადიკალური დაპირისპირებებია. იმიტომ, რომ როგორც კი ვინმეს ოპონენტად იაზრებ, მაშინვე ხდება მასზე მტრის ხატის პროეცირება და ამბობ, რომ ეს მტერთან ასოცირებული ჯგუფია და აღარ უსმენ, აღარ გაინტერესებს მისი აზრი, ის მტერია და მორჩა.

რატომ არის დამანგრეველი საზოგადოებისთვის მტრის ხატის არსებობა? იმიტომ, რომ როდესაც არსებობს მტრის ხატი, არსებობს ფობიები, ფობიებით კი მანიპულაცია შეიძლება და საზოგადოებაც ადვილი სამართავი ხდება, ამ ნიშნით იწყება ერთმანეთის დევნა.

ჯანა, განსხვავებული აზრის ადამიანები, ნებისმიერ საზოგადოებაში კონფლიქტში არიან ერთმანეთთან, არ ესმით ერთმანეთის, მიუღებელია მათთვის ოპონენტების მოსაზრებები. რა ხდება ჩვენთან? ხშირად მომისმენია აზრი, რომ საზოგადოების ასეთი რადიკალური ფრაგმენტაციის მიზეზი ის არის, რომ დაპირისპირებული მხარეები ვერ ერთიანდებიან ფუნდამენტური ღირებულებების გარშემო.

ადამიანების სოციალიზაციის პროცესში ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორია, რომელსაც, ინგლისურ სიტყვას ვიხმარ – „attachment“-ს ვუწოდებთ. ეს „ეთეჩმენტები“, მიჯაჭვულობები დაბადების მომენტიდან გიყალიბდება – დედასთან, მშობლებთან, ოჯახთან, თემთან.

როდესაც ტრავმა ხდება, ადამიანს ჩვეული მიჯაჭვულობები გენგრევა, ანუ გერღვევა ის, რაც წარმოადგენს შენს სოციალურ სინამდვილეს.

თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში, ერთ-ერთი ინგლისელი ჟურნალისტი ძალიან საინტერესოდ აღწერს, თუ როგორ დაკარგა თავისი სამყარო, ყოფილ იუგოსლავიაში ომის გაშუქებისას. ძალიან ბევრი უბედურება ხდებოდა მის თვალწინ, რაც გახდა იმის მიზეზი, რომ დაეწყო თავისი მიჯაჭვულობების სისტემის ნგრევა სახლთან, შეყვარებულთან, ქვეყანასთან. მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ როდესაც რეკავდა ინგლისში ან მას ურეკავდნენ, მისი აღარავის ესმოდა, გრძნობდა, რომ აბსოლუტურად გაუცხოებული იყო, აღარც თვითონ აინტერესებდა რა ხდებოდა მის სახლში, სამშობლოში. ამ კაცმა, ფაქტობრივად, განცდის დონეზე აღწერა, როგორ ირღვევა მიჯაჭვულობათა სისტემა.

ამავე დროს, ტრავმისას იქმნება ახალი – ტრავმული მიჯაჭვულობები იმ სოციალური სინამდვილის სუბიექტებთან, რომლებიც იზიარებენ შენს ტრავმას; რომლებთანაც შენ ტრავმაში ერთად ხარ – ანუ ეს ის ჯგუფია, რომელიც შენს აზრს იზიარებს, შენი გრძნობების გაგება შეუძლია.

მე ვფიქრობ, რომ სოციალურ დონეზეც, ჩვენს საზოგადოებაში მოხდა ჯანსაღი მიჯაჭვულობების რღვევა და ტრავმატული იდენტობის ჩამოყალიბება, რომელშიც ჩვენ ახალი მიჯაჭვულობის სუბიექტები შევიძინეთ. ის ადამიანები, რომლებიც იზიარებენ შენს ტრავმას, ერთი მხრივ, შენნაირად აზროვნებენ და მეორე მხრივ, მიუღებლები ხდებიან სხვებისთვის.

ამის დაკვირვება სოციალურ ქსელებში ადვილია, მაგალითად, წინასაარჩევნოდ „განფრენდება“ ამ მექანიზმით ხდებოდა – ის, ვისაც შლიდი, არ იყო შენ მიერ გაზიარებული სოციალური სინამდვილის ნაწილი. ის, ვინც არ იზიარებდა შენს სოციალურ სინამდვილეს, აღარ გინდოდა, შენს ველში ყოფილიყო. სინამდვილში კი, ამ დროს, რეალობა ხუნდება, მარტივდება, სინამდვილე შავ-თეთრი ხდება, საზოგადოება კარგებად და ცუდებად იყოფა.

როგორც წესი, როგორ ახერხებს ხოლმე საზოგადოება ტრავმიდან გამოსვლას,

რატომ გახდა ასეთი მოუხელთებელი სხვა საზრისის მიგნება ქართული საზოგადოებისთვის?

რა იძლევა სოციალური ტრავმის გადახარშვის საშუალებას? – გააზრება, შეფასება, გადაფასება, დასკვნების გამოტანა, ფაქტობრივად, ის, რაც ჩვენ ქართულ საზოგადოებას სჭირს – გაკვეთილების გამოტანის დეფიციტია. არცერთი ჩვენი ეპოქა, არ გაგვიაზრებია. მაგალითად, სტალინის ეპოქაზე ქართულ საზოგადოებაში არ არსებობს კონსენსუსი. მე კი არ ვამბობ, რომ ყველა ერთ აზრზე უნდა ვიყოთ, მაგრამ საზოგადოებრივი კონსენსუსი ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის.

ამის ანალიზი და ამაზე შეთანხმება არ მომხდარა, ავიღოთ „ზვიადიზმი“ – შეფასება არ მომხდარა, გადაფასება არ მომხდარა, გაკვეთილები ვერ გამოვიტანეთ. ამიტომ, დღესაც გაიგონებ იმდროინდელ ლოზუნგს: „საქართველო ქართველებისთვის“. იგივე შეიძლება ითქვას შევარდნაძისეულ პერიოდზეც – არც ხელისუფლებას და არც საზოგადოებას არ ეცალა, რომ გაეაზრებინა ეს პერიოდი. ახლა მეშინია, რომ არ მოხდება გააზრება იმისა, თუ რა ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს.

აპარტეიდის შემდეგ, როდესაც სამხრეთ აფრიკაში საზოგადოებამ დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ გადაეხარშა ის საშინელება, რაც მოხდა, შეიქმნა ინსტიტუციური ერთეული, რომელსაც დაარქვეს „Truth and Reconsiliation Commission“, ანუ წარსულის განხილვა და ანალიზი სიმართლისა და შერიგების კომისიის ჩარჩოში მოხდა.

ჩვენთან წარსულის შეცდომების აღმოფხვრა რევანშიზმისა და დასჯის ჩარჩოში ხდება. გუშინ ტელევიზორს ვუყურებდი და გამიჩნდა განცდა, რომ საზოგადოების ნაწილი, რუსული სიტყვას ვიხმარC„смакует“, „კაიფობს“, ტკბება შურისძიებით. ამის კი მეშინია, მეშინია, რომ ისევ ვერ გამოვიტანთ გაკვეთილებს და ისევ ვერ გამოვალთ ბერმუდის სამკუთხედიდან. მსხვერპლი-აგრესორი-გადამრჩენელი, მსხვერპლი-აგრესორი-გადამრჩენელი, მსხვერპლი-აგრესორი-გადამრჩენელი. ციყვებივით ვტრიალებთ ბორბლის შიგნით.

ჩვენ ვერც ლუსტრაციის პროცესის გავლა შევძელით, ამ თვალსაზრისითაც, ჩვენი მცდელობა – შეგვეფასებინა საბჭოთა წარსული, უფრო სიმულაციური იყო, ვიდრე შინაარსობრივი. ეს რგოლიც გამოვტოვეთ, ბევრი სუბიექტური, თუ ობიეტური ფაქტორის გამო, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი უკან გვიბრუნდება; იმისათვის, რომ გავიგოთ რატომ არ მიდის პროცესი წინ, შეგიძლიათ ახსნათ: ისინი, ვინც ახერხებენ ტრავმის შემდეგ რეაბილიტაციას, რის ხარჯზე ახერხებენ ამას?

აი, რის ხარჯზე ახერხებენ... შეიძლება დასვა შეკითხვა, რატომ მოხდა ესა

საბჭოთა გამოცდილებამ ჩვენს საზოგადოებას ბევრი დაღი დაასვა და პირველ რიგში, ეს შიშის დაღია, რომელიც ძალიან იოლად იღვიძებს ხოლმე სხვადასხვა კრიტიკულ მომენტში.

თუ ის მოვლენა და ამ კითხვაზე პასუხის ძებნა მიგიყვანს დამნაშავესთან და დასჯის სტრატეგიასთან. ეს წარსულზე ორიენტირებული შეკითხვაა. არსებობს სხვა შეკითხვა – როგორ მოხდა, რომ ეს მოხდა? აქ უკვე შენ ხარ ორიენტირებული მომავალზე, შენ ეძებ პასუხს, რომელიც საშუალებას მოგცემს მომავალში აღარ განმეორდეს შეცდომა.

თუ შენ მხოლოდ დამნაშავის დასჯაზე იქნები ორიენტირებული, ფაქტობრივად, ბრალის პროეცირებას მოახდენ გარკვეულ ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფებზე და რაღაც ახლის სწავლისთვის სივრცე აღარ დაგრჩება. თუ დაიწყება სიტუაციის გაჯანსაღება შეკითხვით – როგორ მოხდა, რომ ჩვენ ეს მოგვივიდა, – მაშინ, ეს ჩვენ მოგვცემს ჰაერს, ჟანგბადს იმისთვის, რომ შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

ჯანა, ერთია, რომ შენ ხარ უკმაყოფილო ხელისუფლების რაღაც ტიპის პოლიტიკით, იმ ფასეულობებით, რაზეც შეიძლება დაფუძნებული იყოს ეს პოლიტიკა... არ ვიცი, მაგალითად, რა სჯობს – ისწავლო რუსული, თუ ინგლისური, თუ ორივე ერთად... მეორეა, როდესაც მოქალაქეებს აქვთ განცდა, რომ მათი ხელისუფლება კანონს არღვევს, ფარავს ჩადენილ დანაშაულს. აქ უკვე საზოგადოების ბუნებრივი მოთხოვნაა – აღდგეს სამართლიანობა, დაისაჯონ დამნაშავეები.

რასაკვირველია, ძალიან მნიშვნელოვანია სამართლიანობის აღდგენა, მაგრამ მე ვსაუბრობ პათოსზე საზოგადოების შიგნით და მიმაჩნია, რომ ეს პათოსი უნდა იყოს შერიგება. ვიცით, რომ ოპოზიციაში დარჩენილ პოლიტიკურ ძალას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, ისინიც საქართველოს მოქალაქეები არიან, ხომ არ უნდა გადავყაროთ ისინი, ხომ უნდა შევრიგდეთ?! არც ახლო წარსულში და არც ახლა, ერთხელაც კი არავის უხსენებია სიტყვა შერიგება – აი, ეს არის ჩვენი პრობლემა. არც პოლიტიკური და არც საზოგადოებრივი დისკურსი შერიგების ჩვენ არ გვაქვს. ქრონიკულად შინაგან ომში ვართ.

როდესაც არსებობს შერიგების სურვილი და რეზერვი, ყოველთვის პოულობ სწორ გზას, სწორ ნაბიჯებს, მაგრამ ხომ არის სიტუაცია, როდესაც შენ არ შეგიძლია შერიგება იმ ჯგუფთან, რომელიც რადიკალურად, ფუნდამენტურად მიუღებელ იდეებს ქადაგებს, იდეებს რომლის განხოციელებაც დარწმუნებული ხარ, რომ შენს არსებობას ემუქრება.

იცი რა, მე მაინც მგონია, რომ ხშირად საქმე გვაქვს მცდარ განზოგადებასთან. საზოგადოება დაახლოებით ასე აზროვნებს – ეს კაცი მკვლელია და ყველა, ვინც მას მხარს უჭერს, ისიც მკვლელია. ეს კოგნიტური შეცდომაა, რომელსაც საზოგადოება უშვებს.

შევეცდები, რომ მარტივი მაგალითი მოვიყვანო კოგნიტური შეცდომის ასახსნელად. მაგალითად, ჩვენ ვამბობთ, რომ კონფლიქტი აფხაზებთან კი არ გვაქვს, არამედ რუსებთან. ეს კოგნიტური შეცდომაა. და რაშია აქ შეცდომა? – ჩვენ ნამდვილად გვაქვს კონფლიქტი რუსებთან, მაგრამ ჩვენ აფხაზებთანაც ნამდვილად გვაქვს კონფლიქტი. ფაქტობრივად, ჩვენ „ან-ან“-ის ჩარჩოში განვიხილავდით ამ კონფლიქტს და უნდა განგვეხილა „ც-ც“ ჩარჩოში, ხვდები?

ამ ტიპის კოგნიტური შეცდომები კი ძალიან ბევრია. შენ „ნაციონალებს“ უჭერ მხარს? ე.ი. შენ ჩემი მტერი ხარ, „ოცნე-

ბას“ უჭერ მხარს, მაშინ შენ ჩემი მტერი ხარ! სტერეოტიპებით ვაზროვნებთ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგი კოგნიტური შეცდომისა არის არჩევანის, მრავალფეროვნების თვითშეზღუდვა. ვთქვათ, მე ხელი დავიწვი ცხელ ჩაიდანზე, სწორი დასკვნა ასეთია – თუკი ჩაიდანის ლითონის ნაწილს, რომელშიც წყალი ახლახან ადუღდა, ხელს დავადებ – დავიწვავ, შესაბამისად, არ უნდა დავადო. თუ მე ზეჭარბ განზოგადებას მივმართავ, ვიტყვი – ჩაიდანი საშიში საყოფაცხოვრებო ნივთია და ის უნდა ამოვიღო ხმარებიდან. ამ ზეჭარბი განზოგადებით, მე არჩევანის უფლება დავკარგე, იმიტომ, რომ სინამდვილეში შემიძლია ცივი ჩაიდანის ლითონის ნაწილზე ხელი დავადო და არ დამეწვას, ცხელი ავიღო ტილოთი, მაგრამ, როგორც კი მცდარ დაშვებას დავეყრდნობი, ჩაიდანს საერთოდ აღარ ვიხმარ.

კიდევ ერთი, ჩვენში ძალიან გავრცელებული კოგნიტური შეცდომა გამახსენდა: „თუ ის კარგად იქნება, ესე იგი, მე ვიქნები ცუდად“ – ეს ძალიან მოდებულია ჩვენში, მანიფესტირებულია, როგორც პოლიტიკური დაპირისპირებების (power struggle) დროს, ასევე ინტერ-ეთნიკურ კონფლიქტებში და უმრავლესობის დამოკიდებულებაში უმცირესობის მიმართ. ამ ტიპის სტერეოტიპს, აზროვნებითს და ქცევითს, ზერო სუმ მენტალილტყ-ს ანუ, ნულოვანი ჯამის მენტალობას უწოდებენ. მე კი შევამოკლებდი და ამ ფენომენს პირდაპირ „ნულოვან მენტალობას“ დავარქმევდი.

აი, ეს არის ფაქტობრივად კოგნიტური შეცდომები, რომელიც ნორმად იქცა ჩვენს საზოგადოებაში. არ ვიცი, არ ვართ „ტუგადუმები“ ქართველები, მაგრამ იმდენად გამჯდარია „кто не снами, тот против нас“, „или они нас, или мы их...“ – ასეთი ტიპის აზროვნება, რომ პირადად მე, ვფიქრობ, ჩვენი აზროვნება პოსტსაბჭოთა კი არ არის, ჯერ კიდევ საბჭოთაა.

შეგიძლიათ ახსნათ რა განსხვავებაა შურისძიებასა და სამართლიანობის აღდგენას შორის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით? არ გეჩვენებათ, რომ ქართულ საზოგადოებაში შურისძიება სამართლიანობის აღდგენასთანაა გატოლებული?

ერთი მხრივ, ის რაც ვთქვით – დასჯის პროცესით ტკბობა, სამართლიანობის აღდგენას ძალიან დესტრუქციულს ხდის.

მაგალითად, მე მინდა, რომ ვინც არ უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი, სანამ ის პრეზიდენტია, მას არ ამცირებდნენ. იმიტომ, რომ როდესაც მცირდება პრეზიდენტის ღირსება, მცირდება მოქალაქეც.

ახალმა ხელისუფლებამაც უნდა იკისროს ხელისუფლების როლი და პასუხისმგებლობა და ამ მოდუსში შევიდეს, აქ აღარ უნდა დარჩეს ადგილი ემოციური რევანშიზმისთვის, აქ უნდა იყოს რაციონალური და ასე ვთქვათ, პოლიტიკური ეტიკეტის დაცვით წარმართული მართვა.

მეორე მხრივ, რომ ვიმსჯელოთ დასჯის საზრისზე, რა შეგვიძლია ვთქვათ? დასჯა ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც მომავალში შენს მიზანს განგახორციელებინებს, მაგალითად, იყო დაცული, ან აღადგინო სამართლიანობა. მაგრამ თუ მიზანი დასჯაა, ანუ დაგავიწყდა, რომ ეს მხოლოდ საშუალებაა, ისევ კოგნიტურ შეცდომას დაუშვებ. ესეც ტრავმირებული საზოგადოების თვისებაა და რაც მე თავი მახსოვს, სულ ამ შეცდომას ვუშვებთ. ფაქტობრივად, შურისძიება ეს მიზნის ცნობიერების დაკარგვაა.

ჩვენს საზოგადოებაში, სწორედ მტრის ხატის გამო, რადიკალური დაპირისპირებებია. იმიტომ, რომ როგორც კი ვინმეს ოპონენტად იაზრებ, მაშინვე ხდება მასზე მტრის ხატის პროეცირება და ამბობ, რომ ეს მტერთან ასოცირებული ჯგუფია და აღარ უსმენ, აღარ გაინტერესებს მისი აზრი, ის მტერია და მორჩა.

ტრავმული საზოგადოების კიდევ ერთი ნიშანი იცი, რა არის? აი, როდესაც შენ ამბობ – მე პლუსი ვარ, შენ მინუსი ხარ, ან მე მინუსი ვარ, ის პლუსია. ბერმუდის სამკუთხედთან ერთად, თავის დროზე, ერიკ ბერნმა პიროვნებას და საზოგადოებას ასეთი კონსტრუქციული ჩარჩოც შესთავაზა – მე პლუსი ვარ, შენც პლუსი ხარ! ეს აზროვნება გაძლევს საშუალებას, რომ შეურიგდე, განვითარდე, არ ეძებო ობიექტი, რომელსაც გადააბრალებ შენს პრობლემებს. ეს პლუსი არ ნიშნავს, რომ მე და შენ ძალიან კარგები, ნარცისები ვართ, არამედ ეს ნიშნავს – მე შემიძლია ჩემს პრობლემებს მოვუარო და შენშიც ვხედავ იგივე პოტენციალს. ანუ, ეს სიკეთის, ღირსების და პრობლემების გადაჭრის უნარის აღიარებაა.

ერთ-ერთი მინუსი, რაც ჰქონდა წინა ხელისუფლებას, იყო ის, რომ პოლიტიკური ელიტის ჩაკეტილი წრე შექმნა: ერთი მხრივ, არავის არ ენდობოდნენ, მეორე მხრივ, ძალიან დისტანცირდნენ ხალხისაგან, და რახან არ ენდობი და დისტანციაზე ხარ, გარკვეულწილად დეჰუმანიზებული გყავს მოსახლეობა და კონკრეტული მოქალაქე. სოციალურ ფსიქოლოგიაში არსებობს ასეთი ცნება – აზროვნების გაჯგუფება. როდესაც ჯგუფი ჩაკეტილია, თვითკრიტიკა ეკარგება, არ შეუძლია, კრიტიკულად შეხედოს საკუთარ ქმედებას, სხვის კრიტიკას არ იღებს და ფაქტობრივად, ნებისმიერი იდეა, რაც ჩნდება ჯგუფში, ავტომატურადაა გაზიარებული, მიუხედავად მისი სამართლიანობისა.

იმის გამო, რომ ასეთი დრამატული შეცდომები დაუშვეს, ის, რაც სასარგებლო გააკეთეს, დღეს აღარ ფასდება. იმ მომენტიდან, როდესაც მათ დაიხშეს ყურები, როდესაც უარი თქვეს კრიტიკის მოსმენაზე, ეს იყო, ჩემი აზრით, დასასრულის დასაწყისი.

ერთი მხრივ, მართლაც ძალიან ბევრი რამეა შესაცვლელი მენტალიტეტში, მაგრამ ცვლილებების დროს, თუ შენ გეზიზღება ადამიანები, მაშინ შენ ცვლილებას ვერ ახორციელებ. ბევრ ცვლილებას, რაც წინა ხელისუფლების დროს განხორციელდა, მგონია, რომ ახლა უკუქმედება ექნება იმიტომ, რომ დათრგუნვის გზით განხორციელდა და არა ტრანსფორმაციის გზით.

მაგალითად, სტალინის ძეგლი რომ აიღეს, მე მომწონს, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო ხალხის მონაწილეობით მიღებული, ინფორმირებული გადაწყვეტილება... ამ გუნდს სურდა, ძალიან სწრაფი ცვლილებები განეხორციე-

www.facebook.com/RadioShokoladisIstoriebi

გადაცემა „ცხელი შოკოლადის ისტორიები“
ჟურნალის საუკეთესო საავტორო მასალების რეტროსპექტივაა.

როგორ შეიცვალა დროსთან და გარემოსთან ერთად „ცხელი შოკოლადის“ გმირების ცხოვრება? მოახერხეს თუ ვერა მათ სამყაროს შეცვლა?

„ცხელი შოკოლადის ისტორიები“
დაგანახებთ კონტექსტს, დროსა და სივრცეს ადამიანების პერსპექტივიდან. გადაცემა გაიხსენებს ყველაზე კაშკაშა, საინტერესო ისტორიებს და ხელახლა შეგახვედრებთ მათ გმირებსა და ავტორებს.

ეთერში გასვლის დრო: ***სამშაბათი 18:00***
განმეორებით: ***სამშაბათი 02:30, ოთხშაბათი 13:00, შაბათი 20:00***

ავტორი და წამყვანი - ნინო ჯაფიაშვილი

ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ ავტორი და რედაქტორი. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკის სკოლის ლექტორი. სხვადასხვა დროს იყო ჟურნალ „ლიბერალისა“ და მისი ონლაინ გამოცემის აღმასრულებელი რედაქტორი, წამყვანი სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2ზე“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტერნიუს ნეტვორკის“ ჟურნალისტი და პროდიუსერი.

ცხელი
შოკოლადი
98.5 FM

2 985 985
radio@shokoladi.ge
radio.shokoladi.ge

ლებინა, და იმდენად, რამდენადაც ეს სისწრაფე ტრანსფორმაციაზე არ იყო დაფუძნებული, ავტორიტარული მეთოდებით ახორციელებდა ამ ცვლილებებს. როგორც კი შენ კომპრომისზე მიდიხარ და ფასეულობებს თმობ ცვლილებების დროს, მაშინვე ხდები ავტორიტარი – აი, ეს შეცდომა დაუშვა წინა ხელისუფლებამ. შენ, ხელისუფლება მესია ხომ არა ხარ?! შეიძლება, თადარიგი რომ დაეჭირათ და ტრანსფორმაცია დაეწყოთ, სწრაფი ცვლილებები არ მომხდარიყო, მაგრამ ცვლილებები მდგრადი ყოფილიყო. რეფორმები, რომლებიც ტარდება მოსახლეობის ღირსების ხელყოფით, ფაქტობრივად, დისკრედიტირებულია იმთავითვე. ამგვარად, მათ ერთგვარად დისკრედიტაცია გაუკეთეს დასავლურ კურსსაც და გამოუსწორებელი შეცდომა იქნება, ამის გამო საზოგადოებამაც რომ შეიცვალოს ორიენტაცია.

ჯანა, თქვენ ქართულ საზოგადოებაში პასუხისმგებლობის დეფიციტზე ისაუბრეთ, ესეც საბჭოთა მემკვიდრეობის შედეგია?

საბჭოთა კავშირმა 70 წლის მანძილზე გამოზარდა პასუხისმგებლობისაგან დაცლილი საზოგადოება, არადა პასუხისმგებლობა ადამიანური თავისუფლების აქტია. პასუხისმგებლობა და თავისუფლება არის ყველაზე დიდი ტვირთი, რომლის ღირსეულად ტარებაც ადამიანს ადამიანად აქცევს. თუ შენ არ იტვირთავ შენ წილ პასუხისმგებლობას და თავისუფლების რეალიზებას არ გააკეთებ, ან ნევროზში მიდიხარ, ან სუიციდში, ან ომში. რა თქმა უნდა, ეს არ არის მხოლოდ საბჭოთა ფენომენი, უბრალოდ, საბჭოთა კავშირის დროს ეს იყო კულტივირებული.

რატომ არის ქართულ საზოგადოებაში განსხვავებული ადამიანების შიში და მიუღებლობა? დასავლეთი სიგიჟის ზღვარზე მყოფი არაორდინარული ადამიანების დახმარებით ახერხებს განვითარებას.

მეშინია, რომ პანსაბჭოთა ახსნაში დამადანაშაულებ, მაგრამ საბჭოთა კავშირში გადარჩენისათვის საშიში იყო ყოფილიყავი გამორჩეული, სხვანაირი. ეს იყო პირდაპირი გზა საზოგადოებიდან იზოლაციისკენ. ჩვენ ვილაპარაკეთ კლიშეებზე: „ის, ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენს წინააღმდეგაა“, „სანამ ისინი რამეს გვიზამენ, ჩვენ უნდა ვუქნათ“, და კიდევ ერთი საბჭოთა კლიშეა „იყავი ისეთი, როგორიც ყველა!“ ანუ, თუ გინდოდა გადარჩენა, ისეთი უნდა ყოფილიყავი, როგორიც ყველა. ეს ინერცია ისევ ცოცხალია, განსხვავებულის ძალიან გვეშინია. ჯერ კიდევ ინდუსტრიული აზროვნება გვაქვს, და არა პოსტინდუსტრიული ხედვა – რომ რამდენი ადამიანიც არსებობს, რამდენი სუბიექტიც არის, იმდენი აზრია, იმდენი სინამდვილეა, იმდენი სუბიექტური სიმართლეა, რომ რეალობა სუბიექტურია და არა ობიექტური. ფაქტობრივად, ერთი ეპოქით ჩამოვრჩებით თანამედროვე დასავლურ საზოგადოებას.

საბჭოთა კავშირის დროს შენ მიერ ინფორმაციის გადამუშავება გადარჩენისთვის საშიშად ითვლებოდა. შენ უნდა აგეთვისებინა სხვის მიერ სტრუქტურირებული და მოწოდებული მზა ინფორმაცია. ანუ ინფორმაცია საბჭოთა კავშირის დროს იყო „ready to use product“. ეს არ შეიძლებოდა ყოფლიყო შენი ანალიზი, ეს უნდა ყოფილიყო ready to use, და ვინ იყვნენ „მზარეულები“? მანკიერი პოლიტიკური ელიტა, ანუ „პარტია“ და უშიშროების სამსახური („კაგებე“). საბჭოთა მოდუსიდან ვერ გამოვედით.

დასჯა ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც მომავალში შენს მიზანს განგახორციელებინებს, მაგალითად, იყო დაცული, ან აღადგინო სამართლიანობა. მაგრამ თუ მიზანი დასჯაა, ანუ დაგავიწყდა, რომ ეს მხოლოდ საშუალებაა, ისევ კოგნიტურ შეცდომას დაუშვებ. ესეც ტრავმირებული საზოგადოების თვისებაა და რაც მე თავი მახსოვს, სულ ამ შეცდომას ვუშვებთ.

მესმის, ყველაფერი, რასაც ამბობთ, ლოგიკურია, ხელშესახები, ნათელი, თუმცა საბჭოთა წარსულის მემკვიდრეობის ძალაზე საუბრისას ერთი პრობლემა მაქვს, განა, საკმარისი დრო არ გავიდა იმისთვის, რომ ეს ტრავმები მოშუშებულიყო?

არის ასეთი ცნება – ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის ფენომენი. ის ოჯახური, სათემო, საზოგადოებრივი ნარატივებით გადაეცემა თაობებს. ტრავმები, რომელიც არ გადახარშულა, არ გაანალიზებულა – ქრონიკულად და ავტომატურად, გაუცნობიერებლად გვაბრუნებს წარსულში. მაგალითად, როდესაც აფხაზეთის ამბების მერე, დევნილ ბავშვებში გავრცელდა ტრავმული თამაში „დასაფლავება“ – ბავშვები ჩიტებს, კატებს, თოჯინებს ასაფლავებდნენ და მერე გადაასვენებდნენ ხოლმე. აღმოჩნდა, რომ ეს გადასვენების რიტუალის თამაში, რომელსაც საზარელი ემოციები ახლდა, იყო ის გამოცდილება, რისი მოწმეც ეს ბავშვები გახდნენ – როდესაც დევნილები კოდორის უღელტეხილზე გადმოდიოდნენ, უფროსები მუდმივად საუბრობდნენ აფხაზეთში დარჩენილი მიცვალებულების გადმოსვენებაზე.

ტრავმული გამოცდილების განმეორებადობა თავს იჩენს ხოლმე ფოლკლორშიც. აი, მაგალითად, დევნილთა თემში ახალი „დევნილთა ფოლკლორი“ 90-იან წლებში გაჩნდა, მაშინ, ერთ საღამოზე 3 წლის ბავშვი ვნახე, რომელიც გამოთქმით ამბობდა ლექსს: „დევნილები ვართ, ყველამ იცოდეს, გადმოსული ვართ აფხაზეთიდან, დატანჯულებმა, დაჩაგრულებმა თავი აქ შემოვაფარეთ!“ ანუ ბავშვს, რომელიც აქ დაიბადა, ასეთ პატარა ასაკში, დევნილად და დაჩაგრულად თავის აღქმა, თემის ნარატივებში „შენახული მემკვიდრეობით“ ერგო.

ჰოდა, დადგა დრო, რომ ასეთ საკითხებზე ვიფიქროთ, საჯაროდ ვიმსჯელოთ, გადავხარშოთ. აი, ახლა არის სწორედ ის მომენტი, როდესაც შეგვიძლია გავიაზროთ, როგორ მოხდა, რომ ეს ასე მოხდა და არა – ვინ არის დამნაშავე.

ძალიან ცოტა, ძალიან ცოტა დრო გავიდა სინამდვილეში. რატომ არის 20 წელიწადი ერთი შეხედვით ძალიან ბევრი, და მეორე მხრივ ძალიან ცოტა დრო? იმიტომ, რომ გაანალიზებული არ არის, გაკვეთილები არ გამოგვიტანია, მენტალურად ისევ იქ ვართ – საბჭოთა კავშირში.

Part of the
ProCredit Group

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

შემნახველი ანაბარი

შენს გვერდით საჭირო დროს

*22 22 220 22 22 | www.fb.com/ProCreditBankGeorgia

სტოკჰოლმის ექვსი დღე

ლევან ხერხეულიძე

BERG | C.F.Møller



ინტელექტუალები და საზოგადოება

საუბრობენ გიორგი მაისურაძე და გიგა ზედანია



გიორგი მაისურაძე: გიგა, ორივეს ძალიან ბევრი გვიფიქრია და დაგვიწერია ინტელექტუალების როლზე პოლიტიკურ პროცესში. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ გარკვეული პარადიგმები იცვლება? თუ ავიღებთ, ერთი მხრივ, საბჭოთა პერიოდს, შემდეგ 1990-იან წლებს, ვარდების რევოლუციას და ბოლოს დღევანდელობას, ანუ არჩევნების შემდგომ პერიოდს, ამჩნევ თუ არა გარკვეულ, თვისობრივ ცვლილებებს? მე პირადად, პარადიგმატულ ცვლილებებს მაინც ვერ ვხედავ.

გიგა ზედანია: გიორგი, მინდა, ერთი კონცეფციის მაგვარი აზრი შემოგთავაზო და მაინტერესებს, დამეთანხმები თუ არა. ჩემი აზრით, აქამდე, ანუ დაახლოებით 10 წლის წინ, არსებობდა ძველი ინტელიგენციისა და ახალი ინტელექტუალების დაპირისპირების რაღაც პარადიგმა, ანუ, რეალურად, ეს იყო თაობათა დაპირისპირება. იყო საბჭოთა კავშირში აღზრდილი ხალხი და ხალხი, რომელთაც მართალია, სოციალიზაცია ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში ჰქონდათ გავლილი, მაგრამ მაინც ახალი ეპოქისა და ახალი რეალობისთვის იბრძოდა და არა – ძველის შენარჩუნებისათვის. ჩემი აზრით, დღეს სწორედ თაობათა ასეთი დაპირისპირება გაქრა და გაჩნდა ორი დისკურსი, რომელთაც საკმაოდ განმასხვავებელი ნიშან-თვისებები აქვთ. ერთია კონსერვატიული დისკურსი და მისი მატარებელი ინტელექტუალები, ხოლო მეორეა ლიბერალური დისკურსი და, შესაბამისად, ლიბერალ ინტელექტუალთა ჯგუფები. ეს დისკურსები ერთმანეთისგან მხოლოდ შინაარსით კი არ განსხვავდებიან; განსხვავება არსებობს იმ დისციპლინებს, ტექსტებსა და ფორმებს შორისაც, რომლებითაც ეს ორი ჯგუფი აზროვნებს.

პირველი ჯგუფისათვის პარადიგმატული ფიგურა, რაც არ უნდა უცნაური იყოს იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ამ ჯგუფს ეკუთვნიან, ზვიად გამსახურდიაა. ეს არის ადამიანი, რომლისთვისაც მთავარი გამოცდილება ფილოლოგიაა და მთავარი ტექსტი – „ვეფხისტყაოსანი“, თვითონაც წერს ლექსებს და ცდილობს, ამ ფილოლოგიიდან გადავიდეს პოლიტიკაში. რეალურად, „ვეფხისტყაოსანია“

პარადიგმატული ტექსტი, რომლის გავლითაც ყველაფერი დანარჩენი გაიგება. დღევანდელ კონსერვატორ ინტელექტუალებშიც იგივე გრძელდება, ანუ ისინიც არიან ფილოლოგები, ფილოლოგიაზე კონცენტრირებული ხალხი, ან პოეტები, რომელთაც უყვართ სიტყვა და რომელთა თვალსაწიერიც ლიტერატურულია. იმის ნაცვლად, რომ შეიძინონ რაღაც ახალი თანამედროვე უნარები ან ცოდნა, რაც მათ პოლიტიკაზე მსჯელობას შეაძლებინებს, ისინი ცდილობენ, ყველაფერს თავიანთი ფილოლოგიური თვალსაწიერიდან შეხედონ. ისევ და ისევ ბრუნდება „ვეფხისტყაოსანი“, როგორც პარადიგმატული ტექსტი და მუდმივად არის ლაპარაკი ქაჯებზე, ავთანდილის ანდერძზე და ა.შ. ამას ახლა მცირე ირონიით ვამბობ, მაგრამ რეალურად ესაა ხალხი, რომლისთვისაც, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია რელიგია და რომლებიც ბევრად უფრო კონსერვატიულები არიან საზოგადოებრივი მორალის საკითხებში.

მეორე მხრივ, არიან ლიბერალები – ხალხი, რომელთათვისაც მთავარი დისციპლინარული ჩარჩო სოციალური მეცნიერებაა, თუმცა, რასაკვირველია, არსებობენ გამონაკლისებიც, რომლებიც სხვა დისციპლინებიდან თუ სახელოვნებო სფეროებიდან მოდიან. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია უკვე არსებული კულტურულ-საზოგადოებრივი ფორმების გადასინჯვა, ახლის შექმნა, კონცენტრაცია არა წარსულ კულტურულ იდენტობაზე, არამედ – ინდივიდის თვითგანმსაზღვრელ როლზე; შესაბამისად, ისინი აქცენტს აკეთებენ, მაგალითად, უმცირესობის უფლებებზე. რაც შეეხება, მათ დამოკიდებულებას რელიგიის მიმართ, ისინი ან ძალიან კრიტიკულები არიან, ან მიაჩნიათ, რომ რელიგია მათთვის ძალიან პრივატული და ინტიმური საკითხია. ჩემი აზრით, სწორედ რელიგიისადმი ეს დამოკიდებულება იძლევა იმის შესაძლებლობას, ამ ლიბერალურ ფრთაში მოვიაზროთ როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ინტელექტუალები.

შენ რას იტყოდი, ხედავ ამგვარ დაყოფას?

გიორგი: გამსახურდიას ხსენებას მართლა არ ველოდი, მაგრამ გამახსენდა ზაალ ანდრონიკაშვილის და ჩემი ერთობლივი სტატია, რომელიც 2007 წელს დავწერეთ, სათაურით – „დამოუკიდებლობის ფილოლოგემა“. ამ პუბლიკაციაში გვქონდა სწორედ ასეთი თეზისი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მთელი კონცეფცია ფილოლოგიური კონცეფცია იყო.

აქ ფილოლოგიას უფრო ფართო მნიშვნელობით შეგვიძლია შევხედოთ, არა როგორც დისციპლინას ან ლიტერატურულ ბაზაზე აღმოცენებულ რეფლექსიას, არამედ კონცეფციას, რომელიც მოიცავს მთელს მითო-პოეტურ შრეებს. რეალურად საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება და გამსახურდიას მმართველობა ამ ჩარჩოს არ გასცდენია.

შემდეგ, 1990-იან წლებში იყო საუბარი იმაზე, რომ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად გამოჩნდა ძველი ინტელიგენცია, ანუ ძველი ნომენკლატურული ფიგურები. მათ დაიკავეს მთელი ინტელექტუალური სივრცე და, გარკვეულწილად, აღმოვჩნდით იმგვარ მდგომარეობაში, რომ ეს ინტელექტუალური თუ კულტურული სივრცე არაფერს აღარ წარმოშობდა. შეიქმნა ე.წ. ფრიგიდული მდგომარეობა, სადაც მიმდინარე მოვლენებზე რეფლექსია აღარ ხდებოდა; მთლიანად ამოვარდნილი იყო დროიდან და, ანაქრონიზმის გარდა, არაცოცხალი, სიცოცხლისუუნაროც კი იყო. თუმცა ამის პარალელურად ძალიან საინტერესო მოვლენები იყო ხელოვნებაში, განსაკუთრებით 1990-იანი წლების დასაწყისის სახვით ხელოვნებაში, თანაც სწორედ ომის და გაჭირვების დროს. შემდგომ უფრო უცნაური ტრანსფორმაცია მიმდინარეობს, გაჩნდა სიახლის წყურვილის პირველი იმპულსები – საკმაოდ ზედაპირული და ბოლომდე გაუაზრებელი, მაგრამ, გარკეულწილად, მაინც დადებითად შესაფასებელი. თუმცა, ეს სურვილიც, რომელიც არსებულის და ახლის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენდა, 1990-იანი წლების ბოლოს სულ გაქრა. მის ნაცვლად, გაჩნდა ახალი ტიპის ინტელექტუალური, თუმცა უფრო მეტად – საზოგადოებრივი აქტივიზმი. ვგულისხმობ სამოქალაქო ინსტიტუციების გაჩენას, იგივე თავისუფლების ინსტიტუტს, რომლის ირგვლივაც ხდებოდა ამ ახალი ტიპის ინტელექტუალთა გაერთიანება. 2003 წლის შემდეგ კი, როდესაც სამოქალაქო საზოგადოების პირველი წარმომადგენლები ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ, ამან სწორედ ეს საზოგადოებრივი სივრცე გააქრო, ანუ მისი ჩანაცვლება ახალი საზოგადოებრივი ინსტიტუციებით აღარ მომხდარა. ეს გარკვეულწილად იყო დარტყმა სამოქალაქო საზოგადოებაზე. ამაში ჩვენ ვერავის დავადანაშაულებთ. ამის შემდეგ უცნაური პროცესი იწყება: ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ინტელექტუალური სივრცე ნელ-ნელა ქრება. ანუ ინტელექტუალებიც იძულებულნი გავხდით, გველაპარაკა არაინტელექტუალურ ენაზე. ამ პროცესში ყველაზე მეტად ეს საკითხი მაინტერესებს და მაშფოთებს: რა შესაძლებლობები აქვს ამ სივრცის აღდგენას, ან როგორ უნდა მოხდეს მისი ხელახლა შექმნა; სივრცის, რომელიც ჩაკეტილი, იზოლირებული და მხოლოდ რამდენიმე ადამიანისთვის გასაგები არ იქნება.

როდესაც გერმანიაში და საქართველოში გატარებულ სტუდენტურ ცხოვრებას ერთმანეთს ვადარებ, ვაწყდები ამგვარ პრობლემას: გერმანულ სასწავლებლებში პირველივე კურსზე ყველა მზადაა, არცთუ ისე მარტივი ენით ილაპარაკოს იმიტომ, რომ ეს ტერმინები მათ სკოლიდან ან მედიიდან უკვე იციან; იმიტომ, რომ აქ ტელევიზიებში არსებობს ინტელექტუალური პროგრამები. საქართველოში კი ეს რთული იყო, რადგან არათუ ტერმინები, არამედ არც გარკვეული თემები, რომელთა გაგებაც მეტ გონებრივ ძალისხმევას საჭიროებს, ვიდრე ინფორმაციის მიღება, არც მედიაში და არც თეორიულ ლიტერატურაში არ ჟღერდა. ამ შემთხვევაში, ჩვენც იძულებულნი გავხდით, დაგვეწყო საუბარი ნაკლებად ინტელექტუალურ, უფრო მასმედიის ენაზე, რადგან არცერთ მედიაში არ აღმოჩნდა სივრცე, რომელშიც ინტელექტუალური არტიკულაციის საშუალება იქნებოდა.

გიგა: ძალიან საინტერესოა, რასაც ამბობ. წინა ხელისუფლებას ინტელექტუალები, როგორც ინტელექტუალები, საერთოდ არ აინტერესებდა და ეს იყო უფრო ზოგადი

დამოკიდებულების ნაწილი: თავისი განვითარების ძალიან ადრეულ ეტაპზე ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ მას არ აინტერესებს ელიტა. ინტელექტუალი სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული სახის ლიდერი იდეების წარმოების სფეროში. შესაბამისად, ამ ხელისუფლების იდეა იყო, რომ მათ ჰქონდათ ხალხისგან მიღებული ლეგიტიმაცია, ამიტომ ელიტის გადაბირება – ანუ როგორც პოლიტიკურ მეცნიერებებში ამბობენ, კოოპტაცია – აღარ სჭირდებოდათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ელიტას „თავზე გადაახტებოდნენ“ და ელექტორალურად მაინც ყოველთვის გამარჯვებულებად დარჩებოდნენ.

როგორც უკვე ვთქვი, ეს მიდგომა არ იყო მხოლოდ ინტელექტუალებზე მიმართული, ეს მთელ ელიტას მოიცავდა. რასაკვირველია, იყო შემთხვევები, როდესაც ვიღაცები ფავორიტის როლშიც გამოდიოდნენ, ვიღაცეებიც პრივილეგირებულები იყვნენ, მაგრამ რეალურად ამას არა სისტემური, არამედ პერსონალურ ურთიერთობებზე დამყარებული ხასიათი ჰქონდა და, როგორც გითხარი, პოლიტიკის დონეზე ელიტის გადაბირება არ მომხდარა. ზოგადად, ავტორიტარული მმართველობის ქვეყნების უმეტესობისათვის ელიტის გადაბირება ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა აქაც არსებობენ გამონაკლისები, მაგალითად უგო ჩავესი.

შესაბამისად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამ სტრატეგიამ იმუშავა, მაგრამ ბოლოს – ვეღარ. ხელისუფლების დამარცხების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც აქ სწორედ ეს გახდა – აღმოჩნდა, რომ ელიტის უდიდესი ნაწილი, კონსერვატორებიც და ლიბერალებიც, მის წინააღმდეგ იყვნენ.

მართალია, ინტელექტუალური ელიტა ხმის მიცემის დროს არ წარმოადგენს რაოდენობრივად მნიშვნელოვან ძალას, მაგრამ ისაა იმ იდეების მწარმოებელი ძალა, რომლებიც შემდეგ საზოგადოებაში ცირკულირებს; ის აწარმოებს შეხედულებებს და აღქმის კომპლექსებს. ერთადერთი გამოყენება, რომელსაც ხელისუფლება ელიტას უძებნიდა, ეს იყო საკუთარ რიგებში შეშვება, ანუ წარმოდგენა იყო ასეთი: რახან ჩვენი მთავარი ამოცანა სახელმწიფოს შენებაა, თუ შენ რამეში ვარგიხარ, მოდი და ჩაგაბარებ რაიმე პოსტს. ინტელექტუალი, როგორც ინტელექტუალი, ამ იერარქიას დიდად არ სჭირდებოდა. მოკავშირეების ძებნა საჯარო სივრცესა თუ სამოქალაქო საზოგადოებაში არ ხდებოდა. აღმოჩნდა, რომ ეს არ იყო პრაგმატულად სწორი სტრატეგია იმიტომ, რომ წინა ხელისუფლებამ მთელი საჯარო სფერო დათმო და ეს სივრცე დაუტოვა პოლიტიკურ ოპონენტებს.

მაგრამ მე ასევე გამოვეხმაურები მეორე საკითხს იმის შესახებ, რომ საქართველოში ინტელექტუალებს არ აქვთ თავიანთი ავტონომია. მართლაც, ქართველი ინტელექტუალები ძირითადად რელევანტურები არიან იმ თემების განხილვის გამო, რომელთაც მათ პოლიტიკური ველი სთავაზობს და არა იმ თემების გამო, რომლებსაც ისინი შესთავაზებდნენ მედიასა თუ ფართო საზოგადოებას. ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა, რომელსაც როგორც ადამიანური რესურსების სიმცირე, ასევე საზოგადოების სტრუქტურა განაპირობებს.

ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი: რა არის ინტელექტუალის ამოცანა, ზოგადად, და კონკრეტულად, საქართველოში? ძალიან გავრცელებული პასუხია, რომ ინტელექტუალის ამოცანაა, გააკრიტიკოს ძალაუფლება, რაც თავისთავად მცდარი შეხედულება არ არის, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს მხოლოდ ნაწილობრივი პასუხია. მთავარი, რაც ინტელექტუალებმა უნდა გააკეთონ, რაც არ უნდა ბანალურად ჟღერდეს, აზროვნებაა. მათ უნდა იაზროვნონ! საქართველოს მსგავს ქვეყანაში მათ უნდა შექმნან რაციონალური ანკლავი; ანკლავი არის ტერიტორია, რომელიც მტრული გარემოცვითაა გარშემორტყმული, საქართველოში კი დღეს სწორედ ასეთი მდგომარეობაა – რაციონალობა გარშემორტყმულია მტრული ტერიტორიებით: რელიგიური ფუნდამენტალიზმით და პოლიტიკური კონსპიროლოგიით, რომლებიც საზოგადოებრივ საკითხებზე აზროვნებას ძალიან უშლის ხელს. ამიტომ საქართველოში ინტელექტუალების ამოცანაა, რაციონალობის რაღაც სტანდარტები დაამკვიდრონ.

მე მყავს მეგობრები, რომლებიც ამბობენ, რომ აქცენტი აზროვნებაზე, რაციონალობაზე, არგუმენტაციის აუცილებლობაზე გენდერულად სენსიტიური არ არის, მაგრამ ეს შედავება ბოლომდე სწორი არ მეჩვენება, რადგან მაშინ, როცა ისინი მე ამას მეუბნებიან, ისინი აგრეთვე იყენებენ არგუმენტს. არგუმენტის საწინააღმდეგო არგუმენტი კი უკვე რაციონალობის სფეროა.

ინტელექტუალებს არ შეუძლიათ რეალობა უშუალოდ შეცვალონ. ინტელექტუალობა, გარკვეული აზრით, „სააზროვნო ვირუსების“ გაშვებაა, რომლებიც საზოგადოების სხვა წევრებს „შეეყრებათ“. რეალობის შეცვლაზე პოლიტიკოსები მუშაობენ. თუ ინტელექტუალი პოლიტიკაში არ მიდის და პოლიტიკის ნაწილი არ ხდება, მაშინ ის, რაც მას რჩება, სააზროვნო სამუშაოა, რომელიც მაქსიმალურად მკაცრი და ზუსტი უნდა იყოს.

გიორგი: გიგა, ის რაც შენ ახსენე სახელმწიფოს სურვილზე, რომ თუ გინდა ჩვენთან ერთად ყოფნა, შემოდი სახელმწიფო სტრუქტურებში, ფაქტობრივად, ეს არის ინტელექტუალური ნომენკლატურის შექმნის მცდელობა, რაც, გარდა იმისა, რომ ავტონომიურობას უკარგავს ინტელექტუალს, ინტელექტუალურ სივრცესაც სპობს.

„ნაციონალური მოძრაობის” ხელისუფლებაში ყოფნის დროს, მქონდა განცდა, რომ ხელისუფლებას ერთგვარი ანტიინტელექტუალური აფექტიც კი ჰქონდა, რომელიც ძალიან კარგად შეერწყა მისდამი არც ისე კეთილად განწყობილ საეკლესიო და რელიგიურ ფუნდამენტალისტთა გარემოს. შედეგად, ინტელექტუალებისგან შეიქმნა მტრის სახე, ხოლო ყველაფერი ის, რაც რთულად გასაგები იყო, გამოცხადდა უარყოფითი შინაარსის ელიტიზმად, საზოგადოებისგან განდგომის, გამიჯვნის მცდელობად და ა.შ. ამან, გარკვეულწილად, ინტელექტუალების დისკრედიტაციაც კი მოახდინა ამ პერიოდში.

გიგა: მე არ დაგეთანხმები, გიორგი. არ ვფიქრობ, რომ ეს იყო ანტიინტელექტუალური აფექტი, ეს იყო ანტიელიტური აფექტი. ანუ „ნაციონალური მოძრაობის” მთავარი აქცენტი

გიგა ზედანია:

წინა ხელისუფლებას ინტელექტუალები, როგორც ინტელექტუალები, საერთოდ არ აინტერესებდა. იდეა იყო, რომ გვაქვს ხალხისგან მიღებული ლეგიტიმაცია, ამიტომ ელიტის გადაბირება აღარ სჭირდებოდათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ელიტას „თავზე გადაახტებოდნენ“ და ელექტორალურად მაინც ყოველთვის გამარჯვებულებად დარჩებოდნენ.

იყო ის, რომ ისინი უარს ამბობდნენ ელიტაზე, რაც დაკავშირებული იყო გარკვეულ პოლიტიკურ იდეოლოგიასთან – მოდერნიზატორულ რესპუბლიკანიზმთან, რომლის მთავარი იდეა იყო, რომ აღარ იარსებებდა „ფეოდალური პრივილეგიები“ საზოგადოებაში. ეს პრაგმატული თვალსაზრისით შეცდომა აღმოჩნდა, რადგან საზოგადოებრივი და კულტურული ელიტების უარყოფა პოლიტიკურად ძვირი დაჯდა. ამიტომ არ მგონია, რომ პრობლემა იყო კონკრეტულად ინტელექტუალებთან, ვფიქრობ, რომ პრობლემა იყო ზოგადად ელიტასთან.

გიორგი: პრობლემა იყო იმდენად, რამდენადაც ინტელექტუალში პოტენციურ გამკრიტიკებელს, ერთგვარ სუბვერსიულ ელემენტს ხედავდნენ.

გიგა: შენ იცი, რომ ნაპოლეონი ინტელექტუალებს იდეოლოგებს უწოდებდა. სწორედ იმ დროიდან მოდის ტერმინ იდეოლოგიის უარყოფითი მნიშვნელობა. საქართველში მე ახლა არ მახსენდება მომენტი, როდესაც საქართველოში ინტელექტუალებისთვის ვინმეს ასე შეეხედა. უბრალოდ, იყო რიტორიკა, რომ ზედმეტად პრივილეგირებული ფენა არ გვჭირდება, რადგან ეს საბჭოთა გადმონაშთია. იყო ინტელიგენციისა და ინტელექტუალების შეპირისპირება. ანტიინტელექტუალური აფექტის შემთხვევებს ვერ ვიხსენებ.

გიორგი: ბოლო დღეებია, ვიხსენებ და ვკითხულობ ტექსტებს 2000-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული დღემდე. მაგალითად, რა ხდებოდა, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ; რა პროცესები განვითარდა და როგორ მოხდა ამ ყველაფრის ინტელექტუალური გააზრება დასავლეთში. ამ ტერაქტის შემდეგაც ორად გაიყო ინტელექტუალების საზოგადოება. ერთმა ნაწილმა ღიად დაუჭირა მხარი ბუშის ინტერვენციების პოლიტიკას, რაც სრულიად მოულოდნელი იყო, რადგან ე.წ. მემარცხენე ფრთის ინტელექტუალებიც აღმოჩნდნენ ამ სიაში; ხოლო მეორე მხრივ, ინტელექტუალების ნაწილი მკვეთრად გაემიჯნა და ღია ბრძოლა გამოუცხადა იმ პოლიტიკას, რომელსაც ბუში მიმართავდა. შემდგომში, უკვე 2003 წლიდან მოყოლებული, ბუშის გადაწყვეტილებები დიდი ინტელექტუალური დებატების ნაწილი გახდა და, შესაბამისად, მთელი ის ციკლი, რომელიც იგივე ჯორჯო აგამბენისგან მოდის – ბანაკების, ციხეების და საპყრობილეების თემა და მისი ახლებური გააზრება (რომლის დამუშავებაც ინტელექტუალური წრეებიდან დაიწყო), გადაიქცა ერთგვარ საზოგადოებრივ პროტესტად, საპროტესტო მოძრაობადაც კი. მე ვერ ვიტყვი, რომ ადამიანებს, რომლებიც აკრიტიკებდნენ გუანტანამოს ან აბუგრეივის ამბებს, გაცნობიერებული ჰქონდათ აგამბენის ან ჯუდით ბატლერის ნაშრომები. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ეს იმპულსი, პირველ რიგში, ინტელექტუალებისგან წამოვიდა და მათი პუბლიკაციები თუ საჯარო გამოსვლები გახდა სამოქალაქო პროტესტის მაპროვოცირებელი.

საქართველოში, ბოლო წლებში ინტელექტუალთა ერთი ნაწილი მხარს უჭერდა და ამართლებდა არსებულ სისტემას, მის დამცველად გამოდიოდა, მეორე ნაწილი რადიკალურად ემიჯნებოდა მას. თუმცა ყველას, ვინც ამ სისტემას მხარს უჭერდა, ვერ ვუწოდებ კონფორმისტს. შეიძლება ვიღაც მართლა გულწრფელად უჭერდა მხარს ამ ხელისუფლებას, რადგან უარეს ალტერნატივას ხედავდა, თუნდაც ფუნდამენტალისტური წრეების სახით.

თუმცა, საბოლოო ჯამში, ინტელექტუალების პოზიციებმა მოახდინეს თუ არა ზეგავლენა საზოგადოებრივ პროცესებზე, ამაში ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ.

მეტიც, სექტემბერში აგორებული პროტესტის მონაწილეები იყვნენ ადამიანები, რომელთაც პოლიტიკური მიკუთვნებულობა რომელიმე პარტიის მიმართ საერთოდ არ ჰქონდათ; ისინი სრულიად აპოლიტიკურად აპროტესტებდნენ ძალადობას და სწორედ მაშინ მომეჩვენა, რომ ინტელექტუალთა პოზიცია, ჩვენი პოზიცია, ამ ფონზე ერთგვარად მეორეხარისხოვანიც კი იყო. ინტელექტუალებმა თითქოს დავაგვიანეთ, ყურადღება გაგვემახვილებინა იმ მოვლენებზე, რომლებიც ჩვენთვის ნაკლებად საინტერესო იყო, ანუ ყურადღება გაგვემახვილებინა ძალაუფლების მიკროფიზიკაზე, როგორც ფუკო ეძახდა მას; მაგალითად, იმაზე, თუ როგორ იყო ძალაუფლება მიმართული უკვე „შიშველი სიცოცხლის“ წინააღმდეგ და სადამდე მიდიოდა ეს ყველაფერი. ეს, ალბათ, იმიტომ გამოგვრჩა, რომ ჩვენი, ინტელექტუალების ყურადღება მიმართული იყო მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე და ნაკლებად გავიაზრეთ ის ძირეული პრობლემები, რომლებიც იმ დროს ქართულ საზოგადოებაში არსებობდა.

გიგა: აქ პრობლემა დგას ასე: რამდენად შეიძლება საქართველოში სოციალური მეცნიერება დღეს ისეთი ფორმით არსებობდეს, როგორც დასავლეთშია. ფაქტია, რომ ამას გარკვეული პრობლემები უდგას წინ, ანუ რეალურად არ არსებობს ისეთი კვლევების ჩატარების და ისეთ მასალაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, რაც ქართული რეალობის კვლევაში დაგვეხმარება. ჩვენ ამ მხრივ თითქოს ჯერ კიდევ წინარე-მოდერნულ პერიოდში ვართ, როდესაც ძალაუფლების შესახებ ცოდნა მხოლოდ პირველი ხელის ცოდნა შეიძლება ყოფილიყო. ეს უფრო მაკიაველის და ჰობსის მდგომარეობას ჰგავს, რომლებსაც არ ჰქონდათ

არქივები ან სოციალური მეცნიერების ინსტრუმენტარიუმი იმის გასაანალიზებლად, რაც მათ გარშემო ხდებოდა. და ნაკლებად ჰგავს ფუკოსა და ბურდიოს მდგომარეობას, რომლებიც სწორედ გაშუალებულად, არქივების გავლით უყურებენ სოციალურ რეალობას. საქართველოში ამ მდგომარეობის მიზეზები როგორც მეცნიერების ორგანიზებაში, ისე სოციალური სტრუქტურების სპეციფიკაში უნდა ვეძიოთ, ასე რომ, ბევრი რამის შეცვლა მოგვიწევს, ვიდრე სოციალურ-მეცნიერული კვლევის იმ სიფაქიზეს მივაღწევდეთ, რომელიც ჩვენი სოციალური რეალობის ადეკვატურ ახსნას შეგვაძლებინებს.

გიორგი: იგივე შეიძლება ითქვას რელიგიურ ფუნდამენტალიზმზე, რომლის გაძლიერება იმანაც გამოიწვია, რომ აღარ არსებობდა წინააღმდეგობის გამწევი ინტელექტუალური სივრცე. საბოლოო ჯამში, ის, რასაც ეკლესია საზოგადოებას აწვდის, წარმოადგენს ინტელექტუალიზმის, სულიერების სუროგატს და როდესაც, ზოგადად, მთლიანად ქართული კულტურა აღმოჩნდა ცარიელი, ეს სივრცე მთლიანად დაიკავა ეკლესიამ.

ჩვენ, ინტელექტუალები რაღაცნაირად უძლურნი აღმოვჩნდით, რეალური წინააღმდეგობა გაგვეწია ეკლესიიდან მომავალი ობსკურანტიზმის თუ იმ კულტურულ-ინტელექტუალური სუროგატებისთვის, რომელსაც ეკლესია „სულიერებას“ უწოდებს. გარკვეულწილად, ისე მოხდა, რომ ჩვენ ახალგაზრდებისგანაც გავუცხოვდით, თითქოს, დავკარგეთ წინააღმდეგობის ენა და უნარი. მე არ ვგულისხმობ იმას, რომ ინტელექტუალი მასების მოძღვარი უნდა გახდეს და მასებს წინ გაუძღვეს, – ეს ნამდვილად არ შედის მის მოვალეობებში; მაგრამ შეიძლებოდა ალტერნატიული წერტილების, ალტერნატიული ცენტრების შექმნა. ძალიან მენიშნა, როდესაც შალვა რამიშვილმა თავის გადაცემაში „მენტალური უმცირესობა“ ახსენა და მასში მან იმ კატეგორიის ადამიანები გააერთიანა, რომლებიც მეინსტრიმს არ მიეკუთვნებიან. ეს მე გარკვეულწილად ჩემს თავზეც მივიღე, იმიტომ, რომ მეც მივეკუთვნები ამ წრეს ისევე, როგორც ყველა ინტელექტუალი, რომელსაც კრიტიკული დამოკიდებულება აქვს არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის, პოლიტიკური გაერთიანების მიმართ, არამედ ზოგადად, მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესების ან დამკვიდრებული და დაკანონებული ღირებულებების მიმართაც.

თავისთავად, ეს ტერმინი არის დისკრიმინირებადი, ანუ რიტორიკა ასეთია: მეინსტრიმი გადაწყვეტს და მიუჩენს ადგილს ინტელექტუალებს. ამაში მე გარკვეულ სახიფათო ლოგიკას ვხედავ იმიტომ, რომ ჩემთვის ეს იგივე ლოგიკაა, რითაც მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში პროფაშისტური ორიენტაციის იდეოლოგიები ხელმძღვანელობდნენ: რომ მასებმა, უმრავლესობამ უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი და თავისი ადგილი მიუჩინოს მარგინალ ინტელექტუალებს, რომლებიც თავიანთი აზრის თავს მოხვევას ცდილობენ. ეს ძალიან სახიფათო სიმპტომი მგონია, მაგრამ, ამავე დროს, სიმპტომატურიც იმდენად, რამდენადაც ინტელექტუალებმა ვერ შეძლეს არათუ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა, არამედ თუნდაც მცირე რადიუსის სააზროვნო წერტილებიც ვერ გააჩინეს საზოგადოებაში.

ხელისუფლების და პოლიტიკოსების მხრიდან ამგვარი სტატისტიკური მიდგომა ინტელექტუალებისადმი, როცა მათ თითებზე ჩამოსათვლელი ინტელექტუალი ჰყავთ, მასები კი მას უპირისპირდებიან, რა თქმა უნდა, უშვებენ ტიპურ შეცდომას; რადგან, თავისთავად, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ინტელექტუალს აქვს გარკვეული გავლენა თუნდაც მცირე რაოდენობის ადამიანებზე, მაგრამ სწორედ ეს ადამიანები ქმნიან საზოგადოებრივ აზრს.

ახლაც, როდესაც ახალი მთავრობის დაკომპლექტება მიდის, ეს არაერთხელ გაჟღერდა. ვნახე კულტურის მინისტრობის კანდიდატთან შეხვედრის ჩანაწერი და იქაც გაჩნდა ეს თემა, რომ ხალხმა კი არ უნდა გადაწყვიტოს, აშენდება თუ არა ბაგრატის ტაძარი, არამედ ეს ექსპერტების გადასაწყვეტია. ეს არ არის სფერო, რომელიც ექვემდებარება საჯარო გადაწყვეტილებებს. მეორე მომენტი ამ პოლიტიკური ინსტიტუციების მხრიდან საზოგადოების უმრავლესობის ინდოქტრინაციაა და ამ შემთხვევაშიც ინტელექტუალები ვერ აღმოვჩნდით მოწოდების ისეთ სიმაღლეზე, რომ წინააღმდეგობა გაგვეწია ამ ინდოქტრინაციული პროცესებისათვის. ვფიქრობ, რომ თუ არ გავაჩენთ ინტელექტუალურ სივრცეს, რომელშიც ინტელექტუალობას მიმზიდველი სახე ექნება, მაშინ ვდგავართ კულტურული იდენტობის დაკარგვის საფრთხის წინაშე. მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ საქართველოში კულტურული დეგრადაციის პროცესი უკვე დიდი ხანია, დაწყებულია. თუ ეს გაღრმავდება, საქართველოს, როგორც კულტურული ნაციის თვითიდენტობას, ყოველგვარი საფუძველი გამოეცლება.

ბოლო პერიოდში, როცა თბილისში ვიყავი, დავრწმუნდი, რომ ახალ თაობაში რადიკალური ცვლილებების ძალიან დიდი სურვილი და ინტერესია. მათ სხვა ცოდნის მიღება სურთ, მობეზრდათ ინდოქტრინირებული და მკვდარი პროპაგანდისტული კულტურა, რომელიც წლების განმავლობაში დომინანტური იყო ქართულ საზოგადოებაში. მე ძალიან ბევრს ვფიქრობ იმაზე, რომ უნდა გაჩნდეს მედიასივრცეში ადგილი ინტელექტუალური თემებისათვის. ასეთი სივრცე დღეს აღარ არსებობს, შეუძლებელიცაა მაღალი ხარისხის ესეს გამოქვეყნება და იძულებულები ვართ, ინტერნეტ-საიტებზე ელექტრონული ვერსიით გავავრცელოთ ჩვენი მოსაზრებები, რაც კიდევ უფრო მეტად ასუსტებს თუნდაც ინტელექტუალების აქტიურობის სურვილს. მედიის მესვეურთა არგუმენტები, რომ ჩვენი საზოგადოება არაა ამისათვის მზად ან ინტელექტუალობა ფუფუნებაა – კლავს კულტურას და აპრიმიტიულებს აზროვნებას. შენ რას ფიქრობ ამაზე?

გიგა: რამდენიმე საკითხი გამოჰყავი, რომელთაც მინდა, გამოვეხმაურო. პირველი, ეს არის რელიგიურობის აღორძინება საქართველოში. მართალია, ჩვენ არ გავაკეთეთ საკმარისი იმისთვის, რომ ეს საკითხი ადეკვატურად გაგვეაზრებინა, მაგრამ ხაზი უნდა გავუსვათ ამ ყველაფრის ობიექტურ მიზეზსაც: ძალიან რთულია მოდერნიზაცია მოახდინო ეპოქაში, რომელსაც პოსტმოდერნულს უწოდებენ

ავერსის მეოთხე ბარათის გათამაშების გამარჯვებულები გამოვლინდნენ

"ავერსის" მესამე გრანდიოზული გათამაშება 14 ნოემბერს ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის პირდაპირი ეთერით გადაიცა. წამახალისებელი ლატარია კომპანია "ავერსის" 18 წლის იუბილეზე შედგა. გამარჯვებულები გამოვლინდნენ – გათამაშდა 10-ჯერ 10 ათასი ლარი და მთავარი პრიზი – 20 ათასი ლარი!

როგორც "ავერსის" რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ლალი ბრეგვაძემ აღნიშნა, "ავერსის" საჩუქრებიანი ქსელის დაგროვებითი "მტრედი ბარათი" უკვე 5 წლის გახლავთ. გარდა იმისა, რომ ბარათზე დაგროვილი თანხით მომხმარებელს სასაჩუქრე კატალოგიდან სასურველი პრიზის არჩევა შეუძლია, მას 2009 წლიდან ყოველწლიურად საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს წამახალისებელ გათამაშებაში.

– "პირველ ორ გათამაშებაში ერთგული მომხმარებლისთვის მართლაც საოცნებო პრიზები გვქონდა მომზადებული, თუმცა გამოკითხვების შედეგად დავადგინეთ, რომ ფულადი საჩუქრები მომხმარებლისთვის ყველაზე მეტად სასურველი გახლდათ. ამიტომ, გადავწყვიტეთ წლევანდელ გათამაშებაში საჩუქრად მხოლოდ ფულადი თანხა დაგვეწესებინა. ამ მიდგომამ მართლაც გაამართლა და საზოგადოების მხრიდან აქტიურობა კიდევ უფრო მეტი იყო, ვიდრე წინა გათამაშებების დროს – ვულოცავ გამარჯვებულებს და ვუსურვებ ყოველთვის ასეთი იღბლიანები ყოფილიყვნენ".

მთავარი პრიზის – 20 ათასი ლარის მფლობელი 58 წლის ქალბატონი ვარდიკო ჟამერაშვილი გახლავთ. ის დიდი ოჯახის დიასახლისია: შვიდი შვილის – დედა და 9 შვილიშვილის – ბებია, როგორც თავად ქალბატონმა ვარდიკომ გვითხრა, მეათე შვილიშვილს მარტის თვეში ელოდებიან.

– მე და ჩემს ვაჟს 30-მდე ბილეთი გვქონდა და, ალბათ, მართლაც არსებობს რაღაც წინათგრძნობის მაგვარი... თითქოს ველოდი ამ გამარჯვებას. აფორიაქებული ვიყავი, მთელი გათამაშების განმავლობაში ფეხზე ვიდექი და ველოდი, როდის ამოიღებდნენ ჩემს ბილეთს. 20 ათასის მფლობელის ვინაობა რომ უნდა გამოეცხადებინათ ძალა აღარ მეყო და დავჯექი... ტელეფონმა რომ დარეკა, მეგონა ხმას ვეღარ ამოვიღებდი, თუმცა, გადავლახე ეს ემოცია და ძალიან გახარებული ვარ. "ავერსის" ერთგული მომხმარებელი ვარ. პირველად რომ შევედი ამ კომპანიის აფთიაქში, ძალიან კარგად მიმიღეს, საუკეთესოდ მომემსახურნენ და, მას შემდეგ, სულ ამ აფთიაქში შევდივარ.

– თუ საიდუმლო არ არის, მოგებული თანხა როგორ უნდა დახარჯოთ?

– ქარელის რაიონში დიდი სახლი გვქონდა და 2008 წელს დაგვიწვეს, როგორც ბევრ ჩვენნაირს... მას შემდეგ, სოფელში ვერ ჩავდივართ – იქ ლამის გასათევი აღარ გვაქვს. სულ ვამბობდი: იქნებ ღმერთმა ხელი მოგვიმართოს, პატარა სახლი მაინც ჩავდგათ მეთქი და მართლა დიდი სიურპრიზი გამოგვივიდა. ღმერთმა სულ ჩემსავით გახარებული გამყოფოთ".

ნორა ქათამაძე ქუთაისის მკვიდრია. ისიც დიდი ოჯახის დიასახლისია. სამი შვილი და სამი შვილიშვილი ჰყავს. მან გათამაშებისთვის 20 ბილეთი მოაგროვა, თუმცა, გამარჯვებას მაინც არ მოელოდა.

– ენით აუწერელი სიხარული გვქონდა ოჯახში, როდესაც "ავერსის" გათამაშებიდან დაგვიკავშირდნენ. საერთოდ, ამ კომპანიას ძალიან დიდ პატივს ვცემ. მომწონს მომსახურებაც.

ხათუნა კვირკველია 40 ბილეთით იღებდა გათამაშებაში მონაწილეობას. მან ეს ბილეთები მტრედი ბარათზე დაგროვილი ქულების სანაცვლოდ მიიღო. ხათუნა 43 წლის გახლავთ, ორი შვილის დედაა და როგორც თავად გვითხრა, არ ელოდა, რომ გაუმართლებდა:

– არ მოველოდი გამარჯვებას, რადგან ცხოვრებაში არაფერი მომიგია, რამოდენიმეჯერ ვცადე ბედი – ხან ლატარია ვითამაშე, ხანაც ლოტო, მაგრამ არასოდეს მიმართლებდა. არც ახლა მქონდა იმედი, მაგრამ მართლა სასწაული მოხდა. ძალიან გახარებულები ვართ და დიდი მადლობა ასეთი შესანიშნავი პრიზისთვის.

კიდევ ერთი 10 ათასი ლარის მფლობელი მარინა მახარაძეა:

– მტრედი ბარათი დიდი ხანია მაქვს და ხშირად ვსარგებლობ ავერსის აფთიაქის მომსახურებით. ამჯერად 15 ბილეთი მქონდა, თუმცა გათამაშების რიცხვი არ მახსოვდა, ამასთანავე, სტუმრები მყავდა და, რატომღაც, ტელევიზორიც კი არ გვქონდა ჩართული. უდიდესი სიხარული იყო, ტელეფონს რომ ვუპასუხე და გამარჯვებული აღმოვჩნდი. მადლობელი ვარ ამ სიურპრიზისთვის და გისურვებთ, თქვენც განგეცადოთ ასეთი სიხარული"...

"ავერსის" რიგით მესამე წამახალისებელ გათამაშებაში ხმოლოდ ფულადი პრიზები გათამაშდა, თუმცა მანამდე კომპანიამ კიდევ ბევრი ადამიანი გაახარა არაჩვეულებრივი საჩუქრებით:
იყავით "ავერსის" აფთიაქების ერთგული მომხმარებელი, დააგროვეთ მტრედი ბარათზე თანხა და გახდით უამრავი პრიზის მფლობელი.

ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

WWW.AVERSI.GE

დავით აღმაშენებლის 148/2

☎ 2-967 227

გიორგი მაისურაძე:

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ორივე მხარემ თავი დადასტურებულად იგრძნეს. ახლა ორივე ერთმანეთს უმტკიცებს – მე გავიმარჯვე და ჩემი დრო დადგა. მშვიდი ცხოვრება საქართველოში დამთავრდა იმ თვალსაზრისით, რომ დღეიდან მოყოლებული, საქართველოში ამ ორ ძალას შორის მუდმივი დაპირისპირება იარსებებს.

და ძალიან რთულია ამ პროცესების ადეკვატური სააზროვნო მოდელების მონახვა. მე, მაგალითად, ხშირად მიჭირს, ავუხსნა ჩემს უცხოელ კოლეგებს, რა ხდება რელიგიურობის კუთხით ჩვენს საზოგადოებაში – არა იმიტომ, რომ მათ იციან, რა ხდება საქართველოში, არამედ იმიტომ, რომ დარწმუნებულნი არიან, რომ ამგვარი რელიგიური ფუნდამენტალიზმი საქართველოს მსგავს ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს.

გეთანხმები, რომ ჩვენ არ აღმოვჩნდით საკმარისად კრეატიულები იმისთვის, რომ ახალი მოდელები შეგვემუშავებინა ამის ასახსნელად. გადმოღებული მოდელებით ამ პროცესების ანალიზი და დიაგნოზის დასმა კი ვერ მოხერხდა. თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, რომ ამაზე პასუხი არსებობს და ჩვენ ის უბრალოდ ვერ მოვნახეთ. არა. ჩვენ თვითონვე უნდა შეგვექმნა პასუხი და ის ჯერჯერობით ვერ შევქმენით.

რაც შეეხება მენტალური უმცირესობების პრობლემას, რასაკვირველია, ეს საფრთხე არსებობს. თუ წინა ხელისუფლება რაღაცნაირად დაკავშირებული იყო ლიბერალურ დისკურსთან (თუმცა ხშირად ეს დისკურსი თუ რიტორიკა პრაქტიკაში უგულებელყოფილი იყო), ვფიქრობ, რომ უახლოეს პერიოდში დომინანტური დისკურსი მაინც კონსერვატორული იქნება – შეიძლება საფრთხის მომტანი, აგრესიული, ქსენოფობიური, შეიძლება – უფრო ცივილური და ევროპული ყაიდის, მაგრამ ფაქტია, რომ – კონსერვატული. არაა გამორიცხული, რომ ჩემი პროგნოზი მცდარი აღმოჩნდეს, მაგრამ მომავალი ერთი წლის განმავლობაში ნამდვილად გვეცოდინება, ასეა თუ არა.

გეთანხმები იმაშიც, რომ აუცილებელია, არსებობდეს ალტერნატიული წერტილები, ანუ მე რასაც რაციონალობის ანკლავები ვუწოდე. მედიასივრცეში იქნება ეს, საუნივერსიტეტო გარემოში თუ სხვაგან, ფაქტია, რომ ამაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ჩვენთვის უბრალოდ არ არსებობს. მთავარი ის კი არ არის, რა პოზიციებზე ვდგავართ, მთავარი ის არის, რომ ამ პოზიციების არგუმენტირება თავისუფლად შეიძლებოდეს და ეს მხოლოდ ამ რაციონალობის სივრცეების პირობებშია შესაძლებელი.

გიორგი: ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ორივე მხარემ, ლიბერალურმა დისკურსმაც და კონსერვატულმა თუ ულტრაკონსერვატორულმა დისკურსმაც თავი დადასტურებულად იგრძნეს. ახლა ორივე ერთმანეთს უმტკიცებს – მე გავიმარჯვე და ჩემი დრო დადგა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მშვიდი ცხოვრება საქართველოში დამთავრდა იმ თვალსაზრისით, რომ დღეიდან მოყოლებული, საქართველოში ამ ორ ძალას შორის მუდმივი დაპირისპირება იარსებებს და არცერთი მხარე – იქნება ეს ხელისუფლება თუ მისი ოპოზიცია, აღარ შეითავსებს მედიატორის, გამშველებლის ფუნქციას. თუ გავიხსენებთ ფუკოს აზრს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება ჰგავს სამოქალაქო ომს, დღეიდან, გარკვეულწილად, სწორედ „სამოქალაქო ომის“ პერიოდში გადავდივართ, რომლის დასრულებასაც ჩვენ ალბათ ვერ მოვესწრებით. ყოველთვის იქნება ძალიან ძლიერი ობსკურანტული თუ ულტრაკონსერვატორული ძალები და პარალელურად, იარსებებს შედარებით მემარცხენე, ინტელექტუალურ, საზოგადოებრივ აქტივობაზე დაფუძნებული ლიბერალური ძალები. მთელი შემდგომი პერიოდი წარმომიდგენია როგორც გაუთავებელი კონფრონტაცია და ანტაგონიზმი. თუკი აქამდე ინტელექტუალები გარკვეულ კომფორტსაც კი განიცდიდნენ, რომ მათ ისედაც არაფერს ეკითხებოდნენ და მხოლოდ „ფეისბუქური“ და სალონური კრიტიკით კმაყოფილდებოდნენ, დღეიდან ამის თავისუფლება და ფუფუნება აღარ გვექნება. თუ ჩვენვე არ ვიაქტიურეთ, „ასავალ-დასავალი“, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ თუ სხვა ობსკურანტული ძალები სიმშვიდის უფლებას არ მოგვცემენ. არც მესამე გამშველებელი ძალა აღარ იქნება.

მომწონს კიდეც ასეთი მდგომარეობა, გრამშისეული მოდელით რომ შევხედოთ, რომ ყოველთვის არსებობს ჰეგემონიური ძალები, ისევე როგორც ყველა სოციალურ ფენას თავისი ინტელიგენცია ჰყავს და ჭიდილი მათ შორისაა. ამ სურათში სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებული ინტელიგენციის ინსტიტუტი აღარ არსებობს. ამ ფორმამ უკვე ყველანაირად ამოწურა თავი და რამდენი მწერალი, ხელოვანი ან კინორეჟისორიც არ უნდა იყოს დეპუტატი, ეს უკვე ვეღარაფერს შეცვლის. ვფიქრობ, რომ რეალური ბრძოლა ახლა იწყება.

გიგა: მე მხოლოდ იმას დავამატებ, რომ იმედი მაქვს, ეს სამოქალაქო ომი მხოლოდ მეტაფორული იქნება და არა – რეალური. მოვლენების წინასწარ შეფასება ახლა ნამდვილად რთულია, ურთიერთსაწინააღმდეგო სიმპტომები ჩანს და წინასწარმეტყველება ძალიან გამიჭირდება. თუმცა დაგეთანხმები იმაში, რომ კონსერვატორული და ლიბერალური დისკურსების დაპირისპირებას ბევრად უფრო ინტენსიური და ფართო ხასიათი ექნება, ვიდრე ეს იყო აქამდე.

დააგროვე უსაფრთხოდ
და მიიღე სარგებელი

ბანკი
კონსტანტა

ანაბარი

SINCE 1884

SARAJISHVILI

სარაჯიშვილი

ცხელი გოჯოლაღი

ლიტერატურა

საავტორო
მამისეული სასრული
აკა მორჩილაძე

მოთხრობა
გლადიატორი
ზურაბ ლეჟავა

პოეზია
თორნიკე ჭელიძე

მამისეული სასროლი

აკა მორჩილაძე

1 – ისე

ამ ბოლო დროს ძალიანაც მივეჩვიე მოუწესრიგებლად წერას. ნაწერს რომ შეშის ნაპობივით იერი ჰქონდეს, ისე. შეიძლება ითქვას, მომეწონა კიდეც. სულ აღარ მენაღვლება, რას ემსგავსება ნაწერი: მოთხრობას, ნაირგვარ მოგონილობებს, ვითომ განსჯებს, თუ კიდევ რაღაცა სხვას.

აზრები და შიგ ჩაქსოვილობები დიდად არც მანამდე მეხერხებოდა. თუ რამეს ამოიკითხავდა ვინმე, ჩემს დაწერილში, ისიც თავისთავად გამოსული თუ იყო, რახან ამბის მოყოლა თუ სწორად მიმდინარეობს, იქედან რამე, ერთი ბეწო მაინც საფიქრალი უეჭველად გამოდნება. ბოლოსდაბოლოს, სადმე მაინც წაიყვანს ადამიანის ფიქრებს და ნაცნობ, ან ნაწერს მიმსგავსებულ სურათებს გადაუშლის თვალწინ, რაც უმეტეს წამკითხველ ადამიანს მოსწონს ხოლმე – აგე, მეც ასეთი გადამხდენიაო, ან მეც მიგრძვნია ასეო.

მოკლედ, როგორც არის. მეტის ლაპარაკი ამაზე არ ღირს, ამბების წერას ფერი ეკარგება, თუ ბევრს მოჰყვები იმის შესახებ, თუ როგორ გეწერინება.

თავსგადახდენილი რამეების წერა დიდი წვალება ჩანს. რასაკვირველია, მოსაწყენობის გამო. საქმე, არგადახდენილების ან თითქოსგადახდენილების მოთხრობაა, ანდა ვითომგადახდენილების, ან თითქმისგადახდენილების, ან გადახდენილს მიმგვანებულების და გადასხვაფერებულების. თორემ, რომელი ჯეიმს კუკები და სინდბად ზღვაოსნები, კალიოსტროები და სხვა იტალიელები დღეს ვართ, ან ვის რაღა უკვირს. არავის არაფერი. დიდი-დიდი, ისეთი რამე დარჩეს გასაკვირველი, რომ ვთქვათ ინდოეთმა რაგბიში მოუგოს ახალ ზელანდიას. სხვა რამ, ტრაგედიები და უბედურებანი, დღევანდელ მსოფლიოში გასაკვირად აღარავის უჩანს. მიჩვეული ამბავია.

ამბობენ ხოლმე, ადრე რა სიმხეცე იყოო, აი, ლონდონში, ტაიბერნზე განთქმულ გალოუებზე ახრჩობდნენ ხალხს და იქავე ტოვებდნენ ყველას დასანახად და სახმობადო.

ახლა სულ აღარ არის სიკვდილით დასჯა. უფრო სწორად, სხვანაირი სიკვდილით დასჯებია: გამოვარდება რაკეტა და დაეცემა სახლს, მოარბენინებენ იქედან დაჭრილ და მომაკვდავ ბავშვს, სისხლში მოთხვრილს, წვეთოვანიც გვერდზე მოკონწიალებს და ამას კი შენ, ადრიან დილით, სამსახურში წასვლამდე, ტელევიზორში უყურებ, თანაც ყავასა სვამ და კრუასანშიც კარგად გამოუსვამ რამე დილის სასარგებლო საჭმელს. თან ჭამ და თან უყურებ, მერე კიდევ, წახვალ სამსახურში.

რაც ტელევიზორში ნახე, იგივეა, რაც ვიიონის ჩამოხრჩობილთა ბალადიდან გამოვარდნილი გოდება, სხვაობა იმაში თუ იქნება, რომ ტელევიზორი ყველაფერს კი აჩვენებს, მაგრამ მაინც მიმალვაში ეხმარება სისასტიკეს. სიშორეს აჩენს და შორს მყოფისთვის ყველაფერი

AHMAD TEA
LONDON
English Breakfast
Earl Grey Tea

იოლია, ფეხბურთის ცქერისას უფრო ინერვიულებს ადამიანი, ვიდრე ნაირგვარ კონტინენტზე ატეხილ ჟლეტვათა დროს საუზმობისას.

ამ დროს, სხვაგან არაფერი ხდება. კი, ხდებოდა ოდესღაც, მაგრამ აღარ ხდება. ქალი და კაცი კი დუმან წვიმიან დღეს, მაგიდის სხვადასხვა მხარეს მსხდომნი. არ უყურებენ წვიმიან ფანჯარას და მხოლოდ ტოსტერიდან ამომხტარი პურის ნაჭრების ხმა აფხიზლებთ. მგონი, ფიქრობენ ლაბადაზე, კიბეზე, რომელიც უნდა ჩაირბინონ, მეტროდან გამოყოლილ დაგრაგნილ გაზეთზე, რომელსაც თავზე დაიფარებენ, რადგან ქოლგა დარჩათ, სველ წვიმაში ჩინური სასადილოდან გამოვარდნილ ოხშივარზე, შეუვსებელ სიდოკუზე, ვიტრინიდან დამახსოვრებულ მანეკენზე, მეზობლის ბაღიდან გადმოშვერილ გამხმარ ტოტზე, ახალ აიფონზე, თუ აიპედზე, თუ კიდევ სხვა აიზე და ყველაფერ იმაზე, რაც მალე გავიწყდება და მალევე გახსენდება.

ამბები კი ხდებოდა. არაერთ ძიაკაცს უთქვამს ჩემთვის, სულ ნაირგვარ, უშველებელ, თუ პატარა ქალაქებში, რომ რამეები ხდებოდა. ერთმა სრულიად საოცარი ამბავიც კი მიამბო ბრაზილიაში თავს გადახდენილ ხიფათზე, იმაზე, თუ როგორ მოხვდა ბრაზილიელ ირლანდიელთა შორის, როგორ შეუყვარდა გოგო და როგორ გამოიპარა მასთან ერთად, როგორ ასწავლიდა ამ გოგოს ინგლისურს და როგორ გაჰქონდა თავი პარვით რიოში ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ.

2 – ომის შემდეგ

მე კიდევ, ერთ ჩვენებურ ზღვისპირა ქალაქში მომხდარი ერთი ამბავი გამახსენდა. მგონი, იმიტომაც, რომ დეკემბერი მოვიდა და დამიმახსოვრებია ზღვა დეკემბერში, იმაზე უიმედო კი ძნელად რომ რამე მინახავს ბუნების სურათებიდან. იმ ზღვას ზედ ეწერა, რომ სიკვდილის მეტს არაფერს ნიშნავდა. მე ეგრე წავიკითხე და, რა ვიცი.

ისეთი ამბავი კი, მე რომ გამახსენდა, ყველგან და ყოველთვის იშვიათია. იშვიათია, მაგრამ ეგ ხომ იმას ნიშნავს, რომ ხდება ხოლმე. თუმცა, ისეთი თეატრალობით, როგორც ზღვისპირა ქალაქში მოხდა, მე არ გამიგონია. ცხოვრებაში მომხდარი ტრაგედიები, თეატრისას არ ჰგავს ხოლმე, ეს კი ჰგავს.

ის იყო ომის შემდგომი დრო. სულ სხვანაირი, ისეთი, რომლის შესახებაც ბევრი არაფერი ვიცით და არც ვინმე ჰყვება დიდად. რუსულ ფილმებში არის ხოლმე რაღაცები ამ დროის შესახებ, თავისებურად, რაღაცნაირად. ჩვენებურში კი არ მახსოვს.

ოღონდაც, ის დრო არ იყო მხოლოდ ქურდებისა და მილიციელების ბრძოლისა, როგორც ეს მოხდენილადაა მოთხრობილი იმ რუსულ სათავგადასავლო ფილმებში, არამედ ათასი სხვა რამისაც, რისი მოყოლაც ახლა ცოტა ძნელია. კი იყო ის დროება ამხ. სტალინის მართვა-გამგებლობის ბოლო წლები, მაგრამ დიდი წესრიგისა ნამდვილად ვერ იყო.

უცნაურია, მაგრამ მაშინ ასე იყო, რომ სრულიად განსაკუთრებული წესრიგი უნდა ყოფილიყო მოსკოვში. სანიმუშო წესრიგი. ასმეერთე კილომეტრის ამბავიც ხომ ეს იყო, – ნასამართლევ კაცს მოსკოვთან ას კილომეტრზე ახლოს მისვლა არ შეეძლო.

ის იყო დროება ომის შემდგომი რაღაცნაირი აშვებულობისა, სპეკულიანტობისა და ბაცაცობა-ბანდიტიზმისა. ოღონდაც, შიმშილის ფონზე. წამყვანი კი არ იყო ბანდიტობის სული, არამედ სურვილი საკვების მოპოვებისა. ერთ დროს მიამბობდა ჩვენი ძველი მეზობელი, ცხონებული ისაკო, 1945 წლის 30 აპრილს აფიცერი ვცემე და ამის გამო თბილისში ომის დამთავრებიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ დავბრუნდიო. ჩამოსვლის დღესვე ბიჭებმა სინაგოგასთან პატივი მცეს, საკოსტუმეს საყიდელი ტალონი მომცეს და ეგრევე ალექსანდროვის ბაღში ავედი, რომ გამეყიდა და ორი კაპიკი ამეღო ნაშტრაფბატარს და ეგრე დაგვიანებით ომიდან დაბრუნებულსო. სანამ გავყიდე, დამიჭირეს, მომცეს შვიდი წე-

გალერეა

თამარ მაღლაფერიძე
„მელანინი“, ტილო, ზეთი, 130X100

FM
ჩანაბი
98.0

ლიწადი და გამისტუმრეს ლაგერშიო.

აი, ასეთი ცხოვრება იყო. უფრო დამწველი მაგალითებიც ვიცი, უბრალოდ, ჩვენი ძველი ისაკო გამახსენდა. დიდ, საოცარ, ნაომარ ხალხს ვხვდებოდი ყოველთვის. არ ვიცი, ეგ როგორ გამოდიოდა. მედალი ბევრი არ ეტყობოდათ მკერდზე. ბედი კიდევ ისეთი ჰქონდათ, ეხლაც მაჟრჟოლებს.

ეს იყო ასევე დრო, როცა ომმა რაღაც სხვა ამბავი მოიტანა. გულახდილობა რომ შეძლებოდათ, სტალინელები ამას ალბათ აშვებულობას დაარქმევდნენ. სიღატაკესთან ერთად, ამ აშვებულობას გვარიანი ნაზავი გამოუდიოდა. გასაგები აშვებულობა იყო: მოგებული ომი, ამდენი მობრუნებული ტყვიის მცოდნე და სიკვდილთან შერიგებული კაცი, ამდენი საიდანღაც გამომძვრალი, ომის დროს მიმალული კაცი, ამდენი ყმაწვილი, ლუკმაპურზე გამეცადინებული, გაჭირვების დამძლევ დედებთან ერთად იმ ომის წლებში, და დანები რომ გამოვტოვოთ, ამდენი რევოლვერი თუ პისტოლეტი, ქვეყანას რომ მოსდებოდა ომის შემდეგ. ან საიდან გამოძვრა ამდენი პისტოლეტი და რევოლვერი. ფრონტებიდან ნაზიდი, თუ სადღაც ნაყიდი, თუ ნაშოვნი, თუ როგორი აღარ.

ე მაგ რევოლვერები სულ სხვადასხვა წარმომავლობისა იყო, ყველა კი არ გახლდათ ფრონტზე ნაშოვნი, ანაც ნაპარვი, ან ნაყიდი.

იყო იმათში ბევრი ჯილდოდ მიღებული, წარწერიანი, ვარაყიანი და ათასნაირი.

ლამის ყველა მეტ-ნაკლებად თანამდებობის მოხელეს, ნაომარს, თუ ჯავშნით ზურგში მომუშავეს შინა ჰქონდა ომის დროს მიღებული სახელმწიფო იარაღი და ეგეც რომ არ იყოს, რამდენი საოჯახო, ან დაურეგისტრირებელი რევოლვერი ან პისტოლეტი იდო უჯრებში? – უთვალავი.

მთიან ადგილებს კი არ ვამბობ, არამედ ქალაქებში. ეგ, იარაღების შინ დება, ომები იქით იყოს და, ბარე ოთხმოციან წლებამდე გამოჰყვა ცხოვრებას, მეტ-ნაკლებ ბიძურ ბიძას მალული იარაღი ყოველთვის ჰქონდა სახლში, თან არა ერთი და ორი. ეგ უკვე იმ დროს, როცა იარაღზე დიდი სიმკაცრე იყო და მანამდე კი, იმ დიდი ომის შემდეგ, იარაღს ვინ დაითვლიდა.

თანაც, ასეც იყო, რომ ვისაც ოფიციალურად ჰქონდა იარაღი, იმას ერთი-ორი არაოფიციალურიც ზედავე ჰქონდა შენახული.

ძველი, ასახდელი ტახტები სულ გამოტენილი იყო ნაირგვარი სასროლებით.

ოჯახში რომ ბიჭი წამოიზრდებოდა, ამგვარ იარაღებს კი მიმალავდნენ ხოლმე, მაგრამ ბიჭს რა დაემალება, რკინის სუნზე ის ისე მიდის, როგორც რო ლეგჩოხა ბიჭი ტოტია მიდიოდა ერთ დროს საკბილოზე.

ამიტომ, უფრო სწორი ასე იყო, უფრო ფრთხილი მამანი ზედმეტ-ზედმეტ იარაღებს დააჩუქებდნენ, ეგებ გოგოების პატრონებზეც, კანონიერს კი, თუკი ასეთი გააჩნდათ, საგულდაგულოდ გადამალავდნენ.

მახსოვს, ერთი ძველი, თავახდილი ატამანკა და შიგ სრულიად უწესრიგოდ ჩაყრილი რევოლვერები და პისტოლეტები, თოფის ლულები, ან მთლიანად თოფები.

მეტად პატარა ვიყავი მაშინ და ასე მუხლებზე დაჩოქილებს გვეჭირა ატამანკის თავი და ვიცქირებოდით იმის საშიშარ საწყობში. მიკარებას ვინ გაბედავდა, განა ჩვენს სახლში ხდებოდა ესა, მაგრამ ვის სახლშიაც ხდებოდა, ისიც ვერ ბედავდა საგანძურთან შეხებას. ვიღაცები კი ბედავდნენ. მაგრამ, მოგეხსენებათ, მაგას სხვა ასაკი უნდა.

ეს ამბავი კი, რომელიც გამახსენდა, სამოცზე მეტი წლის წინათ გადახდათ ცამეტი წლის ბიჭებს, რომლებიც ერთ კლასში სწავლობდნენ. სწორედ იმ ასაკისანი იყვნენ, აკრძალული, ანდა უცნობი რამეების კეთების დაუძლეველი სურვილი რომ მოსვენებას უკარგავს ბიჭს და ისეთ რამეებში გახვევს ხოლმე, რომ არცკი ეფიქრა. ის დრო მოულოდნელი, ხშირად, საბედისწერო გაგრძელებების და მოსახვევების დროა.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მთელი ეს ხალისიანი ტომსოიერობა კი არის ხოლმე ხალისიანი, მაგრამ უცებ ვე-

გალერეა



თამარ მაღლაფერიძე
„მელანინი“, ტილო, ზეთი, 130X100

ღარ არის, იმიტომ, რომ მოსახვევში უბედურება იმალება. ყოველთვის კი არა, მაგრამ ხშირად. აბა, რამდენ ბიჭს მოუპარავს მამის რევოლვერი და მშვიდობიანად დაუბრუნებია უკან, ისე, რომ მამას ვერასდროს შეუტყვია ამის შესახებ?

უამრავს.

ჰოდა, ერთ-ერთმაც ასე მოიპარა.

ოღონდ, სანამ მის ამბავს გავიხსნებდე, კიდევ ერთი ამბავი გამახსენდა, სწორედ იმის დასტურად, თუ როგორ უწევდათ ხოლმე ნაომარ ადამიანებს თავის გატანა. საქმეში პარაბელუმია გარეული. ამ ოცდაათი ან ცოტა მეტი წლის წინათ გადავეყარე ადამიანს, რომელმაც ბილიარდის თამაში მასწავლა. ნაფრონტალი თბილისელი კაცი იყო, პატარა და მოქნილი, იაფ სიგარეტ „პოლესიეს“ ეწეოდა, სვანური ქუდი ეხურა, ზუსტად ხელმარჯვე ოსტატივით, ეცვა ბუკლეს კოსტიუმი და შავი თვალები უციმციმებდა.

როგორცა ვთქვი, ეგეთი ომის ვეტერანი არც მენახა. ომზე სულ ორი რამ მიამბო: ერთი, რომ პრაღაში ლუდხანაში კასრები დახეთქეს და მუხლამდე ლუდში ჩხუბი ატყდა არარუს და რუს ჯარისკაცებს შორის. სროლა იყო ტყვიების და კათხებისო. მეორე კი, ისა რომ, პრაღის ახლო, გერმანული იარაღის საწყობის დარაჯობისას, მან და ერთმა სომეხმა, ერთი ყუთი უხმარი, გაპოხილი პარაბელუმები გამოაცოცეს. კარგად დავმალეთო და მერე კი წამოვიღეთო. თბილისში ექვსი ცალი ჩამომყვაო. ვინც შმონზე იყო იმათ თითო ცალს ვჩუქნიდითო. რომ ჩამოვედი, სამი გავაჩუქე, ერთი ჩემთვის დავიტოვე და ორიც ერთმა ვინმე ზახარიჩმა გამაყიდინაო.

ამ მონათხრობთა სიმართლისა აბა, რა ვიცი, მაგრამ იმ ომის შემდგომ სურათს კი ზედ ედება.

საერთოდ კი, პისტოლეტს თუ რევოლვერს ხალხში ათასი სახელი ერქვა: იარაღიო, სტვოლიო, რკინაო, სასროლიო და ასე. მუქარიანი ხუმრობით ასეც კი ეტყოდნენ, ვითოჟირიო. ა, მოვიდა ვითოჟირიო. ბევრი იყო, ბევრი. დასავლურ ქართული გადასხვაფერებულობით კიდევ რას არ გაიგონებდი – ლივერი და ლაგანაო. ეს ძიაკაცი სასროლს უწოდებდა. ჰოდა, სწორედ მან მიამბო შარების შესახებ.

(გაგრძელება იქნება)

პირველი კახური შატო

ავტორი დათო ტურაშვილი

„ნეხვისგან შოკოლადს ვერასოდეს მიიღებ“
გია პირადაშვილი

პირველი კახური შატო, სადაც შარშანდელი შემოდგომის ერთ ღამეს, სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი (მეგობრებთან ერთად), თელავსა და შუამთას შორის მდებარეობს და შატო „მერე“ ჰქვია. უფრო სწორად კი, „მერე“ ჰქვია იმ სოფელს, რომელიც იქვეა და რომლის სახელიც ავტორებმა პირველ კახურ შატოს, აშენებისთანავე დაარქვეს. კახეთში პირველი შატო შეიძლება გაცილებით ადრე და თანაც სხვაგან ააგეს, მაგრამ იმ დღის შემდეგ, ჩემთვის პირველი კახური შატო (ყველა თვალსაზრისით), სწორედ ეს არის.

ჩემთვის მთავარი საზომი და კრიტერიუმი (ყველგან და ყველაფერში), რასაკვირველია, მაინც ადამიანია და აქ კი ისეთი კარგი ადამიანები გიმასპინძლებენ, რომ (ჩემსავით) აუცილებლად მოგინდებათ უკან დაბრუნება. ხოლო თუ დაბრუნდებით (ან პირველად ესტუმრებით შატო „მერეს“), იქ აუცილებლად დაგხვდებათ გია პირადაშვილი ან ნინო გაგუა (ან ორივენი ერთად), რომლებმაც ჯერ ოჯახი შექმნეს და მერე ყველაფერი დანარჩენი, მაგრამ მათთვის ნებისმიერი სტუმარი, გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ კლიენტი. ამიტომაც ისინი თვითონვე მოგემსახურებიან, თუ სხვაგან წასვლას არ ინებებთ და იქვე შეუკვეთავთ ნებისმიერ ქართულ (ან არაქართულ) კერძს; და სხვაგან წასვლას კი ნამდვილად არ გირჩევთ, რადგან ყველაზე გემრიელი სადილისა თუ ვახშმისთვის, მთელი კახეთიდან, სწორედ აქ მოდიან. თუმცა, გულწრფელად იმასაც გირჩევთ, რომ მხოლოდ გასტრონომიული მიზნებით ნუ ეწვევით შატო „მერეს“ და ერთი ღამით მაინც დარჩით სასტუმროში, რადგან ვერც კი გაიხსენებთ, ბოლოს როდის ნახეთ საქართველოში (ან სადმე სხვაგან), ასეთი სიმყუდროვე საძინებელ ოთახებში. განსაკუთრებული გემოვნება კი იმ სასტუმრო დარბაზში იგრძნობა, სადაც საღამოობით სტუმრები და მასპინძლები ერთად იკრიბებიან და დიდი, ღამაზი ბუხარიც ყველას ათბობს. ამ დროს ყველაზე რთულია შემოთავაზებულ ღვინოზე უარის თქმა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აქაური ღვინო იმდენად გემრიელია, რომ აქედან დაბრუნების შემდეგ, აუცილებლად დაიწყებთ ყველგან იმ ღვინოების ძებნას, რომელსაც კომპანია „ვინივერია“ აწარმოებს.

თუმცა მანამდე, ანუ შატო „მერეში“ გათენებული ღამის და უტკბილესი ლოგინის შემდეგ, თქვენ გელით საოცარი დილა, რადგან აივნიდან კავკასიონის ისეთ არაჩვეულებრივ ხედს აღმოაჩენთ, რომ მოგეჩვენებათ კიდეც – სწორედ ახლა, სამყაროს ცენტრში ხართ. სინამდვილეში კი, შუაგულ კახეთში ბრძანდებით და ნებისმიერი ისტორიული ძეგლიდანაც (რომლითაც კახელები სამართლიანად ამაყობენ), მხოლოდ რამდენიმე (ან რამდენიმე ათეული) კილომეტრი გაშორებთ. ყველაზე ახლოს, მაინც, შუამთის კომპლექსია და მშვენიერი კახეთის დათვალიერება, შეგიძლიათ სწორედ აქედან (თუნდაც ცხენებით) დაიწყოთ. ხოლო როდესაც კახეთის ღირსშესანიშნაობებს ნახავთ და ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს მეტ-ნაკლებად გაეცნობით, მიხვდებით, რომ შატო „მერე“, სწორედ უძველესი ქართული არქიტექტურისა და ძალიან თანამედროვე მოთხოვნების, ძალიან გემოვნებიანი სინთეზია.

რასაკვირველია, იმის აღნიშვნაც აუცილებელია, რომ საქართველოს დედაქალაქიდან შატო „მერემდე“ მანძილი ძალიან დამოკლდა გომბორის გზის აღდგენის შემდეგ და ჩვენი რჩევა იქნება, რომ ადამიანებმა საქართველოს დათვალიერება სწორედ აქედან დაიწყონ.

მით უმეტეს, თუ უცხოელი სტუმარი გყავთ და მისთვის (ან მათთვის) იმის ჩვენება გსურთ, რომ ნამდვილად კულტურული ხალხი და ქვეყანა ვართ, უკეთეს არჩევანს მართლა ვერ გააკეთებთ. თანაც კახეთს, საქართველოს სხვა, არანაკლებ ლამაზსა და მშვენიერ კუთხეებთან შედარებით, კიდევ ერთი უპირატესობა აქვს და მისი ხიბლი არასოდეს არ არის დამოკიდებული რომელიმე სეზონზე. წელიწადის ნებისმიერ დროს (მაშინაც კი, თუ საკმარისად ბევრნი ხართ), ნებისმიერი სემინარისა თუ კონფერენციის ჩატარებაც შესაძლებელია – შატო „მერეს“ უკვე რამდენიმე ფესტივალის მასპინძლობის გამოცდილებაც კი აქვს. სასიამოვნოც არის და სასარგებლოც, რომ შესვენებაზე, ან ლექციების შემდეგ, აუზითა და ჯაკუზით ისარგებლებ, მაგრამ, რაც მართლა წამალივით აუცილებელია ჩვენი ნერვული სისტემისთვის, ღვინის აბაზანები და ენოთერაპიით მკურნალობაა. შეიძლება ასეთი ტკბილი გარემო, კიდევ სადმე, სხვაგანაც იყოს საქართველოში, მაგრამ ასე ევროპულად მოაზროვნე ქართველი მასპინძლები, ნამდვილი იშვიათობაა და მათი ჯანმრთელი ცნობიერება ჩემთვისაც კი აღმოჩენაა. მართალია, მათ სიჭაბუკიდანვე ვიცნობდი, როგორც ნიჭიერ და კარგ ადამიანებს, მაგრამ ამ თვისებებს ისინი ევროპულ გონიერებასაც თუ ასეთი წარმატებით შეუთავსებდნენ, მართლა არ ვიცოდი. ის კი დანამდვილებით ვიცოდი და ახლაც ვიცი, რომ ქართველი კაცის (და ალბათ საერთოდ ყველა მამაკაცის), ნამდვილი წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ჭკვიანი ცოლია.

მოკლედ, ჯერ შატო „მერე“ და მერე ყველაფერი დანარჩენი...

„საბა“ – ელექტრონული წიგნების სახლი

ავტორი მაშო სამადაშვილი

ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“ ვებსივრცეში 3 თვის წინ გაჩნდა. Saba.com.ge – ამ მისამართზე ლიტერატურის მოყვარულებს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან უახლესი წიგნების, ძველი და საყვარელი გამოცემების და სხვადასხვა დროის გამორჩეული თარგმანების ნახვა და შეძენა შეუძლიათ.

ავტორებმა ამ ვებგვერდს „სახლი“ დაარქვეს. ამ „სახლში“ ყველა სტუმარს აქვს საკუთარი ოთახი – ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკაში კი „თარო“, სადაც წიგნები აწყვია. „სახლის“ დიზაინი ნათელი, სადა და მყუდროა – ისეთი, როგორიც კითხვის პროცესს კომფორტულად და სასიამოვნოდ აქცევს.

ამ „სახლის“ არსებობა ასევე „საბამ“, ოღონდ ლიტერატურულმა პრემიამ განსაზღვრა. უკვე ათი წელია, თიბისი ბანკი საქართველოში წლის ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ კონკურს „საბას“ ატარებს.

„პრემია „საბას“ არქივში დაგვიგროვდა ბოლო 10 წლის მანძილზე ქართულ ენაზე გამოცემული საუკეთესო წიგნები. გადავწყვიტეთ, ისინი „ელექტრონული წიგნების სახლში“ განვათავსოთ და ხელმისაწვდომი გავხადოთ მკითხველისთვის“, – ამბობენ პრემია „საბას“ და ელექტრონული წიგნების სახლის დამფუძნებლები.

„თიბისი ბანკმა“ ელექტრონული წიგნების სახლი იმისთვის შექმნა, რომ ლიტერატურული კონკურსის საზეიმო დაჯილდოება მხოლოდ ერთდღიან მოვლენად არ დარჩენილიყო და „საბა“ მუდმივ ლიტერატურულ პროცესად ქცეულიყო. ასეც მოხდა. დღეს saba.com.ge-ზე სხვადასხვა ჟანრის 300-ზე მეტი ელექტრონული წიგნია განთავსებული, აქედან 50-მდე ქართული კლასიკური ლიტერატურაა, რომელიც „საბას საგანძურის“ სახელით შეგხვდებათ, აქვეა დრამატურგია და დოკუმენტური პროზა, ესეისტიკა და კრიტიკა. სულ ახლახან საიტს დაემატა საბავშვო წიგნების მიმართულება, რომელშიც ლიტერატურა შერჩეული და დაყოფილია ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. ორ კვირაში კი საიტზე განთავსდება პირველი ქართული ინტერაქციული წიგნი – ქართული ანბანი, რომელიც უფასო იქნება და მის ჩამოტვირთვას ანდროიდის მომხმარებლები Google Play-დან შეძლებენ.

Saba.com.ge-ს უკვე რამდენიმე ათასი რეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავს. მათ შორის – უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც. თუ გავითვალისწინებთ რომ ონლაინ-წიგნები სულ უფრო აქტუალური ხდება, საიტზე კი დღითიდღე იზრდება ახალი წიგნების და ონლაინ-აპლიკაციების რაოდენობა, მკითხველების რაოდენობაც უნდა გაიზარდოს. ეს ტენდენცია დასავლეთში სულ უფრო იკიდებს ფეხს, რადგან თანამედროვე ციფრული მედიის ეპოქა წიგნს, როგორც კაცობრიობის უმთავრეს საინფორმაციო მატარებელს, ახალ შესაძლებლობებს უქმნის. ელექტრონული სახით არსებობა წიგნისთვის ტირაჟის ცნებას და გავრცელების საზღვრებს აქრობს.

„მცირე ზომის ელექტრომკითხველებში 5000-მდე წიგნის შენახვაა შესაძლებელი, ამ რაოდენობის ნაბეჭდი წიგნებით ბიბლიოთეკის შექმნას ხშირად ერთი ადამიანის ცხოვრებაც არ ჰყოფნის. თანამედროვე ტექნოლოგიები კი საშუალებას იძლევა, მთელი თქვენი ბიბლიოთეკა ერთ პატარა ელექტრონულ მოწყობილობაში მოათავსოთ და თან ატაროთ. ჩვენი მიზანია თანამედროვე ქართულმა და არამარტო ქართულმა ლიტერატურამ შეაღწიოს ერთი შეხედვით უკვე ყოფით საგნებად ქცეულ ჩვენს ელექტრო-აქსესუარებში – ტელეფონებში, პირად კომპიუტერებში და პლანშეტებში“ – ასე განსაზღვრავს „საბა“ თავის მისიას.





გარდა ლიტერატურული მრავალფეროვნებისა, საიტზე განთავსებულ ელექტრონულ წიგნს კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს – ის გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე ბეჭდური გამოცემა. მაგალითად, „საბას საგანძურის“ სერიის წიგნების შეძენა 1 და1.99 ლარად შეგიძლიათ...

ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“ განსაკუთრებით მოსახერხებელია საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრები ქართულენოვანი მკითხველისთვის, რადგან წიგნების შეძენა და წაკითხვა ნებისმიერ დროს და ადგილას არის შესაძლებელი. გარდა მობილურობისა, „საბას“ ელექტრონული წიგნების სახლს კიდევ რამდენიმე დადებითი მხარე აქვს:

მოხმარების წესები და პროცედურა ძალიან მარტივია – მომხმარებელი „ფეისბუქის“ სახელითა და პაროლით რეგისტრაციას გადის, რის შემდეგაც იხსნება მისი ელექტრონული ბიბლიოთეკა, შეძენილი წიგნები კი პირად, ვირტუალურ თაროზე თავსდება.

„საბას“ ელექტრონული წიგნების წაკითხვა შესაძლებელია ინტერნეტში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერით, ლეპტოპით, iPhone-ით, iPad-ით, Kindle, Nook და Sony Reader წამკითხველების მეშვეობით.

აღსანიშნავია, უნიკალური წამკითხველი „Saba Reader“, რომელიც სპეციალურად ამ ელექტრონული სახლის მომხმარებლებისთვის შეიქმნა. მისი მეშვეობით შეძენილი წიგნების პერსონალური კომპიუტერით ან ლეპტოპით წაკითხვა ინტერნეტის გარეშეც შეიძლება, ამისთვის კი მხოლოდ ერთჯერადი სინქრონიზაცია და Saba reader-ის უფასო ჩამოტვირთვაა საჭირო.

„შაბა ღეადერ“ წიგნის წაკითხვის გარდა, მკითხველს საშუალებას აძლევს, ისე, როგორც ნაბეჭდ წიგნში, ელექტრონულ წიგნშიც მონიშნოს მისთვის საინტერესო ციტატები, დაურთოს ტექსტს სპონტანურად გაჩენილი კომენტარები...

ახალი წლიდან წიგნების itunes-ის მეშვეობით ჩამოტვირთვას და ინტერნეტის გარეშე მათ წაკითხვას iPhone-სა და iPad-ის მქონე მკითხველებიც შეძლებენ, სპეციალურად ამ მოწყობილობებისთვის შექმნილი აპლიკაციის მეშვეობით, რომელიც სულ მალე გამოჩნდება App Store-ზე.

წიგნის ჩამოტვირთვისა და წაკითხვის შემდეგ, მკითხველს შეუძლია საიტზე გამოხატოს თავისი აზრი, ჩაერთოს დისკუსიაში და წიგნები ხუთვარსკვლავიანი სარეიტინგო სისტემით შეაფასოს. სხვა მკითხველების შეფასებები საიტზე შესულ ადამიანს გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება, ხოლო თუ მაინც ვერ ირჩევს, კონკრეტულად რომელი წიგნის შეძენა სურს, მას ნებისმიერი წიგნიდან მცირე ფრაგმენტის წაკითხვა უფასოდ შეუძლია.

პატარა ექსპერიმენტს ვატარებ: შევდივარ saba.com.ge-ზე, დარეგისტრირებას ზუსტად 2 წუთს ვანდომებ, შემდეგ ორი გრაფა იხსნება: ჩემი ბიბლიოთეკა და წიგნების კატალოგი. ჩემი ბიბლიოთეკა ცარიელია, უფრო სწორად – თითქმის ცარიელი, რადგან დარეგისტრირებულ მკითხველს „საბა“ ერთ წიგნს უკვე ახვედრებს პირად ბიბლიოთეკაში – საჩუქრად „ვეფხისტყაოსანი“! მაგრამ ჩემი ვირტუალური თარო ახალი წიგნებითაც უნდა შეივსოს, არჩევანი ნამდვილად ძალიან ფართოა – პირველსავე გვერდზე წარმოდგენილია ბესტსელერები: ლაშა ბუღაძის „ნავიგატორი“, აკა მორჩილაძის „Obole“, უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“; ასევე მხვდება ათობით ახალი წიგნი: ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები, ბესიკ ხარანაულის „ლექსები და პოემები 1954-2005“; ქვემოთ კი „საბას“ ლაურეატი ავტორების წიგნებია წარმოდგენილი, ჩემთვის ნაცნობ გამოცემებს შორის (რომელთა დიდი ნაწილიც უკვე მაქვს) ვხედავ გამოცემას, რომელიც აღარსად იყიდება და რომელსაც წლებია ვეძებ – ზვიად რატიანის „ნეგატივი“. მაშინვე ვწყვეტ შეძენას და ვეძებ ინფორმაციას გადახდის სისტემაზე. აღმოჩნდა, რომ გადახდა ძალიან მარტივია – საჭიროა მხოლოდ ნებისმიერი Visa ან Mastercard-ის საერთაშორისო ბარათი, ხოლო თუკი მკითხველი „თიბისი ბანკის“ „Prime Card“-ით გადაიხდის, დახარჯული თანხის 15 %-ს უკან დაიბრუნებს.

მე წიგნების თვალიერებას ვაგრძელებ, ხოლო თუკი თქვენ ჯერ არ ყოფილხართ ელექტრონული წიგნების სახლში, ეწვიეთ მისამართს http://saba.com.ge

საუბრები აბაჟურის ქვეშ

ანა კ.ს.

ავტორი მაშო სამადაშვილი

ანა კორძაია-სამადაშვილი ჩემი მამიდაა, მამიდა რა, მამაჩემზე 5 წლითაა უფროსი და არც მამაჩემის ნამდვილი დაა, თუმცა რაღაც სულელური ლოგიკით მაინც ჩემი მამიდა გამოდის. ეს ოფიციალურად, თორემ სინამდვილეში ანა ჩემი მეგობარია, ჩემი უფროსი და საუკეთესო მეგობარი.

ანა ახლა 44 წლისაა, მე – 21-ის; ანა ლექტორია, მე – სტუდენტი; ანამ ბევრი რამე იცის, მე – არა, თუმცა, ეს ჩვენს ურთიერთობაში სრულებით არ იგრძნობა, ის კი არა, ერთხელ ასეთი ფრაზა მითხრა – „მაშო, ჩვენს ასაკში ასე და ასე ხდებაო“ და მერე ბევრი ვიცინეთ იმის გარკვევაში, რომელია „ჩვენი ასაკი“. ანა საბჭოთა საქართველოში დაიბადა, მე – თავისუფალში, ამიტომ ანამ ისეთი ამბები იცის, რაც მე საერთოდ არ მახსოვს. როცა ანა მიყვება, რომ წელამდე თმა მხოლოდ იმიტომ შეიჭრა, რომ იცოდა, უშუქობის გამო ვერასდროს გაიშრობდა, მე ასეთი სიტუაციის მხოლოდ წარმოდგენა შემიძლია. იმის კი, რომ ანკესით ჰქონდათ თამარაშვილის ქუჩიდან შუქი გადმოყვანილი და უნივერსიტეტში ის და მისი კურსელები ფეხით დადიოდნენ, წარმოდგენაც მიჭირს. მიუხედავად იმისა, რომ მე და ანა ერთ უნივერსიტეტში ვსწავლობდით, ჩემი სტუდენტობა სულ სხვანაირია, მე, არცერთ დროს სახელგანთქმულ ლიზიკოსთან ვყოფილვარ პირველი კორპუსის მოპირდაპირედ გახსნილ, მოცუცქნულ კაფეში, არც სწავლა მიხარია ძალიან და არც გული მიჩუყდება თსუ-ს ხსენებაზე, უფრო პირიქით.

ანა იხსენებს, რომ სტუდენტობის წლებში ძალიან ბევრს მოგზაურობდა, მიყვება, რომ, როგორც კი „მიწა აშრებოდა“, ის და მისი უნივერსიტეტელი მეგობრები მოიკიდებდნენ ზურგჩანთებს და სადმე მიდიოდნენ, სადმე, საქართველოში. როცა ვეკითხები, მე და

ჩემი მეგობრები რატომ არსად დავდივართ-მეთქი, ასე მპასუხობს: “ ჩვენთვის მაშინ ეს, გართობასთან ერთად, გაქცევის ერთადერთი საშუალება იყო და თქვენ ეგ არ გჭირდებათ, თანაც შენ სულ მუშაობ და როდისღა უნდა იარო?“

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ანა მართალია, მე და ჩემი ყველა მეგობარი სრულ განაკვეთზე ვმუშაობთ, პასუხისმგებლობები გვაქვს და გართობისთვის ისე ვერ ვიცლით, თუმცა, რომ ვუფიქრდები, არცერთი არ ვართ „წარმატებაზე მეოცნებე პიროვნებები“ და ზოგჯერ გაუგებარიც კი ხდება, რისთვის ვიკლავთ თავს.

მე და ანა კიდევ ბევრი რამით განვსხვავდებით, მას Björk და PJ Harvey უყვარს, მე კი Maroon 5, ანა ვეგეტარიანელია და სადილად ხშირად ბროკოლის სალათს, ან სუპს მიირთმევს, მე კი ქათმის სტეიკი თავს მირჩევნია, ანას შეუძლია 36 საათს გაუჩერებლად იმუშაოს, მე კი ერთ ღამესაც ვერ ვათენებ.

მაშინ, რა ქიმიაა ჩვენ შორის? ჩვენ ხომ ბიოლოგიურ ნათესაობაზე მეტად, ჩვენი განსხვავებული ასაკის, სალაპარაკო თემების, წარსულის და ცხოვრებისეული გამოცდილებების მიუხედავად, რაღაც სულ სხვა რამ გვაკავშირებს? მე ხომ ზუსტად ვიცი, ჩემი მამიდა რომ არ ყოფილიყო, მაინც მომინდებოდა ანასთან მეგობრობა და ყველაფერს გავაკეთებდი მისი ყურადღების მისაქცევად? და ზუსტად ვიცი, ვიმეგობრებდით. თვითონ ანასაც ყველა ასაკის და ჯურის მეგობარი ჰყავს. ჩატეხილ ხიდს თაობებს შორის და მსგავს რაღაცებს არ ცნობს (არც მე). მთავარი გულგახსნილობაა და რაღაც უხილავი, ცნობიერი თუ არაცნობიერი, გააზრებული თუ გაუაზრებელი კონტაქტი, რომელიც უცბად მყარდება და წლოვანებასაც ამარცხებს და ყველაფერსაც. აი, უნდა წარმოვიდგინო, დავუშვათ, რომ ანას არ ვიცნობ, და პირველად ვხვდები სადმე ბარში; ვუყურებ, როგორ სწრაფ-სწრაფად და გაუჩერებლად, დაბალი ხმით და დაჟინებული მზერით ჰყვება რაღაცას. ეს რაღაცა, ვთქვათ, ამბავია მისი რომელიმე საყვარელი წიგნიდან. ისე მაინტერესებს, რასაც ჰყვება, ვდგები ახლოს და ვუსმენ და ვუსმენ და ვუსმენ. მერე მეც ვამბობ ჩემსას, მე როგორც მჩვევია – ხმამაღლა, ემოციურად და შეიძლება მკვახედაც და ვატყობ, ანას მოვწონვარ. ის საღამო, როგორც ბევრი სხვა საღამო სინამდვილეში, აუცილებლად ანას სახლში მთავრდება. მის მეგობრებთან ერთად მივდივართ ბარნოვზე. ვსხდებით მრგვალი მაგიდის გარშემო, სკამზე ფეხმორთხმულები და ვლაპარაკობთ. ისინი სვამენ და ეწევიან, მე მარტო – ჩაიზე ვარ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, იქ ვინც ვართ, ყველას ერთმანეთი გვაინტერესებს...

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ანა ჩემი მეგობარია. ასეც და ისეც. და ჩვენი ყველაზე დიდი საერთო ინტერესი ლიტერატურაა. მუდმივად ვარჩევთ ახლად გამოსულ წიგნებს, განვიხილავთ მათ ღირსება-ნაკლოვანებებს. ანა არასდროს თამაშობს უფროსობანას და არასდროს მეუბნება, რომ რაღაც უნდა წავიკითხო, რომ ასობით წიგნის წაკითხვის გარეშე „გაუნათლებლობით მოვკვდები“, თუმცა ყოველთვის ახერხებს, ისე შემომაპაროს საუბარში სხვადასხვა წიგნის წაკითხვის აუცილებლობა, რომ სახლში მისული, მაშინვე იმ წიგნის ძებნას ვიწყებ, ან ისევ ანასგან მომაქვს. ასე წავიკითხე რამდენიმე მწერალი – მათ შორის, უმბერტო ეკო, ორჰან ფამუქი, კოტე ჯანდიერი... საერთოდ, ეს უფროსი მეგობრის დადებითი თვისებაა, გასწავლოს ისე, რომ ამას ვერც მიხვდე. თუმცა ეს „სწავლება“ ყოველთვის უმტკივნეულო ნამდვილად არაა, ამის დასამტკიცებლად კი ერთ პატარა ამბავს გიამბობთ:

ისე მოხდა, რომ დროთა განმავლობაში, ანას მეგობრები ჩემს მეგობრებადაც იქცნენ, ისინი ასაკით ჩემზე ბევრად უფროსები, განსხვავებული საზოგადოებრივი სტატუსის და ინტერესების მქონე ადამიანები არიან. თავიდან, ვიდრე მათ ახლოს გავიცნობდი, საუბარში ჩართვას ვერიდებოდი, მხოლოდ ვუსმენდი, შემდეგ, ნელ-ნელა რეპლიკების წამოსროლა დავიწყე და ბოლოს, დისკუსიებშიც ჩავები, მაგრამ რაღაც მაინც მიშლის ხელს, ბოლომდე გავიხსნა. არა, მართალია, ახალგაზრდული ექსტრემიზმით შეპყრობილი, ყოველი კამათის დროს მონდომებით ვცდილობ, ჩემი მოსაზრებები დავასაბუთო, თუმცა, როცა ერთი საპასუხო ფრაზით მთელი ჩემი აღტყინებული მონოლოგი წყდება, ვხვდები, რომ რაღაც არ მყოფნის, ეს რაღაც კი ზუსტად ჩემი ასაკია, რომელიც მხოლოდ წლების შემდეგ მომცემს საშუალებას, ვიყო ისეთი თავდაჯერებული, როგორიც ჩემი უფროსი მეგობრები არიან, რომელთაგან ერთი, დიდი ხნის მანძილზე იყო იმ მუზეუმის დირექტორი, რომელშიც მე ვმუშაობდი, მეორე კი ახლაც ჩემი რექტორია...

ჩემი გარშემომყოფების დიდ ნაწილს არ სჯერა, რომ უფროსებთან მეგობრობა შესაძლებელია და ნამდვილი. შეიძლება მართლა გამონაკლისი ვიყო ჩემს მეგობრებს შორის, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მაინც მგონია, რომ გამიმართლა, რადგან ყოველთვის, როცა რაღაც ძალიან მწყინს, ან პირიქით, როცა სამსახურში რაღაც ისე არ გამოვა, უნივერსიტეტში ნერვებს ამიშლიან, ან მორიგი წარუმატებელი სასიყვარულო ისტორია მექნება, ანასთან სახლში მივდივარ და მანამ ველაპარაკები, სანამ გულზე არ მომეშვება. გარდა იმისა, რომ ანა ძალიან ყურადღებიანი მსმენელია, არც ჭკვიანური რჩევა ენანება და ფინჯან ძლიერ ჩაისაც სულ მთავაზობს.

მე ზუსტად ვიცი, რომ სულერთია, რა წერია ჩემი და ანას პირადობის მოწმობებში.

მე ზუსტად ვიცი, რომ სულერთია, ანა ახლა სულ სხვა ქვეყანაში, ჩემგან ათასობით კილომეტრით შორს არის, თუ აქვე, თამარაშვილზე.

მე ზუსტად ვიცი, რომ ანა ჩემზე ფიქრობს.

ბორჯომის წყაროები
რუბრიკას წარმოგიდგენთ "ბორჯომის წყაროები"

გლადიატორი

ავტორი ზურაბ ლეჟავა

ერთმა საშუალოდ ცნობილმა გლადიატორმა, აიკიდუსმა, უთანასწორო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მისი მხრიდან სამართლიან ბრძოლაში დაამარცხა მეორე დიდი (დიადი) გლადიატორი – ძალოსანი და მარდი, პუბლიკის ნებიერა კარატიუსი. თანაც არა მხოლოდ დაამარცხა, არამედ საერთოდ მოკლა... დასცა მიწაზე, მკერდი გაუპო მახვილით და მოაჭრა თავი. აიკიდუსი, კაცმა რომ თქვას, არ იყო განსაკუთრებით ავი კაცი და მაშასადამე, შეეძლო, პრინციპში, არც მოეკლა კარატიუსი, მაგრამ მან იცოდა, რომ სწორედ ეს კარატიუსი იყო ნებიერა პუბლიკისა.

რიგით მოქალაქეებს, წარჩინებულ ხალხს, სენატორებს, მხედართმთავრებს – ყველას და თვით იმპერატორსაც უყვარდათ იგი. ისინი დაიწყებდნენ: – „ოოო, მოიცა რა! რის მოიგე, რა მოიგე!.. როდის იყო, შენნაირებს ეგეთები დაემარცხებინათ?! სარკეში მაინც ჩაგეხედა, შე საფრთხობელავ! ... მერე ეს კარატიუსიც მოეგებოდა გონს და დაიწყებდა: – „მე-ე, რას ამბობთ! ვის მაან მე-ე?!.. ამან?!.. – და მოითხოვდა რევანშს. ეს დანარჩენები კი – მოქალაქეები ათასნაირი: სენატორები, მხედართმთავრები, უბრალო მოქალაქეები დაიწყებდნენ: – „ეს შენ შე-ემთხვევით! ეს შენ მო-ულოდნელობით! მიდი, აბა, კიდე ეჩხუბე!“ – მერე კი ვინ იცის, როგორ შეტრიალდებოდა ყველაფერი, ისინი ყველანი დადგებოდნენ კარატიუსის მხარეზე. ხოლო კარატიუსი, სიტყვაზე ითქვას და, უნდა აღინიშნოს, სულაც არ გახლდათ თიხით ნაკეთი. ასე კი, აიკიდუსმა ააღლიტა მას თავი და მორჩა. პუბლიკა დაიშოკა...

კარატიუსის დამმარცხებელ აიკიდუსს მისცეს საშუალება ცოტათი მოეთქვა სული... შემდეგ გამოდის მთავარი მწვრთნელი, კიდებს ხელს აიკიდუსს ხელში, მიჰყავს ის არენის ცენტრში და აცხადებს: – ამ ორთაბრძოლაში გაიმარჯვა დიდმა მებრძოლმა კარატიუსმა! – ტრიბუნებიდან ისმის ადამიანთა ქუხილისებური გრგვინვა. აიკიდუსმა გაკვირვებით და ერთგვარი წყენით გადახედა მსაჯსა და აღელვებულ პუბლიკას. მას ესმოდა, რომ მოხდა უბრალო, ღიმილისმომგვრელი, მექანიკური შეცდომა, რომ ადამიანები ატეხენ სიცილს, შემდეგ კი მსაჯი გაიღიმებს კეთილად და ხმამაღლა გამოაცხადებს, რომ მოხდა ღიმილისმომგვრელი შეცდომა და სინამდვილეში გაიმარჯვა არა კარატიუსმა, რომელიც ახლა თავმოკვეთილია და წევს სისხლიან არენაზე, არამედ სახელოვანმა მებრძოლმა აიკიდუსმა და ა. შ. მაგრამ ასე არ მოხდა. მსაჯი არ უწევდა გამარჯვებულ აიკიდუსს ხელს, არ ჩქარობდა და, მგონი, არც აპირებდა შეცდომის გამოსწორებას.

აიკიდუსი მონა იყო და, ამიტომ, თავაზიანად და წუხილით შეეცადა შეეხსენებინა მსაჯისთვის, რომ ორთაბრძოლაში გაიმარჯვა არა მის მიერ დამარცხებულმა კარატიუსმა, არამედ „მისმა მონა-მორჩილმა“, ანუ მან. მსაჯი ჯერ ცდილობდა მიეღო ისეთი გამომეტყველება, თითქოს ხმაურსა და ღრიანცელში არ ესმოდა გლადიატორისა. მაგრამ, როცა ამ უკანასკნელმა თავისი შენიშვნა გაიმეორა კიდევ და კიდევ, და თან პრეტენზიითაც, მსაჯმა ზიზღითა და მოკლედ უპასუხა: – ასე გადაწყვიტა მსაჯთა კოლეგიამ!

აიკიდუსმა დააღო პირი. – ანუ, ეს როგორ?! – თითქმის დაიღრიალა მან, – მე ის მოვკალი, მერე ცხვარივით მოვაჭერი თავი, თქვენ კი მეუბნებით, რომ მან გაიმარჯვა?! – მაგრამ მაყურებლებს არ ესმოდათ მისი, ხოლო კოლიზეუმი გრიალებდა: – კარატიუს! კარატიუს!

აიკიდუსი ამას არ შეეგუა და ის არ დაემორჩილა თავის მონათმფლობელს, რომელიც მას ხელს უქნევდა კულისებიდან და ემუქრებოდა კიდევაც მუშტმოღერებით. ტრიბუნები ჩაწყნარდნენ და ხალხმა გაკვირვებით დაუწყო მომხდარს ყურება. მონა სახალხოდ ამბობდა დამორჩილებაზე უარს, იქნევდა ხელებს და რაღაცას გაჰყვიროდა. ეს არა იმდენად აღმაშფოთებელი იყო, რამდენადაც დაუჯერებელი და უჩვეულო. თანდათან ყველანი დაწყნარდნენ და ცოტა ხანში, კოლიზეუმში დამყარდა სიჩუმე. ყველამ დაუგდო ყური მონას. ის კი ისევ და ისევ იმეორებდა იმავეს:

– მე დავამარცხე კარატიუსი პატიოსან ორთაბრძოლაში, ესენი კი, აი, ეს ბღენძები, ამბობენ, რომ გამარჯვებული მე კი არა, კარატიუსია, მაგრამ როგორლაა ის გამარჯვებული, როცა აგერ წევს, მთლად დაჩეხილი და თავმოკვეთილი!

ეს რომ სადმე სხვაგან მომხდარიყო, აიკიდუსს ერთი მაგრად სცემდნენ და დაამწყვდევდნენ საკანში, მაგრამ რადგან ეს ყველაფერი ხდებოდა საჯაროდ, მონათმფლობელები გრძნობდნენ ერთგვარ უხერხულობას. მალე ტრიბუნებიდან გაისმა მრისხანე შეძახილები: – დაიკარგე აქედან! მოიგე არა, ის! შენ ის შემთხვევით მოკალი! საფრთხობელავ, მუზარადიანო, სარკეში მაინც ჩაგეხედა, ვენეციურში! სად შეგიძლია შენ კარატიუსისთანა მებრძოლივით ჭიდილი! შენ მოკალი, მან კი გაიმარჯვა! – მაგრამ მწყობრიდან გამოსული გლადიატორის გადარწმუნება არ მოხერხდა. და სიმართლეც მისი იყო ნამეტნავად თვალსაჩინო. მთავარი პრობლემა კი მდგომარეობდა იმაში, რომ რომის საბრძოლო კანონების თანახმად, დამარცხებულ, მაგრამ ცოცხლად გადარჩენილ გლადიატორს, საჯაროდ უნდა ეღიარებინა საკუთარი დამარცხება და მიელოცა გამარჯვებულისთვის, თუ არადა, შერკინება უნდა გაგრძელებულიყო. ამ „დამარცხებულს, ამ დამთხვეულს, ერთი უყურეთ და, საკუთარი დამარცხების აღირება არ სურდა, ხოლო ბრძოლის გაგრძელების თაობაზე განკარგულების გაცემა იქნებოდა უაზრობა, რადან „გამარჯვებული“ მკვდარი იყო უკვე.

აქ, არენაზე გამოვიდნენ: რამდენიმე სენატორი, საჩინოები და მხედართმთავრები და დაუწყეს ფერებით დაწყნარება და დარწმუნება აიკიდუსს, არ შეწინააღმდეგებოდა მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებას. დაახლოებით, ასეთ კონტექსტში: – „რა იყო, რა არის აიკიდუს, მართლა და მართლა?... რა საჭიროა ასეთი სიჯიუტე? ხომ გითხრეს: გაიმარჯვა კარატიუსმა! მაშასადამე, გაიმარჯვა კარატიუსმა! შენ ის დაუნდობლად მოკალი, საჯაროდ თავიც მოჰკვეთე, ახლა კი ლამის საიმპერიო კანონის წინააღმდეგ ილაშქრებ

და არცკი გინდა აღიარო, რომ დამარცხდი. შენი თავი არ გეცოდება – კარგი; მკვდარს მაინც ეცი პატივი!“ – აიკიდუსი კი მჯიღს იცემდა მკერდში და ყვირილით პასუხობდა: – დიადო ბატონებო! მე პატივს ვცემ მკვდარს და პატივს გცემთ თქვენ, მსაჯთა კოლეგიასაც დიდ პატივს ვცემ და იმპერატორსაც, მაგრამ, როგორ შემიძლია მე შევცვალო ის, რაც უკვე მოხდა?! მე ის მოვ-კა-ლი!!!

ამ დროს, უცებ, მოხდა ნამდვილი სასწაული: კარატიუსის უსიცოცხლო თავმოკვეთილი სხეული შეინძრა და გაცოცხლდა, წამოიწია, დაუწყო ძებნა თავის თავს, იპოვა, აიღო, შეათვალიერა, ცოტათი მტვერიც კი შეაბერტყა, ტანსაცმელზე შეიწმინდა, მხრებზე დაიდგა და ოდნავ ჩაიხრახნა კიდევაც; მერე კი აყვირდა: – ვინ დაამარცხე შენ, მე-ე?! ე, მე შენ ჩამოგკიდებ და გაგახმობ! შენ მე შემთხვევით წამაქციე, მე ზურგით დავეცი და პატარა ხნით სუნთქვა შემეკრა. შენ ამით, ძაღლიშვილო, ისარგებლე და თავი მომაჭერი! აჰა, აი, ვიკუსი-ფიკუსი, მურდალო! – და კარატიუსმა ამდენი ხალხის თვალწინ ერთგვარად ჩააწნა თავისი ცერი, საჩვენებელი და შუა თითები და გააკეთა გულისამრევი ჟესტი. აიკიდუსი შეეცადა ეთქვა, რომ მისი გარდაცვლილი სულისადმი უაღრესად დიდი პატივისცემისა და მოწიწების მიუხედავად, გამარჯვებული მაინც ისაა, ანუ აიკიდუსი. მაგრამ კარატიუსმა საცემრად გაიწია მასზე, შეეცადა მუცელში ეკრა მოწინააღმდეგისთვის წიხლი, თუმცა სახელდახელოდ მიხრახნილი თავი მოსძვრა, რადგანაც ის არ იყო ჯერ კარგად შეხორცებული. კარატიუსის სხეული წაიღო ორმა ცენტურიონმა, ხოლო თავი წაიღო მესამემ. თავი ამ დროს ჯერ კიდევ ილანძღებოდა, მაგრამ სულ უფრო და უფრო ხმადაბლა და სისხლიანი დორბლის გარეშე. აიკიდუსი კი განაგრძობდა შეპასუხებას და თან სულ უფრო ჯიუტადაც.

მაშინ, მასთან არენაზე ჩამოვიდა თვით დიადი კრასუსი, მოუთათუნა მხარზე ხელი და შესთავაზა გვერდზე გასვლა ორი სიტყვის სათქმელად. ისინი გავიდნენ გვერდზე და ეუბნება კრასუსი აიკიდუსს ფამილარულად:

– დამიგდე ყური, აიკიდუს. რა არის, რა გამოსვლებს აწყობ, მართლა და მართლა? ნუთუ ვერ ხვდები, რომ თუ ყველანი ასე გეუბნებიან, მაშასადამე, ასეც არის: შენ მოკალი, მან კი მოიგო – გასაგებია შენთვის, ხისთავიანო მონავ?! მე მესმის, რომ შენ ეს არ გესმის, მაგრამ, ის ხომ გესმის, რომ შენ ხისთავიანი ხარ? ჰოდა, რაკი აგრეა, მაშასადამე, არცაა აუცილებელი, რომ შენ ყველაფერი გესმოდეს!

აიკიდუსმა წარბი შეიკრა და უპასუხა დაუჯერებელი დაჟინებითა და შეუპოვრობით:

– ნუუ, ჯერ ერთი, თქვენო ბრწყინვალებავ, დავუშვათ, რომ ხისთავიანი, თქვენი ნებართვით, მე შარვალში მყავს, და მეორეც... – და გლადიატორი შეფერხდა, – ...მე თქვენ ჯერ მაიძულეთ მეღიარებინა, რომ მონა ვარ, ახლა იმის აღიარებას მაიძულებთ, რომ წავაგე, ხვალ კი მაიძულებთ ვაღიარო, რომ საერთოდ მკვდარი ვარ, იმიტომ, რომ გუშინ მომკლა კარატიუსმა, მერე კიდევ რამეს მოიგონებთ. მაგალითად, რომ მე არ ვარსებობდი ადრეც!

– მერე რა, ასეც რომ იყოს? შენთვის რა მნიშვნელობა აქვს გაიმარჯვე თუ დამარცხდი, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი – შენ ხომ ისედაც და ასედაც მონა ხარ მხოლოდ? – უპასუხა კრასუსმა დაფიქრებით.

– ჰო, მე მონა ვარ! მაგრამ ხომ განსხვავდება მონა მონისგან? მე ხომ გლადიატორი ვარ და არა მექისე, მთელი რომი მიცნობს თითქმის, ჩემს დაუყვედრებელ პურს ბრძოლით და სისხლით მოვიპოვებ და არა სენიორთა კვერცხების ფხანვით! – უპასუხა აიკიდუსმა.

კრასუსმა ამოისუნთქა, გამგებიანად, მაგრამ როგორღაც მფლობელივით ჩაიხუტა გულში. აი, როგორც მოსაწონ ძაღლს ან ცხენს ჩაიხუტებს კაცი; მხარზე ხელი მოუთათუნა და ეუბნება:

– მოკლედ, აქ საქმეა ასეთი: მე და კეისარი დავნაძლევდით და დავდეთ ძალიან დიდი თანხები თქვენს ორთაბრძოლაზე. ჩვენ ორივენი, ისევე როგორც, პრინციპში, ყველა დანარჩენი, ვიყავით დარწმუნებულნი, რომ კარატიუსი ადვილად დაგამარცხებდა შენ და ჩემ მიერ წაგებული დიდძალი თანხა იქნებოდა ერთგვარი ქრთამი მიძღვნილი იმპერატორისადმი... საქმე იმაშია, რომ მე ძალიან მინდა გავხდე საიმპერიო ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი. შენ რომ არ გაგემარჯვა და გაემარჯვა შენს მოწინააღმდეგეს, ანუ, რომ დასრულებულიყო ყველაფერი ლოგიკურად, მე გადავუხდიდი კეისარს წაგებულ თანხას, ის კი დამნიშნავდა ამ თანამდებობაზე კმაყოფილი. და ასეთი ხასიათის ფსონები დადებული იყო საიმპერიო იერარქიის ყველა დონეზე. ქალაქის უბირ ხალხსა და მონებს შორისაც კი ჰქონდა ადგილი რაღაც ამის მსგავსს, მაგრამ შენ ჩვენ ყველას იმედები გაგვიცრუე და ჩვენ შენ გამო განვიცადეთ ფიასკო. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია: შენ თუ დაუყოვნებლივ

გალერეა

თამარ მაღლაფერიძე
„Viking Ship“, *ტილო, ზეთი, 160X110*

არ აღიარებ შენს დამარცხებას, საშიშროება დაემუქრება რომის სახელმწიფოებრიობასაც კი. იმიტომ, რომ ყველაფერი ყირამალა დგება შენი სიჯიუტის გამო! მომკვდარიყავი, რა მოხდებოდა!

– თქვენო ბრწყინვალეებავ, ახლა ჩემთვის ყველაფერი, მეტ-ნაკლებად, ნათელი ხდება! მცოდნოდა ერთი, რომ ასეა საქმე და რომისა და იმპერატორის სიყვარულითა და პატივისცემით, შეიძლება მართლა შევკვდომოდი იმ თქვენ კარატიუსს, მაგრამ თქვენ ხომ არ გაგიფრთხილებივართ, არამედ მიბრძანეთ ბრძოლა. ახლა კი თქვენ აკეთებთ რაღაც არაბუნებრივს და ითხოვთ, რომ მე დავთანხმდე და მივიღო ამაში მონაწილეობა! და მაინც, რატომ არ აიღებთ და არ უბრძანებთ ცენტურიონებს, რომ მომგრიხონ როგორც საშპლინტოვკე მავთული და ჩამაგდონ დილეგში? თქვენ კი უჩემოდ ჩათვალეთ ჩემი გამარჯვება კარატიუსის გამარჯვებად! – თქვა აიკიდუსმა.

– ჩვენ ასეც მოვიქცევით თუ ბევრს გააჩმახებ! ერთი უყურეთ, რა ეშმაკია. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ყველაფერი იყოს კანონიერად. ახლა მოგიყვანთ უკან კარატიუსს, შენ მას მიულოცავ, თქვენ გადაეხვევით ერთურთს, ჩამოართმევთ ერთმანეთს ხელს, ხოლო შემდეგ ჩვენ დავასაფლავებთ კარატიუსს – თქვა კრასუსმა და ამისთანა საჩინო გვამისთვის შეუფერებლად, როგორღაც, შტერულად ჩაიხითხითა, – უ-უ-უ-ა-ხა-ხა-ხა!

– არ წავა საქმე ეგრე! სჯობს, წამათრიეთ დილეგში! – თქვა აიკიდუსმა მცირედი დუმილისა და ფიქრის შემდეგ.

კრასუსმა აიჩეჩა მხრები და დაიწყო განსჯა იმისა, თუ რა მოემოქმედა შემდგომში. ფლავიუსთა არენა ხალხით იყო სავსე და არ იყო სასურველი სკანდალის მოწყობა სახალხო ზეიმზე.

იმპერატორი კეისარი იჯდა თვის საიმპერატორო ლოჟაში, მიირთმევდა ნესვს და თავზე ეხურა დაფნის ყლორტებისგან დაწნული საიმპერატორო გვირგვინი; მის გვერდით იჯდა მისი ორმოცდაათი წლის დედა და იმავდროულად საყვარელიც, ცხვირპაჭუა მაროზია და ისევე როგორც მისი ვაჟი, კეისარი, მიირთმევდა ნესვს. ამ დროს ის უკვე აღარ იყო ახალგაზრდა, მაგრამ მაინც ძალიან ჰგავდა საგრძნობლად წამოზრდილ ახალგაზრდა ღორს.

– ჩადი, ერთი ნახე, შეიტყვე, რისთვის მოიყარეს თავი! – უთხრა მაროზიამ თავის ვაჟს ნესვის წუწვნით და ღრუტუნით.

– კარგი! – თქვა კეისარმა და მოითხოვა სურნელოვანი წყალი ხელების დასაბანად.

მონებმა მოიტანეს წყალი. კეისარმა დაიბანა ხელები, გაიმშრალა პირსახოცით და არენისკენ კიბით დაეშვა რამდენიმე მეტად ტანადი ცენტურიონის თანხლებით. ტრიბუნები აგრიალდა ამის დანახვაზე. რომის მოქალაქეები მიესალმებოდნენ თავიანთ იმპერატორს. იმპერატორი მიუახლოვდა არენის ცენტრში მოგროვილ ხალხს. დიდკაცობამ ქედი მოიხარა მის წინაშე, ის კი მათ მიესალმა. აიკიდუსმა და სხვა მონებმა მუხლი მოიყარეს იმპერატორის წინაშე.

– ადექით, ადექით, არ მჭირდება მე თქვენი მუხლმოდრეკვა! – განაცხადა იმპერატორმა კეთილგანწყობით – ყოჩაღ, მებრძოლო, შენ მამაცურად იბრძოდი, ვწუხვარ, რომ წააგე, მაგრამ, რას იზამ, არა უშავს, სამაგიეროდ, ცოცხალი ხარ და საღ-სალამათი. თუმცა კი, არ იყო საჭირო მოწინააღმდეგის მოკვლა. ნუ, დაგამარცხა, მერე რა, ამის გამო საჭირო იყო განა მაინცდამაინც მისი მოკვლა? ისედაც ხომ ცხადი იყო, რომ წააგე... ადამიანი ერთნაირი ღირსებით უნდა ეკიდებოდეს გამარჯვებებსაც და დამარცხებებსაც! რომში გლადიატორებიც კი ჰუმანურობით გამოირჩევიან. მაგრამ, ეს ისე, როგორც იტყვიან – ჯანდაბას! მილოცვა ხომ მაინც შეიძლებოდა? რაც არ უნდა იყოს, ამდენი იქნია ხმალი ამ კაცმა! მოდი, ახლა მე ვბრძანებ მოიტანონ კარატიუსის ნეშტი, თქვენ გადაეხვევით ერთმანეთს, შენ მას მიულოცავ გამარჯვებას და წახვალ დასასვენებლად ნახევარსარდაფში! ოკეი?!

იმპერატორმა ეს სიტყვები წარმოთქვა ისე ლაღად, არაიძულებით და, იმავდროულად, ისე მბრძანებლურად, რომ აიკიდუსმა ველარაფერი თქვა საპირწონე და იყუჩა. ამასობაში, კეისარმა ბრძანა მოეყვანათ კარატიუსი. მანამდე კი იქ მყოფ დიდკაცებს გაუბა კეთილგანწყობითი საუბარი. რამდენიმე წუთში მობრუნდნენ კარატიუსის მოსაყვანად გაგზავნილი ცენტურიონები. ერთ-ერთ მათგანს შუბის წვერზე ჩამოცმული მოჰქონდა კარატიუსის თავი; ტანი მათ არ მოუტანიათ.

– ტანი სადღაა, თქვენი დედა?.. – იკითხა იმპერატორმა.

– თქვენო უავგუსტოესობავ! ტანი შეამოწმეს ექიმებმა. აღმოჩნდა, რომ ლეში ჯერ კიდევ ახალი იყო, მაგრამ მალე გაფუჭდებოდა, მოგეხსენებათ, ზაფხულია, ბატონო. ამიტომ, ის თქვენს საბრძოლო ლომებს აჭამეს! – განაცხადა ერთ-ერთმა ცენტურიონმა და ბუნიკზე თავჩამოცმული შუბი მიწაზე ტარით დაარჭო.

– ტფუ, – ჩააფურთხა იმპერატორმა, – და თავი რაღატო დაიტოვეს ნეტავი?

– თავი იმიტომ დაიტოვეს, თქვენი კვნესა მე, რომ ის ჯერ კიდევ ლაპარაკობდა!! – უპასუხა ცენტურიონმა.

– ვა, მართლა?! ერთი უყურეთ, ეს გლადიატორი პროფესორი დოუელი ყოფილა, კაცო! მაშინ ჯერ კიდევ არაა გვიან, რომ აღსრულდეს ტრადიციული რიტუალი! აბა, მებრძოლო, მიულოცე შენ მიერ შემუსრულ გამარჯვებულ მეტოქეს როგორც წესია, მერე კი მშვიდობით წადი შენს ნახევარსარდაფში. მე შენ გამოგიგზავნი ნესვს, ხოლო კარატიუსის თავს სანადირო არწივებს მიუგდებენ. ცოტათი გაკორტნონ, სანამ სულ არ გაფუჭებულა. არწივებს ძვლიანი ხორცი უყვართ, თან ტვინიცაა თავში და ფრინველისთვის სასარგებლოა.

აიკიდუსმა მჭმუნვარედ ამოისუნთქა, მივიდა შუბისწვერზე ჩამოცმულ დასისხლიანებულ თავთან. მივიდა და ეუბნება:

– მააპატიე, კარატიუს, რომ მოგკალი, უამრავი ჭრილობა რომ მოგაყენე და თავიც მოგაჭერი!

– ეგ არაფერი! – უპასუხა კარატიუსის თავმა და ისეთნაირად ჩამოხედა, როგორც იცქირებიან ხოლმე მაშინ, როცა სადღაც ძალიან ეჩქარებათ და ამ სიჩქარეში სურთ მოისმინონ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, როცა დრო აღარ რჩება წვრილმანებზე დასაქუცმაცებლად. აი, როცა, ვთქვათ, ჯარისკაცი მიდის ფრონტზე, სადაცაა ჩაჯდება უკვე დაძრულ მატარებელში, რომელიც ნელ-ნელა იკრებს ძალას და ელის გასაცილებლად მოსული გოგონასგან სიყვარულის აღიარებას და კდემამოსილ კოცნას. მატარებელი კი, ამასობაში, უმატებს სავალალო სვლას, მებრძოლს კი უკვე მოუთმენლობისგან წვერიდან წვეთავს წვეთ-წვეთ.

– მოკლედ, შენ კარატიუს ძალიანაც ნუ გამიბრაზდები! როგორც იტყვინ: ყველანი იქ ვიქნებით! რაც შეეხება გამარჯვებას, მე, რა თქმა უნდა, გულწრფელად გილოცავ გამარჯვებას და გისურვებ კიდევ მრავალ ბრწყინვალე გამარჯვებას, მაგრამ ამჯერად გავიმარჯვე მე.

კარატიუსის დასისხლიანებულმა თავმა გაკვირვებისგან დააღო პირი და ალაპარაკდა:

– როგორ თუ შენ მოიგე? შენ გინდა თქვა, რომ ამ ბრძოლაში შენ მე დამამარცხე?! შენ ფიქრობ, რას ლაპარაკობ? შენ გაიმარჯვე და მე მილოცავ გამარჯვებას?! მაშ მე რაღას მილოცავ თუ შენ გაიმარჯვე?! შენ უბრალოდ მიცვალებულს დამცინი, ახლო მაინც მოდი, რომ ერთი კარგად შეგაფურთხო სახეში სიკვდილის წინ!

– შენ კაცი ვერ გაგიგებს კარატიუს – თითქო ცოცხალი ხარ: ლაპარაკობ, იფურთხები, ახლა კი უცებ ამბობ მიცვალებულიო... – უპასუხა აიკიდუსმა.

– რა, არა? მე უკვე ლომებმა შემჭამეს წეღან! ჩემგან მარტო აი, ეს ერთი უტვინო თავიღა დარჩა და იმასაც მალე ლომებს აჭმევენ ან საიმპერატორო არწივებს მიუგდებენ საჯიჯგნად. მე კი არა, შენც მკვდარი ხარ რამდენი ხანია. გლადიატორი ხომ გვამია მოსიარულე. განა, ასე არაა? გეხვეწები, აღიარე შენი დამარცხება სანამ ჯერ კიდევ გვიანი არაა! სიკვდილის წინ გთხოვ ამას!

– არ შემიძლია, იმიტომ, რომ თუ ყველაფერი ეგრეა, როგორც შენ ამბობ, მაშინ მე ამ ჩემი გამარჯვებების გარდა სხვა არც არაფერი მაქვს და არც არაფერი ვარ! მე ეს გამარჯვება ვარ მხოლოდ და მხოლოდ! – უპასუხა აიკიდუსმა.

– ეეეხ, მესმის შენი! – თქვა კარატიუსმა, – კარგი. მაშინ მე მოვკვდები და გავემგზავრები მამაჩემის მამასთან. არ მომიხსენიო ხოლმე აუგად, კარგი? იქნებ, იქ შევხვდეთ როდისმე, იმქვეყნად და კვლავაც გადავაჯვარედინოთ ჩვენი გლადიუსები. იცოდე, მე არ ვარ შენზე გაბოროტებული და არც შენი წყენა მიმაქვს თან. აბა, ჯანმრთელი იყავ და თავს გაუფრთხილდი! – თქვა კარატიუსმა და მოკვდა.

– ჯანმრთელი იყავ! ნათელში გამყოფოს ღმერთმა! – მიაყოლა აიკიდუსმა გამოსათხოვარი სიტყვა კარატიუსს, მუზარადიც მოუხადა, ვაჟკაცთ წესისამებრ, და დახარა თავი.

იმპერატორმა ბოლმით შეხედა აიკიდუსს, ბრაზით გაასავსავა თავი და დაილრიალა ამასობაში:

– ტა-ტა-ტა-ტა-ტა! არა, ერთი ამას უყურეთ, რა! აი, მაინც როგორი ულმობელი ხალხი ვართ ჩვენ, ადამიანები! მომაკვდავმა მებრძოლმა სიკვდილის წინ სთხოვა ეღიარებინა მისი გამარჯვება, ამან კი მეგობრის უკანასკნელი თხოვნა უგულებელყო; ნუ, შესაძლოა, მეგობარი არა, მაგრამ კოლეგა ხომ იყო?! თუმცა რომელ კოლეგიალურობაზე შეიძლება ლაპარაკი გლადიატორებთან? ესენი... ესენი ხომ ულმობელი ხალხია; არაადამიანები!

ამის შემდეგ იმპერატორმა უბრძანა ცენტურიონებს წაეღოთ „ეს“ (კარატიუსის თავი), არწივებისთვის საჯიჯგნად, ხოლო თავის ქალიდან, თუ ის არ აღმოჩნდებოდა დაზიანებული, გაეკეთებინათ ჭურჭელი ხელების დასაბანად. ცენტურიონები წავიდნენ და იმან, რომელსაც შუბისწვერზე ჩამოცმული ჰქონდა კარატიუსის თავი, მოიქნია თავისი შუბი და ხუმრობით ჩასცხო მკვდარი თავი თავის მეგობარს თავში. თავი შუბიდან მოსხლტა, მაგრამ მეორე ცენტურიონმა მოასწრო დაეჭირა იგი ქვედა ყბით და ახლა მან ჩასცხო თავის მეგობარს, რომელმაც მოასწრო ცოტათი გვერდზე გაწევა, რის გამოც ანტიკურ სამართალდამცველს მკვდარი თავი მოხვდა ზურგში. ეს განმეორდა ორგზის. ხმა წარმოქმნილი ამ დარტყმებისას იყო ყრუ და დახშული... ამის შემდეგ ცენტურიონმა დააგდო თავი მიწაზე და ანტიკურმა სამართლდამცავებმა ფეხებით გააგორეს ის ერთ-ერთი გასასვლელის მიმართულებით. ამ გასასვლელის კარი იყო ღია, მაგრამ როცა რჩებოდა ათიოდე მეტრი, კარი უეცრად გაიღო და იქიდან გამოვიდა არცთუ ახალგაზრდა, ოდნავ შესქელებული მონა ქალი. ცენტურიონმა დაუყვირა მას: – გაიწიე! – და ხელის აქნევით მიუთითა საით გაწეულიყო და როცა არცთუ ახალგაზრდა მონა ქალი გვერდზე მიდგა, ცენტურიონმა სამი ნაბიჯით უკან დაიხია, მერე გაექანა და მკვდარ თავს მთელი ძალით გაჰკრა ფეხით:

– გოოლ! – დაიყვირა მკვდარმა თავმა და გაიჭედა პირდაპირ ცხრიანში.

– გოოლ!!! – დაიგრიალა სრულიად კოლიზეუმმა და ქუდები და მუზარადები აიჭრნენ ზეცაში, ხოლო მეორე ცენტურიონმა მიირბინა „გოლის“ ავტორთან, გადაეხვია მას და მიულოცა. მათ ხელისგულები მიარტყეს ერთურთს.

– იმპერატორი, გაავებული და აღრენილი, სწრაფი ნაბიჯით მიეახლა აიკიდუსს და მრისხანედ დაუღრიალა:

– აჰ, ასე?! შენ შენი მეობის დემონსტრირება გადამიწყვიტე?! შენ, უბადრუკმა მონამ, გაბედე ჩაგედინა გაუგონარი და შეეცადე თავდაყირა დაგეყენებინა რომის საუკუნოვანი კანონები?! შენ მე საბრძოლო ლომთან შეგარკინებ ხვალ! და თუ ხვალ შემთხვევით მოკლავ ლომს, ზეგ შეებრძოლები ერთდროულად ორს და იმათაც რომ გაუმკლავდე, ზეგ შეებრძოლები სპილოს! და ეს შერკინებები გაგრძელდება მანამ, სანამ არ აღიარებ, რომ შენ წააგე, ან მანამ,

გალერეა

თამარ მაღლაფერიძე
„მელანინი“, ტილო, ზეთი, 130X100

სანამ არ მოკვდები ჩემი გლადიატორების, ლომების და სპილოების, ან სხვა ხორციელის ხმლებით, ტორებით და ხორთუმებით! აი, ასეა და ასე იქნება!

აიკიდუსმა შუბლი შეიკრა, შუბლქვეშიდან შეხედა უავგგუსტესს და პირქუშად უპასუხა:

– იცი რა, კეისარო, მე გლადიატორი ვარ და სულერთია, ჩემი სიკვდილით არ მოვკვდები. ასე რომ, გამოიყვანე ხვალ შენი ლომი და მე შევეცდები ის მოვკლა. თუ მოხდება სასწაული და მე მას მოვკლავ, მაშინ ზეგ გამოიყვანე ორი ლომი ერთად და მე შევეცდები მოვკლა ორივე. მერე გამოიყვანე სპილო... მაგრამ დამარცხების აღიარებას ჩემგან ვერ ეღირსები. და გადმომიფურთხებია მე შენთვის ეიფელის კოშკიდან!

იმპერატორს ელდა ეცა მამაცი გლადიატორის სიტყვების გაგონებისას, მაგრამ მას არ უბრძანებია მისი დანაწევრება ან ძელზე გასმა, არამედ მხოლოდ ხმას დაუწია და ხმადაბლა უთხრა:

– მე კი შენთვის მომიფურთხებია!

მას სურდა სიტყვა „მონაც“ მიემატებინა, მაგრამ საამისოდ, როგორღაც, ენა არ მოუბრუნდა. ის დაბალი იყო და ჯმუხი, ხოლო გლადიატორი მაღალი და ბრგე. ჰოდა, რომ ახედა და თვალი თვალში გაუყარა, სიტყვა „მონა“ ნათქვამს ვეღარ მიაყოლა. აიკიდუსმა ცენტურიონების თანხლებით დატოვა არენა. ის ჩაკეტეს ნახევარსარდაფში და არავის ის იქ არ უცემია, არც შეურაცხყოფა მიუყენებია. ის კი არადა, მას იმპერატორმა ნესვიც გამოუგზავნა. მას მონა ქალიც კი შეუყვანეს ღამის მშვიდად გასატარებლად და მებრძოლს უარი ამაზე არ უთქვამს. ეს იყო ახალგაზრდა გოგონა რომელიღაც შორეული ქვეყნიდან, ისეთივე შორეულიდან, როგორიც იყო მისი საკუთარი ქვეყანა. აიკიდუსს ძალიან სჭირდებოდა მაშინ გაეზიარებინა ვინმესთვის საკუთარი აზრები, მოესმინა რჩევა... გოგონა კი, სხვათა შორის, საკმარისად გონიერი აღმოჩნდა, ესეც არ იყოს, არ იყო იქ მის გარდა არავინ. გოგონა არათუ დაჟინებითა და ძალიან, მაგრამ მაინც სთხოვდა დათმობაზე წასვლას და რომის კანონების დაცვას, არგალაშქრებას ამ კანონების წინააღმდეგ. სთხოვდა საკუთარი დამარცხების აღიარებას, საკუთრივ, და შესაძლოა მისიც, ანუ თავად გოგონას და სხვათა სიცოცხლეების გადარჩენისა და გაფრთხილების მიზნით. ამ ლაპარაკისას, გოგონა მთელი სხეულით ეკვროდა მას და იგრძნობოდა რაღაც გულწრფელი, არაყალბი მის სიტყვებსა და ქცევებში. თვით აიკიდუსიც ხვდებოდა, რომ რაღაც, შესაძლოა, სავსებითაც სულელური პრინციპის გამო არ ღირდა საკუთარი, ხოლო პოტენციურად სხვათა (მათ შორის, ამ გოგონას) სიცოცხლეების საფრთხეში ჩაგდება, სიცოცხლეებისა, რომელთა პერსპექტივაში გადარჩენას შეძლებდა, და რომელთა დახმარებასაც ის შეძლებდა დაუყოვნებლივი დათმობით, საკუთარი, ბუნებაში არარსებული, დამარცხების დაუყოვნებლივი აღიარებით...

...მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, აიკიდუსს არ შეეძლო ეღიარებინა ბუნებაში არარსებული დამარცხება და, მით უმეტეს, საკუთარი, რადგან ის, დიახაც რომ, ჭეშმარიტი მებრძოლი იყო და ალესილი მახვილივით მხოლოდ გამარჯვებებისთვის შემართული.

თორნიკე ჭელიძე
პოეტი

თორნიკე ამბობს, რომ მისი შთაგონების წყარო ცხოვრებაა; რომ შემოქმედისთვის მთავარი ცხოვრებისეული გამოცდილებაა, სადაც თავს იყრიან ადამიანური სიხარული და ტკივილი, ფიქრი, სურვილები, სხვადასხვა შთაბეჭდილება, რაც შემოქმედებითი მასალაა. მისი აზრით, პოეტმა სათანადოდ უნდა აითვისოს ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურა, რომ ზუსტად იცოდეს, როგორ და რა უნდა წეროს თანამედროვე ეპოქაში. თორნიკე: „უპირველესი გამოწვევა მაინც საკუთარ თავში „პირადის“ გადალახვის აუცილებლობაა, – მუდმივი მცდელობა, შენში მიაგნო იმას, რაც გაერთიანებს სხვა ადამიანთან, მკითხველთან“. ლექსებიც – მათი თანაგანცდის ძალა – მოწმობენ, რომ პოეტი სხვის სათქმელს ამბობს, სხვის ტკივილზე წერს, ოღონდ ჯერ თავად აქვს გათავისებული და გადატანილი.

თორნიკეს პოეზია თემატურად, ძირითადად, ადამიანურ ყოფას, მის საზრისს უტრიალებს; მას ცხოვრებაზე, ადამიანებზე დაკვირვებული თვალი ქმნის. თორნიკესთან გაცილებით მეტი იგულისხმება, ვიდრე ითქმის – მიზანი უხვსიტყვაობა და გრძნობის აღწერა კი არა, მისი გადმოცემაა, – გრძნობით წერა. ეს განსაკუთრებით მინიმალისტურ ლექსებში ჩანს. იგრძობა, რომ თითოეულ სიტყვას პოეტი სიფრთხილით არჩევს, რათა ზუსტად მოარგოს ასახვის საგანს. ადამიანი და სიცოცხლე კი რჩება იმ ფასეულობად, რომლისთვისაც იწერება და რომლისთვისაც ლექსის „გაწირვაც“ შესაძლებელია („მუჭანახევარი ლექსი“).

დაიბადა თბილისში 1990 წლის 28 ოქტომბერს. დაამთავრა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. პროფესიით ჟურნალისტია. ახლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილეობს; ახალქალაქის რაიონის ერთ-ერთი სოფლის არაქართულენოვან სკოლაში სახელმწიფო ენას ასწავლის. 2008 წელს დაიბეჭდა მისი ლექსების კრებული „პირველად იყო სიტყვა“; იმავე წელს ჰქონდა პირველი პუბლიკაციაც.

ქაღალდის ნავი

რა გინდა, თორნიკე,
ზუსტად გაარკვიე, ფურცელზე ჩამოწერე
და წაიკითხე ზემოდან ქვემოთ,
ქვემოდან – ზემოთ.
მეტი არაფერი,
რომ არ აგისრულდება, კარგად იცი.

ყველა ძაღლი გარეთ გაყარეს
უამინდობის გამო.
მიდიხარ გზაზე,
გუბესთან აკეთებ ქაღალდის ნავს,
ჯდები ნავში, უსვამ ნიჩბებს – ხელებს,
გადადიხარ მეორე ნაპირზე.

ოთხი წლის მანძილზე აკვირდები
მანეკენივით მდგარ მოხუცს, გაწვდილი ხელით,
რომელიც ბრმაა,
რომელიც ატარებს ოპტიკურ სათვალეს
მხოლოდ იმისთვის, რომ ადამიანებმა დაინახონ
მისი უსინათლო უპეები
და მიხვდნენ, რომ შორსმხედველები არიან
სხვის საქმეში...

დღეს გაიგე მეზობლის სიკვდილის ამბავი,
მიზეზი – გულის გაჩერება.
აუყევი კიბეს,
ჩამოდიოდნენ სხვები
სიცილით, ყოფითი ჭიჭყინით, ჩურჩულით
და პირველი, რაც გაიფიქრე:
ამათი გული არც არასდროს ფეთქავდა.

მიდიხარ სამსახურში,
სადაც ხშირად საუბრობენ დოლარის კურსის მატებაზე.
შენთვის რა მნიშვნელობა აქვს!
ბევრს ეწევი, აი, ახლაც...
ჯიბეში – ხურდა იაფფასიანი
სიგარეტისთვის.

მოდიხარ სახლში,
კარი არ არის ჩარაზული, ანუ გელოდებიან.
არც შენ ჩაკეტავ – დაუცდი ერთს,
რომელზეც გეუბნებიან:
„მის მოსვლამდე არაფერი გეტკინოს“...
ჰოდა, შენ ზუსტად მის მოსვლამდე გტკივა.

შიზოფრენიით დაავადებულებს, ფსიქოპატებს,
მანიაკებს, მკვლელებს,
მთვარეულებს შორის
შენ ყველაზე საღად მოაზროვნე ხარ,
მაგრამ არა – ნორმალური.

რა გინდა, თორნიკე, ვერასოდეს გაარკვევ.

აიღე სუფთა ფურცელი
და წაიკითხე ზემოდან ქვემოთ,
ქვემოდან-ზემოთ.
მეტი არაფერი.

P.S. *შიმშილით მომაკვდავი ძაღლი თათებით თხრის მიწას და ძვალს ინახავს, როგორც იმედს. ასევე ვარ მე მამაჩემის საფლავზე, გონების დაკარგვამდე სულით მშიერი. იქ ის ძვლებია, მე რომ ჩემს სხეულში ვგრძნობ თანდათან. ფრჩხილებში მიწა მაქვს, როცა იქიდან მოვდივარ, მაგრამ ჯერ ვერ გავბედე მასთან ჩასვლა.*

ზოგჯერ გვერდით ვწვები ხოლმე და ვფიქრობ, რომ ცხოვრება ყაზარმაა. მამა ქვედა საწოლზე წევს, მე – ზემოთ...

** * **

ისე ტკბილია წარსულის დარდი,
როგორც თაფლი - ხის ფუღუროში,
როგორც სხვისი სისხლი - შენს ტანზე.

დანარჩენი კი -
სიხარულიც იმდენად ქრება,
ხელები უნდა მოიჩრდილო და ისე ძებნო.

ის მახსოვს,
ადრე, ზამთრისპირზე, ჩემს ბავშვობაში,
გამთენიისას ალუმინი რომ ჩავაბარე,
მაგრამ იმ ფულით რა ვიყიდე, ველარ ვიგონებ.

ისიც მახსოვს, უკან დავბრუნდი
გადავხედე ცარიელ ქალაქს,
ასეთ დროს ქუჩა სხვანაირია,
სახლში გტოვებს, შეგაბრუნებს
დილის საწოლში,
მაგრამ შენიდან გამოჰყავს ვილაც
და გარეთ დიდხანს ახეტიალებს.

** * **

რამდენჯერ უნდა მოკვდე,
რომ ერთხელ ვინმემ დაგიჯეროს?!
წაგილოს და დაგმარხოს მშვიდად;
მიწას კი არა,
საკუთარ თავს მიგაბაროს.

ჩამოგაშორებს სიბნელისგან,
როგორც ფარვანას,
და შენ კი უნდა მოითმინო მისი
ნათელი –
დროებითი ბრწყინვალე შუქი.

რაღა არის ასე სიცოცხლე?!.
ან ფრთები დაგწვას,
ან ჩაქრეს თვითონ.

** * **

ალბათ შენ თუ ხარ დამნაშავე,
– ვერ შეესწარი.
ცრემლივით ვერ ჩაუდექი თვალებში,
სისხლივით ვეღარ შეადედდი,
თავი ვეღარ აფიქრებინე,

მაშინ, როდესაც ჩიტებიც კიერთად მიდიან,
მცირე ნიავით, იზიდავენ ტოტები ტოტებს
და პლანეტები უსასრულო, ღია კოსმოსში
მოძრაობენ ერთმანეთისკენ,
როცა ბალახიც ერთად ამოდის.

შენ სიზმრებშიც არავინ განახავს,
მაგრამ ეს რა სამწუხაროა?!. –

ხომ შეიძლება სულ მარტო იყო,
მარტოს გიყვარდეს?!.

** * **

ოჯახში, სადაც ახლა ვცხოვრობ,
მასპინძლის შვილმა
ღამე სახლში დაიგვიანა.
მშობლებმა ცუდი უთხრეს მრავალი,
ბევრსაც დაპირდნენ.
დღემდე მიკვირს, როგორ იყო,
ვერცერთმა იგრძნო,
იმის ისევ მიწიან ხელებს, დასვრილ მაისურს
ჯერ კიდევ რომ შემორჩენოდა
მთის ყვავილების მძაფრი სურნელი.

** * **

მუჭანახევარი ლექსი;
არეული, მივიწყებული...
თითქოს ვისთვისაც მიგქონდა, გზაში
ის შეგხვდა და პეშვი გაშალე,
გადაეხვიე,
დაგავიწყდა, რაც ხელში გქონდა.

** * **

შემოდგომაზე თავდახრილმა უნდა
იცხოვრო.
ხმელი ფოთლები შენამდე მაინც
ჩამოვლენ და დაცვივდებიან.
მთავარია, ცას არ ახედო,
ძალიან დიდი ცდუნება არის
გადამფრენი ჩიტების ნახვა.

** * **

მიყვარს, ხეები მოუჭრელად რომ
იქცევიან
დიდთოვლობისგან,
როგორც კაცები – დიდდარდისაგან.
სავსეა ეზო ამ საფლავებით.

** * **

რა ერთგვარია დაბადება,
მაგრამ აბა კვდომას შეხედე;
ხომ არსებობენ ისინი, ვინც
ჩაძაღლდნენ, მოკვდნენ,
მიიცვალნენ
და იშვიათად,
ისეთიც კი შეგვხვდება ხოლმე,
ვინც აღესრულა.

** * **

ვინც ჩემთან იყვნენ ამ ცხოვრებაში
და ძალიან ადრე გამშორდნენ
ისე, თითქოს სიჩუმეც კი ვერ
მოვიბეზრეთ,
საუბარი — ვერ მოვასწარით
და ვიდექით, როგორც ხეები,
ერთმანეთისკენ მოსახრელად,
მოველოდით იშვიათ ქარებს, —
ვიქნებოდი მათი სიცოცხლე
და დიდხანს არ მივატოვებდი.

** * **

მე ვიხსენებ იმას, რაც იყო
და ის, რაც იყო, ველარაფრით მცნობს,
რადგან ყველგან გავლით ვიყავი.
ვერც რამეს შევრჩი
და არც რამემ შემომინახა.

რა ხდება, იცი?!.
ბოლო დროს ვცდილობ, მოვიგონო,
არა ის, თუ სად მინახავს,
ან მისი ხმა თუ მისმენია,
უბრალოდ, ხომ არის ხოლმე,
რომ შეხედავ და გაგეფიქრება:
- თითქოს, სადღაც მიყვარდა.

ეს ფილმი წაგიკითხავს?

ავტორი ხათუნა ცხადაძე

„მიაჩნია პერეირას“
ანტონიო ტაბუკი
იტალიურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ.
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
2012 წ.

ორი წლის წინ იტალიაში ორიგინალური კამპანია წამოიწყეს მკითხველთა წასახალისებლად. წიგნის მაღაზიაში შესვლისთანავე თვალს მოგტაცებდა პროვოკაციული შეკითხვა: „ეს ფილმი წაგიკითხავს?“ აშკარად მიმზიდველი საგამომცემლო მიგნება იყო ეს თითქოს ბავშვური აზრობრივი შეუთავსებლობა: ერთგვარი მსუბუქი შემოლაწუნება ბანალურ ფრაზაზე: „არ წამიკითხავს, ფილმი მაქვს ნანახი”. გთავაზობდნენ წიგნებს, რომლებიც კინოფილმებს დასდებია საფუძვლად. ვინ იცის, ოდესმე იქნებ მართლა მეტმა თქვას: „არ მინახავს, მაგრამ წაკითხული მაქვს...“

ანტონიო ტაბუკის დოქტორი პერეირა მარჩელო მასტროიანის უკანასკნელი როლი აღმოჩნდა იტალიურ კინოში. „მიაჩნია პერეირას” იმ იშვიათ შემთხვევათაგანია იტალიაში, როცა წიგნს ბევრად მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე მასზე გადაღებულ ფილმს – მაყურებელი; როცა ლიტერატურული გმირი წარმოუდგენლად უფრო ცოცხალი და მეტყველია, ვიდრე თუნდაც სევდიანი და მარტოსული უკანასკნელი მასტროიანი.

„800 სიტყვა“, – მითხრა რედაქტორმა.

800 სიტყვაში ბევრს ვერაფერს იტყვი ანტონიო ტაბუკიზე, ვერც რომანზე, რომელიც გამოსვლისთანავე იქცა ყველა დროის ერთ-ერთ უსაყვარლეს წიგნად იტალიელებისთვის. 800 სიტყვაში, თუ მოინდომებ, შეგიძლია, ცნობისმოყვარეობა გაუღვიძო ადამიანებს, დანარჩენი თავისით ხდება. ტაბუკი ამბობდა, ცნობისწადილმა განავითარა კაცობრიობა; ეს გრძნობა რომ არა, ადამიანი დღესაც გამოქვაბულში იცხოვრებდაო.

1960-იან წლებში, პარიზში, ბუკინისტის დახლზე ფერნანდო პესოას წიგნს გადააწყდა. მას შემდეგ პორტუგალია მისი მეორე სამშობლო გახდა, პორტუგალიური კი – მისი მშობლიური ენა. თუმცა, სამშობლოზე – ბოლოს.

ჯერ იყო პორტუგალიური ლიტერატურა, პესოა, თარგმანი. „თარგმანი უცნაური ხელობაა, – ამბობდა, – პარადოქსია, მაგრამ მთარგმნელში ორი თვისება უნდა თანაარსებობდეს: თავხედობა და თავმდაბლობა“. შემდეგ – ლექციები ბოლონიის, გენუის, სიენას უნივერსიტეტებში. ტაბუკის უყვარდა ეს საქმე: „მე მხოლოდ ონტოლოგიურად ვარ მწერალი, ეგზისტენციალურად უნივერსიტეტის პროფესორი ვარ“. „...ლიტერატურა ჩემთვის მხოლოდ პროფესია არაა. ლიტერატურა არის რაღაც, რაშიც თავს იყრის ჩემი ოცნებები, მისწრაფებები, ფანტაზია“.

შემდეგ იყო „იტალიის მოედანი“, „პატარა, უმნიშვნელო გაუგებრობები“, „ჰორიზონტის ხაზი“, „ინდური ნოქტიურნი“, „რეკვიემი“, „ფერნანდო პესოას უკანასკნელი სამი დღე“ – ქვეყნებისა და ადამიანების ისტორიებით, სურვილებით, ოცნებებით სავსე მოთხრობები და რომანები. ტაბუკი მუდამ ფიქრობს დროზე, წერს დროზე, ჰყვება დროზე, აკვირდება, უსმენს, სწავლობს მას, ცოცხალ სუბსტანციად აქცევს. „ანტონიო, – მეუბნებოდა პატარაობაში ბებია, რომელსაც კვირაობით ვსტუმრობდი ხოლმე, – ცხოვრება წამში გარბის, მაგრამ ისე უსაშველოდ იწელება ხანდახან ერთი ჩვეულებრივი კვირადღე...“ დროის ფიზიკური შეგრძნება განსაკუთრებით მძაფრი და გადამდებია ტაბუკის ბოლო წლების ნაწერებში: „სულ უფრო გვიანაა“, „ტრისტანი კვდება“, „დრო სწრაფად ბერდება“. „დრო კი არ გადის, – ამბობდა ტაბუკი, – ბერდება, ნაოჭდება, იჩუტება და ცვდება“.

ეს გაცრეცილი, დაჩუტული, მდორე დროა „მიაჩნია პერეირას“ ნარატიული სხეულიც რომანის დასაწყისში. ინერტული, მრუმე, წარსულისა და სიკვდილის სუნით გაჟღენთილი დრო, რომელიც პირდაპირ ასოცირდება აუტანელი ხვატის ღრუბელთან, ლისაბონს რომ ახრჩობს 1938 წლის აგვისტოში.

სიუჟეტი პირველი გვერდიდანვე გნუსხავს, პერსონაჟები გამოჩენისთანავე გიყვარდება, თხრობა ყოველ მომდევნო გვერდზე ჩქარდება და ის, ჩაჩუტული ბურთივით მომჩვარული დროც ჰაერით, სიცოცხლით, შეკითხვებით, მომავლით ივსება.

ორმოცდაათს გადაცილებული, მსუქანი, რომანტიკული კაცია პერეირა, გული აწუხებს და გაუთავებლად ფიქრობს სიკვდილზე. ყველაფერი, რაც მას უყვარდა, წარსულშია: გარდაცვლილი ცოლი, კოიმბრა, ზღვა. მისი ცხოვრების თანამგზავრი მისივე წარსულია, მისი მესაიდუმლე და გულისნადების გამზიარებელი – ცოლის ფოტოსურათი: მას ელაპარაკება პერეირა, წვრილად უყვება რედაქციის ამბებს, თავის ერთფეროვან დღეებს, ხანდახან შვილზეც ესაუბრება, რომელიც არასოდეს ჰყოლიათ. პერეირას სუნამოც კი „მაშინდელია“: იმ დროინდელი, რომელზეც „პერეირას საუბარი არ სურს“.

უილიამ შექსპირის მიხედვით

როგორც გენებოთ

რეჟისორი ლევან წულაძე

თუ საქართველოს სხვა თეატრების დონე ოდნავ მაინც უახლოვდება მარჯანიშვილის თეატრისას, მაშინ თეატრის კრიტიკოსის პროფესია ამ ქვეყანაში უდავოდ ყველაზე სანატრელად უნდა მივიჩნიოთ. ამ თეატრის განუმეორებელი ნარმოდგენის - „როგორც გენებოთ" - დასასრულს დარბაზი ფეხზე ადგა და დასს ასე მოუნყო ოვაცია.

ქეით ქელეველი
როგორც გენებოთ - რევიუ
შექსპირის გლობუსი, ლონდონი
გარდიანი ★★★★★

სუნელებიანი ერბოკვერცხი, ლიმონის წვენი, მანუელთან საუბარი უყვარს პერეირას, ენდობა თავის მეგობარ მოძღვარს – პადრე ანტონიოს, ბალზაკს, ალფონს დოდეს. აფრთხობს თავისი მონოტონური ყოველდღიურობის მცირე ხელყოფაც: სიმშვიდეს უკარგავს შენობის მეთვალყურე ალქაჯი დედაკაცის გადაკრული საუბრები, მანუელის დაძაბული მზერა, პადრე ანტონიოს საყვედურები: ეს ყველაფერი რაღაცას მოასწავებს, რაზეც პერეირას ფიქრი არ უნდა. კათოლიკეა პერეირა, ღრმად მორწმუნე კათოლიკე – თავად ასე თვლის – მაგრამ სხეულის აღდგომას ვერ ეთანხმება. აფორიაქებს ეს აზრი პერეირას, სააქაოშიც ახრჩობს, აწუხებს, ეზედმეტება საკუთარი მსუქანი სხეული და ამ სხეულით მარადისობაში გადასვლის წარმოდგენაც კი თავზარს სცემს, სულს უხუთავს. მხოლოდ სული უნდა მარადისობაში, შვებით ფიქრობს სულზე, რომელიც მსუბუქია და ძველ, გამხდარ პერეირასთან ასოცირდება – ლაღ, ხუჭუჭა ბიჭთან, გიტარაზე რომ უკრავდა და ფერმკრთალ, ავადმყოფ გოგონას ეტრფოდა. ამიტომაც შეიკედლებს ასე უცნაურად, ასე აუხსნელად იმ თავქარიან, სრულიად უცხო ყმაწვილს, რომელიც მყუდროებას ურღვევს და თან საშინლად აღიზიანებს. თუმცა, პერეირას საკუთარი საქციელი უფრო აღიზიანებს, რადგან ვერ გაუგია, რატომ აკეთებს ამას. ამიტომ „ამ ყველაფერზე დუმილს ამჯობინებს“.

სევდიანი ღიმილის მომგვრელია პერეირას – როგორც ლიტერატურული გვერდის რედაქტორის – საზრუნავიც: ცნობილი მწერლების ნეკროლოგების წინასწარ გაშანშალება: „ღმერთო ჩემო, მორიაკი რომ მოკვდეს უცებ, რა უნდა ვქნა?“ „მოწოდების სიმაღლეზე უნდა ვიყოთ“. ლისაბონი კი სისხლის სუნით ყარს, წინილებივით დახოცილი უდანაშაულო ადამიანების სისხლის სუნით. „...მთელი ევროპა სიკვდილის სუნით ყარს“. თავს იცავს პერეირა, თუმცა, თავადაც ხვდება, უმწეოდ: „ჩვენი გაზეთი აპოლიტიკურია. მე ლიტერატურის გვერდი მაბარია“. აღიზიანებს მარტას სითამამე და მონტეირო როსის უმწიფარი პათოსი; აშინებენ და თან იზიდავენ ახალგაზრდები, გრძნობს, ვეღარ ინარჩუნებს იმ დამცავი გარსის მთლიანობას, რომლითაც ოდესღაც სამყაროს გაემიჯნა და რომელიც საკუთარივე ნებით გაარღვია, როცა მონტეირო როსი შეუშვა თავის ცხოვრებაში. სიცოცხლე მოთქრიალებს მონტეირო როსის დაწერილი ნეკროლოგებიდან, აწვება და რეცხავს, როგორც ღვარცოფი ჯებირს, პერეირას ჩაკირულ აკვიატებებს. დაბნეული, აფორიაქებულია პერეირა, მაგრამ გრძნობს, რომ შვების ნიავიც იმ შენგრეული კარიდან უბერავს. აღარ უძალიანდება პერეირა იმ მოზღვავებულ სიცოცხლეს და საკუთარ თავს, საკუთარ სხეულს იბრუნებს: უცნაური სილაღითა და სიმსუბუქით ცეკვავს ნაცისტურ ზეიმზე საშიშად თამამ, მეტისმეტად თავდაჯერებულ, ჟღალთმიან, ლამაზ გოგონასთან. იგივე, სიმსუბუქის, თავისუფლების განცდა ეუფლება, როცა, მრავალი წლის შემდეგ, ზღვაში შეცურავს: ის ლივლივა, მონატრებული ზღვა თავის მარადიულ, ეგზისტენციალურ ტკივილსაც კი უამებს: სხეულს უმსუბუქებს.

მთავარი გმირის აკვიატებებით სავსე ტექსტში ავტორის აკვიატებასავით ისმის თავიდან ცოტა შემაწუხებელი, დამაბრკოლებელი „მიაჩნია“: თხრობიდან თითქოს ამოვარდნილი და რომანის ნარატიული ქსოვილის უცნაურად დამარღვეველი. „მიაჩნია“ დროდადრო უხეშად გაბრუნებს აწმყოში და გაფიქრებს, სად, როდის, ვის წინაშე „მიაჩნია“ პერეირას ეს ყველაფერი? მაგრამ ტექსტი წამსვე უკან გითრევს, სანამ შემდეგი „მიაჩნია“ არ დაგიტრიალებს გონებაში კითხვის ნიშნების კორიანტელს. ობსესიურია უპასუხო შეკითხვაც „რატომ?“ „რატომ გააკეთა ასე?“ „რატომ თქვა ასე?“ პერეირას ამ კითხვებზე პასუხი არ გააჩნია. მკითხველი თავად პოულობს პასუხებს, პასუხები მოდის მაშინ, როცა პერეირა აღარ ფიქრობს შვილზე, რომელიც არასოდეს ჰყოლია და ზრუნავს მონტეირო როსიზე, რომელიც „რაღაცას აგონებს“, რაღაცას, რაც უყვარდა, ან ეყვარებოდა, რომ ჰქონოდა. ესეცაა ტაბუკის განსაკუთრებული სიფაქიზე: სევდიანი მოგონება და მონატრება არა მხოლოდ იმის, რაც გქონდა და გიყვარდა, არამედ იმისაც, რაც არ გქონია. ეს ხალისიანი, თავქარიანი და ცოტა მიამიტი ბიჭი პერეირას წარსულსაც აგონებს და მომავალსაც, რომელიც არ ჰქონია, და რომელიც ასე უსაშველოდ ენატრება. ეს რომ ტაბუკი არ ყოფილიყო, ამ უცნაურ განცდას, ალბათ, სინანული უფრო დაერქმეოდა, მაგრამ პერეირა არ ნანობს, რომ შვილი არ ჰყოლია: მას ენატრება, უყვარს ის შვილი, რომელიც არ ჰყოლია და რომელსაც მონტეირო როსი აგონებს.

ესაა წიგნი ადამიანურ პასუხისმგებლობაზე, პირად პასუხისმგებლობაზე, რომელიც უაღრესად დიდია, მაშინაც კი, როცა ფიქრობ, რომ არავის წინაშე და არაფერზე აგებ პასუხს; იმაზე, რომ „პოლიტიკა“ განყენებული მოვლენა არაა; რომ ის, რაც შენს ირგვლივ ხდება, შეუძლებელია, „არ გეხებოდეს“; რომ კაცთმოძულე რეჟიმი, პირადად რომც არ შეგეხოს, მოყვასის სისხლის შხეფებით აუცილებლად გაგისვრის მხედველობის არეს. „მათ, ვინც დროს უარყოფს, ვინც მომხდარს უარყოფს, – წერდა ტაბუკი, – ერთადერთ რამეს ვკითხავდი: „როდის? როდის არ მოხდა?“

ტაბუკიმ დატოვა იტალიის, პორტუგალიის, ლიტერატურის, ადამიანის სიყვარულით სავსე მოთხრობები, რომანები, კრიტიკული წერილები, ინტერვიუები. თავის ხალხს ფერნანდო პესოას შემოქმედება დაუტოვა იტალიურ ენაზე. არავის გაკვირვებია, რომ იქვე ისურვა სამუდამო განსასვენებელი, სადაც პესოა ეგულებოდა: ლისაბონში, დოშ პრასერეშის სასაფლაოზე.

„რომელია შენი სამშობლო?“ – ხშირად ეკითხებოდნენ ტაბუკის – მწერალს, რომელიც ორ ენაზე წერდა, ბოლო ოცდაათი წელი ძირითადად პორტუგალიაში ცხოვრობდა და დიდ დროს ატარებდა საფრანგეთში. „ჩემი სამშობლო იტალიური ენაა, ეს ჩვენი ლამაზი იტალიური, ის ჩემშია, სულ თან ვატარებ“.

www.radiokalaki.ge
FM 101.8
ქალაქი
იაქტიურეთ, მიიღეთ მონაწილეობა
RADIOKALAKI.GE-ს გამოკითხვებში
მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები და რჩევები
მისამართზე
INFO@RADIOKALAKI.GE

რეპრესიებში ჩაკარგული ისტორია

ანიტა თვაური

„დაკარგული ისტორია. მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ“
გამომცემელი: SOVLAB – საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია
2012

უცნაურად დაემთხვა. ზაფხულში წასაკითხად გადადებული ჯორჯ ორუელის „1984“ შემოდგომამდე შემომრჩა. ერთბაშად ვერ მოვიცალე და წიგნს სამსახურისკენ მიმავალი, ძირითადად მეტროში ვკითხულობდი. წიგნში მოთხრობილი სამყარო საოცრად ნაცნობი მეჩვენა, ის ჩემს მეხსიერებაში შემორჩენილი საბჭოთა იმიჯებს აღვიძებდა – ადგილს, სადაც ისტორია ისე იჭრებოდა და იკერებოდა, როგორც პარტიას სურდა, არსებობდა ისეთი ხელოვნური ფენომენი, როგორიც „აზრკრიმინალია“, რომლის გამოც ადამიანებს სასტიკად უსწორდებოდნენ.

რა გასაკვირია, რომ ადამიანები, რომლებიც მეტროთი ჩემთან ერთად მგზავრობდნენ, ორუელის გმირების შთამომავლებს მაგონებდნენ. ჯერ მატარებლის ვაგონში, მერე კი, ქუჩაშიც, ყველგან, უინსტონ სმიტივით ვცდილობდი გამომეცნო, რომელ მათგანს შეიძლებოდა, ხსომებოდა ნამდვილი, პარტიის მიერ გადაწერილი ისტორიის მიღმა არსებული წარსული. ასე ამეკვიატა კითხვები: რა-გორი იყო რეალურად ეპოქა, რომელსაც იდეოლოგიზირებული სახელმძღვანელოებით ვიცნობთ? რა გამოვიკვლიეთ საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღმა? რა ვიცით ასობით ათასი უკვალოდ გამქრალი ადამიანის შესახებ?

თითქმის არაფერი, ან იმდენად ცოტა, რომ მასზე დაყრდნობით საფუძვლიანად მსჯელობა არ გამოგვივა – ფაქტების სიზუსტე დამაეჭვებელია, ანალიზი – ზედაპირული. ამ დროს ერთი გზა რჩება, იპოვო ადამიანები და მათი საშუალებით აღადგინო წარსული.

მართლაც, უცნაურად დაემთხვა. ზუსტად იმ დღეებში, როდესაც ორუელის გმირებთან თუ მათ შთამომავლებთან ერთად მეტროთი ვმგზავრობდი (მათ შორის ჩემს თავსაც მოვიაზრებ), „სოვლაბის“ ახალი გამოცემის პრეზენტაციაზე მოვხვდი. „დაკარგული ისტორია – მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ“ – ეს წიგნი ჩვენი წარსულის მცირე ნაგლეჯია, ცოცხალი ადამიანების მონაყოლი, გამქრალი ხმების ექოები უკიდეგანო დროით სივრცეში. ისინი არც ცნობილი დისიდენტები იყვნენ და არც პოპულარული მწერლები, რომ მათი ბიოგრაფიები ისტორიას შემოენახა. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც საბჭოთა მანქანამ ან ფიზიკურად გააქრო, ან ისტორიული მეხსიერების მიღმა დატოვა.

წიგნში 13 რეპრესირებული ქალის ისტორია სამ ნაწილად არის წარმოდგენილი – მემუარები და საარქივო მასალები, რეპრესირებულთა ოჯახის წევრების მიერ მონათხრობი ზეპირი ისტორიები და მოგონებები მათ შესახებ. ეს ქალები ან ეთნიკური ნიშნით არიან რეპრესირებულნი, ან – პოლიტიკურით. ისინი კონტრრევოლუციონერები არიან, ანუ ქალები, რომლებიც პოლიტიკური პასიურობის მიუხედავად, რეჟიმისთვის მიუღებელნი იყვნენ. წიგნს თან ახლავს დოკუმენტური ფილმი – ვიდეოინტერვიუების სახით შემონახული ზეპირი ისტორიები.

კითხვაზე, თუ რატომ აირჩია „სოვლაბმა“ კვლევის საგნად ქალები, ერთ-ერთი მკვლევარი, ირაკლი ხვადაგიანი მპასუხობს: „მეოცე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკაში ქალების ჩართულობის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. არადა, მათ საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანეს ჯერ სოციალისტურ მოძრაობაში და შემდეგ დემოკრატიული საქართველოს ცხოვრებაში. დღეს გენდერული თანასწორობის საკითხი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება და გარკვეულწილად ამ პროცესს ეხმიანება ეს წიგნი“.

ჩემთვის მართლაც აღმოჩენა იყო ქალების ჩართულობა არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. მაგალითად, შეიძლება გავიხსენო მინადორა ტოროშელიძე (ორჯონიკიძე) – გოგონა იმერეთის ერთ-ერთი სოფლის უღარიბესი მრავალშვილიანი ოჯახიდან, რომელიც ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მარქსისტული წრეების მუშაობაში ჩაერთო. 1901 წელს ჟენევის უნივერსიტეტში გაემგზავრა სასწავლებლად. 1905 წელს მინადორა რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე გახდა, 1919 წელს კი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მინადორა დაპატიმრებულთა ოჯახის დასახმარებლად ქალთა არალეგალურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. მან გადასახლებაში თითქმის 15 წელი გაატარა.

დღევანდელი გადასახედიდან კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მეჩვენება ეს წიგნი. ვფიქრობ, ძალიან გვჭირდება იმ პერიოდში გადასახლება, როდესაც სოციალისტური იდეები იკიდებდა ფეხს, და იმ პროცესზე დაკვირვება, თუ როგორ გარდაიქმნება უწყინარი და სამართლიანი იდეები მონსტრ იმპერიებად, სამართლიანობისთვის მებრძოლი ადამიანები კი – დიქტატორებად. თქვენც, ჩემსავით აღმოაჩენთ, რომ ადამიანებს ასი წლის წინაც ისევე სწამდათ გარკვეული იდეების, როგორც დღეს და რომ ამ იდეების ბრმად აყოლით შეიძლება იქამდე მივიდეთ, სადაც ერთხელ უკვე ვიყავით – პირობითად, 1984 წლის საბჭოეთში.

ალექსი მახარაშვილი

პორტრეტი ინტერიერში: „ჩემი ოჯახი ჩემი ყველაზე დიდი წარმატებაა“

ოჯახური ტრადიციების გამგრძელებელი ვარო, ღიმილით ამბობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსი მახარაშვილი.** წარმატება მასთან ადრეულ ასაკში მოვიდა, თუმცა ბევრი შრომის შედეგად. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა და დღეს უკვე ორი კლინიკის ხელმძღვანელია: თბილისში - თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრის, „ჰეალაინ ინტერნეიშნლის“ და მოსკოვში - თმის ტრანსპლანტაციის სპეციალიზირებული, მისივე თაოსნობით დაფუძნებული კლინიკის. ფრენა ხშირად უწევს, თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების (ISHRS) წევრის მოხსენებებს, თმის გადანერგვის ნოვაციური მეთოდების შესახებ დიდი ინტერესით უსმენენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ კონგრესებსა და კონფერენციებზე. პაციენტებთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს, მუშაობაში კი გუნდური პრინციპის მომხრეა. მის გარშემო ყოველთვის არიან ის ადამიანები, რომელთა პროფესიონალიზმში და საქმისადმი ერთგულებაში ეჭვი არ ეპარება. სხვანაირად ვერ ვიმუშავებდიო, ამბობს. მისი ყურადღება თანაბრად ნაწილდება მოსკოვის და თბილისის პაციენტებს შორის. ბავშვივით უხარია თითოეული მათგანის ბედნიერი და მადლიერი ღიმილი, რომელიც სწორედ მისი პროფესიონალიზმის დამსახურებაა. 2012 წელი კი განსაკუთრებულად დაუფასდა. პირველი დიდი სიხარული მეორე ვაჟიშვილის მოვლინებით განიცადა. მეორე კი ის აღიარება იყო, რომელიც „ქართული ბრენდი-2012“-ის გამოკითხვამ გამოავლინა. თმის აღდგენითი მედიცინის სამეცნიერო ცენტრმა „ჰეალაინ ინტერნეიშნლმა“ უპირობოდ მოიპოვა საზოგადოების ყველაზე დიდი ნდობით გამორჩეული კომპანიის ტიტული.

ალექსი მახარაშვილი: გულახდილად რომ გითხრათ, ეს ამბავი მოულოდნელი არ ყოფილა. როცა საქმეში ბოლომდე იხარჯები, ის აუცილებლად მიგიყვანს ლოგიკურ შედეგამდე. ჩვენს პაციენტებს ხშირად უთქვამთ, განსაკუთრებულები ხართო. ესეც ლოგიკურია. ჩვენ ხომ თითოეული მათგანის პრობლემას ინდივიდუალურად და განსაკუთრებულად ვეკიდებით. თმის გადანერგვა მთელ მსოფლიოში წარმოადგენს ერთადერთ და უალტერნატივო საშუალებას ანდროგენული, ტრავმებისა და დამწვრობის შედეგად გაჩენილი სიმელოტის ბუნებრივი თმით შესავსებად. მე ამაყი ვარ იმ შედეგებით და ტექნოლოგიებით რომლებიც კლინიკა „ჰეალაინ ინტერნეიშნლში“ გვაქვს და მას მსოფლიოს ბევრი წამყვანი თმის ტრანსპლანტაციის კლინიკა ისურვებდა. არაჩვეულებრივი განცდაა, როცა შენი შრომა ფასდება, თანაც ფასდება იმ ადამიანისგან, რომელსაც წლების განმავლობაში შემაწუხებელი პრობლემა ჰქონდა.

დაბოლოს, ამბობს, რომ მისი მთავარი წარმატება და მონაპოვარი მაინც ოჯახია. მეუღლე - უმშვენიერესი, ასევე ექიმი, პლასტიკური ქირურგი დიანა პაპასკირი და ორი ვაჟიშვილი. ლუკა და საბა. ლუკას მსახიობობა მოსწონს, თუმცა გამორიცხული არ არის, მახარაშვილებისთვის დამახასიათებელმა მედიცინის სიყვარულმა მასშიც გაიღვიძოს. საბა კი ჯერ ერთი წლისაც არ არის.

ყოფის აუტანელი სიმსუბუქე
მილან კუნდერა
მთარგმნელი სულხან მუხიგულაშვილი
გამომცემლობა „დიოგენე“
გამოცემის წელი 2012
ფასი 11.90 ლარი

„ყოფის აუტანელი სიმსუბუქე“ – მილან კუნდერას ყველაზე ცნობილი რომანი – 1982 წელს დაიწერა, თუმცა მისი გამოქვეყნება ავტორმა მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოახერხა. ჩეხურ ენაზე დაწერილი წიგნი პირველად ფრანგულად გამოიცა. რომანის გმირები 1960-70-იანი წლების პრაღაში ცხოვრობენ, თუმცა ის რთული ურთიერთობები და ფილოსოფიური საკითხები, რომლებსაც კუნდერა ეხება, ნებისმიერ ეპოქასა თუ ადგილს გულისხმობს.

კალე ბლუმკვისტი და რასმუსი
ასტრიდ ლინდგრენი
მთარგმნელი მედეა მთვრალაშვილი
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 12.90 ლარი

უკვე გამოცდილი და სახელოვანი დეტექტივი კალე ბლუმკვისტი შვედეთის ერთ პატარა და მოსაწყენ ქალაქში ცხოვრობს; ანდერსთან და ევა—ლოტასთან მეგობრობს და თეთრი და ალისფერი ვარდების ტრადიციულ, საზაფხულო „ომებშიც“ აქტიურად მონაწილეობს... თუმცა, ერთ მშვენიერ ღამეს ის და მისი მეგობრები უნებლიე თვითმხილველები ხდებიან საშინელი დანაშაულისა – უცნობი ადამიანები პირდაპირ სახლიდან იტაცებენ ქალაქში სტუმრად ჩამოსულ პატარა რასმუსსა და მის პროფესორ მამას.
კალეს ისღა დარჩენია, დაადგინოს, რა განზრახვა ამოძრავებს ბოროტმოქმედებს, და დაიხსნას მძევლები; ოღონდ ფრთხილად უნდა იმოქმედოს, თორემ თუ პოლიციამ შეიტყო, გამტაცებლები ბიჭსა და მამამისს უთუოდ რამეს დაუშავებენ. შეძლებს კი პატარა ბიჭი გამოცდილ ბოროტმოქმედებთან გამკლავებას?!
„კალე ბლუმკვისტი და რასმუსი“ ასტრიდ ლინდგრენის ბიბლიოთეკის მორიგი წიგნია. ეს სერია ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ გამოცემულ ასტრიდ ლინდგრენის ყველა საბავშვო წიგნს აერთიანებს.

საქართველო
ფოტოალბომი
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 120 ლარი

26 ქართველი და უცხოელი ფოტოხელოვანის 600-მდე არაჩვეულებრივი ფოტო და მწერალ არჩილ ქიქოძის მონათხრობი სრულყოფილ წარმოდგენას შეგიქმნით თანამედროვე საქართველოს ბუნების, გეოგრაფიის, არქიტექტურისა და ხალხის შესახებ. ორენოვანი ტექსტი, დახვეწილი დიზაინი და უმაღლესი ხარისხის პოლიგრაფია ამ წიგნს საუკეთესო საჩუქრად აქცევს როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკითხველისთვის.

წადი სწრაფად, დაბრუნდი გვიან
ფრედ ვარგასი
მთარგმნელი თამარ ხოსრუაშვილი
გამომცემლობა „აგორა“
გამოცემის წელი 2012
ფასი 8 ლარი

ფრედ ვარგასი (ფრედერიკ ოდუენ-რუზო) როგორც მას ფრანგები უწოდებენ – „დეტექტივების დედოფალი“, თანამედროვე ფრანგი მწერალია. ფრედ ვარგასი განსაკუთრებით ცნობილი გახდა კომისარ ჟან-ბატისტ ადამსბერგის პერსონაჟის შექმნის შემდეგ. ადამსბერგისა და მისი გუნდის მიერ ჩატარებული გამოძიებების შესახებ უკვე არაერთი რომანი გამოიცა. დეტექტივში „წადი სწრაფად, დაბრუნდი გვიან“ მკითხველი პირველად ხვდება იმ უცნაურ გამომძიებელს, რომელსაც მხოლოდ „უინტერესო“ საქმეები იტაცებს.

ეზოპე
ილუსტრირებული ბიოგრაფიები
ვახტანგ ბაკაშვილი
გამომცემლობა „პეგასი“
გამოცემის წელი 2012
ფასი 10 ლარი



ეზოპეს სახელი ლიტერატურის ისტორიაში გამორჩეულ ადგილს იკავებს, რადგანაც იგი არა მხოლოდ ისეთი ჟანრის ფუძემდებელია, როგორც იგავ-არაკია, არამედ მხატვრული,

ქარაგმული ენის შემქმნელიც. ისტორიის ყველაზე პირქუშ პერიოდში, როდესაც ქვეყნებს ტირანები თუ დიქტატორები განაგებდნენ, კაცობრიობა მათ წინაშე არ დადუმებულა და სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა, რადგანაც უსამართლობასთან ბრძოლის ერთ-ერთ უსასტიკეს იარაღს – ეზოპეს ენას ფლობდა. ვახტანგ ბააკაშვილი ძალიან საინტერესოდ მოგვითხრობს დიდი ბერძენი მწერლის ცხოვრებას. იგი ოსტატურად აკავშირებს ერთმანეთთან ეზოპეს ბიოგრაფიასა და მის იგავებს და დიდი შემოქმედის ტრაგიკულ პორტრეტს ქმნის.

პირველწყარო
აინ რენდი
მთარგმნელები ზაზა ჭილაძე და გია ჭუმბურიძე
გამომცემლობა „არეტე“
გამოცემის წელი 2012
ფასი 32 ლარი

აინ რენდი ნაკლებად ცნობილია საქართველოში, თუმცა დასავლეთში, განსაკუთრებით კი აშშ-ში, იგი უაღრესად პოპულარულია. კონგრესის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი გამოკითხვის მიხედვით, აინ რენდის შემოქმედებამ, ბიბლიის შემდეგ, ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა გამოკითხულთა ცხოვრებაზე.

პირველი წარმატება აინ რენდს სწორედ „პირველწყარომ“ მოუტანა. წიგნი დღემდე ბესტსელერთა სიაშია და გამოცემიდან 6,5 მილიონ ეგზემპლარზე მეტი გაიყიდა. წიგნის მთავარი პერსონაჟია გენიალური ახალგაზრდა არქიტექტორი ჰაუარდ რორკი.

„პირველწყარო“ ქართულად პირველად ითარგმნა და გამოიცა.

ველური ბუნების ატლასი
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 39.90 ლარი

ამ ილუსტრირებული ატლასის საშუალებით უკეთესად გაიცნობთ დედამიწაზე ბინადარ მცენარეთა და ცხოველთა მრავალფეროვან სამყაროს და შეიტყობთ იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც მათ ემუქრება. შეიძლება იკითხოთ, რაში გჭირდებათ წიგნი, როდესაც ინტერნეტში ზღვა ინფორმაცია არსებობს? პასუხი მარტივია: ეს წიგნი შედგენილია თავისი საქმის მცოდნე ექსპერტების მიერ. შესაბამისად, გადმოცემული ინფორმაცია ზედმიწევნით ზუსტი და ხარისხიანია და ეყრდნობა არა მარტო ფართოდ გავრცელებულ ფაქტებს, არამედ უახლეს სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებიც ჯერ არსად გამოქვეყნებულა და შესაბამისად, არც ინტერნეტში გვხვდება. ატლასის მეშვეობით შეისწავლით მთელი დედამიწის ეკორეგიონულ სტრუქტურას და გაეცნობით ველური ბუნების მრავალფეროვან სამყაროს.

ტერორისტები
ირაკლი მახარაძე
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 9.90 ლარი

„1905 წლის 25 სექტემბერს ტერორისტებმა თბილისის სხვადასხვა უბანში 11 ყუმბარა ისროლეს...
...დღეს, 23 იანვარს, შუადღის ორ საათზე ბოქაულ ლოლაძეს ოცზე მეტი ტყვია დაახალეს და მაღაზიის წინ კარებთან მოჰკლეს. თავის ქალა ლოლაძეს ცხრილივით გაუხადეს...
...ამ დღეებში რკინის გზების სახელოსნოს მახლობლად იპოვეს უცნობი კაცის გვამი. უცნობს ყელი აქვს გამოჭრილი, ენაც ამოჭრილია...“

გაზეთების, თვითმხილველებისა თუ ნაცნობ-მეგობრების საშუალებით მოსახლეობა ყოველდღე იტყობდა მათ ქალაქში, უბანსა თუ ეზოში მომხდარი ახალ-ახალი დანაშაულის შესახებ. კაცისკვლა, ძარცვა-გლეჯა და გამოძალვა იმ პერიოდის საქართველოს ყოველდღიურობად ქცეულიყო. წინამდებარე წიგნი, დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აღმოცენებულ, რუსულ ტერორთან გაიგივებულ ქართულ ტერორიზმსა და ტერორისტების თავგადასავალზე მოგითხრობთ.

მოკალი მამა
ამელი ნოტომი
მთარგმნელი მერაბ ფიფია
ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 6.90 ლარი

მოდი და გაიგე, სინამდვილეში რა ტრიალებს მოთამაშის თავში.

დაზღვეული ჯანმრთელობა

ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯერედების შესახებ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. პარალელურად კი სულ ბევრ ადამიანს სურს, იცოდეს მეტი კონკრეტული ინფორმაცია თანამედროვე მედიცინის იმ სიახლის შესახებ, რომელზეც ბოლო წლებია სულ უფრო მეტს საუბრობენ. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული აქტუალური კითხვებით ჭიპლარის ბანკის სისხლის სამედიცინო დირექტორს, გოჩა შათირიშვილს მივმართეთ.

პირველ რიგში, საინტერესოა, რამდენად დიდია ჭიპლარის სისხლის გამოყენების შანსი..

ჭიპლარის სისხლის შენახვა ნებისმიერი სახის დაზღვევასავითაა. ამ დაზღვევით პაციენტი იძენს სიმშვიდეს, ისე როგორც მაშინ, როცა სახლს აზღვევს და ძალიან კმაყოფილი დარჩება, თუ ამ დაზღვევას არ გამოიყენებს. ამჟამად ჭიპლარის სისხლის გამოყენება 80–მდე დაავადების სამკურნალოდაა აპრობირებული, მათ შორის, ლიმფომების, ლეიკემიების, მიელომური დაავადების, თალასემიის, თანდაყოლილი იმუნოდეფიციტების, ანემიების, ისეთი ფატალური გენეტიკური დაავადებების, როგორიცაა მუკოპოლისაქარიდოზები და ლიპიდოზები. ამასთან, ფართო კვლევები მიდის საკუთარი ჭიპლარის სისხლით ცერებრული დამბლის, თავისა და ზურგის ტვინის ტრავმების, ნეიროდეგენერაციული დაავადებების (პარკინსონის დაავადება, გვერდითი ამიოტროფული სკლეროზი), მიოკარდიუმის ინფარქტისა და გულის უკმარისობის, სახსრების დაავადებების, შაქრიანი დაავადების, აუტიზმის, ალცჰაიმერის დაავადების, აუტოიმუნური დაავადებების (მაგ., სისტემური წითელი მგლურა, სკლეროდერმია, გაფანტული მრავლობითი სკლეროზი), სისხლძარღვების პათოლოგიების, ღვიძლის უკმარისობის დროს ჭიპლარის სისხლით მკურნალობის შესახებ. ანუ ახლო მომავალში საკუთარი ჭიპლარის სისხლის გამოყენება აღდგენით ანუ რეგენერაციულ მედიცინაში მოხდება და ბევრ მძიმე დაავადებას მოიცავს. ჭიპლარის სისხლის აღების ხელიდან გაშვება ნიშნავს ამ უნიკალური ღეროვანი უჯრედების წყაროს სამუდამოდ დაკარგვას. ჩვენ არაერთ დამწუხრებულ მშობელთან გვისაუბრია, რომელიც ძალიან ნანობს, რომ ცერებრული დამბლით დაავადებულ შვილს ჭიპლარის სისხლი არ შეუნახა.

და რამდენად საჭიროა ჭიპლარის სისხლის შენახვა, თუკი არამონათესავე დონორის მოძიება შესაძლებელია ძვლის ტვინის დონორთა რეესტრში ან ჭიპლარის საჯარო ბანკებში?

ძვლის ტვინის დონორის პოვნა შემთხვევათა 70%–ში შესაძლებელია, თუმცა მხოლოდ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც ძვლის ტვინის დონორთა რეესტრები განვითარებულია, სიაში კი 15 მილიონამდე პოტენციური დონორია. სხვა ქვეყნებში დონორთა რეესტრი ნაკლებად განვითარებულია, ეს პროცენტი კი - კიდევ უფრო დაბალი. შანსი გაცილებით მცირდება იშვიათ ეთნიკურ ჯგუფებში.

დედმამიშვილებს შორისაც ძვლის ტვინის შესაბამისი დონორის მოძიების შანსი მხოლოდ 25%–ია. საქართველოში ძვლის ტვინის დონორთა დიდი სია არ არსებობს და მისი ძიება საზღვარგარეთ, უმეტესად უშედეგოდ უწევთ. წარმატების შემთხვევაშიც ძიების ვადა 2–3 თვეა, ჭიპლარის საკუთარი სისხლის შენახვისას კი, ცხადია, დროის და იმუნური თავსებადობის პრობლემა არ დგას. თანაც, არის 25%-იანი შანსი, რომ ჭიპლარის სისხლი დედმამიშვილსაც გამოადგეს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჭიპლარის სისხლის უჯრედების გამრავლების პოტენციალი რამდენიმე ათეულჯერ აღემატება ძვლის ტვინის უჯრედების პოტენციალს.

ჭიპლარის საჯარო ბანკების შემთხვევაში, ალბათობა, რომ არამონათესავე დონორის ჭიპლარის სისხლი პაციენტს გამოადგება, განვითარებულ ქვეყნებშიც 1:70000-ია, მაშინ როცა იქ, საჯარო ბანკებში 500000–ზე მეტი ნიმუში ინახება. საქართველოში ასეთი ბანკი არ გვაქვს და მასალის მოძიება ჩვენთვის უცხო ეთნიკურ ჯგუფებში უნდა მოხდეს, რაც საშუალოდ 35000 აშშ დოლარი ღირს, თანაც, თანხვედრის შანსი დაბალია. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ საკუთარი ან დედმამიშვილის ჭიპლარის სისხლით მკურნალობა ნაკლებ გართულებასა და უკეთეს სამკურნალო ეფექტს იძლევა.

რამდენადაა საკმარისი შენახული უჯრედები მოზრდილი პაციენტის სამკურნალოდ, თუ ისინი მხოლოდ მცირეწლოვან ბავშვებს გამოადგებათ?

ჭიპლარის სისხლით სარგებლობენ, როგორც მცირეწლოვნები, ისე, მოზრდილები. დღეისათვის არსებული ჭიპლარის სისხლის ტრანსპლანტაციის 27000-მდე შემთხვევიდან 10%–ში ის მოზრდილ პაციენტებს გადაენერგათ. სხვადასხვა ნიმუშში ჭიპლარის სისხლის უჯრედების რაოდენობა მერყეობს, ეს ინდივიდუალურია. როცა საქმე ჭიპლარის სისხლის რეგენერაციულ მედიცინაში გამოყენებას ეხება, მაგ., შაქრიანი დიაბეტის თუ ცერებრული დამბლის დროს, ახალშობილითა იშემიურ–ჰიპოქსიური ენცეფალოპათიის, აუტიზმის, თავისა და ზურგის ტვინის ტრავმების, სმენის შეძენილი დაქვეითების დროს არსებული რაოდენობა გამოიყენება, რადგან ამ შემთხვევაში საკუთარი ჭიპლარის სისხლის გამოყენება აჩქარებს რეგენერაციას და იწვევს მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ დაავადებების ალტერნატიული განკურნების რაიმე მნიშვნელოვანი მეთოდი კი არაა ცნობილი და თუ არსებობს კიდეც, მაგ., ინსულინი შაქრიანი დიაბეტის დროს, ეს მეთოდები ერთმანეთის შემავსებელია. სისხლძარღვოვანი დაავადებების დროს, ასევე ღვიძლისა და გულის დაავადებებისას კი უჯრედები ადგილობრივად შეჰყავთ და მათი მცირე რაოდენობაც კი საკმარისია მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამასთან, შესაძლებელია უჯრედების გამრავლება სინჯარაშიც.

აშშ–ში ლეიკემიებისა და ლიმფომების დროს ჭიპლარის სისხლის გამრავლებული უჯრედებით არაერთი წარმატებული მკურნალობაა ჩატარებული. ასევე გამოიყენება ჭიპლარის სისხლის ტრანსპლანტაცია არა ინტრავენურად, როცა უჯრედების დიდი ნაწილი სხვა ორგანოებში ილექება. ასე რომ, უჯრედების არსებული რაოდენობის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება და მათი გამრავლება თანამედროვე ტენდენციაა, რაც ხვალ უკვე ჭიპლარის სისხლის არასაკმარისი რაოდენობის საკითხს საბოლოოდ გადაჭრის.

საინტერესოა, რა ღირს ჭიპლარის სისხლის შენახვა?

ჩვენს ბანკში ჭიპლარის სისხლის აღების, დამუშავების, გაყინვის, ერთი წლით შენახვისა და გამოკვლევის ფასი 780 ევროა, ყოველი მომდევნო წელი კი - 100 ევრო. პირველი წლის დასაფარად განვადების ოთხი სისტემა გამოიყენება, სამი უპროცენტო განვადებაა, ორი - 12 თვიანი. მინდა გითხრათ, რომ თუ მშობელი დღეში 4–5 ღერით ნაკლებ სიგარეტს მოწევს, დაზოგილი თანხით ამ 100 ევროს გადახდას თავისუფლად შეძლებს. თუ ჭიპლარის სისხლის შენახვის თანხა მშობელმა შვილის საკვებს უნდა მოაკლოს, ცხადია, სჯობს ამაზე უარი თქვას, მაგრამ თუ თანხის დაფარვის საშუალება აქვს, მაშინ ნამდვილად ვურჩევთ შენახვას.

რამდენ ხანს ინარჩუნებს გაყინული ჭიპლარის სისხლის უჯრედები ვარგისიანობას?

მათემატიკური მოდელირებით დადგენილია, რომ –130 °C გრადუსზე დაბალ ტემპერატურაზე შენახული უჯრედები 1000–2000 წელი ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას და მათზე მხოლოდ კოსმოსური რადიაცია მოქმედებს.

ამას გარდა, ამერიკელმა მეცნიერებმა 23,5 წლის წინ გაყინული ჭიპლარის სისხლის უჯრედების წარმატებით გამრავლება შეძლეს. თავად ჩვენს ბანკში შენახული საცდელი სინჯების 6 წლის შემდეგ გადნობით ვნახეთ, რომ უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა 95%–ზე მაღალი იყო.

ხომ არ ჩაანაცვლებს ინდუცირებული პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედები მომავალში ჭიპლარის სისხლს?

ე.წ. ემბრიონული ღეროვანი უჯრედები, რომელიც 14 დღემდე ემბრიონის უჯრედებიდან მიიღება, კარგი მასალაა სამეცნიერო კვლევისათვის, მაგრამ არა სამკურნალოდ, რადგან ის ძალიან მოუმწიფებელია და ყოველთვის სიმსივნის წარმოქმნას იწვევს. მოზრდილი ადამიანის უჯრედებიდან (მაგ., კანის უჯრედები) შესაძლოა მიიღონ ე.წ ინდუცირებული პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედები, რომელიც წაგავს ემბრიონულ ღეროვან უჯრედებს. ამ უჯრედებისგან სხვადასხვა ტიპის უჯრედების მიღება თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ ემბრიონული ღეროვანი უჯრედების მსგავსად, ისინიც გადანერგვისას სიმსივნის განვითარებას იწვევენ. ამასთან, მათ მისაღებად საჭიროა უჯრედის მოდიფიცირება რეტროვირუსებით. ეს არის შიდსის გამომწვევი ვირუსის მსგავსი, რის გამოც უსაფრთხოდ არ მიიჩნევა. ამასთან, რეპროგრამირება დაბალეფექტიანია: სადღეისოდ მრავალმილიარდიანი დანახარჯების მიუხედავად, ემბრიონული ღეროვანი უჯრედებით მხოლოდ 2 პაციენტს უმკურნალეს და ეს კვლევაც ნაადრევად შეწყვიტეს. ინდუცირებული ღეროვანი უჯრედებით მკურნალობა კი სადღეისოდ არც იგეგმება. არაა გამორიცხული, შორეულ მომავალში ისე დაიხვეწოს ამ უჯრედების მიღება, რომ ისინი მართლაც გამოდგეს სამკურნალოდ. პარალელურად უნდა ვთქვათ, რომ მეცნიერებმა გაყინული ჭიპლარის უჯრედებიდან გაცილებით იოლად მიიღეს ინდუცირებული ღეროვანი უჯრედები და მათ უფრო მაღალი პოტენციალი აღმოაჩნდათ კანის ინდუცირებულ უჯრედებთან შედარებით.

ავტორი ნინო ბერძენიშვილი

„მეფე ლირი“

„მეფე ლირი“

„სინეტიკის“ სინთეზური ვნებები

თეატრალური გზავნილი ვაშინგტონიდან – სიტყვაძუნწი ვაჟა და უსიტყვო შექსპირი

ავტორი დავით ბუხრიკიძე

ნოემბრის დღეებში, როცა ვაშინგტონი და სრულიად ამერიკა მორიგ საჭეთმპყრობელს ირჩევდა, სწორედ ვაშინგტონიდან საგასტროლოდ ჩამოსული „სინეტიკ თეატრი“ რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე თავის პირველ სპექტაკლს თამაშობდა... ასჯერ გაგონილს, ცხადია, ორჯერ ნანახმა აჯობა. უკვე ცნობილმა და წარმატებულმა თეატრალურმა დასმა, რომელიც ლამის ყველა პრესტიჟული ამერიკული თეატრალური პრემიის მფლობელია, ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი“ სიტყვაძუნწ და მძაფრი ვნებებით დატვირთულ რიტუალად წარმოადგინა, ხოლო შექსპირის „მეფე ლირი“ – უსიტყვო ტრაგიფარსად.

„სინეტიკ თეატრი“, ქართველი კლასიკოსი-მიმის, ამირან შალიკაშვილის მოწაფეებმა, პაატა და ირინა ციქურიშვილებმა დააარსეს, რომელთაც პირველი საგასტროლო ტურნე ამერიკაში ჯერ კიდევ 1997 წელს გამართეს. ახალი თეატრის კონცეფცია ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის შერწყმით დაიბადა და ამიტომაც, თეატრს „სინეტიკი“ – ანუ სინთეზური უწოდეს. თეატრის დაბადების თარიღად მაინც 2002 წელი შეიძლება ჩაითვალოს, როცა პირველმა სრულფასოვანმა წარმოდგენამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

უკვე 11 წელია, რაც თეატრი ვაშინგტონში არსებობს და 50-ზე მეტი სპექტაკლი დადგა! ამ დროის განმავლობაში რამდენჯერმე გამოიცვალა ადგილსამყოფელი და რაც მთავარია, 94-ჯერ იყო წარდგენილი სხვადასხვა ნომინაციაში ჰელენ ჰეიზის სახელობის პრესტიჟულ თეატრალურ პრემიაზე (ხშირად, მას ამერიკულ თეატრალურ „ოსკარსაც“ უწოდებენ), ხოლო 27-ჯერ ეს ჯილდო დაიმსახურა კიდეც!

„სინეტიკის“ სპექტაკლების რაოდენობას და სიცოცხლისუნარიანობას ვაშინგტონსა და მიმდებარე რეგიონში მოქმედი 80-ზე მეტი პროფესიონალური თეატრალური დასის არსებობაც განაპირობებს, რაც ცხადია, გარკვეულ კონკურენტულ გარემოს ქმნის. და მაინც, წარმატების მთავარი გასაღები 46-კაციანი ინტერნაციონალური დასის მაღალი დონის პროფესიონალიზმი და სპექტაკლების უჩვეულო ფორმაა. ამაში რუსთაველის თეატრში მისული მაყურებელიც დარწმუნდებოდა, რომელიც ვაჟას პოემის მიხედვით დადგმულ „სტუმარ-მასპინძელში“ ქრისტიანულ-მუსულმანურ დაპირისპირებას ამოიკითხავდა. თუმცა, მთავარი, ჩემი აზრით, რაღაც არქაული ენერგიის, ამერიკული „დრაივისა“ და მთის პოეზიის უჩვეული ნაზავია.

სპექტაკლს, ცხადია, ინგლისურ ენაზე თამაშობენ, თუმცა, მოძრაობა და პლასტიკა მაინც გადამწყვეტია. 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ დადგმული წარმოდგენა დამატებითი სტიმული აღმოჩნდა რეჟისორ პაატა ციქურიშვილისათვის (ქორეოგრაფია ირინა ციქურუშვილს ეკუთვნის), რომელმაც ამერიკაში ისლამური სამყაროს წინააღმდეგ მიმართული აგრესია კარგად მომზადებული მეხანძრესავით ჩააქრო. მეორე მხრივ, სრულიად გასაგები აქცენტები გამოკვეთა ქრისტიანი პერსონაჟების სასარგებლოდ, რაც სპექტაკლის კონცეფციის გასაგებად, შესაძლოა, სადავოდ მოგვეჩვენოს. სპექტაკლში სამი თაობის კავსაძეები მონაწილეობენ: კახი, ირაკლი და ირინა კავსაძეები, თუმცა ბაბუა-კავსაძის მიერ განსახიერებული მუსა სპექტაკლში ყველაზე ამაღელვებელ და დრამატულ „ველს“ ქმნის.

სპექტაკლის შესახებ „ვაშინგტონ პოსტმა“ ასეთი რამ დაწერა: „ეს არის კაცო-

„სტუმარ-მასპინძელი"

ბრიობის მარადიული თემა. ეს არის პალესტინა, სომალი, აფხაზეთი, ავღანეთი, ერაყი, დაღესტანი და ყველა ის ცხელი წერტილი, რომელიც დღეს მსოფლიოს ასე აწუხებს...“ ოდესღაც საკუთარი მოწაფის დიდ წარმატებას ერთგვარი ეჭვნარევი აგრესიით ხვდება ამირან შალიკაშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ „მოწაფემ გაძარცვა“...

„ის ჩემი სტილით მუშაობს და ამას არ აღიარებს. როგორ გაბედა, რომ ხელი ახლო „სტუმარ-მასპინძელს“ და არ მკითხა! მე ახალი სტილის სპექტაკლები შემოვიტანე პანტომიმაში, რომელიც მან კასეტებზე ჩაწერილი წაიღო ამერიკაში და იმ კასეტებით არსებობს დღემდე“, – აცხადებს ერთ-ერთ ინტერვიუში ამირან შალიკაშვილი.

თუმცა, პლაგიატის დამტკიცება ძალიან რთულია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პანტომიმის ჟანრი სულ ორი-სამი ათეული კლასიკური მოძრაობისა თუ ჟესტისგან შედგება, რომელსაც ამ ჟანრში მომუშავე ყველა ხელოვანი იყენებდა – მარსელ მარსოდან დაწყებული, ვიაჩესლავ პოლუნინით დამთავრებული.

„სინეტიკის“ მიერ წარმოდგენილი „მეფე ლირი“ ის სპექტაკლია, რომლის მიმართ „პრეტენზია“ ალბათ, ამირან შალიკაშვილს ვერ ექნება. სამაგიეროდ, სტაჟიან თეატრალებს გასაგები და ლოგიკური ასოციაციები შეიძლება გაუჩნდეთ 1987 წელს სტურუას მიერ დადგმულ „მეფე ლირთან“. ამას განაპირობებს არა მხოლოდ ორივე სპექტაკლში გოგი ალექსი-მესხიშვილის მხატვრობა და გია ყანჩელის მუსიკა, არამედ სცენური ატმოსფერო, რამდენიმე მიზანსცენა და ირაკლი კავსაძის მიერ უსიტყვო დრამატიზმით ნაკვები ლირიც (ის, ხან რამაზ ჩხიკვაძის ლირს მოგაგონებთ და ხან ავთანდილ მახარაძის გლოსტერს). მაგრამ ეს სრულიად „უხიფათო და ატმოსფერული“ პლაგიატია. თუ ასე გავყვებით, მაშინ თავად სტურუას სპექტაკლებშიც ვიპოვით სახელოვანი რეჟისორის, რობერტ უილსონის ელემენტებს.

„მეფე ლირის“ პრემიერა ვაშინგტონის Shakespeare Theater-ში გაიმართა, რამაც რეჟისორს დამატებითი გამომსახველობითი საშუალებები უკარნახა. პაატა ციქურიშვილმა შექსპირის, ალბათ, ყველაზე პირქუში და სასტიკი ტრაგედია მსუბუქი წონის უსიტყვო ფარსად აქცია – აბსურდის ელემენტებით, ლოგიკური ალოგიკურობით, ნიღბებით და, თუ გნებავთ, პოლიტიკური აქცენტებით. სცენაზე დაახლოებით სამი ტონა კორპის ხის ნახერხი ყრია, რაც ყვითელი ქვიშის იმიტაციას ქმნის. ის სპეციალურად პორტუგალიიდან ჩამოიტანეს. ძალიან მსუბუქი და რბილია, რაც მსახიობებს არ უშლით ხელს ლამის ექსტრემალურ რიტმში ითამაშონ.

ირაკლი კავსაძის ლირი, ცხადია, ცენტრალური ფიგურაა, რომლის გარშემოც „კონცენტრულ წრეებს“ ქმნიან – ჯერ უმადურობით, შემდეგ კი ფიზიკურად დაბრმავებული გლოსტერი, კლოუნებად „გადაკეთებული“ ედმუნდი და ედვარდი. აქვეა კლოუნად ჩამოქვეითებული მასხარა, რომელიც გამუდმებით ჩემოდანს დაათრევს სცენაზე. ლირის ქალიშვილები იაფფასიანი სტრიპტიზ-ბარების მოცეკვავე გოგონებს ჰგვანან, ხოლო კორდილიას ნაცვლად სცენაზე ფელინის „კლოუნების“ მსგავს პერსონაჟს ვხედავთ. „ვაშინგტონ პოსტმა“ არც ამჯერად დაიშურა საქები სიტყვები; „პაატა ციქურიშვილის უსიტყვო შექსპირი პოეტური ჩუქურთმის გარეშე, სრულიად გაშიშვლებული წარუდგა მაყურებელს და როგორც მოსალოდნელი იყო, ორიგინალურმა ფორმამ ასევე აჯობა პიესის შინაარსს“...

ზუსტი და გასაგებია ამ უსიტყვო, დრამატული სანახაობის გულისამაჩუყებელი ფინალი, როცა ყველა პერსონაჟი ფერადი ბუშტებით ჩნდება სცენაზე! და მაინც... შექსპირს, უპირველესად, სიტყვა შვენის და არა პლასტიკური მიგნება, ან თუნდაც გამომსახველი კლოუნადა.

„სინეტიკმა“ გვაგრძნობინა, რომ ის მართლაც სინთეზური ვნებებითაა დამუხტული და მისი სპექტაკლების ნახვა თუნდაც იმიტომ ღირდა, რომ თეატრალურ ემიგრაციაში გადახვეწილი ქართველი რეჟისორისა და ქორეოგრაფის ერთგვარი „ტესტირება“ მოგვეხდინა. და სადღაც, გულის სიღრმეში ისიც შეგვემოწმებინა, გაძარცვა თუ არა შეგირდმა მასწავლებელი?!

www.facebook.com/GadatsemaWeekend

გადაცემა „უიკენდი“ ერთგვარი ინფორმაციული გზამკვლევია მათთვის, ვისაც მოდა, თავის მოვლა და ჯანსაღი ცხოვრების წესი აინტერესებს.

გადაცემა ცხოვრების სტილზეა, რომელიც ნებისმიერისთვის მუდმივი ფიქრის საგანია. განსაკუთრებით კი საქმიანი ადამიანებისთვის, რომელთაც ოჯახის და კარიერის სტრესულ რეჟიმში შეთავსება უწევთ.

„უიკენდი“ მოიცავს ცალკეულ რუბრიკებს, რომლებიც მსმენელს კონკრეტული ტიპის ინფორმაციას აწვდის: სილამაზისა და თავის მოვლის სფერო, მოდის ისტორია, ონლაინ შოპინგი და სხვა.

ეთერში გასვლის დრო: ***პარასკევი 12:00***
განმეორებით: ***შაბათი 11:00, კვირა 14:00***



ავტორი და წამყვანი - თამარ ალავიძე

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი და ეწეოდა იურიდიულ საქმიანობას.
2011 წლიდან იყო ჟურნალ „ლიბერალისა“ და „ცხელი შოკოლადის“ ბლოგერი მოდის და ცხოვრების სტილის თემებზე.
ამჟამად - ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ სტილის რუბრიკის რედაქტორი.

ცხელი
შოკოლადი
98.5 FM
2 985 985
radio@shokoladi.ge
radio.shokoladi.ge

ახალი მოკოლაღი

სტილი

ისტორია

რეკონსტრუქცია – კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვე მოდა

ინტერვიუ

ბრჭყვიალა ხოჭოს ეფექტი

მოდის ისტორია

10 წუთი „ავთანდილთან“

იუბილე რიცხვების გარეშე

თამარ ალავიძე

„დიდებს ხომ ძალიან უყვართ რიცხვები. თუ თქვენ მათ რომელიმე ახალ მეგობარზე უამბობთ რამეს, ისინი არასდროს გკითხავენ იმას, რაც მთავარია. არასდროს გკითხავენ, როგორი ხმა აქვს შენს მეგობარს, რა თამაში უყვარს, ან პეპლების კოლექციას თუ აგროვებს. ამის მაგიერ გკითხავენ: რამდენი წლისაა, რამდენი ძმა ჰყავს, რამდენს იწონის და რა ჯამაგირი აქვს მამამისს. და მათ ჰგონიათ, რომ ამით უკვე ყველაფერი გაიგეს. დიდებს რომ უთხრა, „ვარდისფერი აგურისგან ნაგები ლამაზი სახლი დავინახე, რომლის ფანჯრის რაფებზე გერანი ყვაოდა, ხოლო სახურავზე მტრედები დაგოგმანებდნენო“, ვერ მიხვდებიან, როგორია ეს სახლი. მათ ასე უნდა უთხრათ: „მე დავინახე სახლი, რომელიც ასი ათასი ფრანკი ღირს“ და მაშინ აღტაცებით წამოიძახებენ, რა მშვენიერი სახლი ყოფილაო!“

ახალი ნომრის სვეტისთვის აზრები და განწყობები რომ „შევაკოწიწე“, კომპიუტერს იმ განზრახვით მივუჯექი, რომ „ცხელი შოკოლადის“ მკითხველისთვის „სტილის“ რუბრიკის იუბილეზე მომეყოლა. მინდოდა მეთქვა, რომ ნოემბრის თვის ბოლოს „სტილს“ ერთი წელი შეუსრულდა; რომ ეს ძალიან პროდუქტიული და იმავდროულად გამოწვევებით აღსავსე პირველი 12 თვე იყო; რომ ბევრი ახალი მკითხველი შევიძინეთ და არაერთი საინტერესო ისტორიის გაზიარება შევძელით; და კიდევ ბევრი „რომ“. ნააზრევს რომ გადავხედე, მივხვდი, რომ ეს ყველაფერი არითმეტიკა და ციფრებით გადმოცემული, მოსაწყენი ისტორია იქნებოდა – როგორც მიიჩნევდა ამას სენტ ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“, რომლის ამონარიდიც პირველ აბზაცში მოვიშველიე.

ამიტომაც, არითმეტიკას შევეშვები, მარტივ ნარატივზე გადავალ და გეტყვით, რომ დეკემბრის ნომერში ახალი, ცოცხალი ისტორიები გელით. თანაც ისე დაემთხვა, რომ ამ ნომერში მხოლოდ ქართველი სტუმრები გვყავს და მოვლენებიც, რომელთა შესახებაც მოგითხრობთ, საქართველოში ხდება. გამოფენა, რომელმაც ჩვენამდე რამდენიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანა მოიარა და ახლა თბილისშიც ჩამოაღწია და რომელშიც ცნობილი ბრიტანელი დიზაინერების ნამუშევრებია გაერთიანებული; ახალგაზრდა, ნიჭიერი ქართველი დიზაინერი ირინა გაჩეჩილაძე, რომელმაც თავისი უნიკალური სამკაულების დამსახურებით იტალიური VOGUE-ის სტიპენდია მოიპოვა და სულ მალე მილანში მიემგზავრება სასწავლებლად. ირინას მსგავსად, ინტუიციის და ემოციების მეშვეობით ახდენს სამყაროში არსებული ნაწილაკისგან ერთგვარი სემიოტიკური ჯაჭვის შექმნას ფოტოგრაფი მარიამ სიჭინავაც, რომელიც ახალ ფოტო-პროექტს სწორედ ირინას სამკაულების თემაზე წარმოგვიდგენს.

დანარჩენ თემებზე წარმოდგენის შექმნა უკვე „სტილის“ მკითხველებისთვის მიმინდვია. სასიამოვნო თვეს გისურვებთ!

TBILISI MALL

აღმაშენებლის ხეივანი, მე-16კმ
www.facebook.com/TbilisiMall



მოიწყვეთ საახალწლო სამზადისი „თბილისი მოლში“!

ახალ წლამდე ერთი თვე რჩება, შესაბამისად, იზრდება ინტერესი საახალწლო შენაძენების მიმართ. ეს პროცესი ყველასათვის აქტიური და სასიამოვნოა, რადგან გვსურს, ეს დღე ჩვენთვის და ჩვენი ახლობლებისთვის დაუვიწყარი და განსაკუთრებული გავხადოთ. ამისთვის აუცილებელია შევიძინოთ საჩუქრები მათთვის, ვინც ძალიან გვიყვარს, სადღესასწაულო აქსესუარები დეკორაციების მოსაწყობად, ასევე საყოფაცხოვრებო ნივთები და პროდუქტები, რომლითაც სტუმრებს გემრიელად გავუმასპინძლდებით. მიზანს უფრო მარტივად და სრულყოფილად მივაღწევთ, თუკი დღესასწაულისთვის მზადებას საქართველოში ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრიდან - „თბილისი მოლიდან“ დაიწყებთ. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ერთი მისვლით, ყველა საჭირო ნივთის შეძენას შეძლებთ.

უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი „თბლისი-მოლი“ საქართველოში 2012 წლის აპრილში გაიხსნა. დღეს ის ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების ორმოცდაათამდე ცნობილი ბრენდის მაღაზიას აერთიანებს: STRADIVARIUS, PROMOD, GAP, MARKS&SPENCER, TOPSHOP, BERSHKA, BANANA REPUBLIC, WALLIS, ZARA, STEVE MADEEN, NEW LOOK, C&K, PULL&BEAR, OISHO, ALDO, SPRING, MASSIMO DUTTI, JULIA BERGOVICH, LIPSY, MISS SELFRIDGE, NEW YORKER, FIX SILVER, SABELLE, BLANCO, JUSTOR, QUIZ, LCWaikiki და ა.შ.

აქვეა მსოფლიოში ცნობილი ჰიპერმარკეტების ქსელი „CARRFOUR“, სადაც საახალწლო პროდუქტების შეძენას დაბალ ფასებში შეძლებთ. ეს სწორედ ის ბრენდებია, რასაც ქართველი მომხმარებელი დიდი ხანი ელოდებოდა.

საახალწლო დღეების გარდა, „თბილისი მოლი“ მომხმარებელს საინტერესო სიურპრიზებს შესთავაზებს მომავალშიც.

რეკონსტრუქცია – კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვე მოდა

ავტორი ნინო ჩიმაკაძე
ფოტო ლევან ხერხეულიძე

სოფია კოკოსალაკი

პოლ სმიტი

ვივიენ ვესტვუდი, პოლ სმიტი, პიტერ იენსენი, ჰუსეინ ჩალაიანი, სოფია კოკოსალაკი, ოსმან იუსეფზადე და მარიოს შვაბი – ეს დიზაინერები ერთი თვის წინ თბილისში „ახალი აბრეშუმის გზის“ საშუალებით ჩამოვიდნენ. „ახალი აბრეშუმის გზა“ – ეს ბრიტანეთის საბჭოს 2007 წელს დაწყებული პროექტია, რომელიც ძველი გზის მარშრუტს იმეორებს და მას გაცილებით მეტ დატვირთვას სძენს თანამედროვე კონტექსტში – ძველი, დაკარგული ურთიერთობების აღდგენას და ცენტრალური და სამხრეთ აზიის გაუცხოებული ქვეყნების და მათი ხელოვნების წარმოჩენას ისახავს მიზნად თანამედროვე ევროპაში.

სწორედ ამ მისიით ბრიტანეთის საბჭომ 2007-2010 წლებში არაერთი გამოფენა, პერფორმანსი თუ ვორქშოფი გამართა. ამ პროექტის ერთგვარი გაგრძელება იყო ზემოთ ხსენებული 7 ცნობილი დიზაინერის გამოფენაც თბილისში, რომლის ნახვაც ერთი თვის განმავლობაში იყო შესაძლებელი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

ვივიენ ვესტვუდიდან მარიოს შვაბამდე თითოეულ ჩამოთვლილ დიზაინერს თანამედროვე ბრიტანული მოდის შემქმნელებს უწოდებენ. მათ თბილისში გამართულ გამოფენას „რეკონსტრუქცია-კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვე მოდა“ ერქვა და საქართველომდე ყოფილი აბრეშუმის გზის სხვა ქვეყნებში – ყაზახეთში, უზბეკეთში, ბანგლადეშში და რუსეთში იყო წარმოდგენილი.

ეროვნული მუზეუმის მესამე სართულზე ბრიტანელი დიზაინერების კოსტიუმებს მთელი დარბაზი ჰქონდა დათმობილი. თითოეული დიზაინერის ნამუშევრების უკან სტენდი იყო განთავსებული, რომელზე დატანილი ფოტოები ან გრაფიკული ნამუშევრები კოსტიუმების ინსპირაციის წყაროზე მიუთითებდა. მაგალითად, პიეტერ იენსენის ნამუშევრების უკან გრენლანდიის პეიზაჟები იყო წარმოდგენილი. დიზაინერის 2009 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციაზე სწორედ გრენლანდიამ და გრენლანდიურმა ორნამენტებმა მოახდინა გავლენა: ვისკოზის ბუშტის ფორმის ქვედაბოლო – გადაცმული კრეპ დე შინის ჭრელ კაბაზე, რომლის ორნამენტიც გრენლანდიის პეიზაჟითაა შთაგონებული. ასევე, ვისკოზის ქვედაბოლო და შავი შალის ჟაკეტი, რომელზეც გრენლანდიური ფოლკლორის გავლენით, მძივები ხელითაა ჩამაგრებული.

ვივიენ ვესტვუდის თბილისში წარმოდგენილი ნამუშევრების ინსპირაცია – ზღაპრები, კერძოდ, ძმები გრიმების „შავი ტყე“ ყოფილა. მისი 2010 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციის სათაურიც ზღაპრების ამ გავლენაზე მიუთითებდა – „მომხიბვლელი პრინცი“ (Prince Charming) – ეს სახელი აერთიანებდა კოსტიუმებს, რომელთა ნაწილის ხილვა თბილისშიც შევძელით.

არანაკლებ შთამბეჭდავი იყო პოლ სმიტის სტენდიც, ბრიტანული სამკერვალოს ფონზე, სადაც მისი 2011 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი: სამ მამაკაც მანეკენს კლასიკური, დახვეწილი კოსტიუმები აცვიათ. ერთ-ერთ მათგანს კი, ხასხასა წითელი ჩანთა აქვს გადაკიდებული და შიგნით კურდღელი უზის. ნამუშევრებში კარგად ჩანს იუმორი, რომელიც ბრიტანულ მოდას ახასიათებს და პოლ სმიტის ზომიერი ექსცენტრულობა.

ოსმან იოსეფზადა, წარმოშობით ავღანელი დიზაინერი, თავის ნამუშევრებში ხშირად იყენებს დეტალებს საკუთარი კულტურული წარსულიდან: შავი და წითელი სადა კაბები არასტანდარტული დიზაინით; არავითარი ორნამენტი; არავითარი აქსესუარი... უკანა სტენდზე ის ადგილებია წარმოდ-

პიტერ ჯენსენი

გენილი, საიდანაც დიზაინერი ინსპირაციას იღებს: ვიქტორიას და ალბერტის მუზეუმი, რომელმაც მოდის გამოფენებს დაუდო სათავე; ასევე ცენტრალ სენ მარტინის ცნობილი კოლეჯი ლონდონში, ტკბილეულისა და სანელებლების მაღაზია, ყავის მაღაზია და ა.შ.

ამავე გამოფენაზე ჩამოტანილი იყო ნამუშევრები სოფია კოკოსალაკის, წარმოშობით ბერძენი დიზაინერის 2008 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციიდან, რომლის ინსპირაციაც ფრანგი სიურრეალისტის, ჟან კოქტოს ფილმი „პოეტის სისხლი“ და ბერძნული თეატრია. მანეკენებს სახეზე დიონისეს ნიღბები ჰქონდათ აფარებული, ტანზე კი ნაქარგებით გაფორმებული ნაცრისფერი ორგანზას და ტყავის დეტალებით მორთული შავი აბრეშუმის კაბები ეცვათ.

ავსტრიულ-ბერძნული ფესვების მქონე დიზაინერის, მარიოს შვაბის ნამუშევრებში კი მისი ეთნიკური წარმომავლობა იგრძნობა. 2009-2010 წლებში შექმნილი 4 ნამუშევარი სხვადასხვა ეპოქას და ქვეყანას ასახავს: ქალი დირნდლში, 1918, კარიატიდეს სვეტი, აკროპოლისი, ათენი, ძველი წელთაღრიცხვის მე-5-6 საუკუნეები, მან რეი, რესტავრირებული ვენერა, გრძელსახელოებიანი თეთრი კოტონის კაბა, შავი ვისკოზის კოჭებთან შეკრული კაბა მავთულით შემოხვეული ტყავის თოკების დეტალებით.

და ბოლოს – ჰუსეინ ჩალაიანი, კვიპროსული წარმოშობის დიზაინერი, რომლის კოსტიუმების ნახვასაც, ალბათ, ქართველი მოდის მოყვარულები ვივიენ ვესტვუდთან ერთად ყველაზე მეტად ელოდნენ. თუმცა, აქ მისი ნამუშევრები მხოლოდ ვიდეოინსტალაციის სახით იყო ნაჩვენები. იქვე დამონტაჟებულ ეკრანზე დიზაინერის 2000 წლის კოლექციის ნახვა შეგეძლოთ, რომელიც ჩალაიანმა დევნილებს და მათ პრობლემებს მიუძღვნა.

გამოფენის მსვლელობისას, კურატორი, ქენდელ მარტინ რობინსი თბილისში სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს და რამდენიმე დიზაინერს შეხვდა. როგორც აღნიშნავს, განსაკუთრებით მოიხიბლა ტყავის ნამუშევრებით და ასევე, სტუდენტების მიერ შექმნილი ფეხსაცმელებით. მისი გამორჩეული მოწონება კი დიზაინერმა ნინო ჩუბინიშვილმა დაიმსახურა: „მომწონს მისი კონცეპტუალური ხედვა და ორიგინალური სტილი“, – აღნიშნავს რობინსი „ცხელ შოკოლადთან“ საუბარში. ჩუბიკას გარდა, რობინსმა Atelier 10′ a-ს, Atelier informal-ის, გიორგი შაღაშვილის და სიმონ მაჩაბელის ნამუშევრები გამოარჩია.

„საერთაშორისო მოდის ინდუსტრია უზარმაზარი გლობალური ბაზარია, სადაც დიდი და გავლენიანი ქვეყნები დიდი ხანია დამკვიდრებული არიან: აქვთ საკუთარი, კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა და ბაზარი, ამიტომ პატარა, განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის იქ შეღწევა ძალიან რთულია. მით უმეტეს, როცა არ არსებობს საცალო მოვაჭრეების ბაზარი, Pattern cutter-ები და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურა“, – აღნიშნა რობინსმა ქართული მოდის ინდუსტრიის შანსსა და გამოწვევებზე საუბრისას და დასძინა, რომ აუცილებელია დიზაინერებს მასობრივი წარმოების საშუალება ჰქონდეთ, რადგან ინდუსტრიის განვითარებისა და საერთაშორისო ბაზარში ჩართვისთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: „მე შემიძლია ეს ნამუშევრები ევროპელ ბაიერებს ვაჩვენო, მაგრამ მათ აუცილებლად გაუჩნდებათ კითხვა: რამდენის გაკეთება შეუძლიათ აქ დიზაინერებს, რა დროში, სად აწარმოებენ და ა.შ.“. მისი თქმით, ლონდონში ახალგაზრდა, დამწყებ დიზაინერებს ლონდონის მოდის საბჭო ეხმარება და კარიერის დაწყებისთვის საჭირო მინი-

ოსმან იუსეფზადე

მალურ სასტარტო პირობებს სთავაზობს. ამ საბჭოს ნაწილობრივ სახელმწიფო აფინანსებს, თანხის ნაწილი კი კერძო დამფინანსებლებისგან მოდის. რობინსის თქმით, მსგავსი საბჭოები და ორგანიზაციები საქართველოშიც ძალიან დაეხმარებოდა დიზაინერებს.

რობინსი დამწყებ დიზაინერებს საკუთარი შემოქმედების პოპულარიზაციისთვის ე.წ. Fashion Film-ების გადაღებისკენ მოუწოდებს – ფილმების, რომლებშიც საკუთარ ნამუშევრებს და ძირითად ხედვას გააცნობენ მაყურებელს: „პოდიუმისთვის მომზადება ძალიან ძვირი ჯდება, მით უმეტეს, როცა საერთაშორისო ჩვენებებზეა საუბარი. ეს ფილმები კი შეგიძლია საიტზე ატვირთო და ნებისმიერმა ადამიანმა ნახოს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ეს მარკეტინგულად ძალიან მომგებიანია“.

ბრიტანელმა კურატორმა, 9 ნოემბერს, ამ თემაზე ვორქშოფიც ჩაატარა სამხატვრო აკადემიაში და სტუდენტებს ათი ასეთი ფილმი აჩვენა. სამომავლოდ, თუ დაფინანსებას მოიპოვებს, სურს, რომ ამ ფილმებისა და მოდის სფეროს სხვა აქტუალურ საკითხებზე საქართველოში პერმანენტული ვორქშოფები მოაწყოს, რომლებზეც ბრიტანელ დიზაინერებსაც დაპატიჟებს.

„ვიცი, რომ ეს ინფრასტრუქტურის პრობლემას ვერ მოაგვარებს, მაგრამ ვფიქრობ, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება მაინც საინტერესო იქნება ქართველი დიზაინერებისთვის. შესაძლოა, ეს მათ მომავალში რაღაცით დაეხმაროს კიდეც მოდის ბიზნესში უკეთესად ორიენტირებაში“, – ამბობს ის.

გამოფენის გახსნაზე ლონდონიდან სპეციალური მოწვევით პიტერ იენსენის ბიზნეს პარტნიორი, ჟერარ უილსონიც ჩამოვიდა. უილსონი 10 წელია, იენსენთან მუშაობს. მათ ერთმანეთი 2001 წელს ლონდონის სენ მარტინის კოლეჯში სწავლისას გაიცნეს. უილსონმა თავის თბილისურ შთაბეჭდილებებზე და ზოგადად, მოდის ინდუსტრიის აქტუალურ საკითხებზე „ცხელ შოკოლადთან“ ისაუბრა.

– თბილისი ძალიან მდიდარი და საინტერესო ქალაქია თავისი კულტურით და ისტორიით, ვფიქრობ, სწორი პოზიციონირების და ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში, ქართველ დიზაინერებს არ გაუჭირდებათ საერთაშორისო მასშტაბზე გასვლა. თანაც, თქვენ უკვე გაქვთ ექსპორტი თათა-ნაკას, დევიდ კომას და საზღვარგარეთ მომუშავე სხვა დიზაინერების სახით. თავდაპირველად კარგი იქნება, თუ მოახერხებთ, რომ თბილისი რეგიონის მოდის ცენტრად აქციოთ: დაპატიჟოთ დიზაინერები, ბაიერები, საერთაშორისო პრესა – ეს ძალიან კარგი იქნება ბიზნესის ზრდისთვის. ამას ჩვენც ვაკეთებთ ხშირად, რადგან პიტერი წარმოშობით დანიელია, ჩვენ კოპენჰაგენშიც ვმართავთ ხოლმე ჩვენებებს. ეს ქალაქი ბოლო წლებში სკანდინავიის და ჩრდილოეთ ევროპის ცენტრი გახდა მოდის თვალსაზრისით.

რას იტყვით ბრიტანულ მოდაზე? ლონდონის კვირეული საკმაოდ განსხვავდება პარიზის, ნიუ იორკის და მილანის მოდის კვირეულებისგან. ჩემი აზრით, აქ უფრო მეტი ექსპერიმენტის და სიახლის ნახვაა შესაძლებელი და ნამუშევრების კონცეპტუალური დატვირთვაც უფრო აქტუალურია. სწორია ეს დაკვირვება?

დიახ, ლონდონი ყოველთვის იყო კარგი ტრამპლინი ახალბედებისთვის. ახალი ტალანტების აღმოჩენის თვალსაზრისით ლონდონი ნამდვილად ლიდერია. პარიზში და მილანში იმდენი მსხვილი მოდის სახლია და იმდენად დიდია მათი გავლენა, რომ ძნელია, რაღაც ახალი გააკეთო. ამერიკული დიზაინი ძირითადად უფრო კომერციაზეა ორიენტირებული, ამიტომ ვფიქრობ, ლონდონში ყველაზე ნოყიერი ნიადაგია ექსპერიმენტებისთვის და სიახლეებისთვის.

ბრიტანელი დიზაინერების უმეტესობა დამოუკიდებლად მუშაობს და არ ერთიანდება დიდ კონგლომერატებში. როგორ ახერხებთ ბიზნესის სტაბილურობის შენარჩუნებას და ხომ არ ფიქრობთ რომელიმე მსგავს ჯგუფში გაერთიანებას სამომავლოდ?

ჩვენთან არის მოდის სახლები, მაგალითად ალექსანდრ მაკქუინი და სტელა მაკარტნი, რომლებიც „გუჩი გრუპის“ წევრები არიან. თუმცა, დიზაინერების უმეტესობა მართლაც დამოუკიდებლად მუშაობს. რა თქმა უნდა, კომერციული თვალსაზრისით, ეს ცოტა რთულია და ხშირად, რისკზე წასვლა გიწევს, მაგრამ ბრიტანეთში დიდი მხარდაჭერაა ახალი დიზაინერებისადმი ბრიტანეთის მოდის საბჭოს მხრიდან. ასე რომ, მაინც ვახერხებთ ბიზნესის გადარჩენას. სამომავლოდ, თუ კარგი შემოთავაზება იქნება, ალბათ, დავინტერესდებით ასეთი გაერთიანებებით, მაგრამ მეორე მხრივ, დამოუკიდებლად მუშაობასაც თავისი უპირატესობები აქვს: ჩვენ ჩვენი საქმიანობის სრული კონტროლი გვაქვს. ამ დიდ გაერთიანებებს კი საკუთარი „დღის წესრიგი“ აქვთ, მათ ფულის კეთება უნდათ. ჩვენც გვინდა ფულის

ჩაეჭიდე ჯანმრთელობას

კბილებით

PRESIDENT CLINICAL

ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
საქართველო, თბილისი, ქავთარაძის ქ.21
ტელ/ფაქსი: +995 32 243 22 07
E-mail: audrey@audrey.ge

ვივიენ ვესტვუდი

გაკეთება, რადგან ბიზნესის გასაგრძელებლად ეს აუცილებელია, მაგრამ ეს არაა ყოველთვის მთავარი. ჩვენ ასევე გვინდა ვაკეთოთ ის, რაც საინტერესოდ მიგვაჩნია.

ეს ხშირად არის დილემა ხელოვნებაში: აუცილებელია გარკვეული ფინანსური სტაბილურობა შეინარჩუნო, რომ მუშაობა განაგრძო. მეორე მხრივ, გინდა, ის გააკეთო, რაც მოგწონს და ბაზრის მოთხოვნას კი არ დაელოდო, თავად შესთავაზო სიახლეები ბაზარს. როგორ უთავსებთ ერთმანეთს ამათ?

ვფიქრობ, ლოკალურად ეს ჩვენთვის გამოწვევა არაა, რადგან რასაც ვქმნით, ყველაფერს ჰყავს მყიდველი, მაგრამ გარკვეულ პრობლემას მაინც გვიქმნის ის, რომ ყოველ სეზონზე ახლის შექმნა გვინდა, რაღაც განსხვავებულის. თუ მუდმივად იცვლები, ეს ძალიან დამაბნეველია ბაიერებისთვის და მომხმარებლისთვის, რაღაც განგრძობადობა უნდა გქონდეს და სტაბილურობა. თუმცა, მაინც ვახერხებთ, ორივე ასპექტში შევინარჩუნოთ წონასწორობა.

ახლა რა მიმართულებით მიდიხართ? რა სიახლეა თქვენს კოლექციებში?

ვფიქრობ, ადრე უფრო სახალისო და გასართობი იყო, ახლა უფრო დახვეწილია, ნაკლებად ახალგაზრდული, თუმცა, იუმორი ისევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ახლა დიდწილად უფრო კაბებზე ვართ ორიენტირებულები.

ვინ არის თქვენი სამიზნე ჯგუფი? ვისთვის ქმნით პროდუქციას?

იცით, ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს საკმაოდ ახალგაზრდა ჯგუფი იყო, მაგრამ როცა ბაიერებს ვესაუბრეთ, აღმოვაჩინეთ, რომ ასეთი განსაკუთრებული, გამოკვეთილი ასაკობრივი ჯგუფი არ გვყავს და შესაძლოა, ჩვენი ტანსაცმელი 18 წლის ადამიანმაც შეიძინოს და 60 წლისამაც. მე მომწონს, როცა განსხვავებულად აცვიათ, მომწონს, როცა რამეს ყიდულობენ იმ მიზნით, რომ საკუთარ ინდივიდუალობას შეუხამონ. მიხარია, როცა ვინმეს ქუჩაში ჩვენი ტანსაცმელი აცვია, განსაკუთრებით კი ისეთ ვინმეს, ვისზეც ვერც წარმოვიდგენდი. ჩვენ ძირითადად ჩვენი მეგობარი ქალების ჩაცმულობიდან და სტილიდან გამომდინარე ვქმნით ტანსაცმელს, მაგრამ სასიამოვნოა, როცა სრულიად განსხვავებული სტილის ადამიანებსაც ვიზიდავთ.

რომელ სოციალურ ფენაზეა გათვლილი თქვენი ტანსაცმელი? შეუძლია საშუალო შემოსავლის მქონე ახალგაზრდას იყიდოს თქვენი პროდუქცია?

მე ვფიქრობ, ჩვენი პროდუქცია ჩვეულებრივი, საშუალო შემოსავლის მქონე ახალგაზრდებისთვის ცოტა ძვირია, მაგრამ მათი ყიდვა შეუძლებელიც არაა. მაგალითად, კაბა საშუალოდ 200 ფუნტიდან 600 ფუნტამდე ღირს – ეს არ არის იაფი, მაგრამ არც წარმოუდგენელი ფასია. დღესდღეობით სულ უფრო მეტი დიზაინერი ქმნის კაბებს, რომლებიც ათასი ფუნტიდან 5000-მდე ღირს. ღმერთო, ჩემო! ვინ ყიდულობს მათ, გარდა ძალიან მდიდარი ადამიანებისა?! ჩვენ ასევე ვყიდით მაისურებს 70-80 ფუნტად – არც ესაა იაფი, მაგრამ ყიდვა შესაძლებელია.

თქვენი პროდუქცია მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში იყიდება, მათ შორის ჩვენს მეზობელ რუსეთშიც. ხომ არ მოიაზრება სამომავლოდ საქართველოც მათ რიცხვში?

რატომაც არა, უბრალოდ, აქ მულტიბრენდული მაღაზიები ჯერჯერობით ცოტაა. ალბათ, ამას დრო დასჭირდება. მოდის ბაზარი, ეკონომიკა თანდათან იზრდება, საქართველო მზარდი ეკონომიკის ქვეყანაა და ვფიქრობ, სამომავლოდ ნამდვილად შეიძლება ამაზე ფიქრი. თუმცა, განვითარებადი ეკონომიკის მოდის ბაზარზე – ჯერ დიდი, ცნობილი ბრენდები უნდათ და შედარებით ნაკლებად ცნობილ დიზაინერებზე ისეთი მოთხოვნა არ არის.

როგორ შეიძლება დიზაინერებმა საქართველოსნაირი პატარა ქვეყნიდან, მოდის სფეროში თავი დაიმკვიდრონ? როცა არ ხარ ცნობილი, არ გაქვს სათანადო ფინანსები, არ გყავს მდიდარი მომხმარებელი, რა მოტივაციით შეიძლება ამ სფეროში მუშაობა გააგრძელო და როგორ უნდა გადაირჩინო თავი?

რთული კითხვაა. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, იცოდე ვისთვის ქმნი, ვინაა შენი მყიდველი, რა იქნება პოპულარული, რა იქნება კარგი ფასი. ასევე მნიშვნელოვანია, მოდის კვირეულები და ჩვენებები, სადაც ინფორმაციის და იდეების გაცვლა ხდება. კარგი იქნება რაღაც გამორჩეული, უნიკალური ელემენტების შეტანაც ნამუშევრებში. საქართველო ამ მხრივ ძალიან მდიდარია: თქვენი ტექსტილები და ნაკეთობები ძალიან ორიგინალურია და ბიზნესის თვალსაზრისით მათი კარგად გამოყენება შეიძლება. აი, მაგალითად, შოტლანდიური ტვიდი ძალიან პოპულარულია მთელ მსოფლიოში. მართალია, ეს პოდიუმის დიზაინი არაა, მაგრამ ძალიან კარგი რეპუტაცია აქვს და ბევრგან იყიდება მსოფლიოს მასშტაბით.

Only at
M&S
MARKS & SPENCER

ხარისხიანი, ელეგანტური და დახვეწილი სამოსი მთელი ოჯახისთვის – „თბილისი მოლში“ ცნობილი ბრიტანული ბრენდის Marks and Spencer-ის პირველი მაღაზია გაიხსნა. კოლექციაში გარდა სამოსისა, წარმოდგენილია აქსესუარები, ფეხსაცმელი, თეთრეული და კოსმეტიკა.

პრეზენტაციაზე Marks and Spencer-ის საშემოდგომო კოლექციის იმპროვიზირებული ჩვენება გაიმართა. წარმოდგენილი იყო საშემოდგომო ლაბადები, კოქტეილის კაბები, ბლუზები, ქვედაბოლოები და ჩანთები. უახლესი კოლექცია კომპანიის წარმომადგენლებმა მოწვეულ სტუმრებს 20 %-იანი ფასდაკლებით შესთავაზეს.

სააგენტო Geo Models-ის ხელმძღვანელი თაკო ჩხეიძე მოხარულია, რომ საქართველოში კიდევ ერთი საერთაშორისო ბრენდის მაღაზია გაიხსნა და მომხმარებლებს არჩევანის გაკეთების საშუალება მიეცათ.

128-წლიანი ისტორიის მქონე ბრენდი მუდმივად ახერხებს მოდის იმ უახლესი ტენდენციებისთვის ფეხის აწყობას, რომელიც მომხმარებლების ინდივიდუალურ მოთხოვნებზეა გათვლილი.

„თბილისი მოლში“ გახსნილ მაღაზიაში, ქართველ მომხმარებელს საშუალება ექნება, შეიძინოს Marks and Spencer-ის ექსკლუზიური ბრენდები, რომელიც უნიკალური სტილით გამოირჩევა.

Autograph – ქალისა და მამაკაცის მდიდრული და ელეგანტური სამოსი, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს საერთაშორისო ტენდენციებს.

M&S Woman and M&S Man – ინსპირირებული სტილი, რომელიც ხაზს უსვამს საყვარელი სამოსის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

Indigo Collection – მსუბუქი, ლამაზი და ყოველდღიური სამოსი საქმიანი ქალბატონებისთვის.

Blue Harbour – დახვეწილი, ყოველდღიური მამაკაცური სტილი, რომელშიც გამოკვეთილია ჭკვიანი ადამიანის იმიჯი.

North Coast – თავისუფალი სამოსი მშვიდი და მსუბუქი განწყობისთვის.

კომპანიის წარმომადგენლების თქმით, უახლოეს მომავალში კავკასიის რეგიონში ქსელის გაფართოებაც იგეგმება.

ბრჭყვიალა ხოჭოს ეფექტი

ავტორი სოფო ჭაავა
ფოტო მარიამ სიჭინავა

ისე მოხდა, რომ პირველ დღეს, როცა საბავშვო ბაღში მიმიყვანეს, პერანგის საყელოზე მწვანე ბრჭყვიალათვლიანი ხოჭო მეკეთა. საბოლოო ჯამში, იმ სავალალო დღიდან მხოლოდ ერთი ეპიზოდი დამამახსოვრდა – ბაღის ეზოში ვიჯექი და გულამოსკვნილი ვტიროდი. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ მშობლებმა თავიდან მომიშორეს, აქ სამუდამოდ დამტოვეს და აღარავინ მოვიდოდა ჩემ წასაყვანად. ტირილისგან თვალებდასიებულმა ვერ შევამჩნიე, როგორ მომიჯდა გვერდით შავგვრემანი, ხუჭუჭა ბიჭი. არაფერი უთქვამს. თითი ჩემი მწვანე ხოჭოსკენ წაიღო და უცებ წამოხტა – „ვაი, ვაი, როგორ მიკბინა!“ ტირილი რომ შევწყვიტე, ბიჭმა ხოჭოს კიდევ რამდენჯერმე „აკბენინა“ და ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ყველაფერი არ დამავიწყდა და სიცილში არ ავყევი.

არ ვიცი, რამდენად არის ბრჭყვიალა ხოჭოს პოზიტიური ეფექტის დამსახურება, მაგრამ მას შემდეგ აქსესუარების მიმართ გულგრილი ვეღარ ვარ. ჩემს კოლექციაში რამდენიმე ათეული საყურე, კილოგრამობით ყელსაბამი და სამაჯურია. მათგან მხოლოდ ერთეულებს თუ დაუტოვებია ჩემი ზარდახშა, მაგრამ მაინც ვერ ველევი – მერე რა, რომ ვერ ვიკეთებ, სამაგიეროდ, რა ლამაზია?!

ამიტომ, როცა „ფეისბუქზე“ ირინა გაჩეჩილაძის ყელსაბამები პირველად ვნახე, მყისიერი რეაქცია მქონდა – ყველა მინდა! მათ ფოტოებს რომ არ ვბეჭდავდეთ, აუცილებლად დაწვრილებით აღგიწერდით თითოეულ მათგანს – ჯაჭვების, კრისტალებისა და ფერადი ქვების საოცარ ნაზავს, რომელიც ერთდროულად, თან სრულყოფილიცაა, თან დაუსრულებელიც: არაპროპორციული მოხაზულობა, დაწყვეტილი და მკერდზე ალაგ-ალაგ ჩამოკონწიალებული ჯაჭვები, არათანაბარი ზომის ქვები, თითქოს ერთმანეთთან შეუთავსებელი მასალები. ოდესღაც სინაზის სიმბოლო – ყელსაბამი – ირინასთან ლამის კომიკურად დიდ პროპორციებს იძენს, მბრწყინავი ქვები უხეში ჯაჭვებით ინასკვება და ერთდროულად უსვამს ხაზს კისრის სისუსტესაც და

ქალის ხასიათის სიძლიერესაც. ამ ყელსაბამებს ჩემთვის ერთი საერთო აქვს – თვითირონია. მათი ტარება ერთგვარი განაცხადია – თანამედროვე, სქესთა გათანაბრებისა და ვირტუალური რეალობის ეპოქის ქალის განაცხადი. თან მძივი გიკეთია, თან ამავე მძივს „დასცინი“.

ირინა გაჩეჩილაძეს მარჯანიშვილის მოედანზე, ერთ-ერთ კაფეში შევხვდი. არ ვიცოდი, ვის ველოდებოდი – აქსესუარების დიზაინერი, 24 წლის გოგონა – ირინა გაჩეჩილაძე თანაბარი წარმატებით შეიძლება ყოფილიყო 11-სანტიმეტრიან „ლუბუტენებზე“ შემხტარი პრეტენზიული ფეშენისტაც და შავმანიკიურიანი „ანდერგრაუნდ“ არტისტიც, ყური რომ 15 ადგილას აქვს გახვრეტილი და საკუთარ ნამუშევრებს მხოლოდ „არტს“ უწოდებს. თუმცა, რატომღაც ორივე შემთხვევაში ვხედავდი დიდთვლებიან, თითქოს შემთხვევით გადაბმული ჯაჭვის ლამაზ ყელსაბამს.

ირინა – რომელიც არც ფეშენისტა აღმოჩნდა და არც როკერი – პუნქტუალურად მოვიდა, მორიდებული, თითქოს ეშმაკური ღიმილით მომესალმა და მაგიდასთან ჩამოჯდა. ლურჯი ჯინსი და „მილითარი“ სტილის პერანგი ეცვა. თმა სადად ჰქონდა შეკრული. არანაირი აქსესუარი – ერთადერთი „სამკაული“ მკვეთრი ცისფერი თვალებია.

საუბარში პირველი, რაც ყურში მხვდება, სიტყვა მძივია. ძალიან უნდა ეცადო, რომ ერთი სახელი, თან ისეთი უბრალო, როგორიც „მძივია“, დაარქვა ათასფენა ძეწკვებს, ფერადი ქვებით მოჭედილი ხავერდის საყელოებს, თეთრი კრისტალებისა და მარგალიტების ნაწნავებს და ოქროსფერი ბურთულებით მორთულ ფირუზისფერი ბუმბულის სამშვენისებს. თვითონ ზუსტად ასე ეძახის – „ჩემი მძივები“. უბრალო ადამიანია. ჰყვება, რომ მალე ჟურნალ „ვოგის“ სტიპენდიით ევროპის ერთ-ერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში აქსესუარების დიზაინის შესასწავლად მიდის, მაგრამ ერთი წლის წინ იმასაც კი ვერ იფიქრებდა, რომ ეს მისი მთავარი საქმე გახდებოდა. პროფესიით გრაფიკოს-დიზაინერია და მძივების აცმა საკუთარი თავისთვის შარშან დეკემბერში დაიწყო. „საახალწლოდ გავიკეთე ჩემთვის პირველი მძივი. უბრალოდ, მინდოდა რამე ახალი. მერე, ყველას მოეწონა. ჯერ მეგობრებმა მთხოვეს, მათთვისაც გამეკეთებინა, მერე სხვებმაც ნახეს“. ყელსაბამების რამდენიმე ფოტოს ფეისბუქზე დადებას სრულიად მოულოდნელი შედეგი მოჰყვა – ერთ წელიწადში ირინამ 60-მდე ნამუშევარი გაყიდა. ხელნაკეთი ნივთისთვის, რომლის შექმნასაც 4-დან 20 დღემდე სჭირდება (მასალისა და სირთულის მიხედვით), ეს საკმაოდ ბევრია. „მარტო მუშაობ?“ – ვეკითხები. რატომღაც მგონია, რომ თვითონ მხოლოდ ხატავს. ათასობით პატარა ბურთულის, მეტრობით ძეწკვისა და ფერადი ქვების აკინძვა ხომ ლამის კატორღული შრომაა! ეს კითხვა უკვირს – „კი, მარტო ვარ. ზოგჯერ, დედაჩემი მეხმარება – თუ ამას გულისხმობ“.

ყველა მცდელობა, რომ ყელსაბამების მიღმა რამე კონცეფციაზე ვალაპარაკო, წარუმატებლად სრულდება.

– როგორ ფიქრობ, რა მოსწონთ შენს ნამუშევრებში მყიდველებს?

– არ ვიცი. მხოლოდ ისეთებს ვაკეთებ, რომელსაც მეც ვიხმარდი.

„უბრალოდ, კარგი გემოვნება აქვს“, – საუბარში ჩემი თანამშრომელი, ირინას ახლო მეგობარი, სალომე ერთვება. ვხვდები, რომ ტყუილად ვართულებ ამოცანას. მსხვილი კრისტალებით გაწყობილ მძივში ქინძისთავების ჩაქსოვა რამე ფემინისტური განაცხადი კი არა, უბრალოდ ინსტინქტური, თანდაყოლილი გემოვნებაა, რომლის სიტყვებით გადმოცემა ირინას არ აინტერესებს.

ერთი მძივით დაწყებულმა საქმიანობამ ირინას გასულ წელს სრულიად მოულოდნელი წარმატება მოუტანა – პრეზენტაცია თბილისის მოდის კვირეულზე, საკუთარი კუთხე ქართველი დიზაინერების მაღაზიაში და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი – ჟურნალ „ვოგის“ პრესტიჟული სტიპენდია.

შეხვედრამდე, ირინა გაჩეჩილაძის ფეისბუქგვერდის გარდა მისი სახელი გუგლითაც მოვიძიე. პირველი, რაც შემხვდა, ერთი „ფეშენისტას“ ბლოგია – ირინაზე და მის მძივებზე წერს. კომენტარებში აზრი მკვეთრად იყოფა – მკითხველების ერთი ნაწილი აღფრთოვანებულია ნამუშევრებით, მეორე კი – აღშფოთებული ყელსაბამების ფასით. ირინას მძივების ფასი 300 ლარიდან იწყება. მასალად ის მხოლოდ ბიჟუტერიას იყენებს. ყველაზე ძვირფასი, საქორწინო ყელსაბამი, 600 ლარად გაყიდა.

„ძალიან ძვირია. ძალიან კი არა საშინლად, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ფასში ლუქს ბრენდის აქსესუარს შეიძენ, არათუ დამწყები დიზაინერის – ვინმე გაჩეჩილაძის ნამუშევრებს. მოკლედ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ქართველებმა არ ვიცით ბიზნესის კეთება, ეს გოგო თავიდანვე განწირულია ბანკროტისთვის“, – წერს ერთ-ერთი აღშფოთებული კომენტატორი.

ირინას ვეკითხები, სმენია თუ არა ასეთი კრიტიკის შესახებ. მშვიდად ეღიმება და ამბობს, რომ ადრე ამაზე ნერვიულობდა. მერე კი მიხვდა, არავის წინაშე არ არის ვალდებული, მისი ნამუშევრებია და სწორედ იმდენი უღირს, რა ფასსაც ადებს. „არც მინდა, რომ ყველასთვის იყოს ხელმისაწვდომი“, – ამბობს ის და ერთ შემთხვევას იხსენებს, როცა მოსკოვში გასაყიდად წაღებულ მძივებს იქაურ მაღაზიაში ასტრონომიული თანხა დაადეს – 1200 დოლარი: „მე თვითონ გამიკვირდა, მეგონა, არასდროს გაიყიდებოდა, მაგრამ ვიღაცას მოეწონა, როგორც ჩანს, და სამიდან ორი უკვე გაყიდულია“. აქსესუარების ხიბლი ხომ სწორედ ამაშია – უყურებ, და ხედავ შენს თავს, წარმოიდგენ, რას მოუხდება, როგორი სხვანაირი გამოჩნდება შენი უბრალო შავი კაბა ამ ყელსაბამით, როგორ შეცვლის ის შენს განწყობას და ვინ იცის, იქნებ, კიდევ ერთი სასიამოვნო ნაცნობობის საბაბი გახდეს...

ირინას უახლოესი გეგმები მილანს და დომუს აკადემიას უკავშირდება. პარალელურად, 26 იანვარს პარიზში ელოდებიან – შოუ-რუმი უნდა მოაწყოს, მარტში კი კიევის მოდის კვირეულის საპატიო სტუმარი იქნება. ფიქრობს, მძივების გარდა სათვალის დიზაინიც სცადოს. უნდა, რომ მასალად ნახევრადძვირფასი ქვებიც გამოიყენოს. მოკლედ, წინასწარ ვიცი, ირინა გაჩეჩილაძის შესახებ კიდევ ბევრი დაიწერება.

სამკაული: ირინა გაჩეჩილაძე
ფოტო: მარიამ სიჭინავა
მოდელები: ლიკა აბრუმია, ქეთა შათირიშვილი
სტილისტი: გიორგი სარიშვილი-ვაზოვსკი
მაკიაჟი: ანუკა მურვანიძე
ვარცხნილობა: ICI PARIS სილამაზის აკადემია

10 წუთი „ავთანდილთან“

ავტორი მაშო სამადაშვილი
ფოტო მაკა გოგოლაძე

პარიზში შუა შანზ-ელიზეს ერთი წყნარი ქუჩა კვეთს, რომლის მთელ სიგრძეზე მოდის სახლებია ჩამწკრივებული, სადაც არ უნდა გაიხედო, თვალს საოცარი სილამაზის, დეკორატიული ვიტრინები გჭრის – ზოგი ნაკლებად კრეატიულია, ზოგი მეტად, თუმცა ყველა მათგანს ერთი რამ აერთიანებს – ისინი მოდის სახლებს არა „ტანსაცმლის მაღაზია-სამკერვალოდ“, არამედ ინსპირაციის წყაროდ და ცხოვრების წესად აქცევს.

ჰერმესის, კელვინ კლაინის, დიორის, შანელის, პრადას და სხვა მოდის სახლების შთაბეჭდილებებიდან ჯერ კიდევ არ ვიყავი გამოსული, თბილისში ახლად დაბრუნებულმა, ლესელიძეზე ჩემთვის ნაცნობ „სურათს“ რომ მოვკარი თვალი.

„AVTANDIL“ – საქართველოში, პირველი და ყველაზე წარმატებული ქართველი დიზაინერის, ავთანდილ ცქვიტინიძის მოდის სახლი ლესელიძის 29-ში, ტურისტებით სავსე, ხმაურიან

ადგილას, აგურის 4-სართულიან შენობაშია განთავსებული.

ვიტრინაში გამოფენილმა ოთხმა გამოსასვლელმა კაბამ და აფრიკულ თემატიკაზე შექმნილმა ყოველდღიურმა მაისურებმა იმდენად მომხიბლა, რომ იქვე გადავწყვიტე, აუცილებლად მივსულიყავი დასათვალიერებლად. რედაქციისკენ გზაზე, იდეას ვხვეწდი და ვაგროვებდი არგუმენტებს, თუ რატომ უნდა ვეწვიო ავთანდილს აუცილებლად:

მოდის სახლი, რომელშიც ცალ-ცალკე სივრცეებია სხვადასხვა კატეგორიის კლიენტების მისაღებად; რომელშიც ცალკეა დარბაზი ბაიერების მისაღებად, ცალკეა მაღაზია და ვრცელი სამკერვალო, არცერთ ქართველ დიზაინერს არ აქვს. არადა, ასეთი კომპლექსური მოდის სახლის მოწყობა დაუწერელი სტანდარტია ყველა შემდგარი ბრენდისთვის დასავლეთში. ამიტომაა საინტერესო, როგორი გამოვიდა ავთანდილის მოდის სახლი, როგორც – პირველი მცდელობა.

მოკლედ, ლესელიძეზე მალევე დავბრუნდი. რამდენიმე კიბე ავიარე. ფართო, მინის კარს ხის, განიერი ოთხკუთხა სახელურები აქვს.

შესვლისთანავე ავთანდილი და მისი მენეჯერი მხვდებიან, თავიდან გაკვირვებულები მიყურებენ, ავთანდილს ვეუბნები, რომ დღეს სამზე მასთან ინტერვიუ მაქვს, მას დაბნეულობანარევი გაოცება ეტყობა, მე კი საათზე ვიხედები – ზუსტად სამია.

ავთანდილის მენეჯერი ზურა, სიტუაციის განმუხტვას ცდილობს, ზემოთ მეპატიჟება, მეუბნება, რომ ტექნიკურ დეტალებზე ის მომიყვება, გზად კი ყავას მთავაზობს.

ვიდრე ზურას კაბინეტში ავალთ, მიხსნის, რომ ავთანდილს მოულოდნელად ძალიან მნიშვნელოვანი სტუმრები ეწვივნენ, ამიტომ ჩემი ინტერვიუ ცოტა ხნით გვიანდება. ვხვდები, რომ ინტერვიუ, როგორადაც ის მე წარმოვიდგინე – ვრცელი, დეტალური საუბრით და ექსკურსიებით – არ იქნება, მხოლოდ რამდენიმე წუთიანი, ნაჩქარევი გასაუბრების იმედი უნდა მქონდეს, მაგრამ ზურას მაინც ვთანხმდები. ზურა შენობას ცოტა უგულისყუროდ მათვალიერებინებს, მე ქურდულად ვიხედები სამკერვალოებში, ნაჩქარევად ვათვალიერებ ექსკლუზიური კლიენტების სალონს, სადაც ავთანდილის სტუმრები იმყოფებიან, ყველა დეტალის დამახსოვრებას ვცდილობ. ვიგებ, რომ შენობა სრულიად შემთხვევით იპოვეს და ბევრი არ უფიქრიათ, ისე შეიძინეს. როგორც მოგვიანებით ავთანდილი მეუბნება, ყოველთვის უნდოდა ემუშავა გარემოში, სადაც სრული შემოქმედებითი თავისუფლება, დიდი სივრცე და ლამაზი ხედი ექნებოდა.

ამას გარდა, უცხოეთიდან მზარდი მასობრივი დაკვეთების გამო, აუცილებელი გახდა შესაფერისი სივრცე, სადაც მზა ტანსაცმელი შეინახებოდა; ბაიერებთან მოლაპარაკებისთვის, რომლებიც სულ უფრო ხშირად ითხოვენ საქართველოში ჩამოსვლას, შეხვედრების ოთახი იქნებოდა, ასევე აუცილებელი იყო შოურუმი და მაღაზია.

ეს შენობა კი, რომელშიც ადრე ოფისები იყო განთავსებული, ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს, თუმცა თავიდან მივყვეთ: პირველ სართულზე ექსკლუზიური ტანსაცმლის სალონია, სადაც პირველი ხაზის სამოსი იყიდება. ყველა დეკორატიული

ელემენტი, რომელიც ინტერიერშია გამოყენებული, ფუნქციურადაც დატვირთულია. ჟანგისფერ მილებზე, ანუ საკიდებზე, პერანგები, შარვლები, პიჯაკები კიდია, წითელ, რბილი მასალის მილზე კი, აფრიკულ თემაზე შექმნილი მაისურები. შუაში ხარაჩოს მსგავსი ხის საკიდია, რომელზეც გამოსასვლელ, ფერად კაბებს ვხედავ.

ინტერიერზე ავთანდილის აქტიური მონაწილეობით სააგენტო „რუმსის“ დიზაინერებმა იზრუნეს. სალონის დეკორი თან მოწესრიგებულია, თან დაუმთავრებელი, სივრცე შავ, თეთრ და წითელ ფერშია გადაწყვეტილი, კედლები თითქოს ბოლომდე შეღებილი არცაა და სივრცე მუდმივი განახლების პროცესშია. გასახდელში ვიხედები, ოქროსფერ, მაღალქუსლიან, ბრჭყვიალა ფეხსაცმელს ვხედავ და წამიერად რომელიმე კაბის ჩაცმის სურვილი მიჩნდება, თუმცა სიტუაციით შებოჭილს, ამ იდეის გაჟღერება, რაღაცნაირად მერიდება. ქვემოთ, ნულ სართულზე, რემონტი ჯერ კიდევ არ დასრულებულა, სულ მალე აქაურობა დალაგდება და ავთანდილის სამოსის მეორე ხაზის მაღაზია გაიხსნება. მეორე ხაზი ის პროექტია, რომლის განხორციელებასაც ავთანდილი წლებია, გეგმავს და რომლითაც ახლა უკვე ამაყობს – თვის ბოლომდე ამ მოდის სახლში, ასევე „გრატო პასაჟსა“ და „თბილისი მოლში“ მოდის მიმდევრები მაღალი ხარისხის, მოდურ სამოსს დემოკრატიულ ფასად შეიძენენ. მეორე ხაზის სამოსი, ისევე როგორც სხვა მასობრივი დაკვეთები, ფაბრიკა „იმერეთში“ იკერება, სადაც 15 წლის წინ ავთანდილმა, როგორც დიზაინერმა, პირველი ნაბიჯები გადადგა, ახლა ამბობს, რომ ეს ფაბრიკა მის ყველა წამოწყებას მხარში უდგას და უკვე წლებია, სამოსის წარმოების ტექნიკურ ნაწილში ეხმარება.

თვითონ მოდის სახლში კი ორი სამკერვალოა – ერთი პატარა ლაბორატორია, სადაც კოლექციები მცირე ჩვენებებისთვის იკერება და მეორე, უფრო მოზრდილი ლაბორატორია, სადაც ექსკლუზიური მოდელები იქმნება.

როგორც ავთანდილი მეუბნება, ლაბორატორიები იმავე დანადგარებითაა აღჭურვილი, რომლებითაც პარიზის წამყვანი მოდის სახლები, მაგალითისთვის კი, ცნობილი ფირმის, „სტოკამის“ მანეკენს მაჩვენებს და მიხსნის, რომ ეს მანეკენი იმის გარანტიაა, რომ სამოსის შესაძენად მოსულ ადამიანს ზუსტად ეცოდინება, თუ საკიდიდან 36 ზომას ხსნის, ის ამ სამოსს ჩაიცვამს.

მეორე სართულზე ექსკლუზიური კლიენტებისთვის განკუთვნილი, კომფორტულად მოწყობილი სალონია, სადაც ავთანდილთან მისული მოდის მოყვარულები, ისე შეიკერავენ სამოსს, რომ მათი ტანსაცმლის ვერცერთ დეტალს ვერავინ დაინახავს. ასეთ კლიენტებს მუდმივად აწუხებთ სხვა მყიდველების ცნობისმოყვარეობა, ახლა კი, გარდა იმისა, რომ მათ ექსკლუზიური სალონი მოემსახურე-





ბა, ავთანდილთან უშუალო ურთიერთობაც ექნებათ. თუმცა, როგორც დიზაინერი მეუბნება, თუკი დრო აქვს, რიგით კლიენტებთანაც მუდმივად ურთიერთობს და მაშინაც კი, თუ მაღაზიაში არ იქნება და მყიდველს მისი აზრი დაინტერესებს, ან რჩევა დასჭირდება, ყველა საქმეს გადადებს და მაღაზიაში ჩავა. ისე, ამდენი სირბილი ძნელი იქნებაო – ხუმრობს, საქმე ისაა, რომ დიზაინერის სახელოსნო, სულ ბოლო სართულზე, შენობის ყველაზე მშვიდ ნაწილშია განთავსებული, ოთახში ჯერ რემონტი მიმდინარეობს, საიდანაც მოდურად განახლებულ ძველ თბილისზე ულამაზესი ხედი იშლება, ავთანდილს უნდა, რომ თავისუფალ დროს, საყვარელ საქმიანობას დაუბრუნდეს და ხატოს, ინსპირაციის წყარო უკვე აქვს – როცა ვერანდაზე გავდივარ და ამ ხედს ვუყურებ, თავიდან ვიბადებიო, – ამბობს, მისი გემოვნებით მოწყობილი სახელოსნოც სულ მალე ექნება.

მანამდე კი ავთანდილის მოდის სახლს სამი დამწყები დიზაინერი შეემატება, რომლებიც, როგორც ავთანდილი ამბობს, სამუშაო პროცესში ბევრ რამეს ისწავლიან და თან დამოუკიდებლად მუშაობას შეძლებენ, ამას გარდა, უნდა შეიკეროს სავიზიტო ფორმები, რათა მაღაზიაში შესულ ადამიანს მაშინვე შეექმნას პირველი წარმოდგენა, თუ რა ტიპის დიზაინერთან მივიდა და რას უნდა ელოდეს მისგან.

თუმცა, მე უკვე ვიცი, რას უნდა დაველოდო: სულ მალე, კონკრეტულად კი, წინასაახალწლოდ, საქართველოში პირველი მოდის სახლი „AVTANDIL"-ი ოფიციალურად გაიხსნება.

როგორც მონაყოლიდან მიხვდით, დიზაინერთან საუბრის საშუალება, მართალია, საათზე მეტი ხნის შემდეგ, მაგრამ მაინც მომეცა, თუმცა სულ 10 წუთით და ისიც ნაჩქარევად. რა თქმა უნდა, უკმაყოფილების განცდა დამრჩა, მაგრამ თავად დიზაინერი იმდენად კეთილგანწყობილი იყო, რომ წუწუნი ნამდვილად არ ღირს.

გუშინ კიდევ ჩავიარე ლესელიძეზე. ვიტრინას შევხედე. ახლა, საღამოს კაბების ნაცვლად, მანეკენებს შავი პიჯაკები აცვიათ. ისევ გულდასმით ვათვალიერებ და ვხვდები, რომ ეს მოდის სახლი ზუსტად ისეთია, როგორიც უნდა იყოს – საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუწვდომელი და ძალიან გლამურული, თუმცა, ამავდროულად, „თბილისურად" პატარა და ახლობელი.

დაბოლოს, ერთ ოფიციალურ განცხადებას გავაკეთებ: მე, როგორც ქართული მოდის გულშემატკივარს, იმედი მაქვს, მოდის ინდუსტრია ჩვენთან ისე განვითარდება, ისეთი შემოსავლიანი გახდება, რომ ამგვარ მოდის სახლებს სხვა ქართველი დიზაინერებიც შექმნიან. ეს იქნება ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი იმ კომპლექსურ და მრავალგანხრიან სისტემაში, რომელსაც ზოგადი სახელი – მოდის ინდუსტრია ჰქვია.



საშობაო ნამცხვარი

ტექსტი, ფოტო: ნინო მეგრელიძე

მიყვარს ლამაზი და ჯანსაღი ტრადიციები, აი, ისეთები, მთელ ოჯახს თბილ სამზარეულოში რომ შეკრებს, მაგალითად, საშობაო ტკბილეულის მოსამზადებლად. სამზარეულო თავდაყირა დგას, ყველაფერი შაქრიანი და ფქვილიანია, კანფეტები მოფანტულია, თაფლი – მოწუწული, ბავშვები მოთხუპნულები... ცომისგან ჭრიან ვარსკვლავებს, ნაძვის ხეებს, ანგელოზებს, კაცუნებს, ყველაზე ყოჩაღები სახლებსაც კი ამზადებენ და რთავენ შაქრით, კანფეტებით...

ამერიკაში და ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, სხვადასხვა სახელწოდებით და რეცეპტის მცირე ცვლილებით საშობაოდ ჯინჯერბრედებს ამზადებენ.

ფრანგულ ჯინჯერბრედს პურის ფორმა აქვს და სანელებლების პური ჰქვია, ბრიტანულს – კაცუნას, გერმანულს – სახლის (გახსოვთ, ალბათ, ჰენზელის და გრეტელის ტყეში ნაპოვნი ნამცხვრის სახლი).

მე-17 საუკუნის ევროპაში პროფესიაც კი არსებობდა – ჯანჯაფილის პურის მცხობელი – მხოლოდ მათ ჰქონდათ უფლება, საშობაოდ და სააღდგომოდ გამოეცხოთ ეს ტკბილეული. დღეს რეცეპტიც ხელმისაწვდომია და ვერავინ დაგვიშლის, სახლში მოვამზადოთ ეს მშვენიერი, საშობაო ნამცხვარი.

საშობაოდ ჯინჯერბრედ სახლების მომზადების ტრადიცია „Tbilisi Marriott"-შიც არსებობს. აქ დეკემბრის თვეში 100-ზე მეტ ტკბილ სახლს აცხობენ და რთავენ. „მარიოტის" შეფკონდიტერმა თემურ გიგაურმა საკუთარი რეცეპტი და გამოცდილება გაგვიზიარა.

ინგრედიენტები:
480 მლ. თაფლი
400 გრ. შაქარი
500 გრ. ფქვილი
500 გრ. რუხი ფქვილი
3 კვერცხი
100 მლ. რძე
სანელებლების ნაკრები: 15 გრ. დარიჩინი; 15 გრ. ჯანჯაფილი; 5 გრ. მუსკატი; 5 გრ კარდამონი.

თაფლი და შაქარი შეათბეთ დაახლოებით 60 გრადუსამდე, ურიეთ, სანამ შაქარი არ დადნება. მშრალი ინგრედიენტები აურიეთ, დაუმატეთ რძე, ათქვეფილი კვერცხი და ბოლოს – თაფლის და შაქრის ნარევი. მიღებული ცომისგან შეგიძლიათ, გამოჭრათ ვარსკვლავები, კაცუნები, წრეები ან ნებისმიერი ფორმის ნამცხვრები. ჯინჯერბრედის სახლში მომზადების შემთხვევაში, თემური გვირჩევს, წინასწარ მოვამზადოთ მუყაოს სახლის მაკეტი და იმის მიხედვით გამოვჭრათ ცომი.

ჯინჯერბრედი ცხვება 180-200 გრადუსზე, ნამცხვრის შეწითლებამდე.

მოსართავად დაგჭირდებათ 2 კვერცხის ცილა, 300 გრ შაქრის პუდრი, 1 ლიმონის წვენი. ყველაფერი ათქვიფეთ გამაგრებამდე, ბეზე გადაიტანეთ საკონდიტრო პარკში, სახლის გამომცხვარ კედლებს წაუსვით კუთხეებში და ასე შეაწებეთ, სასურველია რამდენიმე საათი გაუნძრევლად დატოვოთ, კარგად რომ გამაგრდეს. ასეთი ბეზეთი შეგიძლიათ, სხვადასხვა ფორმის ნამცხვრებიც მორთოთ. გაფორმეთ ფერადი კანფეტებით ან ორცხობილებით, იდეებს ბავშვები მოგაწვდიან. შაქრის ნაძვისხისთვის კი მწვანე საკონდიტრო საღებავი დაგჭირდებათ, რომელსაც ბეზეს შეურევთ და საკონდიტრო პარკით სამი ზომის წრეს დასვამთ პერგამენტზე, შეაშრობთ და ისევ ბეზეთი შეაწებებთ.

გემრიელად მიირთვით.

UNDERNEATH THE MISTLETOE

Gather your friends and family for Christmas around your reserved table at Parnas Restaurant and enjoy a world class Sunday brunch buffet.

Holiday brunch menu created by Chef Pedro Gonzalez will feature some of your most favorite items: carved suckling pig, leg of lamb, roasted turkey, traditional eggnog, ginger bread houses and live entertainment

Sunday, December 23 | 12 noon - 3 pm

65 GEL excl. VAT per adult, 25 GEL excl. VAT per children of 5 - 12
Children under 5 are free of charge
Soft drinks included

On December 25th, we will offer Chef's special four course Christmas dinner at Parnas Restaurant

57 GEL excl. VAT per person
Children's menu available

TBILISI MARRIOTT HOTEL
13, Rustaveli Avenue, Tbilisi 8
0108 Georgia (Caucasus Region)
Tel: +995 (32) 277 92 00; Fax: +995 (32) 277 92 10
TbilisiMarriott.com

Marriott. TBILISI

თავისუფლების ჩირაღდანი

ავტორი ნინო ნატროშვილი

1928 წელი... ნიუ იორკი... მეხუთე ავენიუზე სააღდგომო აღლუმი მიმდინარეობს. საყოველთაო მრავალათასიან მსვლელობას ახალგაზრდა ქალთა ჯგუფი შეერია. ძალიან ლამაზები არ არიან, უფრო – სიმპათიურები ეთქმით, მათ შორის, რამდენიმე მსახიობიცაა. ერთი შეხედვითვე ჩანს, რომ ყველანი მაღალი წრის წარმომადგენლები არიან. უცებ, თითქოს, ვიღაცისგან ნიშანი მიიღესო, ყველანი კაბების ქვეშიდან, თხელ წინდებში დამალულ სიგარეტს იღებენ, ერთდროულად უკიდებენ და დემონსტრაციულად, ყველას დასანახად აბოლებენ.

აღლუმზე შეკრებილებს ნანახი შოკში აგდებს. ჟურნალისტები კომენტარების ჩაწერისთვის „იბრძვიან“, ფოტოგრაფები კი იმის გახსენებას ცდილობენ, მოასწრეს თუ არა ეფექტური კადრის გადაღება.

მეორე დღეს პრესა სენსაციური სათაურებით ჭრელდება, მთელი მსოფლიო ამ საოცარ შემთხვევაზე საუბრობს. გაზეთები სიგარეტს „თავისუფლების ჩირაღდანს“ არქმევს...

ამერიკის შეერთებული შტატებისგან მწეველ ქალზე ასეთი რეაქცია ახლა უცნაურად ჩანს, თუმცა იმ პერიოდში ამერიკა რელიგიური და მკაცრი მორალური ჩარჩოების მქონე ქვეყანა იყო. მდედრობითი სქესისთვის სიგარეტის მოწევა, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, დაუშვებლად ითვლებოდა.

პერფორმანსით გამოწვეული შოკის შემდეგ ამერიკულ გაზეთებში ახალი აქტუალური თემა გაჩნდა: მოწევას გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის სიმბოლოდ განიხილავდნენ, ვისაც თანასწორობის სჯეროდა, ქალის მოწევას მხარს უჭერდა, ფემინისტები სოციალური ნორმის შეცვლას მიესალმებოდნენ.

ამერიკაში თამბაქოს რევოლუციის შემოქმედი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი, PR-ის მამა, ედვარდ ბერნეისი იყო. სწორედ ბერნეისმა დადგა მწეველი ქალების მარში მეხუთე ავენიუზე, მან შეარჩია მონაწილეები, დაიქირავა მსახიობები, თან გაჰყვა და ისიც კი ანიშნა, როდის ამოეღოთ სიგარეტები. მერე ინფორმაციის გავრცელებაზეც იზრუნა: ეპითეტი „თავისუფლების ჩირაღდანიც“ მოიფიქრა და პრესაც მიიწვია. ბერნეისის იდეას მხარი ფემინისტმა რუთ ჰეილმაც დაუჭირა და ქალებს თავად მოუწოდა: აანთეთ თავისუფლების კიდევ ერთი ჩირაღდანი, დაარღვიეთ კიდევ ერთი ტაბუ!

პერფორმანსმა გაამართლა: ერთ დღეში ბერნეისმა ქალებისთვის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევა დაშვებული გახადა. ეს მართლაც შთამბეჭდავი ექსპერიმენტი იყო, რომელიც PR-ის ქრესტომათიაშია შესული, თუმცა ისევე როგორც ყველა PR აქციას, ამასაც თავისი კარგად

გათვლილი მიზეზი ჰქონდა: ბერნეისს ქალთა ემანსიპაცია ნაკლებად ადარდებდა. American Tobacco Company-ს დირექტორმა ჯორჯ ჰილმა მას Lucky Strike-ის გაყიდვების გაზრდისთვის კამპანიის დაგეგმვა დაუკვეთა. ჰილი ხვდებოდა, რომ მის პოტენციურ მომხმარებლებს ქალები წარმოადგენდნენ. მდედრობითი სქესის საჯაროდ მოწევის აკრძალვა კი მას გაყიდვებს უმცირებდა. თამბაქოს მწარმოებელი შიშობდა, რომ ქალებს შორის მოწევის გავრცელების ღია მცდელობას, შეიძლება საზოგადოებრივი პროტესტი მოჰყოლოდა, ამიტომ პირველ რიგში კულტურა უნდა შეცვლილიყო.

ბერნეისის იდეამ გაამართლა, 1925-1935 წლებში მწეველი ახალგაზრდა ქალების რიცხვი ორჯერ გაიზარდა. პერფორმანსის იდეაზე ფიქრისას, ზიგმუნდ ფროიდის ნათესავი ბერნეისი ფსიქოანალიზს დაეყრდნო: სიგარეტი ერთ-ერთი ის მამაკაცური სიმბოლო იყო, რომელიც ქალების მხრიდან ქვეცნობიერ შურს და მიზიდულობას იწვევდა. იმ პერიოდში სიგარეტი კაცის ექსკლუზიურ ატრიბუტად ითვლებოდა, თუმცა ბერნეისის იდეა ქალებს ამ სიმბოლოს დაუფლების საშუალებას აძლევდა, ამისთვის მხოლოდ ერთი გაბოლებაც საკმარისი იყო...

მოკლედ, ედვარდ ბერნეისმა ქალთა სოციალურ მოძრაობას საკუთარი უფლებებისა და თანასწორობისთვის ბრძოლაში თავისუფლების ჩირაღდნად სიგარეტი შესთავაზა. ეს ირაციონალური იდეა იყო, მაგრამ საზოგადოებამ დაიჯერა და მრავალი წელი სწამდა ამ იდეის. სიგარეტი ქალის დამოუკიდებლობის დემონსტრირების სიმბოლო გახდა.

ბერნეისი ხვდებოდა, რომ თამბაქოს რევოლუციას ემანსიპაციის გარდა დამატებითი მოტივაციები სჭირდებოდა, ამიტომ სტრატეგიაში სხვა ელემენტებიც ჩართო: იმ პერიოდში მოდაში სიგამხდრე შემოდიოდა, PR-ის მამის სარეკლამო კამპანიამაც არ დააყოვნა, მთავარი მესიჯით, ჩაანაცვლეთ ტკბილეული სიგარეტით, იმიტომ, რომ ის წონაში კლებას უწყობს ხელს. მან სიგარეტი სილამაზესთან ერთად სტილსაც დაუკავშირა და მოდურ აქსესუარად აქცია. მალე, ბერნეისის იდეების წყალობით, ჟურნალებში გაჩნდა სტატიები მოწოდებით – ყველა ელეგანტურ ქალს უნდა ჰქონდეს პორტსიგარი და მუნდშტუკი.

30-იან წლებში თავისუფლების ჩირაღდანი კინოკულტურის მთავარ აქსესუარადაც იქცა. ცნობილი მსახიობები – მერლინ მონრო, ვივიენ ლი, მარლენ დიტრიხი, ჯინა ლოლობრიჯიდა ჯინჯერ როჯერსი, გრეტა გარბო, სოფი ლორენი, ოდრი ჰეპბერნი, ავა გარდნერი, ელიზაბეტ ტეილორი, ბრიჯიტ ბარდო და სხვები, ეკრანიდან თუ ცხოვრებაში, სიგარეტის პოპულარიზაციას ეწეოდნენ. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მწეველი კოკო შანელი იყო... მისი წარმოდგენა სიგარეტის გარეშე შეუძლებელიც იყო. გავლენიანი მადმუაზელი, სამოსთან ერთად, სიგარეტის მოდასაც ქმნიდა, როგორც ელეგანტურობის, ქალური შარმის, თავდაჯერებულობის, იდუმალების, დახვეწილობისა და სექსუალურობის სიმბოლოს.

შემდეგ წლებში სიგარეტი უკვე გამოჩნდა რეკლამებში, პოდიუმზე... თუმცა 1980-იანი წლებიდან უკვე სხვა ტალღა აღმოცენდა: მოწევა თანდათან არაკორექტულად გამოცხადდა და სიგარეტის წინააღმდეგ მიმართული ვრცელი და მრავალწლიანი კამპანიის შემდეგ, მივედით იქამდე, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის და, განსაკუთრებით, სამუშაო ადგილებში მოწევა ბევრ ქვეყანაში საერთოდ აიკრძალა, შეიცვალა თვითონ თამბაქოს რეკლამირების წესები და მასზე გარკვეული შეზღუდვებიც გამოცხადდა.

რა ხდებოდა ამ დროს საბჭოთა კავშირში? საბჭოთა კავშირში 1970-იანების ბოლომდე მწეველი ქალი საზოგადოებიდან ამოვარდნილი იყო. მართალია, ზოგმა მოწევა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწყო, თუმცა ეს მაინც მარგინალურ ჩვევად მიიჩნეოდა. გარკვეულწილად ეს იმის ბრალიც იყო, რომ ქალი სიგარეტით – დასავლური ცხოვრების ნაწილად აღიქმებოდა. თუმცა რკინის ფარდა დროდადრო ირხეოდა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაშიც თითოეულ მოწეულ ღერს, უცხოური სიგარეტის თითოეულ კოლოფს ფარდის მიღმა არსებული სამყაროდან ისევე მოჰქონდა ახალი ამბები, როგორც ებრაელებში ნაყიდ ჯინსს ან ველვეტის შარვალს...

როცა სტატიის წერა დავიწყე, 84 წლის მწეველი ქალი რესპონდენტის პოვნაზე არც მიოცნებია. მერე კი ეროვნულ ბიბლიოთეკაში სრულიად სხვა საქმეზე მისულს, ლეილა ზამბახიძე გამაცნეს: „სტაჟიანი მწეველია, მაგრამ ინტერვიუები არ უყვარსო“, – მითხრეს. ამ დროს ქალბატონი ლეილა საუბარში თავისი სურვილით ჩაერთო. ჯერ საუბარი სასხვათაშორისოდ ჩამოვუგდე სიგარეტზე. მერე კი, როცა გავიგე, რომ facebook-ზე პროფილი აქვს, ინტერვიუ უფრო თამამად ვთხოვე.

„მოსკოვში მოვწიე პირველად, 1958 წელს. ჩემი მეგობრის ქმარს ვთხოვე, მინდოდა გამესინჯა. 70-იანი წლებიდან კი ინტენსიურად დავიწყე“, – მიყვება, თან აბოლებს.

მაინტერესებს, როგორ აღიქვამდნენ მაშინ მის საქციელს გარშემომყოფები, თან ვხვდები, რომ ქალბატონი ლეილა ქალის ძველ სტერეოტიპებში არ ჯდება. „ფეხბურთის საყურებლად სტადიონზეც დავდიოდი და ვეწეოდი კიდეც. მკვეთრად ჩამოყალიბებულ აზრს, რომ ქალი თუ პომადას წაისვამს და მოწევს, აუცილებლად ზნეობრივი ნორმებიდანაა გადამცდარი, მე არ შევხვედრივარ. შესაძლოა იმიტომ, რომ სხვა წრეში ვტრიალებდი. დედა მოწევას მხოლოდ ჯანმრთელობის გამო მიშლიდა. არ იყვნენ ჩემი მშობლები ისეთ საზოგადოებაში გაზრდილები, რომ ეფიქრათ: რადგან მოწია, ჩემი შვილი „ცუდ გზას დაადგაო“. თუმცა, გამონაკლისი კი ვიყავი. რას ვეწეოდი? ამერიკული სიგარეტი იშვიათობა იყო. ბულგარულს ვეწეოდი, მაგრამ ყოველთვის არც ის იშოვებოდა. ამიტომ მიხაროდა მოსკოვში ან საზღვარგარეთ წასვლა. გერმანიაში რომ ჩავდიოდი, პირველად ყავის და სიგარეტის არაჩვეულებრივ არომატს შევიგრძნობდი ხოლმე“, – ამბობს ღიმილით.

„ცუდ გზას დაადგა“ და „სიგარეტი მოწია“ ქართული საზოგადოებისთვის რომ ერთი და იგივე იყო, ამას ჩემი სხვა რესპონდენტები მიდასტურებენ. ქალბატონი ლეილას შემდეგ, ნინო და

ნაირა დეიდებთან მივდივარ, 55-60 წლის ქალბატონებთან: „სკოლასთან ყიდდა ხოლმე ერთი კაცი კინომსახიობების ფოტოებს. 15 კაპიკი ღირდა, ვყიდულობდით და ვაგროვებდით. ამ ფოტოებზე ისინი ხშირად სიგარეტით იყვნენ, ეს კი გონებაში გველექებოდა, სიგარეტი მათი მიბაძვის შანსი იყო. მეათე კლასში ვიყავი, როცა პლეხანოვზე, ჩვენი მეგობრის რვასართულიანი კორპუსის სახურავზე მოვწიეთ. მერე სამსახურშიც ვეწეოდი. უფროსი გვიშლიდა, ამიტომ დავეწყობოდით ხოლმე და 20 ქალი ერთად მივდიოდით საპირფარეშოში. კოლექტიური მსვლელობა უფროსს ძალიან უკვირდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა“, – მიამბობს ნინო დეიდა.

მერე იმდროინდელი სიგარეტების ჩამოთვლას იწყებს: „თბილისი“, „ლუქსი“, „კოსმოსი“, „მტკვარი“. მათ შორის, ყველაზე „მაღალი დონის“ „კოსმოსი“ იყო. ამერიკული არ იშოვებოდა, მის საყიდლად ჩუმად ან ლოტკინზე მიდიოდნენ ბოშებთან, ან ვარანცოვზე – დოდოსთან. „მარლბოროში“ და „ქემელში“ 5-6 მანეთს აძლევდნენ.

„იცი, რა, მაშინ სირცხვილი იყო. ითვლებოდა, რომ მწეველი ქალი პატიოსანი არ იყო. ეს იარლიყი არსებობდა ყველასთვის, ვინც ეწეოდა. ერთი ამხანაგი მყავდა, რომელიც 70-იან წლებში არავის ერიდებოდა: ქუჩაშიც ეწეოდა და პარკშიც. მახსოვს, რა სახით უყურებდნენ ხოლმე მას გამვლელები“, – ამბობს ნინო, ნაირა კი ამატებს: „თუ ეწეოდი, ამით ამბობდი, რომ შენ გოიმი არ ხარ და სიგარეტის მოწევა არათუ არ გიკვირს, თვითონაც ეწევი“.

„ეს ჩვენი პროტესტიც იყო წინა თაობის მიმართ, რომელიც ქალის მოწევას უარგუმენტოდ კრძალავდა და იარლიყებს აკერებდა მწეველ ქალს“, – აღნიშნავს ნინო.

„თავისუფლება გვინდოდა და ამას მოწევით ვაღწევდით“, – მიხსნის ნაირა.

ყველას დასანახად ისინი ახლაც არ ეწევიან, პირიქით, ქუჩაში მწეველი ქალის დანახვა თავადაც ეჩოთირებათ. აი, მოსკოვში კი, რადგან იქ ნაცნობი თვალი არ ხედავდათ, 1970-80-იან წლებშიც თავისუფლად აბოლებდნენ.

მოსკოვზე კიდევ ერთი მწეველი ქალი მახსენდება, ჩემი მეგობრების, მაკას და ირმას დედა – სამზარეულოში მოფუსფუსე და პირში სიგარეტგაჩრილი ნინო დეიდა.

ყავიანი ფინჯანი რომ აიღო ხელში და სიგარეტიც გააბოლა, „რატომ დაიწყეთ მოწევა-მეთქი“, – ვკითხე. „ყოფილი სანიმუშო მოსწავლე და კომკავშირის მდივანი ვიყავი. არ არის, შვილო, ნინო, საინტერესო, სულ წესიერი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრება, ზოგჯერ მოგინდება, რაღაც გააფუჭო. ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური მომენტია, აკრძალული ხილი ხომ გემრიელია? ჰოდა, სიგარეტზეც ასე იყო. როცა კლასელები ერთმანეთის სახლებში ვიკრიბებოდით, ჩუმად ვეწეოდით. როცა გავთხოვდი, ჩემმა ქმარმა შემომთავაზა, მოწიეო და ახლა „ვახტანგურად“ ვეწევით. მაშინ ბევრი ჩემი თანატოლიც თვლიდა მოწევას მიუღებლად, მაგრამ ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქართველოში ჯერ ცივილიზაცია არ იყო შემოსული და ვინც ვეწეოდით, პირველი მერცხლები ვიყავით“, – მიყვება ნება-ნება.

ჩემი მეგობარი ირმა 30 წლისაა. ახლა ღიმილით იმ შემთხვევას იხსენებს, როცა მწეველი ქალი პირველად ნახა: „სტუმრები გვყავდა, მათ შორის ერთი ლიტველი ქალი იყო. როცა სიგარეტი გააბოლა, ისე გაოცებული ვუყურებდი, როგორც უცხოპლანეტელს. ყველამ შემამჩნია. დედაჩემს შერცხვა და ოთახიდან გამიყვანა. არადა, ამ დროს დედაჩემი თურმე ეწეოდა“, – მიყვება ირმა.

მერე ერთად ჩვენს სტუდენტობას ვიხსენებთ, როცა სიგარეტი „ცუდ გზაზე დადგომად“ თბილისში აღარავის მიაჩნდა, მაგრამ ბარიერი მაინც არსებობდა: „ყველას ვერ შეაბოლებდი, მაგრამ იმიჯის ნაწილი მაშინაც იყო და ყველა ვეწეოდით. თანაც, როცა სტუდენტი ხარ, მოწევა ჯგუფელების გაცნობაში, კომუნიკაციის დამყარებაში გეხმარება. მოწევა „სვეტსკობა“ იყო“, – ამბობს ირმა.

მერე, ჩემს მეორე მეგობარ თაკოს ვუსმენ. „უჰ, კარგი რამეა „პაპიროსი“. არ დამავიწყდება, სოფელში როგორ მიმქონდა ერთი კოლოფი სიგარეტი და მთელი ზაფხული ვაფუილებდით ამ ერთ კოლოფს სოფლის ბავშვები. დღეს ჩემთვის სიგარეტი იმაზე მეტია, ვიდრე უბრალოდ სიგარეტი, რა ვქნა, მიყვარს. თავიდან თუ ფარულად ვეწეოდი, დღეს ამით აღარ ვზღუდავ თავს, მაგრამ მგონია, რომ უკვე დიდი ვარ და თავი უნდა დავანებო“.

ბოლოს სიგარეტზე ჩემს 20-21 წლის სტუდენტებს ვეკითხები. გუმანით ვხვდები, რომ ირმასავით უკვე ბევრი ფიქრობს, იმიტომ, რომ დასავლური მოდა და ცხოვრების სტილი დღეს სიგარეტზე უარის თქმისკენ მოგვიწოდებს.

ici paris beauty academy

ისი პარის სილამაზის და ესთეთიკის შემსწავლელი ცენტრი
მაკიაჟი – სატელევიზიო მაკიაჟი, გრიმი - **Make-Up Studio , Kryolan**

სტილისტი – თმის ვარცხნილობა, შეჭრა, კოლორისტიკა, მელირება, ლამინირება, ქიმიური დახვევა-გასწორება - **Ducastel**

კოსმეტოლოგი – კლასიკური წმენდა, აპარატურული წმენდა, ბიო ეპილაცია, ფოტო ეპილაცია, ნემსით ეპილაცია, სახის ევროპული მასაჟი (სახე, დეკოლტე, ზურგი) - **Jean Piaubert**

პედიკიურ-მანიკიურის სპეციალისტი - OPI მეთოდიკა – **OPI**

ასევე ჩვენთან ტარდება ტრეინინგები და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

ჩვენ ვზრდით ნამდვილ პროფესიონალებს!

მისამართი: კანდელაკის ქ. 47. ტელ: 2 38 00 86

სტუდენტები ამ ეჭვებს მიდასტურებენ. მათ შორის მწეველი თითო-ოროლაა. მეუბნებიან, რომ სიგარეტის მოწევა მათ თაობაში მოდური საქციელი აღარაა.

თავისუფლების ჩირაღდნობიდან მეინსტრიმამდე და შემდეგ მის უარყოფამდე – ამ თემატური ხაზით სოციოლოგ ემზარ ჯგერენაიასთან მივდივარ. სანამ ძველი თაობის მწეველი ქალების გამბედაობაზე დავიწყებდეთ საუბარს, ბატონი ემზარი ბავშვობაში, სოფელში ნანახ ასაკოვან მწეველებს იხსენებს: „ამ ქალებს რაღაც ტრაგედია ჰქონდათ გადატანილი. მაგალითად, ომში ჰყავდათ შვილი დაკარგული და მათ მოწევას საზოგადოება ამართლებდა, თუმცა, მთავარი ის იყო, რომ ამ ქალებს ასაკის გამო სექსუალური ღირებულება აღარ ჰქონდათ“, – იხსენებს ემზარ ჯგერენაია. „რატომ, მათზე ვეღარ ამბობდნენ „ცუდ გზას დაადგაო“? – ვეკითხები. „მწეველ ქალებს ჰქონდათ ერთგვარი შარავანდედი: უცხო, განსხვავებული, არაორდინარული, გაბედული, ინტელექტუალის იმიჯი და, მეორე მხრივ, ქალის, რომელთანაც შეიძლებოდა ფლირტის გაბმა და რომელსაც არ ჰქონდა კონსერვატიული სექსუალური წარმოდგენები. ამიტომ ქართველი მწეველი ქალი პრაქტიკულად გამოიყურებოდა, როგორც დისიდენტი და კულტურიდან ამოვარდნილი. ქალების ერთი ნაწილი ახდენდა ამის საჯაროდ დემონსტრირებას, ნაწილი კი მოწევას მალავდა. სხვათა შორის, მოწევა და მანქანის მართვა მჭიდროდ უკავშირდებოდა ერთმანეთს: იყო „ქალური“ და „კაცური“ საქმეები და თავის ზედმეტი მოვლაც კი ქალის მხრიდან სიძვის მსუბუქ ფორმად ითვლებოდა. დღეს საპირისპირო ვითარებაა და ქალები უფრო ბევრს ეწევიან, ვიდრე კაცები, მაგრამ ეს მაინც თბილისის რეალობაა და სოფლად კვლავაც ძველი წარმოდგენებია. ქალს, რომელიც სიგარეტს ამოიღებს და გააბოლებს პროვინციაში, ნეიტრალური მზერით არ შეეგებებიან“, – აღნიშნავს ემზარ ჯგერენაია.

შესაძლოა, მორალური „პასუხისმგებლობა“ საქართველოში მწეველ ქალებს სოფლებში კვლავაც ეკისრებათ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სიგარეტმა შანელის დროინდელი ხიბლი ამის გარეშეც დაკარგა. წლების განმავლობაში მისი შარავანდედიდან პრაქტიკულად აღარაფერი დარჩა, მოწევა უბრალოდ მოწევაა, ამ სიტყვის ძალიან ჩვეულებრივი მნიშვნელობით და სხვა აღარაფერი. იცვლება ყველაფერი, დრო, ადამიანები, ჩვევები, მეინსტრიმიდან გამორჩეულობის სურვილის მქონე ადამიანები კი ცხოვრების ჯანსაღ წესზე აპელირებენ, ამბობენ, რომ თანამედროვე მოდური ცხოვრების სტილში თამბაქოს ადგილი აღარ არის.

როცა ამ ტენდენციებზე ვმსჯელობთ, ემზარ ჯგერენაია საინტერესო დასკვნამდე მიდის: „ამ თანამედროვე ტრენდმა იცი, რომ შეიძლება სხვა ეფექტი გამოიწვიოს? რაღაც თვალსაზრისით ამ აკრძალვის შედეგად, შეიძლება გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ თუ ტრენდია ცხოვრების ჯანმრთელი წესი, თუ ეს არის მეინსტრიმი, მაშინ მე სხვანაირი მინდა ვიყო, გაბედული, მეინსტრიმიდან ამოვარდნილი და ამიტომ – მე მოვწევ. ეს ბუნებრივია: როცა უმრავლესობა ცხოვრობს ერთი ცხოვრების წესით და უმცირესობას, იმის გამო, რომ უმცირესობაშია, მოსწონს საკუთარი გამორჩეულობა, ცხოვრების მანერა, შეიძლება პროტესტის ფორმა... ასეთი რამ მოსალოდნელია. მოწიე, იმიტომ, რომ მოდაშია, არ მოწიო, იმიტომ, რომ მოდაში აღარაა – ცხოვრების წესით და სტილით კულუტურას მუდამ ვაძლევთ საშუალებას, ჩვენზე იძალადოს. ამიტომ უმრავლესობისა და უმცირესობის ცირკულაციები ყოველთვის იქნება... ჯერ ყველაფერი წინ არის“, – მეუბნება ემზარ ჯგერენაია.

...იმით დავასრულებ, რითაც დავიწყე – ედვარდ ბერნეისით. ვინც ბერნეისზე გაბრაზდით, აი, რას გეტყვით: საოცარი და პარადოქსული ისაა, რომ ედვარდ ბერნეისი, რომელმაც უამრავ ქალს მოწევის დაწყება „აიძულა“, 1960-იან წლებში თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანიის კონსულტანტი გახდა და დაწერა: „მე რომ 1928 წელს მოწევის შესახებ იმდენი მცოდნოდა, რამდენიც ახლა ვიცი, American Tobacco-სთან არ ვიმუშავებდი“.

თუ "ცხელი შოკოლადის" კითხვა და "ბეილისის" დაგემოვნება გიყვართ, ეს აქცია თქვენთვისაა

1 ნოემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით "ლიტერატურულ კაფესა" და "Downtown"-ში შეიეძინეთ ორი პორცია ბეილისი, ან ბეილისით დამზადებული ყავა ან კოქტეილი და საჩუქრად მიიღეთ ჟურნალი "ცხელი შოკოლადი".



შეძენისას მოითხოვეთ ვაუჩერი, ჩაერთეთ წამახალისებელ აქციაში და მოიგეთ "Kindle Touch"

98.5